საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№42 (85)
17 - 23 ნოემბერი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net



# ინდიანა ჯონსი და დაკარგული ქვეყანა

2

მიხეილ სააკაშვილი:

**გუშინწინ მე ვიყავი თუ სამი დღის წინ ადგილზე, რომელიც წარმოუდგენელი სილამაზისაა, მთელი ხეობა არის დინოზავრის ძვლებით შედგენილი. ინდიანა ჯონსის ფილმში არ არის ისეთი სილამაზე, როგორც ის კლდეები, ის ჩანჩქერები, ის წარმოუდგენელი გამჭირვალე ცისფერი მწვანე მდინარე. დააა ისიც არ იყო ტურისტულ რუკაზე. თავს ვგრძნობ მე თვითონ ინდიანა ჯონსად, რომელიც რაღაც ახალს აღმოაჩენს...**

(ყვარელი, 2010 წლის 14 ნოემბერი, სტილი დაცულია)

# წინ, აფრიკისკენ!..

21



## უშიშროების თანამშრომლები მამა ბასილს პატრიარქის კომპრომეტირებას აიძულებდნენ

10



რამაზ კლიმიაშვილი:

## სააკაშვილის ბედი დეკემბრის პირველ რიცხვებში გადაწყდება

8

5

## „წითელი წიგნის" ყიზილბაშური თავისე-ბურებანი

## „გიულენის" მილიარდები და თურქული კაპიტალით ოკუპირებული აჭარა

4

ჯემალ მებონია:

## არ სჯობდა, გია ხუბუა მაშინ წასულიყო და წიგნის ქურდის სახელით არ გაეშვათ უნივერსი-ტეტიდან?!

6

## კონსულტაციები თუ გარიგება?

7

## საქართველოში თანამედ-როვე ბობრივი აპარტეიდი მძვინვარებს

14

ირმა ინაშვილი:

## პოლიციელებმა ახალგაზრდა კაცს ცემით ამოჰხადეს სული

16

17

## ქართულ ციხეებში ტუბერკულოზის ეპიდემიაა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაფრაზებულნი



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

სასწავლო პროცესი არა ჩინოვნიკების, არამედ მეცნიერების მიერ უნდა დაიგეგმოს...

*„პირველი“*



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

საქართველოს სიძლიერე არის ჩვენს ერთობაში. მე ვარ, რა თქმა უნდა, აფხაზეთის შვილი, რა თქმა უნდა, ვარ სამეგრელოს შვილი, რა თქმა უნდა, ვარ კახეთის, ქართლის შვილი, მაგრამ დღეს, როგორც არასდროს, ამ ისტორიულ დღეს, მინდა ამაყად განვაცხადო: ჩემ ძმებთან, სამოელ პეტროსიანთან და არსენ კარაპეტიანთან ერთად, მე ვარ ჯავახეთის და ე. ი. ჩვენი საქართველოს, ჩვენი ერთიანი სამშობლოს შვილი.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

პოლიტიკური პარტიების, ან თუნდაც „სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებულ მრავალრიცხოვან აქციებს არ ველოდები, მაგრამ სოციალურ აფეთქებას სულაც არ გამოვრიცხავ. მდგომარეობა ურთულესია და თუ დროული დახმარება არ იქნება, შესაძლოა, მართლაც მოხდეს სოციალური აფეთქება და ეს იქნება სტიქიური, ყოველგვარი წინასწარი ორგანიზების გარეშე. დიახ, ხალხი საკუთარი ნებით გამოვა ქუჩაში და მოხდება რევოლუცია!

*„ასავალ-დასავალი“*



**კახა კუკავა,**
**კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

სააკაშვილისთვის ხელისუფლებაში ყოფნა მისი სიცოცხლისა და ქონების ხელშეუხებლობის გარანტიაა, ამიტომ, რაც უფრო მეტად ჩაებღაუჭება საკუთარ სავარძელს, მით უფრო გაიზრდება მისდამი დასავლეთის უნდობლობა — ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იქნება, რადგან, გვინდა თუ არა, საქართველოში ხელისუფლების ცვლილებებისთვის აუცილებელია სწორედ დასავლეთის თანხმობა!

*„ასავალ-დასავალი“*



**ირინა სარიშვილი,**
**პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ თავმჯდომარე:**

ასეთი ტირანული ხელისუფლების პირობებში არჩევნებზე საუბარი არის ღალატი, მით უფრო, როცა ოპოზიცია ერთურთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის გადაკიდებული. სურვილი მიჩნდება, ოპოზიციის წევრებს სააკაშვილის სურათი დავუდო წინ და გავახსენო, რომ პრეზიდენტი ჯერ კიდევ მიშაა. კინკლაობა, შური, დაპირისპირება, ლანძღვა, ეს მხოლოდ მიშას აწყობს და ასეთ პირობებში არჩევნებზე საუბარი აბსურდია. მხოლოდ გადატრიალება. ამათ სხვაგვარად ვერ გავყრით.

*„ასავალ-დასავალი“*



**სალომე ზურაბიშვილი,**
**„საქართველოს გზის“ ყოფილი ლიდერი:**

დღეს ქვეყანაში ისეთი რეჟიმია, რომელიც არ ტოვებს არც ერთ სფეროს: ეკონომიკურს, სოციალურს თუ კულტურულს, რომ მის კონტროლქვეშ არ იყოს. ვერ ვხედავ საშუალებას, დღევანდელ ვითარებაში რამე შევცვალო. დავბრუნდები მაშინ, როცა დავინახავ, რომ აქ ჩემი ადგილი არის და მექნება საქმის გაკეთების საშუალება.

*„კვირის პალიტრა“*



**თამაზ წივწივაძე,**
**მწერალი, კრიტიკოსი:**

ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ შემოდგომაზე ამ ჩვენს პრეზიდენტს, სიყვარულის ნიადაგზე, არავინ მოგვტაცებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც სტამბულის ბაზარზე გავიყვანთ გასასხვისებლად, რადგან გარეგნულად იმდენად ბოთედ გამოიყურება, ერთი კონა ოხრახუშის ფასსაც არავინ გადაგვიხდის!..

*„კვირის ქრონიკა“*

# ინდიანა ჯონსი და დაკარგული ქვეყანა

**„თავს ვგრძნობ ინდიანა ჯონსად, რომელიც რაღაც ახალს აღმოაჩენს“, — მიხეილ სააკაშვილის ამ სიტყვებმა მთელ რიგ საკითხებში სიცხადე შეიტანა. თორემ ზოგს ეგონა, რომ იგი თავს ტერმინატორად გრძნობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 2008-ში გორის ცენტრში რაღაც მილიტარისტულ ჟილეტში გამოწყობილი გამოჩნდა (ის კინო ძალიან სწრაფად დასრულდა). ზოგმა კი, როდესაც ბათუმის პლაჟზე წელს ზემოთ შიშველი იხილა, ალბათ, ჩათვალა, რომ სააკაშვილი თავს ტარზანად გრძნობს და გამორიცხული არაა, რომ ხვალ თავი სპაიდერმენად იგრძნოს ან კიდევ ბეტმენად; თუმცა არა, არ გამოვა, ბეტმენის ვაკანსია უკვე დაკავებულია.**



### პრეზიდენტი ბეტმენის კოსტუმში

იყო ეკვადორში ასეთი პრეზიდენტი აბდალა ბუკარამი, რომელიც ბეტმენის კოსტუმში გამოწყობილი დადიოდა და თავს მშვენივრად გრძნობდა, ვიდრე 1997-ში ის მომიტინგეთა ალყაში მოქცეულმა პარლამენტმა თანამდებობიდან უპრეცედენტო ფორმულირებით **„სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შესრულებისთვის გონებრივი შესაძლებლობების არქონა“** არ გაათავისუფლა.

არავითარი პარალელები, უბრალოდ, ერთი სევდიანი ისტორია: **აბდალა ბუკარამი ერთი ქარიზმატული იურისტი იყო, რომელიც ხელისუფლების მწვერვალზე აღვირახსნილი პოპულიზმის წყალობით მოხვდა** (ვიღაცას მაგონებს, მაგრამ არ ვიტყვი, ვის). **მისი მეტსახელი ძალიან მარტივი და გასაგები იყო — „El Loco“** („გიჟი“ ესპანურად). **მას ძალიან უყვარდა მაღალ თანამდებობებზე მეგობრების, ნათესავებისა და ლამაზი მანდილოსნების დანიშვნა:** „მთავარია სილამაზე, — ამბობდა ბუკარამი, — ლამაზი ქალი ნებისმიერ პოლიტიკოსს (გასაგები მიზეზების გამო, კინაღამ „ინვესტორი“ დავწერე) მოხიბლავს“.

კონცერტების დროს ბუკარამი სცენაზე დახტოდა; მეტიც, თავადაც მღეროდა და გამოუშვა კომპაქტ-დისკი „პრეზიდენტის სიმღერები“ (რაღაც მსგავსი, შესაძლოა, ჯერ კიდევ წინ გვაქვს). პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს იგი უცხო ქვეყნის (მის შემთხვევაში აშშ-ის) ჯაშუშებს უწოდებდა.

ეს იდილია 1997 წლის დასაწყისში დასრულდა, როდესაც ბუკარამმა ეკვადორში იმ წლებში პოპულარული ეკონომიკური „გურუ“, არგენტინელი დომინგო კავალო მოიწვია, მისი რჩევებით აღტაცებული დარჩა, ბეტმენის კოსტუმი ჩაიცვა და ტელესტუდიას მიაშურა, რათა თანამემამულეებისთვის ეკონომიკის გადარჩენის გეგმა პირადად ემცნო.

**მკვეთრად გაიზარდა გადასახადები, კომუნალური მომსახურებისა და ტრანსპორტით სარგებლობის ფასი, ინფლაციამ კრიტიკულ მაჩვენებლებს მიაღწია, ბოლოს კი სურსათიც გაძვირდა** (არანაირი პარალელები, არა!), **ამავე დროს ტელეეკრანიდან ბეტმენის კოსტუმში გამოწყობილი ბუკარამი საუბრობდა იმაზე, რომ ქვეყანა არნახული აღმავლობის გზას ადგას.**

**ბუკარამის გადაყენების დღეებში გადაღებულ ფირებზე კარგად ჩანს, რომ ხალხი, რომელიც საპრეზიდენტო სასახლისკენ მირბის, ისე გამოიყურება, თითქოს სახლიდან სრულიად სპონტანურად გამოვარდა. ბევრ მათგანს საშინაო ტანსაცმელი და ჩუსტები აცვია, ზოგს ტაფა უჭირავს, ზოგს — ჩაქუჩი; მოსახლეობას ელემენტარულად „ამოასხა“ და გარეთ გამოვარდა.**

ბუკარამს, ზოგადი სიგიჟის მიუხედავად, ეყო ჭკუა, რომ ხალხისთვის არ ესროლა. მან გააცნობიერა, რომ მისი ხელისუფლებაში დარჩენისთვის არანაირი წინაპირობა აღარ არსებობს და ქვეყნიდან გაიქცა. როგორც ამბობენ, ის თავს პრეზიდენტად დღემდე თვლის და ბეტმენის კოსტუმს საგანგებო კარადაში ინახავს, იმ იმედით, რომ ოდესმე ისევ დასჭირდება.

**მიუხედავად იმისა, გრძნობს თუ არა ესა თუ ის წარუმატებელი მმართველი თავს ბეტმენად, ინდიანა ჯონსად თუ კინგ-კონგად (კინემატოგრაფი მრავალფეროვან არჩევანს გვთავაზობს, კლასიკური ფრაზა „ნაპოლეონი ვარ“ დღეს იშვიათად გაისმის), ნებისმიერი მათგანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც ის უნდა წავიდეს. ეს ხდება მაშინ, როდესაც რამდენადმე შედეგიანი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა აღარ აქვს და, ამასთანავე, მისი ხელისუფლების შენარჩუნებას ხელს არანაირი საგარეო-პოლიტიკური ფაქტორი აღარ უწყობს. დრო, რომელიც ამ ფაქტის გაცნობიერებიდან რეჟიმის დემონტაჟამდე გადის, საკმაოდ ძნელი გადასატანია: ქრესტომატიულ მაგალითს, ამ თვალსაზრისით, ნიკარაგუაში სომოსას დინასტიის მმართველობის გვიანდელი ხანა წარმოადგენს.**

ბევრი ადამიანი (მათი რაოდენობა კრიტიკულად დიდია) მიიჩნევს, რომ **სააკაშვილის ხელისუფლებას აღარ ძალუძს ეფექტური და შედეგიანი პოლიტიკის გატარება, მას არ შეუძლია ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარება, ქვეყნისთვის უსაფრთხოების გარანტიების მოპოვება, დემოკრატიის დამკვიდრება და ეკონომიკის ფეხზე დაყენება.** არც ერთი ჩამოთვლილი მიმართულებით, ბოლო წლებში, განსაკუთრებით ომის შემდეგ, პროგრესი არ ჩანს, უფრო პირიქით. საერთოდ, წარმატებული რეფორმების განხორციელება მაშინ, როდესაც მმართველი ჯგუფისთვის პრიორიტეტს ხელისუფლების შენარჩუნება წარმოადგენს, შეუძლებელია. შიდაპოლიტიკური თვალსაზრისით, **მიხეილ სააკაშვილი დღეს ისეთივე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც თავის დროზე არშემდგარი ბეტმენი აბდალა ბუკარამი;** რაც შეეხება გარე ფაქტორებს, აქ საქმე ცოტა უფრო რთულადაა.

### აკვიატებული იდეების ტყვეობაში

აშშ-ის საგარეო პოლიტიკას, მსოფლიოში უდავოდ ერთ-ერთ ყველაზე გააზრებულსა და ეფექტურს, ერთი ნაკლი ნამდვილად აქვს. ამერიკელებს იდეების ერთგვარი „აკვიატება“ სჩვევიათ და ხშირად ბოლომდე მისდევენ მცდარ სტრატეგიას, მაშინაც კი, როდესაც ფაქტები მის მანკიერებაზე მიუთითებს. **ვაშინგტონის ყველა დიდ საგარეო-პოლიტიკურ მარცხში „აკვიატების“ კვალი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.**

ორი მაგალითი: **70-იანების ბოლოს ამერიკელებმა ძალისხმევა არ დაიშურეს იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ შაჰის რეჟიმი ირანში. ისინი თვლიდნენ, რომ ეს მათ ინტერესებს მაქსიმალურად პასუხობს. ვაშინგტონი ამ ხაზს ჯიუტად ატარებდა და წარმოსახვითი „სტაბილურობის“ ხელყოფას ერიდებოდა მაშინაც კი, როდესაც მკაფიოდ გამოჩნდა ყველა ნიშანი იმისა, რომ, თუ რეჟიმის საფუძვლიანი გარდაქმნა არ მოხდება, ის მალევე დაემხობა. შედეგი ცნობილია: შაჰი ჩამოაგდეს და ხელისუფლების სათავეში ისეთი ხალხი მოვიდა, რომელთანაც შტატები საერთო ენას, აგერ უკვე 30 წელია, ვერ პოულობს.**

სამხრეთ ვიეტნამში აშშ ასევე ჯიუტად განაგრძობდა ნგუენ ვან თხიეუს რეჟიმის მხარდაჭერას, მაშინაც კი, როდესაც ცხადი გახდა, რომ ამ კორუმპირებულ ბანდაზე უფრო საძულველი ქვეყნის მოსახლეობისთვის არაფერი არსებობს. დრო და ფული, რომლის გამოყენება შესაძლებელი იყო სამხრეთ ვიეტნამში მეტ-ნაკლებად ნორმა- ▶

## სააკაშვილის საშინაო პოლიტიკამ საქართველოში ანტიამერიკული განწყობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




14 ნოემბერს ყვარლის ტბის პირას საკმაოდ გრილოდა — ჩათბუნებული აუდიტორია ირონიანარევი ინტერესით უსმენდა პერანგიან პრეზიდენტს.

## მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:

**მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვილებთ კურსს, სიტყვაზე, ვამბობთ, რომ ეკონომიკურად ჩვენ უნდა ვართ ევროპული დემოკრატიული სინგაპური. სინგაპური ეს იყო ერთი ლიდერის წარმატება. საქართველო ეს არ არის ერთი ცალკე აღებული ლიდერის წარმატება. საქართველო ეს არის ლიდერების თანავარსკვლავედი...**

**გუშინწინ მე ვიყავი, თუ სამი დღის წინ ადგილზე, რომელიც წარმოუდგენელი სილამაზისაა, მთელი ხეობა არის დინოზავრის ძვლებით შედგენილი. ინდიანა ჯონსის ფილმში არ არის ისეთი სილამაზე, როგორც ის კლდეები, ის ჩანჩქერები, ის წარმოუდგენელი გამჭირვალე ცისფერი მწვანე მდინარე. დააა ისიც არ იყო ტურისტულ რუკაზე. თავს ვგრძნობ მე თვითონ ინდიანა ჯონსად, რომელიც რაღაც ახალს აღმოაჩენს.**

*(სტილი დაცულია)*

◀ლური სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად და ასე თუ ისე ცივილური პოლიტიკური ძალების მხარდასაჭერად უაზროდ გაიფლანგა. შედეგი: როდესაც კომუნისტები საიგონისკენ დაიძრნენ, მოსახლეობის უმრავლესობა ამას სიხარულით ან სრული ინდეფერენტულობით შეხვდა. ამერიკელებმა დაკარგეს ვიეტნამი და, მიუხედავად იმისა, რომ დასკვნით ეტაპზე მათი ჯარები ბრძოლებში არ მონაწილეობდნენ, მთელი მსოფლიოს თვალში დამარცხებულებად წარმოჩინდნენ.

**შესაძლოა, „აკვიატების“ ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ვაშინგტონის მიერ სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერის პროცესშიც ასრულებს. თუ ვითარებას ობიექტურად შევაფასებთ, მან, ალბათ, აშშ-ის ინტერესებს რეგიონში, სარგებელზე გაცილებით მეტი ზიანი მოუტანა.**

სწორედ მისი მმართველობის წლებში რუსული ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე, კავკასიონის სამხრეთით გამაგრდნენ, რამაც საქართველოს, როგორც აშშ-ის პოტენციური სამხედრო პლაცდარმის მნიშვნელობა პრაქტიკულად ნულს გაუტოლა. ამასთანავე, რუსებმა საქართველოს საჰაერო სივრცე ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ აიყვანეს. კითხვის ქვეშ დადგა საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია, რამაც მისდამი ინტერესის სწრაფი კლება გამოიწვია. მეტიც, ბევრმა ადამიანმა მსოფლიოში, განსაკუთრებით მესამე სამყაროს ქვეყნებში, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები აღიქვა ისე, თითქოს შტატებმა საკუთარი მოკავშირის დაცვა ვერ შეძლო. **ამასთანავე, სააკაშვილის საშინაო პოლიტიკამ საქართველოში ანტიამერიკული განწყობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია, რომლის მსგავსს მხოლოდ ლათინური ამერიკის გამორჩეულად ბედკრულ ბანანის რესპუბლიკებში თუ შევხვდებით. საინტერესოა, რა სარგებელი ნახა ყოველივე ამით ვაშინგტონმა და კიდევ რა სიურპრიზებს უნდა ელოდოს სააკაშვილისგან მომავალში, თუ ის ხელისუფლებას ხანგრძლივი დროით შეინარჩუნებს?**

სააკაშვილის მხარდამჭერები, აგერ უკვე ორი წელია, გლოვობენ იმ დღეს, როდესაც ოვალურ კაბინეტში ჯონ მაკეინი კი არა, ბარაკ ობამა შევიდა, თუმცა მაკეინი, რომელსაც კრემლთან კონფრონტაციის იდეები იტაცებდა, ძალიან დიდი ალბათობით გამოიყენებდა საქართველოს, როგორც ხელყუმბარას, რომელსაც რუსეთის მიმართულებით ისროდა. ძნელი გამოსათვლელია, თუ რა ზიანი მიადგებოდა ამის შედეგად რუსეთს, თუმცა ჩვენთვის, ამ სცენარის ფარგლებში, ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა, რადგან, სავარაუდოდ, საქართველოს ისეთივე ბედი ეწეოდა, როგორც ხელყუმბარას, რომელიც აფეთქებისას ნამსხვრევებად იქცევა.

ობამას ადმინისტრაცია გაცილებით რაციონალურად მოქმედებს. მისი მთავარი პრიორიტეტი გლობალური რისკების მინიმიზაციაა, რაც აუცილებელია იმ დროს, როცა აშშ ეკონომიკურ (და არა მარტო) კრიზისს ებრძვის. **აშშ-ს ამ ეტაპზე ხელს არ აძლევს კონფრონტაცია არც ერთ გლობალურ ძალასთან, რუსეთი იქნება ეს თუ ჩინეთი (ევროკავშირზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია); კონრეტულად რუსეთთან მიმართებაში სადავო საკითხები თანმიმდევრულად, ერთი მეორის მიყოლებით, იხსნება. ჯდება თუ არა სააკაშვილის ხელისუფლების შემდგომი მხარდაჭერა ამ ლოგიკაში? ალბათ, არა, რადგან ის არაპროგნოზირებადია, დღემდე ნეოკონების რიგ სახიფათო თეორიებს იზიარებს და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „თავს ინდიანა ჯონსად გრძნობს“.** თუმცა ინერცია, ოდესღაც აკვიატებული იდეა სააკაშვილის აუცილებელი მხარდაჭერის შესახებ, რეგიონში უკონტროლო დესტაბილიზაციის შიში, საქართველოს ხელისუფლების სათავეში პროდასავლური ძალების დატოვების სურვილი, „მოკავშირის მიტოვებასთან“ დაკავშირებით რესპუბლიკელების მხრიდან მწვავე კრიტიკის შესაძლებლობა და რიგი სხვა ფაქტორები, თეთრ სახლს შესაძლებლობას არ აძლევს სააკაშვილის ხელისუფლების დახმარება სრულად შეწყვიტოს და საქართველოში მხარი რადიკალურ პოლიტიკურ ცვლილებებს დაუჭიროს. მსგავსი რამ აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში უკვე არაერთგზის მომხდარა, მათ შორის თეირანსა და საიგონში ზემოაღწერილი მოვლენების წინარე პერიოდში.

### შემოდგომის მარათონი ჩაკეტილ წრეში

ყოველივე ეს მნიშვნელოვანია მათ შორის იმიტომ, რომ **ამერიკელებს ქართული ოპოზიციის დიდ ნაწილზე ძალიან სერიოზული გავლენა აქვთ. პრაქტიკულად ყველა პროდასავლური ძალისთვის საქართველოში მათი „მეგობრული რჩევა“ გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე საკუთარი აზრი ან საპროტესტო ელექტორატის დაკვეთა.** რომ არა ეს „რჩევები“, 2007-08 წლების მიჯნაზე და 2009 წლის გაზაფხულზე მოვლენები, სავარაუდოდ, სულ სხვა სცენარით განვითარდებოდა. ეს პარტიები დღესაც არ იყენებენ ყველა შესაძლებლობას, რომელთაც ხელისუფლების რთული მდგომარეობა აძლევს, მასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ და უაღრესად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი; **„ხელისუფლება მზად არის იმისთვის, რომ ყველა საკითხთან დაკავშირებით გადახედოს თავის პოზიციებს და, თუ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით იქნება შეთანხმება მიღწეული, ამ მოლაპარაკებების შედეგად ჩვენ შეიძლება თვისობრივად ახალი კოდექსიც კი მოვიღოთ“,** — აცხადებს დავით გამყრელიძე იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება საკმაოდ ხისტ პოზიციებს იკავებს: **ა) უარი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შეცვლაზე; ბ) უარი ვადამდელი არჩევნების იდეის განხილვაზე; გ) პროცესში სხვა (სავარაუდოდ, სატელიტი) პარტიების ჩართვის სურვილი; დ) მოლაპარაკებების გაზაფხულამდე გაგრძელების მოწადინება.** ამასთანავე, ბევრი დამკვირვებელი დარწმუნებულია, რომ, **მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში შეიძლება გარკვეული ცვლილებები შევიდეს, არჩევნების გაყალბებისთვის საჭირო „ხვრელები“ მასში აუცილებლად დარჩება.**

მოლაპარაკებები თავისთავად მშვენიერი რამ არის, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათი პროდუქტიულობა სერიოზული ეჭვის ქვეშ დგას. **მასში ჩართული პარტიებიდან ბევრის მიდგომა გასაგებია, მათ, დიდი ხანია, „ურჩიეს“ 2012 წლის არჩევნებისთვის მოემზადონ და ალტერნატიულ სცენარებზე ფიქრს თავი დაანებონ, თუმცა „ეროვნული ფორუმის“ პოზიცია ერთობ გაურკვეველი რჩება.**

ერთ-ერთი თანაგუნდელის დაპატიმრების გამო ისინი მოლაპარაკებების მაგიდასთან არ ჯდებიან და, ამასთანავე, არ ჩქარობენ იმ დაპირებების შესრულებას, რომელთაც თავიანთ მხარდამჭერებს შემოდგომის დასაწყისში აძლევდნენ (შეუპოვარი ბრძოლისა და რეალური შედეგების სწრაფად მიღწევის შესახებ). დღეს ეს ჯერ კიდევ შეიძლება შეფასდეს როგორც ტაქტიკური მანევრები, თუმცა ერთი-ორი კვირის შემდეგ იმედგაცრუება საპროტესტო ელექტორატის იმ ნაწილში, რომელიც „ფორუმის“ საშემოდგომო დაპირებებს ენდო, შეიძლება აშკარა გახდეს (საინტერესოა, ამათაც ხომ არ ურჩიეს რაიმე ამერიკელმა პარტნიორებმა?).

ამ ფონზე საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ნაწილი, დააკვირდება ნინო ბურჯანაძესა და „წარმომადგენლობით სახალხო კრებას“, რომელიც 25 ნოემბერს გაიმართება.

ამასთანავე, „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე სააკაშვილი, ალბათ, შეეცდება, მაქსიმალურად წარმოაჩინოს, რომ მისი პოლიტიკა ქვეყნის შიგნით სერიოზული მხარდაჭერით სარგებლობს. მომავალი პოლიტიკური კვირის დრამატურგიას ამ ორი ხაზის გადაკვეთა განსაზღვრავს.

**დიმიტრი მონიავა**

## გა[illegible]ზებული



**ადამ მიხნიკი,**
**პოლონელი ჟურნალისტი, ყოფილი დისიდენტი:**

მთელი ცხოვრება ვიბრძოდი, რომ ჩემი ქვეყნის ნებისმიერ ნაძირალას მისცემოდა საშუალება, გაეხსნა საკუთარი ტელევიზია ან რადიო, მაგრამ ვისურვებდი, ასეთი ნაძირლების რადიო ან ტელევიზია მოსახლეობის არც ერთ ნაწილს არ ენახა. კარგი იქნებოდა, „იმედი“ 2007 წლის მოვლენების შემდეგ ასევე დემოკრატიული გუნდის ხელში ყოფილიყო და ერთმანეთთან ეთანამშრომლათ პირველხარისხოვან ჟურნალისტებსა და პუბლიცისტებს.

*„კვირის პალიტრა“*



**კახა შარტავა,**
**„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**

საზოგადოება ხელისუფლებას მოსთხოვს, აღიაროს, არჩევნების გამყალბებელია თუ სამართლიან არჩევნებს ჩაატარებს და დათმობს გაყალბების ინსტრუმენტებს. საზოგადოება ოპოზიციასაც მოსთხოვს, უთავბოლოდ წინ და უკან სიარულს თავი დაანებოს და გადაჭრით თქვას, რა ვადაში, რა შედეგებს ხედავს და, თუ ხელისუფლება დროს გააჭიანურებს, რას აპირებს? სასურველიც კია, საზოგადოება ასე მოიქცეს, რადგან ინდიფერენტულს აღშფოთებული და განრისხებული საზოგადოება მირჩევნია.

*„კვირის პალიტრა“*



**სოსო ჯაჭვლიანი,**
**მსახიობი, რეჟისორი:**

იამზე ჯაფარიძე იყო სკოლის დირექტორი, საუკეთესო ადამიანი, უპატიოსნესი ოჯახის პატრონი და ასეთი ქალი თავისი მოსწავლეების თვალწინ დააპატიმრეს!

ახლა ნახეთ, რა ხდება: ქართველ მასწავლებლებს ციხეში სვამენ და უცხოეთიდან ჩამოიყვანეს მასწავლებლები, რომლებიც ყველაფერს პირში იდებენ. მე მინდა ვუთხრა ქართველ კაცებს: გამოფხიზლდით, თორემ „იმასაც“ ძირში მოგვაჭამენ ესენი!

*„ასავალ-დასავალი“*



**ნონა გაფრინდაშვილი,**
**„სახალხო კრების“ ჯგუფის ხელმძღვანელი:**

ჩემს ასაკში რა მინდა პოლიტიკაში, მაგრამ როგორ ვიყო მშვიდად, როცა ჩემს ერს ასე უდიერად ექცევიან?! მე ჩემი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია ის, რაც უნივერსიტეტის პროფესორებს გაუკეთეს და მაშინ ამ ხალხის გვერდით არ დავდექი. ზღვარი არ აქვს ამ ხელისუფლების სიბოროტეს, ისტორია ყველას თავის ადგილს მიუჩენს!

*„კვირის ქრონიკა“*



**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე:**

ქვეყნისთვის იქნება ამოსუნთქვა, თუ სააკაშვილის რეჟიმის გარეშე შევხვდებით ახალ წელს, მაგრამ ნამდვილად არ ვაპირებ არანაირი პროგნოზის გაკეთებას... ეს იქნება მხოლოდ ხალხზე დამოკიდებული! თუ მოვა ბევრი ხალხი, ყოველგვარი ძალადობის გარეშე შევცვლით არსებულ რეალობას! დიახ, სააკაშვილის ხელისუფლება იძულებული გახდება, გაიგოს ხალხის ხმა და ხელისუფლებიდან წავიდეს მშვიდობიანად!

*„ასავალ-დასავალი“*



**ავთანდილ მარგიანი,**
**ექს-ვიცეპრემიერი:**

მარტო უშბას კი არა, თეთნულდს და შხარასაც შეუცვლიან სახელებს. ამათ მწვერვალები ღამის კლუბები ჰგონიათ, სადაც თავად იკრიბებიან ხოლმე. ღამის კლუბებს ვისი სახელიც უნდათ, ის დაარქვან, მწვერვალებს კი თავი დაანებონ. კაჩინსკი მკვდარი კაცია და არაფერს ვერჩი, მაგრამ გამაგებინეთ ვინმემ, რატომ უნდა ერქვას სვანეთში მწვერვალს მისი სახელი?! აქ დაილუპა თუ რა?! თუ ასე უნდათ, მიმართონ პოლონეთის ხელისუფლებას და ზაკოპანებს დაარქვან კაჩინსკის სახელი. იქ მე, სხვათა შორის, სათხილამუროდ ჩავდიოდი. ბარაკ ობამას სახელი უნდათ? — რა პრობლემაა? ვინც მაგაზე ოცნებობს, ობამას სახელი თავის სახლს დაარქვას. მერე გამოვიდეს და თქვას: ჩემი სახლი ბარაკ ობამას სახელს ატარებსო.

*„ახალი თაობა“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაფრაზებული



**სოსო შატბერაშვილი,
ლეიბორისტული პარტიის
გენერალური მდივანი:**

სასწრაფო დახმარებისთვის გამოყოფილი 13 მილიონი ლარი 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული არ არის, რაც ნიშნავს იმას, რომ იანვრიდან სასწრაფოს გამოძახება ფასიანი გახდება. სასწრაფოს 1300 ექიმიდან ნახევარს, 750-ს, სამსახურიდან ათავისუფლებენ. აქედან ექიმების ნაწილი სამაშველო სამსახურში გადავა, ნაწილი კი ფასიანი სასწრაფო დახმარების ცენტრში იმუშავებს, რომლის ერთჯერადი გამოძახება მოსახლეობას 50 ლარი დაუჯდება. წარმოიდგინეთ, ვისაც სასწრაფოს გამოსაძახებელი 50 ლარი არ ექნება, სასიკვდილოდ არის განწირული.

*„ახალი თაობა“*



**ზურაბ ტყემალაძე,
„მრეწველთა პარტიის“
ლიდერი:**

მსოფლიო ბანკიც და საერთაშორისო სავალუტო ფონდიც არც ერთი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე არ ზრუნავენ. მათ მიერ გამოყოფილი კრედიტები თუ დახმარება ისედაც გაღარიბებულ ქვეყნებს უფრო ღუპავს, რადგან ეს დახმარებები განვითარებად სახელმწიფოებს ძვირი უჯდებათ.

*„ყველა სიახლე“*



**მიხეილ ხუბუტია,
რუსეთში ქართველთა
კავშირის პრეზიდენტი:**

განა ვინმე იფიქრებდა, რომ ჰიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიის შემდეგ, იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ისეთი ურთიერთობა ექნებოდათ, როგორიც ახლა აქვთ?! გაივლის დრო და რუსეთი და საქართველო საერთო ენას გამონახავენ.

*„ყველა სიახლე“*



**მანანა ნიკოლაიშვილი,
„საქართველოს განათლების
ლიგის“ პრეზიდენტი:**

ახალგაზრდობა არის ცეცხლი და დღეს ისინი არიან სასტიკად შეურაცხყოფილი პრეზიდენტის განცხადებებით ოროსნების შესახებ. მისი შვილი ედუარდიც კი არ დადგება მის მხარეზე, როცა ის ბავშვებს დამამცირებელი სიტყვებით მიმართავს. რას ჰქვია, ოროსნებო, წერაქვები აიღეთ და ასე შემდეგ?.. მოსწავლეების ოროსნობაზე რომ ლაპარაკობს სააკაშვილი, ის თუ იცის, რომ ჯერ გამოცდების წესი არ არის მიღებული? ტესტები არ არსებობს? ბავშვებს თავი დაანებოს და თავის ოროსან ჩინოვნიკებს მიხედოს.

*„ალია“*



**კოტე ჟღენტი,
საქართველოს ყოფილი ელჩი
ავსტრიასა და უნგრეთში:**

როცა 3-4-კაციანი საელჩო გაქვს და ქვეყნის სამივე წარმომადგენელი პოლიტიკური ნიშნით, ანუ, ფაქტობრივად, ჩაწყობით არის დანიშნული, რა დიპლომატიაზეა საუბარი?! 5 ადამიანი რომ მუშაობს ჩინეთის საელჩოში და ზაზა ბეგაშვილს რომ დანიშნავ ელჩად, ეს არა მარტო ქართული დიპლომატიის, არამედ საქართველოს სირცხვილია!

*„ყველა სიახლე“*

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: თურქეთს ერთი გასროლის გარეშე ჩავბარდით

## «გიულენის» მილიარდები და თურქული კაპიტალით ოკუპირებული აჭარა

**საქართველოს აჭარა მეფის რუსეთმა დაუბრუნდა. საბჭოთა კავშირის დროს მოხდა აჭარის ელექტროფიკაცია. სააკაშვილმა კი ამ კუთხის ხელახლა „თურქიფიკაცია“ მოახერხა. დღეს ხელისუფლების მიერ განსაკუთრებით გაპიარებულ ბათუმში თითქმის ყველაფერს თურქები აშენებენ. ისინი იქ თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.**

**იმაზე, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს თურქული კაპიტალის „თავისუფალმა“ ინტეგრირებამ საქართველოში, გვესაუბრება პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი.**

— ასლან აბაშიძის დროს (რომელსაც ხელისუფლება დღეს დაუღალავად აძაგებს) არც ერთ თბილისელსა და ადგილობრივ ხელმძღვანელს არ ჰქონდა ისეთი პარპაშის უფლება აჭარაში, როგორიც დღეს სააკაშვილს აქვს. ვერ ვხდები, რატომ დადის ყოველ მეორე დღეს აჭარაში. დედაქალაქი არის თბილისი და არა ბათუმი. ფაქტობრივად, იგი იქ ცხოვრობს. დარწმუნებული ვარ, **აჭარის მცხოვრებლები გაღიზიანებულები არიან პატივცემული მიხეილის ასეთი აღვირახსნილი ქცევით, რაზეც უკვე ღიად საუბრობენ. არავინ ეკითხება მას იქ ძეგლების დადგმას და სასტუმროების შენებას. ვერ გავიგე, სააკაშვილი პრეზიდენტია თუ პრარაბი?**

**— ბოლო დროს ძალიან ბევრი ინვესტიცია იდება აჭარაში. თითქმის მთელი აჭარა თურქი ბიზნესმენების ხელში აღმოჩნდა...**

— რაც შეეხება თურქეთის როლს აჭარაში, ეს ურთიერთობა მაშინ ჩამოყალიბდა, როცა ყარსის ხელშეკრულება დაიდო გასაბჭოების პირველივე დღეებში და რომელსაც ხელი მოაწერეს სომხეთმა, საქართველომ და თვითონ თურქეთმა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ბათუმი თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადდა. როდესაც ასლან აბაშიძემ ბრძანა, რომ ბათუმის პორტის ნაწილი უნდა იყოს თავისუფალი ეკომონიკური ზონაო, მაშინდელმა და დღევანდელმა პრეზიდენტებმა ტანზე შემოიხიეს, ასე არ შეიძლებაო. ახლა კი სააკაშვილსა და მთავრობას ენა აქვს გადმოგდებული, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე საუბრით.

ასლანის დროს თურქეთი ასე თავისუფლად ვერ ბედავდა ხეტიალს აჭარის ავტონომიაში. ასლანს აქვს ნათქვამი, რომ **თურქეთი ის მეზობელია, სადაც ბევრი აჭარელი ცხოვრობს, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ თურქეთი დავასახლოთ აჭარაში, ანუ მივცეთ საშუალება ისე აფათუროს ხელი აჭარაში, როგორც მას უნდა. როგორც კი ამის უფლებას მისცემ თურქეთს, მას აქედან ვერ გაიყვანო.** დღეს კი თურქეთმა, ფაქტობრივად, ხელში ჩაიგდო მთელი აჭარა და მინდა გითხრათ, რომ იგივე ბედი ელის მთელს საქართველოს. ყოველგვარი ომისა და ერთი გასროლის გარეშე. ჩვენ თვითონ ვბარდებით ჩვენს მეზობელ თურქეთს. **თურქული პროდუქტებით იმდენად დაპყრობილია ქართული ბაზარი, მისი კონკურენცია, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ყველაფერი თურქეთიდან შემოდის, ამან ლამის ნოლზე დაიყვანა სოფლის მეურნეობა.** მას უკვე აღარ აქვს საშუალება, კონკურენცია გაუწიოს მდარეხარისხიან, შხამქიმიკატებით გაჯერებულ თურქულ საქონელს.



**სააკაშვილს თავი მოაქვს და ხშირად იხსენებს დედამისის სიტყვებს, რომ ისტორიაში საუკუნეების განმავლობაში თურქეთთან ჩვენი ურთიერთობა — „მეგობრული იყოო“, რაც მტკნარი სიცრუეა.**

ამერიკაში არსებობს რელიგიური ორგანიზაცია „გიულენი“, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ აღდგეს ოსმალეთის გავლენა კავკასიაში. ამ ორგანიზაციას 24 მილიარდი დოლარი უდევს ანგარიშზე და ყოველწლიურად მილიარდი დოლარი შემოდის. აშენებს მეჩეთებს, სასწავლებლებს და ამას წინათ ვკითხულობდი კიდეც სტატიას, სადაც ჟურნალისტი წერდა, რომ **აჭარაში უკვე გამოჩნდნენ ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც მუსლიმანური წესით არიან ჩაცმულებიო. თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რასაც ამბობს, „გიულენი“, რომ თოკი არაა საჭირო, მთავარია პატარა ნოხი და ლოცვა. დააგებენ ნოხს და ილოცებენ და ამით პროპაგანდას გაუწევენ ისლამს და თურქულ ყოფას მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.**

სააკაშვილი კი ამ დროს საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციაზე და „კავკასიის სახლზე“ საუბრობს და ძნელი მისახვედრი არ არის, ვის წისქვილზე შეიძლება ასხამდეს წყალს. ასევე ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ დარჩება ამ ავანტიურით მოგებული 3-მილიონიანი საქართველო, 10-მილიონიანი აზერბაიჯანი თუ 80-მილიონიანი თურქეთი!

**ასეთი ქარაფშუტული განცხადებები ხელისუფლებისგან იმას მოწმობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არანაირი მომავლის პერსპექტივა და გეგმა არ გააჩნია და არ უნდა გაგვიკვირდეს თურქების ექსპანსია აჭარაში და თუნდაც თბილისში...**

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**



## მოკლედ

### 400 სარჩელი მთავრობის წინააღმდეგ

**სახალხო სასამართლოში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ 400-მდე სარჩელი შევიდა.** „რამდენიმე კვირის წინათ ჩვენ გავხსენით შტაბი, სადაც 7 ნოემბერს აქციის დარბევის დროს დაზარალებულებს განცხადების შემოტანა შეეძლოთ. შტაბში 400-მდე საჩივარი შემოვიდა. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც დარბევაში უშუალოდ მოყვნენ. მათ წინააღმდეგ ხელისუფლებამ იმდროინდელი კანონმდებლობით დაუშვებელი იარაღი გამოიყენა, რის გამოც აქციის მონაწილეებმა სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს“, — განაცხადა ჯაბა ჯიშკარიანმა. მისივე თქმით, აღნიშნული სარჩელები საქართველოს საქალაქო სასამართლოში არ შევა, თუმცა, შესაძლოა, მოძრაობამ შემდგომი რეაგირების მოთხოვნით საქართველოს გენერალურ პოკურატურას საჩივრით მიმართოს.

### პირობების არშესრულების დოკუმენტი

**„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებების არშესრულების დოკუმენტს უწოდებს.** როგორც ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საბიუჯეტო პროექტის განხილვისას განაცხადა, წინასაარჩევნოდ მმართველი გუნდი პენსიონერებს პენსიის 100 დოლარამდე გაზრდას დაჰპირდა, რისთვისაც საჭიროა, ბიუჯეტში 600 მილიონი ლარის გაწერა, თუმცა პენსიის დაპირებულ ოდენობამდე გაზრდა არა მხოლოდ 2011 წლის ბიუჯეტში, არამედ არც 2012-2014 წლებში იგეგმება. ვეფხვაძემ კიდევ ერთხელ მოითხოვა, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდა.

### პრეზიდენტი ყველა საკითხზე მოგველაპარაკება

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების დაწყებას მიესალმება.** როგორც მან სოფელ შამგონაში სტუმრობისას განაცხადა, „გარდა იმ საკითხისა, რომ თითოეულ რაიონს საკანონმდებლო ორგანოში თავისი წარმომადგენელი არ ჰყავდეს და არჩევნებში მხოლოდ პარტიული სიებით მონაწილეობდეს, მოლაპარაკება ნებისმიერ საკითხზეა შესაძლებელი... მესმის, რომ არსებობს რუსთაველის პროსპექტის პარტიები, რომლებსაც მხოლოდ ის აინტერესებთ, რაც მათ კაბინეტში ხდება და შეიძლება, საერთოდ არ იცოდნენ, სად არის, მაგალითად შამგონა. მათ პრობლემად არ მიაჩნიათ, რომ ეს ადგილი წარმომადგენლის გარეშე დარჩება, მაგრამ ნურას უკაცრავად“!

### ბიუჯეტს სეკვესტრი ელის

**როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ გენერალურმა მდივანმა ირაკლი ჩიქოვანმა განაცხადა, 2011 ბიუჯეტის პროექტი ადასტურებს, რომ სააკაშვილის მთავრობამ საკუთარ მოქალაქეებზე პასუხისმგებლობა მოიხსნა.** „ხელისუფლება უპასუხისმგებლო პოლიტიკას განაგრძობს, რისი დასტურიც 2011 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტია, რომელშიც, ფაქტობრივად, არც ერთი რეალური ცვლილება არ შეუტანიათ. ბიუჯეტის პროექტი გასულ წელთან შედარებით 80 მილიონი ლარით მცირდება. ამავე დროს, ბიუჯეტის გადასახადების ნაწილი 14%-ით გაიზარდა. აქედან გამომდინარე, მომავალ წელს მოსალოდნელია ბიუჯეტის სეკვესტრი. კვლავ გაუმჭვირვალეა 900-მილიონიანი „სხვა ხარჯები“, რომლებიც არავინ იცის, რაში დაიხარჯება“, — განაცხადა ჩიქოვანმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «წითელი წიგნის» ყიზილბაშური თავისებურებანი

**ქართულ ისტორიულ ცნობიერებაში ყიზილბაში დამპყრობთანაა ასოცირებული, საქართველოს მტერთან, მომხდურთან, კერძოდ, თურქ მოძალადესთან.**



**ყიზილბაშები ენციკლოპედიურ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც „წითელთავიანები“.**

„წითელი წიგნი“ პირობითი სახელია დედამიწის ფლორისა და ფაუნის იშვიათ, გადაშენების პირზე მისულ, სახეობათა ნუსხისა.

**თურქული „წითელი წიგნი“ „შავი სიის“ ანალოგია, სადაც ჩამოთვლილია ის სახელმწიფოები, რომლებიც ჩვენი სამხრეთელი მეზობლის უსაფრთხოებას ემუქრება, ერთგვარი — „ყიზილბაშობა პირიქით“.**

ყიზილბაშთა გენეტიკურ აგრესიაზე დღეს არავინ ლაპარაკობს. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი რეალობად რჩება, ოღონდ სახეშეცვლილი, „მშვიდობიანი“, ეკონომიკურ ექსპანსიაშია გამოხატული. ამის დამადასტურებელ ფაქტებსა და არგუმენტებს დაინტერესებული მკითხველი „საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი ნომრის პუბლიკაციებში გაეცნობა **(„ჰამლეტ ჭიპაშვილი: თურქეთს ერთი გასროლის გარეშე ჩავბარდით“, „რამაზ კლიმიაშვილი: სააკაშვილის ბედი დეკემბრის პირველ რიცხვებში ეუთოს საიუბილეო სამიტზე გადაწყდება“).** ჩვენ კი „წითელ წიგნს“ დავუბრუნდეთ, რომელიც თურქეთის ხელისუფლების საგარეოპოლიტიკური კურსის მკვეთრად შებრუნების კიდევ ერთ, უტყუარ დოკუმენტად წარმოგვიდგება და ყოველგვარი ნახევარტონების გარეშე ადასტურებს: **ანკარამ დასავლეთს ზურგი შეაქცია და ირანისა და სხვა, აშშ-ის მიმართ მტრულად განწყობილი, ქვეყნებისკენ აიღო გეზი, რაც საქართველოს საშიშ ზონაში მოხვედრის პერსპექტივის მიმანიშნებელია.**

თურქეთის სახეცვლილების პრობლემაზე ჩვენი გაზეთი ადრეც წერდა და ამ თვალსაზრისით დღევანდელი პუბლიკაცია — **არიელ კოენი, „თურქეთის მუქარის ახალი შეფასება — ახალი გამოწვევა ვაშინგტონისთვის“ (The Heritage Foundation, აშშ, 2010 წლის 3 ნოემბერი)** — ამ ციკლის გაგრძელებად წარმოგვიდგება.

**„სრულიად საიდუმლო დოკუმენტში,** — აღნიშნავს არიელ კოენი, — **რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება, ჩამოთვლილია ის საშინაო და საგარეო მუქარები, რომლებიც თურქეთს მიაჩნია, რომ მის წინააღმდეგაა მიმართული. სიას სისტემატურად ავსებს ეროვნული უშიშროების კომიტეტი, რომელსაც აქამდე რომელიმე გენერალი ედგა სათავეში, ამჟამად კი სამართლიანობისა და განვითარების ისლამისტური მმართველი პარტიის კონტროლსაა დაქვემდებარებული“.**

## თურქეთის ახალი საგარეოპოლიტიკური კურსი თანდათან აშორებს მას ძველ მეგობრებს და პრობლემებს უქმნის აშშ-ს

სწორედ ამ პარტიის გავლენით შეიტანეს „წითელ წიგნში“ რადიკალური ცვლილებები, რომლებიც დახურულ კარს მიღმა მიიღეს და რომლებიც ადასტურებს **„ნეოოსმანური“ კურსის გამარჯვებას გეოპოლიტიკის საკითხებში.**

ამ ცვლილებების ახალ ვერსიას არიელ კოენი მიიჩნევს რევოლუციურ ცვლილებებად და, უწინარეს ყოვლისა, გამოყოფს უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც რუსეთთანაა დაკავშირებული. ეს მომენტი ჩვენთვისაც საინტერესო უნდა იყოს და ამიტომ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ.

პუბლიკაციის ავტორი წერს, რომ **„თურქეთმა კრიტიკული მუქარების სიიდან ამოშალა რუსეთი, რომელმაც 2008 წელს დაიპყრო (ოკუპაცია მოახდინა) მეზობელი და მეგობარი** (თურქეთის მეგობარი. — *ა.ს.)* **საქართველოს ტერიტორიის მეოთხედი.**

უფრო ადრე კი პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა შესთავაზა თავის კოლეგას — ვლადიმერ პუტინს „კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის“ პროექტი — კონდომინიუმი (ერთ ტერიტორიაზე ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ უმაღლესი ხელისუფლების ერთობლივად განხორციელება. — ა.ს.), **რომელშიც გაერთიანდებოდა რუსეთი, კავკასიის სამი სახელმწიფო, მაგრამ არა აშშ, არც ევროკავშირის ქვეყნები, არც ირანი“.**

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ ანკარას ამ საკითხზე არც ევროკავშირის ქვეყნების დედაქალაქებთან, არც ვაშინგტონთან არა თუ კონსულტაცია არ გაუვლია, არამედ არც შეუტყობინებია. ესეც თურქეთის შეცვლილი კურსის ერთგვარ გამოვლინებად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

არიელ კოენი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ **ადრე კონფრონტაციული სახელმწიფოები რუსეთი და თურქეთი ბოლო 8 წლის განმავლობაში სტრატეგიულ და ენერგეტიკულ პარტნიორობას განავითარებდნენ,** რაც უზრუნველყოფდა თურქეთს მოხმარებული ელექტროენერგიის 60 პროცენტით და, ამასთან, მძლავრი სავაჭრო კავშირებით.

თურქეთმა სიიდან ამოშალა სომხეთიც. მაგრამ სომხეთის საზღვრის ბლოკადა გრძელდება.

გაუგებარია ხომ?

ასევე გაუგებარია, როცა თურქეთი ერაყსა და სირიას არ მიიჩნევს რისკფაქტორების შემცველ ქვეყნებად და იღებს მათ „წითელი წიგნიდან“, მაშინ, როცა ერაყი ქურთი ამბოხებულების — თურქეთის მუდმივი თავის ტკივილს, ქურთისტანის, ალ ქაიდასა და შიიტური ჰესბოლაჰის ტერორისტების ბაზად ითვლება, სირია კი, დიდი ხანია, სახელმწიფო დონეზე ასპონსორებს ტერორიზმს, კერძოდ, ლიბანის ჰესბოლაჰსა და ჰამასს.

გაუგებარია, მაგრამ ასეა!

წითელი წიგნიდან ამოშალეს ირანიც.

სამაგიეროდ, როგორც პუბლიკაციაშია ნათქვამი, **„თურქეთმა თავისი ყოფილი სტრატეგიული და სავაჭრო პარტნიორი ისრაელი სიის სათავეში მოაქცია, როგორც „ძლიერი საშიშროება“.**

თურქეთმა სრულად გაამჟღავნა ისრაელისადმი მტრული განწყობილება, რომელიც აშშ-ის ერთგული მოკავშირეა. ვრცელდება ხმები, რომ ანკარა აძლიერებს თანამშრომლობას ირანთან და მოელაპარაკა ჰეზბოლაჰს იარაღის მიწოდების საკითხზე.

**არის სხვა მომენტებიც, რომლებიც ამტკიცებს, რომ თურქეთის ახალი საგარეოპოლიტიკური კურსი თანდათან აშორებს მას ძველ მეგობრებს და პრობლემებს უქმნის აშშ-ს.**

ბათუმში კი ჩვენი ხელისუფლება მოძრავი ქანდაკებებისა და ვარსკვლავების კონცერტების გამართვით ირთობს თავს.

**არმაზ სანებლიძე**

## გაჟღერებული



**ილჰამ ალიევი,**
**აზერბაიჯანის პრეზიდენტი:**

თუ ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ მოლაპარაკებების გზით, მაშინ აზერბაიჯანის სახელმწიფო სამხედრო გზით აღადგენს თავის ტერიტორიულ მთლიანობას. ამისათვის კი ჩვენ ყველანაირი შესაძლებლობა გვაქვს — სამხედრო მომზადება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკმარისი შეიარაღება, პროფესიული არმია და აზერბაიჯანელი ხალხის მაღალი სულისკვეთება.

*„ყველა სიახლე“*



**ზურაბ ნოღაიდელი,**
**მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი:**

საგარეო ვალი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 3 მილიარდით გაიზარდა და 4 მილიარდ 800 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის ეკონომიკის 30%-ია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის პიკი. სრული კოლაფსი მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისას დადგება — 2013 წელს საგარეო ვალის მომსახურებისთვის სახლმწიფო ბიუჯეტიდან 781,1 მილიონი აშშ დოლარი იქნება გადასახდელი. თუ 2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი პროფიციტული იყო 3,3%-ით, შემდგომში პროფიციტი უკვე ტკბილ მოგონებად იქცა და წელს 9,3%-იანი დეფიციტი გვაქვს, რაოდენობრივად — 593,3 მილიონი დოლარი.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ივანე მერაბიშვილი,**
**შს მინისტრი:**

ჩემისთანა ფავორიტი საქართველოს პრეზიდენტს რამდენიმე ათეული ჰყავს... მთავარი არის იუმორის გრძნობა. მე ამ კრიტერიუმით ვხელმძღვანელობ ხოლმე მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის დროს. თუ ადამიანს არ აქვს იუმორის გრძნობა, ის პოლიციაში, ალბათ, ვერ იმუშავებს. ჯერ ერთი, როგორც წესი, უნიჭოები არიან, ვისაც იუმორის გრძნობა არ აქვს. მეორეც, ადამიანს კრიტიკულ ვითარებაში უნდა შეგეძლოს, შენს თავს შეხედო გვერდიდან.

*ტელეკომპანია „იმედი“*



**გია ცაგარეიშვილი,**
**პარლამენტის წევრი:**

უმრავლესობას ვურჩევ, მე-17 მუხლი საერთოდ გააუქმონ და პარლამენტის რეგლამენტიც ზედ მიაყოლონ. ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება დავით ბაქრაძისთვის და მისი უმრავლესობისთვის: არც პასუხისმგებლობა დაეკისრებათ რამეზე და ამასთან, ყოველგვარი წინაღობა მოეხსნებათ იმის განსახორციელებლად, რაც მოესურვებათ.

*„პირველი“*



**ხათუნა კალმახელიძე,**
**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი:**

საქართველოში არსებული პენიტენციალური სისტემა პოსტსაბჭოთა სივრცეში საუკეთესოა. ქართული სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისთვისაც კი მისაბაძია. საპატიმრო დაწესებულებებში პატიმართა 80% დასავლური დონის პირობებში იმყოფება.

*„პირველი“*

## მოკლედ

### ქვეყანა ვალებში იხრჩობა

**სწორედ ასე აფასებს საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“.**

ნოღაიდელის პარტიაში განარტავენ, რომ ქვეყნის უკუსვლას კიდევ უფრო აჩქარებს გაუაზრებელი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც სიღატაკემდე და უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებამდე მიიყვანა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური განვითარების, უფრო სწორად, ეკონომიკური დაცემის პარამეტრები იმედს არ ტოვებს. მით უფრო, რომ არსებული სავალალო სურათის გამოსწორება დღევანდელ მმართველ გუნდს ნამდვილად არ შეუძლია. მეტიც, ხელისუფლებაში სააკაშვილის ყოფნის ყოველი დღე კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას.

### მაღალჩინოსნები დააკავეს

**გახსნილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კორუფციული სქემა.** დაკავებულნი არიან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსის ყოფილი პირველი მოადგილე ხვიჩა პირველი, ტყის მართვის დეპარტამენტის უფროსი გოჩა ზეინკლიშვილი, ამავე სამინისტროს თანამშრომლები: ელგუჯა ქუტიძე, ვლადიმერ მინდიაშვილი, დავით ურთმელიძე და დანაშაულის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლაშა კლდიაშვილი. აღნიშნულმა პირებმა, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, ხელში ჩაიგდეს საქართველოში არსებული ინერტული მასალების კარიერების დიდი ნაწილი.

### 31-ე ბატალიონი ავღანეთიდან დაბრუნდა

**საქართველოს შეიარაღებული ძალების 31-ე ბატალიონის სამხედროები (749 ჯარისკაცი) ავღანეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ. ქართველი ჯარისკაცები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში ჰელმანდის პროვინციაში მსახურობენ.** საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების ოპერაციაში მონაწილე ბატალიონის დანაყოფს თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი დევი ჭანკოტაძე და ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი დახვდნენ. დაბრუნება იმას არ ნიშნავს, რომ ავღანეთში ქართველი სამხედროები აღარ იბრძოლებენ — ნოემბრის ბოლომდე 31-ე ბატალიონს მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონი ეტაპობრივად ჩაანაცვლებს.

### რეგიონებში ხანძრის მიზეზი უცნობია

**მიუხედავად იმისა, რომ, უკვე რამდენიმე დღეა, საქართველოს რეგიონებში ტყეები იწვის, სატყეო სააგენტოს ხანძრების გამომწვევ კონკრეტულ მიზეზებზე წარმოდგენა არ აქვს.** სალიკვიდაციო სამუშაოებში გარემოს დაცვის სამინისტროსთან, საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტთან, რეგიონულ სამაშველო ძალებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ავიაციაც არის ჩართული. ზეკარის ტყეში ხანძრის შედეგად დაახლოებით 17-18 ჰექტარი ფართობი დაიწვა. თელავის სატყეო უბანზე კი — დაახლოებით 20 ჰექტარი. რთული რელიეფური პირობების გამო ხანძრის ლიკვიდაცია ძნელდება. ხანძარია ფასანაურისა და ბარისახოს სატყეო უბნებზეც, ზემო სვანეთშიც, აიფარის სატყეო უბანზეც, საჩხერისა და ბაღდათის ტყეებშიც.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ჯემალ მებონია:

# არ სჯობდა, გია ხუბუა მაშინ წასულიყო და წიგნის ქურდის სახელით არ გაეშვათ უნივერსიტეტიდან?!

**ბოლო დროს განათლების რეფორმამ საქართველოში არაერთგვაროვანი შეფასებები დაიმსახურა. თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმაც კი აღიარა, რომ, ამ თვალსაზრისით, პრობლემებია და ბევრი რამ არასწორად გატარდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღის წინათ წარმატებულ რეფორმათა ჩამონათვალში კვლავ განათლების სისტემა და პოლიცია ახსენა.**
**2005 წელს, რეფორმის დაწყებისთანავე, თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება საპროტესტო აქციებით გამოხატეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა. ხმაურიან მიტინგებს კი ხულიგნობის მუხლით პროფესორთა ხანმოკლე პატიმრობა მოჰყვა. როგორ აფასებს დღეს რეფორმის შედეგებს და რა გამოსავალი ესახება უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ყოფილ დეკანს, ამბოხებული აკადემიური საბჭოს ერთ-ერთ წევრს და დაპირისპირებისას საბჭოს მიერ უნივერსიტეტის რექტორად არჩეულ აკადემიკოს ჯემალ მებონიას, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**



**— ბატონო ჯემალ, უკვე ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ თანამოაზრეებთან ერთად უნივერსიტეტის აწ უკვე ყოფილ რექტორს — გიორგი ხუბუას დაუპირისპირდით და თანამდებობიდან გადადგომას სთხოვდით. კონკრეტულად რამ განაპირობა ეს პროტესტი და როგორ შეაფასებთ განათლების რეფორმას?**

— როგორც კი გამოქვეყნდა, როგორც საშუალო სკოლის, ისე უმაღლესი განათლების კანონის პროექტი, მაშინვე მივხვდით, რომ ამას ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვებოდა. ამიტომაც ავიმაღლეთ ხმა. თორემ **ჩვენ პიროვნულად არანაირი საფრთხე არ გვემუქრებოდა. თუ გავჩუმდებოდით და ჩვენს საქმეს გავაგრძელებდით, პრობლემაც არ გვექნებოდა. ამის შესახებ იქ დარჩენილი კოლეგებიც გვეუბნებოდნენ. მაგრამ არ შეგვეძლო, შევგუებოდით სიტუაციას და დავლოდებოდით განათლების ნგრევას.** ბევრმა პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანმა ვერ გაიგო ეს. ვერც საზოგადოებამ ვერ გაგვიგო.

კახა ლომაიამაც, რუსუდან ლორთქიფანიძემაც (რომელიც დროებით ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტს), შემდეგ გიორგი ხუბუამაც გვკითხეს, თქვენ ხომ არ გეხებათ არაფერიო. **ჩვენ არავის არ ვადანაშაულებთ, ვინც გვერდით არ დაგვიდგა, და უნივერსიტეტში საკუთარი ინტერესების დასაცავად დარჩა, მაგრამ ჩვენ სხვა მენტალობით ვიყავით აღზრდილი, ჩვენი პედაგოგები სხვანაირად გვმოძღვრავდნენ.** ჩვენ ვალდებული ვიყავით, ამ საფრთხეზე ხმა ამოგვეღო. მერე, სათითაოდ ყველას რომ შეეხო, მაშინ მიხვდა ბევრი და ამოიღეს ხმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო და დღეს არც არიან ისინი უნივერსიტეტში.

ბოლოს გიორგი ხუბუაც კი მივხვდა, რომ ცუდად იყო საქმე და 2007 წელს დამიძახა უნივერსიტეტში. ამის გამო ჩემმა მეგობრებმა ძალიან მისაყვედურეს, როგორ მიხვედი და ხელი როგორ ჩამოართვიო. პირადი მტერი არც მე ვარ, თუ რამეს გამოსწორება უნდათ, მზად ვარ-მეთქი. ხუბუამ მკითხა, რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგშიო და მეც რამდენიმე საკითხი ჩამოვუწერე.

**—კონკრეტულად რას ეხებოდა თქვენი შენიშვნები?**

— სასწავლო პროგრამების შეცვლასა და ძირითადი საგნების წამკითხავი ლექტორების დაბრუნებას. სასწავლო პროგრამებს საფრთხე შეექმნა, რადგან არაპროფესიონალების ხელში აღმოჩნდა. ისეთი ხალხი მოიყვანეს პროფესორებად, რომლებსაც არ შეეძლოთ იმ საქმის კეთება, რაც დაივალეს.

ამას გარდა, სამეცნიერო სექტორი, რაღაც სახით მაინც უნდა აღდგენილიყო. მოგეხსენებათ, ადრე 1500 შტატი იყო. მაგრამ ამაზე მიზერული თანხა, სულ მილიონ-ნახევარი ლარი იხარჯებოდა. ისიც ფაქტია, **ყველა ვერ აკეთებდა თავის საქმეს ერთნაირი მონდომებით, როგორც ადრე. მაგრამ ხშირად რამდენიმე მეცნიერის გასაკეთებელიც გამიკეთებია, რომ მათთვის ადგილები შემენარჩუნებინა. მათი პენსიაზე გაშვება საშიმშილოდ გამეტების და სიკვდილის ტოლფასი იყო, ამიტომ ვინახავდით. ბევრი მათგანი უკვე ცოცხალიც აღარ არის.** ამდენად, მე მონაწილეობა მივიღე იმ დებულების შედგენაში, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ სამეცნიერო ერთეულების აღდგენა. **1500-დან 400-500 მაინც რომ დაბრუნებულიყო, რეალურად მოქმედი ხალხი, ეს უკვე დიდი საქმე იქნებოდა.**

მესამე — ეს იყო საუნივერსიტეტო სკოლა-ლიცეუმის გაკეთება. ის უნდა ყოფილიყო სამაგალითო, ისეთი პროგრამები უნდა ყოფილიყო, სხვა სკოლებშიც რომ გავრცელდებოდა. **დღეს საშინლად დაბალ დონეზეა ფიზიკის სწავლება. სტანდარტებზე მორგებულიაო, მეუბნებიან.**

**ტრიმესტრები რომ გააკეთეს სკოლებში და საბუნებისმეტყველო საგნები გააერთიანეს, ამის შედეგია მეთორმეტე კლასელების აქციები. 5 წლის წინათ დაიწყო ეს პროცესი და დღეს ბავშვებს სთხოვენ იმის ცოდნას, რაც არ უსწავლებიათ.**



**სტანდარტები კი უვიცი და დამნაშავე ხალხის შედგენილია.** გასაგებია, იმათ გარკვეული ეკონომიკური დაინტერესება ჰქონდათ, როცა ასეთ წიგნებს ქმნიდნენ. მაგრამ ეს ხომ საქმეს ავნებს?

**— ვისი შედგენილია ეს სახელმძღვანელოები და ვინ დაუკვეთა?**

— არც თუ ცუდი მასწავლებლების შედგენილია. მაგრამ შეკვეთა, რა თქმა უნდა, სამინისტროდან მოდის. **ლომაიას შემდეგ არაფერი გამოუსწორებიათ, გარდა იმისა, რომ სპეციალიზირებული სკოლები აღადგინეს. ხუბუას ვუთხარი, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ფიზიკის სახელმძღვანელოები. ჰუმანიტარული სფერო უარეს მდგომარეობაშიაო, მითხრა.**

**— გაითვალისწინეს თქვენი წინადადებები?**

— ხუბუასთან ერთად რექტორატი და საბჭოს წევრებიც შემხვდნენ. დიდ აუდიტორიაში ვიხილავდით ამ საკითხებს. წინააღმდეგობა იქ არავის გაუწევია. მაგარამ, როგორც ჩანს, სამინისტროდან დაიბლოკა და საქმე ვერ დაიძრა.

მერე მაინც მივიღე მონაწილეობა პროგრამების საგნობრივი კომისიების მუშაობაში. ქიმიის, ფიზიკისა და სხვა საგნების კომისიებში ათი კაციდან პროფესიონალი იყო, ძირითადად, სამი. მე ჩემი ვარიანტი გავაკეთე, იმათ — თავისი და განხილვის დროს, ვინც საქმის კურსში არ იყო, მეტნი აღმოჩნდნენ; ვინც გარკვეული იყო, იმათ ხმა არ ამოიღეს. ამიტომ ის არჩიეს, რაც არ ვარგოდა. მე დავტოვე ჩემი პროგრამა და დავიბარე, თარგმნეთ და გააგზავნეთ ნებისმიერ უნივერსიტეტში და, თუ დაიწუნებენ, მე ხმას არ ამოვიღებ და ბოდიშს მოვიხდი-მეთქი. მაგრამ **უფრო გულისამრევი ჩემთვის ის იყო, რომ პროფესიონალებმა იქ ხმა არ ამოიღეს და მეორე დღეს მითხრეს: „კი, შენ მართალი ხარ, მაგრამ რა დროს ეგ არის ახლა. მთავარია, ჩვენ გადავრჩეთ და, ბავშვს სწავლა თუ უნდა, ისედაც ისწავლის“.** ეს იყო ჩემთვის შოკი. არ არის ასე! პროგრამა უნდა გქონდეს კარგი და ბავშვიც უნდა აიძულო, რომ ისწავლოს. დღეს ის ხალხიც არ არის უნივერსიტეტში. ეს მიდგომა, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. **მთავარია თავის გადარჩენა. მაგრამ სასწავლო პროგრამების, კადრების და სამეცნიერო სექტორის განადგურება ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი აღარ არის რეალურად ისეთი, როგორიც უნდა იყოს. ბოლონიის პროცესს რომ ახსენებენ ხშირად, იქ 22 ფაკულტეტია, ჩვენთან კი 26 ფაკულტეტი 6-მდე დაიყვანეს და მიმართულებები დაარქვეს.**

**— ხუბუას წასვლის შემდგომ თუ ეტყობა, რომ რაიმეს სასიკეთოდ შეცვლას აპირებენ? თქვენთვის არავის დაუძახია?**

— ჩვენ მაშინ, „პუტჩის“ დროს, ხომ ბოიკოტი გამოვუცხადეთ სამეცნიერო საბჭოს არჩევნებს. მაგრამ ბოლო დღეს ბევრმა მაინც მიიღო მონაწილეობა. თუმცა, იმათგან დიდ ნაწილი უკვე აღარ არის უნივერსიტეტში. ისინი გამოყარეს და მაინც თავიანთი ხალხი მიიყვანეს. ამით აგრძნობინეს, რომ თქვენ არაფერი არ ხართო. სწორედ ეს იყო მოსალოდნელი და ამიტომ ვხმაურობდით. **ტრიმესტრები რომ გააკეთეს სკოლებში და საბუნებისმეტყველო საგნები გააერთიანეს, ამის შედეგია მეთორმეტე კლასელების აქციები. 5 წლის წინათ დაიწყო ეს პროცესი და დღეს ბავშვებს სთხოვენ იმის ცოდნას, რაც არ უსწავლებიათ.**

რაც შეეხება უნივერსიტეტს, დღესაც გაჩერებულია ყველაფერი. ისევ ის ხალხია ჩაფრენილი თანამდებობებს და სულ არ აინტერესებთ, როგორი სპეციალისტები გამოვლენ უნივერსიტეტიდან.

**— როგორ ფიქრობთ, ალექსანდრე კვიტაშვილი უკეთესი რექტორი იქნება?**

— თუ ბაბუამისის სინდისი და კაცობის 10% მაინც აქვს, კარგი ადამიანი უნდა იყოს. ამბობენ, რომ პიროვნულად მართლაც კარგი კაცია. იმასაც ამბობენ, რომ, თუ ზემოდან არ დაავალეს, თავისით არაფერს გააფუჭებსო. ამიტომ არ მგონია, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ვის დანიშნავს დღეს ეს ხელისუფლება რექტორად.

**— დიდი ხმაურის მიუხედავად, გიორგი ხუბუა 5 წელი მაინც ინარჩუნებდა თანამდებობას და არავის უხსენებია, თუ რამეს აშავებდა. როგორ ფიქრობთ, მისი ასეთი არაღირსეული გათავისუფლების მოტივი რამდენად საფუძვლიანია?**

— მე ადრეც ვეუბნებოდი მას, გაქვს შანსი, რომ კარგი ან საშუალო რექტორების სიაში ჩაეწერო; ასევე, გაქვს შანსი, რომ კარიერა ძალიან ცუდად დაამთავრო. კარგთა სიაში რომ მოხვდე, კანონი არ უნდა დაარღვიო-მეთქი. თუმცა, არც ის კანონია სრულყოფილი. მერე ცალკეც ვუთხარი, შვილების პატრონი ხარ და თავს ნუ გაიფუჭებ, ესენი გამოგიყენებენ და მოგისვრიან-მეთქი. ახლაც შევუთვალე, არ სჯობდა, მაშინ წასულიყავი და წიგნის ქურდის სახელით არ გაეშვი უნივერსიტეტიდან-მეთქი? **დარწმუნებული ვარ, ის წიგნების ქურდობაში მონაწილეობას არ მიიღებდა. მაგრამ ბევრი რამ დააშავა. ხელფასები არათანაბრად იყო გადანაწილებული პროფესორებზე და დეკანებზე. თვითონ რექტორს 7500 ლარი ჰქონია ხელფასი. იურიდიულის პროფესორებს — 3-4-ჯერ მეტი, ვიდრე სხვა ფაკულტეტების პროფესორებს. ეს რითია ნაკლები ქურდობაზე?!** კომუნისტების დროს რომ იწუნებენ, მაშინ, 1989 წელს, მაშინდელ რექტორს — ნოდარ ამაღლობელს 600 მანეთი ჰქონდა ხელფასი. პროფესორის ხელფასი იყო 450 მანეთი და კათედრის გამგის — 500; დოცენტების — 300, 350 (სტაჟის მიხედვით). დეკანის დანამატი 200 თუ 300 მანეთი იყო და ჯამში, მე რექტორზე მეტი გამომდიოდა. მაგრამ ამით იმის თქმა მინდა, რომ ერთი რიგის ანაზღაურება გამოდიოდა და არა ისე, ახლა რომ **იურისტების ხელფასები თურმე 8-ჯერ, 9-ჯერ აღემატება საბუნებისმეტყველო პროფესორების ხელფასებს; ან რექტორს 10-ჯერ მეტი ხელფასი რომ ექნება პროფესორებზე, ეს როგორ შეიძლება?**

**— მაგრამ ამ მოტივით რომ არ გაუშვეს და წიგნების ქურდობა დააბრალეს, რით ხსნით?** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

— ამის თქმა არ აწყობდათ. ამათ აღიარება არ უნდათ, რომ რეფორმები ჩავარდა. ბოდიშის მოხდა ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ. შეცდომა ვის არ მოუვა. აბა, რა სჭირდა სამაგისო ხუზუას?! ადამიანურად კიდეც მეცოდება. მეგობრებმა კინაღამ ჩამქოლეს. კაცი ამაზე რომ მიდის, შეგნებულად მიდის, იცის, რომ გააფუჭებენ და, სანამ არ იშოვის რაღაცას, მაინც აკეთებს. **ესენი ახლა ხუზუასა და ლომაიას აგინებენ, მაგრამ უკეთესი არც ერთს არ გაუკეთებია. მინისტრებიდან მარტო ნიკა გვარამიამ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის სფეროში ბევრი სისულელე ჩაიდინა, აქ მოინდომა რაღაცები. ლომაიას ხალხიც გაყარა და დედაენისა და სპეციალიზირებული სკოლების აღდგენაც დაიწყო.** როგორც კი დაინახეს, ამას აკეთებდა, მაშინვე მოაშორეს სამინისტროდან. ნოდია საერთოდ დროებით მოყვანილი იყო და არც ცდილობდა რაიმეს შეცვლას. იცოდა, კერძო საუბრებშიც ამბობდა, რაიმე რომ შეიცვალოს, ამის გაკეთებას 5 წელი დასჭირდებაო და მე ამდენხანს მაინც არ ვიქნებიო. სიმონ ჯანაშიამ კი მითხრა, უნივერსიტეტში ნულით შევედი და ასევე ნულით გამოვედიო. აბა, როგორ მოხვდი სამინისტროში დეპარტამენტის ხელმძღვანელად-მეთქი, რომ ვკითხე, საზღვარგარეთ 6-თვიანი კურსები დავამთავრეო. მაშინ ვიკითხე, რა საჭიროა 12-წლიანი განათლება-მეთქი. თურმე 6 თვეში შეიძლება ნულიდან თანამდებობის პირი გახდე. ბაბუამისი, ალბათ, საფლავში გადაბრუნდება. **შაშკინმა ხალხი ძველი სამსახურიდან წამოიყვანა და განწყობაც ისეთი აქვთ. ახლა თურმე მანდატურების დანიშვნა სკოლის დირექტორებად მისაღებად მიაჩნია. ამდენად, ამ ხელისუფლების პირობებში, ვის დანიშნავენ უნივერსიტეტის რექტორად, მნიშვნელობა არ აქვს.**

**— ბატონო ჯემალ, თქვენ აღნიშნეთ, რომ სიმონ ჯანაშიას 6-თვიანი კურსები გამოადგა, რომ განათლების სამინისტროში თანამდებობაზე დანიშნულიყო. დღეს ჩვენი სტუდენტების უმეტესობა, ვინც ამ გამოცდების წყალობით უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა, ცდილობს, უცხოეთში წავიდეს სასწავლებლად. როგორ ფიქრობთ, მათ არ აკმაყოფილებთ აქაური სწავლის დონე თუ ამით დასაქმების უკეთესი პერსპექტივა ექნებათ?**

— ისინი დღევანდელ რეალობას იტვალისწინებენ. მაგრამ მე არ ვეთანხმები ამას, რომ იქ უკეთესი ცოდნის დონეა. თუმცა ადრე ჩვენი სტუდენტები უმეტესად იქ რჩებოდნენ. მათი დონე იმდენად სასურველი იყო სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში, რომ უკან აღარ აბრუნებდნენ. დღეს ასე არ ხდება. სამაგიეროდ, ამერიკიდან რომ მოითხოვეს ჩვენი ძველი სტუდენტის გამო ფიზიკოსების წაყვანა, უნივერსიტეტმა ახალი სტუდენტები ვერ შეურჩია. ამიტომაც, მე მაინც მგონია, რომ **უცხოეთში ცოტა ხნით წასვლა და სერთიფიკატის აღება ჩვენს ახალგაზრდობას სწორედ იმისთვის სჭირდება, რომ მერე აქ თანამდებობებზე დასაქმდნენ.** აიღებენ სამთვიან სერთიფიკატებს და დაიტრაბახებენ, ეს დავამთავრეთ, ის დავამთავრეთო. არ არის ასე. **ამერიკიდან მეგობარმა ჩამომიტანა იქაური პროგრამა და წიგნები. მე ვერ დავიჯერე, რომ ამ პროგრამით ასწავლიდნენ ამერიკაში. ის სისტემა, რომელიც ჩვენ გვქონდა, გერმანული სისტემაა. თუ იდეოლოგიას ჩამოვაცილებდით, ძალიან კარგი სისტემა იყო.** ამიტომ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ კარგი სტუდენტები იქ კარგ ანაზღაურებაზე დარჩებიან და აქ არ ჩამოვლენ. **თქვენ ხომ არ გგონიათ, სააკაშვილს მართლა დიდი განათლება აქვს მიღებული? იმასაც სერთიფიკატები აქვს.** მისვლა-მოსვლა უნდა იყოს, მაგრამ ძირითადი განათლება აქ უნდა მიიღონ ბავშვებმა, რომ თავის ქვეყანაში იმსახურონ.

**— საიმედოს თუ ხედავთ რამეს სამომავლოდ?**

— როგორც გავიგე, ბენდუქიძე აპირებს ფიზიკის ფაკულტეტების გახსნას თუ ტექნოლოგიების მიმართულების შემოღებას; სააკაშვილის დედასაც აქვს თავისი კერძო ინსტიტუტი, სადაც მასაც გაუკეთებია საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო, თუმცა ჯერ მიღება არ ჰქონიათ. **თუ ხელისუფლებას უნდა, რომ ამოქაჩოს სკოლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლება, არსებობს ძალიან მარტივი მექანიზმი: ეროვნულ გამოცდებზე შეუძლიათ გამოაცხადონ, რომ, ვინც მეოთხე საგნად აირჩევს ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, მათემატიკას (თუმცა ეს საგანი ჩავარდნილია), მათზე გამოიყოფა დაფინანსების გარკვეული პროცენტი, ვთქვათ 5, 7, 10% მაინც. ეს მაშინვე სტიმულს მისცემს ბავშვებსაც და პედაგოგებსაც.**

**— მაგრამ ამას ხომ პროგრამების შეცვლა დასჭირდება?**

— რა თქმა უნდა, ამას ნორმალური პროგრამები და ნორმალური მასწავლებლები სჭირდება. სამწუხაროდ, დღეს სწავლების ძალიან დაბალი დონეა. სასურველია, ყველაფერი გამოსწორდეს, მაგრამ ეს მაინც გარკვეული სტიმული იქნება და შეესაბამება იმას, რაც თქვა სააკაშვილმა: დაფინანსების 80% საბუნებისმეტყველო საგნებზე წავა და არა ჰუმანიტარულზეო. დღეს ეს სფერო რომ სავალალო მდგომარეობაშია, სხვა სფეროებზეც მოქმედებს. **სამხედრო სფერო იქნება, თუ სამედიცინო დარგი, ყველას სჭირდება ფიზიკის სპეციალისტები. თუ ბავშვს არ ასწავლე, როგორ ეცოდინება? ფუნდამენტური მეცნიერება საერთოდ მოსპეს. სწორედ ამას ვამბობდით ხუთი წლის წინათ.**

რაც შეეხება მეთორმეტე კლასელების პრობლემას, ეს ბავშვები ნამდვილად არ არიან დამნაშავენი, რომ სათანადო განათლება არ მისცეს და საგნების სწავლების საათები შეუმცირეს. ამიტომ აქაც უნდა გამოინახოს გამოსავალი: **ზოგიერთი საგანი შედარებით დაბალ კლასებში მთავრდება. სასურველია, სწორედ მაშინ ჩააბარონ მოსწავლეებმა გამოცდები და ამასთან, უნდა გაითვალისწინონ, თუ რა პროგრამა გაიარეს. ამჯერად მათ სამთვიანი ვადა მაინც უნდა მიეცეთ, წინასწარ გამოცხადდეს ბილეთებში შეტანილი საკითხები, თორემ ასე მოულოდნელად და მოუმზადებლად მოსთხოვო მოსწავლეებს იმის ცოდნა, რაც არ მიგიცია, წარმოუდგენელია.**

ესაუბრა
**ნინო ცხოიძე**

# კონსულტაციები თუ გარიგება?

# «ნაციონალურ მოძრაობას»+ რვა ოპოზიციური პარტია= გამყალბებელთა უშველებელ არმიას

**ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე დაწყებულ კონსულტაციებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს დაუკავშირდა და ერთადერთი კითხვა დაუსვა: სწორი ნაბიჯია თუ არა ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლებასთან დიალოგის დაწყება?**





**როლანდ ჟალაღანია, მწერალი, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი:**

## ეს არის გარიგება და მეტი არაფერი

— ერთადერთი, რისი თქმაც ამ ე. წ. დიალოგთან დაკავშირებით შემიძლია, ის არის, რომ, თუ აქამდე მარტო „ნაციონალური მოძრაობა“ აყალბებდა არჩევნებს, ახლა რვა პარტიაც მიემატება და მივიღებთ გამყალბებელთა უშველებელ არმიას... **არავითარი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება არ იქნება, იმიტომ, რომ რეალურად არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია ამით დაინტერესებული არ არის.** უბრალოდ, ეს არის გარიგება და მეტი არაფერი. ასე რომ, ნურავის რაიმე კარგის მოლოდინი ნუ ექნება.



**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

## მათთვის არ არსებობს არანაირი ღირსება და ზნეობრივი პრინციპი

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს კონსულტაციები თუ მოლაპარაკებები არის ოპოზიციის მხრიდან წარსულის შეგნებული იგნორირება და მომავალზე ფიქრი მათივე ინტერესებიდან გამომდინარე... სინამდვილეში ყველამ კარგად იცის, რომ სააკაშვილი და მერაბიშვილი თუ იქნებიან ხელისუფლების სათავეში, რაც უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო გარემო, კოდექსი, არავითარი დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარდება. მაშ, რა ხდება? ხდება ის, რომ **ხელისუფლებამ იყიდა ოპოზიცია — დაწყებული ალასანიადან, დამთავრებული უსუფაშვილით. და ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მოხდეს „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების „გაპრავება“.** აი, ეს არის სააკაშვილის უმთავრესი მიზანი. ხოლო, რაც შეეხება ოპოზიციას, მათთვის მთავარია, როგორმე დარჩნენ პოლიტიკაში და მნიშვნელობა არ აქვს, ამას რა გზით შეძლებენ — ქეშმარიტ ოპოზიციაში ყოფნით, ხელისუფლებასთან დიალოგით თუ პარლამენტში შესვლით, იმიტომ, რომ მათთვის არ არსებობს არანაირი ღირსება და ზნეობრივი პრინციპი.



**რეზო ამაშუკელი, პოეტი:**

## როგორ შეიძლება, ხელი ჩამოართვა და ელაპარაკო შენი ქვეყნის მტრებს?

— არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ხალხს, რომელიც თავის თავს ოპოზიციას უწოდებს და ამ დროს მოლაპარაკებებს აწარმოებს დავით ბაქრაძესთან, ამ მექანიკურ თოჯინასთან, მე, უბრალოდ, არ შემიძლია, პატივი ვცე... **როგორ შეიძლება, ხელი ჩამოართვა და ელაპარაკო შენი ქვეყნის მტრებს? ესენი ხომ საქართველოს მტრები არიან?!. მე თუ მკითხავთ, ლაპარაკი კი არა, საერთოდ, გახედვაც არ შეიძლება ამ ხელისუფლებისკენ, იმიტომ, რომ ესენი არიან ქვეყნის დამაქცევრები, დამღუპველები და მოღალატეები.** სისხლის სამართლის დამნაშავეებითაა გატენილი მთელი პარლამენტი და ეს ჩემზე უკეთ იცის ამ ბედოვლათმა ოპოზიციამ... არაფერი ამ ე. წ. მოლაპარაკებებისგან არ გამოვა... მაგათ მოატყუონ თავიანთი ბებიები.



**თამაზ წივწივაძე, მწერალი, კრიტიკოსი:**

## ეს რვა ოპოზიციური პარტია მიეყიდა ხელისუფლებას

— არავითარი აზრი ამ მოლაპარაკებების გამართვას არ აქვს და პირადად ჩემთვის ერთგვარი გამოცანაა, თუ რაში სჭირდება ოპოზიციას ეს ყველაფერი. ხელისუფლების მიზანი ცხადია. მას სურს, რომ საზოგადოებას დაანახოს და უთხრას, აი, ჩვენ რა მაგრები ვართ; ოპოზიცია აქეთ გვეხვეწება, დაგველაპარაკეთო; მაგრამ, ვიმეორებ, **ოპოზიციის მიზანი, ამ კონკრეტულ ნაბიჯებში, მოქმედებებში, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად მიჭირს, ვირწმუნო, რომ მათ გულწრფელად სჯერათ, ამ მოლაპარაკებებით რამე დადებითი შედეგის მიღწევა რომ შესაძლებელია. ამიტომაც მიჩნდება ეჭვი, რომ ეს რვა ოპოზიციური პარტია მიეყიდა ხელისუფლებას და მოქმედებს მიხეილ სააკაშვილის ინსტრუქციით.**



**რეზო მიშველაძე, მწერალი:**

## ეს არის მათი აღსასრულის დასაწყისი

— როცა ლაპარაკია დიალოგის დაწყებაზე, გვინდა თუ არა, ეს უკვე ნიშნავს კომპრომისზე წასვლას. ხოლო, როცა ამას აზრი არ აქვს და მაინც მიდიხარ დათმობაზე, ეს უკვე კომპრომისი კი არა, ფარ-ხმლის დაყრა და კაპიტულაციის გამოცხადებაა. დღეს სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ოპოზიცია, რომელიც პოლიტიკურად გაკოტრებულია და რომელსაც სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ ღარიბი ნათესავივით მიუცუცქდეს მოლაპარაკებათა მაგიდას. ეს არის მათი აღსასრულის დასაწყისი, იმიტომ, რომ ამის იქით მათ არანაირი მომავალი არ აქვთ. **ამ რვა პარტიამ საბოლოოდ დაასრულა მებრძოლი ოპოზიციონერობანას თამაში და ახლა ისინი გადავიდნენ სხვა ფაზაში. ეს სხვა ფაზა არის ხელისუფლებასთან კუდამოძუებულად მიბრუნება და ლოდინი მაგიდის ქვეშ შემძვრალი ძაღლისა, როდის გადმოუგდებენ ძვალს...**

მოამზადა
**ჯაბა ჟვანია**

17 — 23 ნოემბერი, 2010 წელი. №42 (85)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაჟურნაზებულნი



**კოტე ჯანდიერი,**
**მწერალი:**

ვისაც გონებრივი მუშაობის გამოცდილება არ აქვს, მისთვის კომპიუტერი და ინტერნეტი დამღუპველია. ისინი სჭირდება წიგნიერ ადამიანს, რომელმაც იცის, რა უნდა მოიძიოს ინტერნეტით, თორემ უწიგნური კაცი ქსელში უგზო-უკვლოდ დაიკარგება. ბავშვმა ჯერ წერა-კითხვა და წიგნთან ურთიერთობა უნდა ისწავლოს და მერეღა დაიწყოს კომპიუტერთან მუშაობა.

*„ყველა სიახლე“*



**ავთანდილ არაბული,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

თბილისში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი ვერაფრით დაასკვნის, რა ენოვან ქალაქში მოხვდა, წარწერებით ჩვენი დედაქალაქი ნამდვილი ბაბილონის გოდოლია. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ცვლის საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, ცნობიერებას. არავინ ითხოვს, ჯინსზე წარწერილი „ვრანგლერის“ თარგმნას, მაგრამ კანონი უნდა კრძალავდეს ფირნიშებზე, სარეკლამო ბანერებზე მხოლოდ უცხოენოვან წარწერას. ჩვენთან კი ის კანონიც არ სრულდება, რაც უკვე მიღებულია.

*„ყველა სიახლე“*



**ივანე მერაბიშვილი,**
**შს მინისტრი:**

სპეცოპერაცია „ენვერის“ შედეგად დაკავებული ჯაშუშები „გრუს“ ქსელის წარმომადგენლები არიან. მაგრამ ეს ერთადერთი ქსელი არ არის, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით. „გრუს“ სხვა საეჭვო ქსელები საქართველოში ისევ არსებობს. ჩვენ მათი თვალთვალით ვართ დაკავებული და ინფორმაციას ვაგროვებთ.

*„ახალი თაობა“*



**თეა თუთბერიძე,**
**„სკოლის დირექტორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი:**

სკოლებში სრული პოლიციური რეჟიმია. ეტყობა, სახელმწიფოსა და პრეზიდენტს ეს არ აინტერესებთ. არ მესმის, როგორ უნდა გაზარდოს ამ სკოლამ თავისუფალი და დამოუკიდებლად მოაზროვნე თაობა, როცა თვითონ არიან აბსოლუტურად დამონებულები? დღეს ვუყურე №23 საჯარო სკოლის დირექტორი როგორ საცოდავად ამბობდა პრეზიდენტთან, ჩემი ბავშვები არ ყოფილან აქციაზეო. ეს არის ფაშიზმი, ლიბერალიზმის სახელით...

*„ალია“*



**მამუკა გიორგაძე,**
**„სახალხო პარტიის“ ლიდერი:**

რომ არა ეს ოპოზიცია, სააკაშვილი ამდენ ხანს ვერ გაძლებდა. გამოაცალეთ ეს ოპოზიცია სააკაშვილს და სააკაშვილი მეორე დღესვე ხუხულასავით დაინგრევა. ეს ოპოზიცია მისთვის არის გარანტია იმისა, რომ საქართველოს მტრები დაარწმუნოს, თითქოს ის არის უფრო ძლიერი, ვიდრე ეს ოპოზიცია, რომ ის უფრო უკეთესად მოემსახურება უცხოეთს, ვიდრე ეს ოპოზიცია.

*„ახალი თაობა“*

# სააკაშვილის ბედი დეკემბრის პირველ რიცხვებში ეუთოს საიუბილეო სამიტზე გადაწყდება

**ამ დღეებში მსოფლიოს ყველაზე მთავარი მოვლენა იყო „დიდი ოცეულის“, ანუ მსოფლიოს ყველაზე მძლავრი ინდუსტრიული ქვეყნების ოცეულის უმაღლესი დონის სამიტი. G20-ს უკვე უწოდებენ მსოფლიო მთავრობას და იქ იყო ყველა, ვინც მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავს. შეხვედრა ხუთშაბათს დაიწყო სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში, გაგრძელდა პარასკევს, ხოლო შაბათს იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში გადაინაცვლეს.**



მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ამ უმაღლესი დონის სამიტზე ორი პრეზიდენტის, ობამასა და მედვედევის, სამი დღის განმავლობაში ერთად ყოფნა. ნუთუ ამ დღეებში ისინი დროს ვერ გამონახავდნენ ერთი საკითხის განსახილველად, რაც, როგორც თვითონ აღიარებენ, მათი ერთ-ერთი შეუთანხმებელი პუნქტია, ანუ ეს არის ჩვენი სრულიად გაუწონასწორებელი პრეზიდენტი (ძალიან კორექტულად და რბილად ვამბობ)! მისი ბედი ჩვენ რაში გვაღელვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი კვლავ საქართველოს პრეზიდენტად იწოდება და ამიტომ ჩვენ ყველას გვეხება ეს.

**ობამა და მედვედევი ერთმანეთს ტკბილად დაემშვიდობნენ, მომავალ შაბათს კი უკვე ლისაბონში ხვდებიან ნატოს „ათწლეულის“ სამიტზე, სადაც ჩვენ, ალბათ, კვლავ არცთუ ოპტიმისტურად მოგვიხსენიებენ. ხოლო სააკაშვილის ბედის შესახებ, წესით, დეკემბრის პირველ რიცხვებში ეუთოს საიუბილეო სამიტის შემდეგ შევიტყობთ. ჩვენც დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას!**

ვინაიდან მათი გადაწყვეტილება უახლოეს ორიოდე კვირამდე არ გახმაურდება, დავუბრუნდეთ G-20-ის შეხვედრას და ვნახოთ, თუ რა არის ეს „მსოფლიოს მთავრობა“. ის თავის დროზე იყო „შვიდეული“, ანუ მსოფლიოს ყველაზე განვითარებული, მდიდარი და დემოკრატიული ქვეყნების, ანუ „მდიდართა კლუბი“, როგორც მას უწოდებდნენ. რამდენიმე წლის წინათ მას რუსეთიც მიემატა, მიუხედავად მისი არადემოკრატიულობისა, რითაც შემდგომისთვის პრეცენდენტი შექმნეს სხვებისთვისაც (ამაზე ქვემოთ). ორიოდე წლის წინათ კი ამ დახურულ კლუბს კიდევ მიუმატეს მძლავრი განვითარებადი ქვეყნები, რომელთაც „ახლადგანვითარებულები“ უწოდეს და ის „ოცეულად“ გადაიქცა.

**თავიდან ამ „კლუბში“ მხოლოდ ეკონომიკის მინისტრები იკრიბებოდნენ, მაგრამ, ბოლო ორი წელია, შეკრება უკვე უმაღლეს დონეზე იმართება. ამჟამადაც სეულში პირველი პირები შეიკრიბნენ იმის მიხედვით, იქ საპრეზიდენტო მმართველობაა თუ საპარლამენტო. მაგალითად, ამერიკა, ჩინეთი, რუსეთი, სამხრეთ კორეა, ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა და ინდონეზია იქ წარმოდგენილნი არიან პრეზიდენტებით, ხოლო დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, ინდოეთი, კანადა, ავსტრალია და თურქეთი — პრემიერ-მინისტრებით. საუდის არაბეთი, ვინაიდან ის აბსოლუტური მონარქიაა, საგარეო საქმეთა მინისტრითაა წარმოდგენილი. ასევე ხაზი ესმევა, რომ დღეისთვის თვალი დახუჭეს მათ დემოკრატიულობასა თუ არადემოკრატიულობაზე. მაგალითისთვის ჩინეთი, რუსეთი და საუდის არაბეთიც საკმარისია, რაც ახალი ტენდენციის მაუწყებელია.**

ასევე, ერთ-ერთი დამსწრე ევროკავშირია, უფრო ზუსტად – ევროკომისია (ანუ მისი მთავრობა), თუმცა აზიაში აპროტესტებდნენ ამას და ამბობდნენ, თუ საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და იტალია ისედაც ევროკავშირის წევრებია, მაშინ რატომ არიან ისინი ცალცალკე წარმოდგენილიო, რაც საკმაოდ ლოგიკურად ჟღერს.

**ყველა სამიტზე დამკვირებლის სახით მიწვეული იყო ესპანეთი, ამჟამად კი კიდევ დაუმატეს ორ-ორი აფრიკული და აზიური სახელმწიფო, ალბათ, პოლიტკორექტულობისთვის. მაგრამ ეს, ჩემი აზრით, ამ ორგანიზაციას ეფექტურობას უკარგავს. ოცეულის „ოპერატიულ ორგანოდ“ კი იწოდება ჩვენთვის კარგად ნაცნობი მსოფლიო სავალუტო ფონდი. ჩინეთი აქ მესამე აქციონერად იქცა, ოდნავ ჩამორჩა რა იაპონიას.**

ბრიტანული „Open Democracy“ 13 ნოემბერს წერს, რომ, თუ მსოფლიო ლიდერებს უნდათ რეალურად და ეფექტურად გაატარონ ცვლილებები, უნდა დაივიწყონ პოლიტკორექტულობა. ამ გამოცემის აზრით, მსოფლიო კვლავ „შვიდეულით“ უნდა იმართებოდეს, ოღონდ ეს უკვე ახალი შემადგენლობით. ამიტომ მე აქ სრულ ციტირებას მოვიყვან: **„დასუსტებული შეერთებული შტატები** კვლავ რჩება მსოფლიოში ყველაზე მთავარ ქვეყნად ეკონომიკაში, პოლიტიკასა და სამხედრო საქმეში. **ჩინეთი** არის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა განვითარებადებს შორის. იგი სულ უფრო და უფრო ხდება მსოფლიოში მეორე ნომერი თავისი ეკონომიკით და პირველი – მწარმოებელ ქვეყნებს შორის. **ინდოეთი** პლანეტაზე ყველაზე მსხვილი დემოკრატია, რომელსაც მოსახლეობის რაოდენობით მეორე ადგილი უკავია. **რუსეთი** სიდიდით ყველაზე დიდი ქვეყანაა მსოფლიოში და კვლავ უზარმაზარი პოლიტიკური და სამხედრო გავლენა აქვს. ასევე, საკვანძო პოზიცია უკავია **ბრაზილიას** და მისი გავლენა სულ უფრო მატულობს. **იაპონია** არის მსხვილი ეკონომიკური ძალა, რომელსაც მსოფლიოში ჯერჯერობით კვლავ მეორე ადგილი უკავია. მეშვიდე კი — **ევროკავშირია.** ▶

**ამერიკა და ჩინეთის ფინანსური დაპირისპირება ჰგავს ორ მატარებელს, რომლებიც ერთმანეთისაკენ მიჰქრის და სხვები განზე უნდა გადგნენ, რათა, მათი დაჯახების შემთხვევაში, შუაში არ მოჰყვნენ.**

## მოკლედ

### „მერსედესიდან“ „ზაპოროჟეცში“

**„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის შეფასებით, მედია თავისუფლების ხარისხის მხრივ, საქართველო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „მერსედესიდან“ „ზაპოროჟეცში“ გადაჯდა.** ვეფხვაძე მედიის კუთხით გატარებული რეფორმებით კმაყოფილ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს შეახსენებს, რომ, საერთაშორისო კვლევების თანახმად, სწორედ მედიის თავისუფლების ხარისხით საქართველომ სამოცდამეორედან მეასე პოზიციაზე გადაინაცვლა. „ფაქტია, რომ საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მიღება რევოლუციამდე გაცილებით მარტივი იყო, ვიდრე რევოლუციის შემდგომ. ფაქტია ისიც, რომ რევოლუციას რამდენიმე ტელევიზიის დახურვა მოჰყვა, მათ მფლობელთა განსხვავებული ხედვების გამო, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

### ხელისუფლება მოსწავლეებს აშინებს

**მოსწავლეები ხელისუფლებას მათი დაშინების მცდელობაში ადანაშაულებენ.** როგორც მოსწავლეთა მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, №19 საჯარო სკოლის XII კლასელმა რევაზ რევაზიშვილმა განაცხადა, აქციის შემდეგ, მას საცხოვრებელი ბინის ეზოში პოლიციის ფორმაში ჩაცმული პირები დახვდნენ, თამარ მეფის გამზირზე მდებარე პოლიციის მე-4 განყოფილებაში წაიყვანეს და მოსთხოვეს, რომ საპროტესტო აქციებში მონაწილეობა აღარ მიეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სამტრედიის სკოლა-ინტერნატში გადაყვანით დაემუქრნენ. პოლიციის განყოფილებაში დაბარების შესახებ აცხადებენ აქციის ორგანიზატორთა საინიციატივო ჯგუფის სხვა წევრებიც, ზეწოლა მათ მშობლებზეც ვრცელდება.

### რაში ხარჯავს მთავრობა ფულს?

**ამის გარკვევას დეპუტატი გია ცაგარეიშვილი ცდილობს და ევროობლიგაციების გამოშვების შედეგებით ინტერესდება.** „ერთი შეხედვით, ევროობლიგაციების გამოშვება უმიზნოდ მოხდა, თუმცა რეალურად მთავრობამ ამ ობლიგაციებით მოზიდული 500 მილიონი დოლარი რაში დახარჯა, გაურკვეველია. ევროობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთების ვადა ახლოვდება და მთლიანობაში ქვეყანას 2013 წელს საგარეო ვალების მომსახურებისთვის მილიარდამდე ლარის გადახდა მოუწევს“, — განაცხადა ცაგარეიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე და ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილს განმარტებების გაკეთება სთხოვა. ამ უკანასკნელმაც უპასუხა: „მთავრობამ ევროობლიგაციების გამოშვებით საფინანსო ბაზრის მდგრადობა შეამოწმა“.

### სამუშია კომისიის შექმნას მოითხოვს

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია 1991-1992 წლებში კოოპერატიული ბინათმშენებლობისას დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დასაცავად კომისიის შექმნის ინიციატივით გამოდის.** დიდი დიღმის IV მიკრორაიონის მე-2 კორპუსის ბინადართა განცხადებით, მათ ფართის დაკანონების თხოვნით მერიას არაერთხელ მიმართეს, თუმცა პასუხი ვერ მიიღეს. აღნიშნული ბინის მშენებლობაზე მობინადრეებმა ფული 90-იან წლებში შეიტანეს, მათ დაკანონებას კი დღემდე ვერ ეღირსნენ. „ასეთი მაგალითები თბილისში ბევრია. ამიტომ, ჩვენი მოთხოვნაა, შეიქმნას მერიისა და საკრებულოს ერთობლივი კომისია, რომელიც მოლაპარაკებას კონკრეტულად კოოპერატიული ბინათმშენებლობების ამხანაგობებთან დაიწყებს“, — განაცხადა სამუშიამ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ თუ მას ერთიან ეკონომიკად ჩავთვლით, მაშინ მეორე ადგილს სწორედ ის დაიკავებს. **ამ შვიდი მოთამაშის ხელშია ჩვენი პლანეტის მომავალი და ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი“.**

კიდევ ერთი ვარიანტი წამოაყენეს კორეელებმა. მათი აზრით, „დიდი ოცეული“ უნდა შეცვალოს „დიდმა ცხრიანმა“; აქ გერმანია, საფრანგეთი და იტალია ერთად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი, ხოლო აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადისა და იაპონიის გარდა უნდა იყვნენ „ბრიჩის“ ოთხი ქვეყანა – ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი. ამასთან რფ-ის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ „ბრიჩს“ მეხუთე ქვეყანაც უერთდება – ეს არის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

ეს ძალიან საინტერესო განლაგებებია და ამიტომ ვნახოთ, ვის რა პოზიცია ეკავა ამ სამიტზე.

სამიტის მთავარი „ვარსკვლავი“ ჩინეთი აღმოჩნდა. მისი პრეზიდენტი ხუ ცზინტაო აქ გამოჩნდა როგორც განვითარებადი ქვეყნების ლიდერი, განსაკუთრებით შუალედური არჩევნებით დასუსტებული ობამას ფონზე. მისი აზრით, მთავარი სავალუტო ორგანიზაციები სერიოზულად უნდა იყვნენ რეფორმირებულები. ამით ის ცდილობს, აიცილოს კრიტიკა, რომ სახელმწიფო ხელოვნურად არეგულირებს თავის ვალუტას – იუანს.

თუ ცოტა ხნის წინათ ფიქრობდნენ, რომ ამ სამიტზე კრიტიკის მთავარი ობიექტი სწორედ ჩინეთი იქნებოდა, სინამდვილეში მთავარი დარტყმა ამერიკამ მიიღო. **ამერიკული დელეგაცია სასტიკი კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა, ვინაიდან ქვეყნის ფედერალურმა რეზერვმა წინა კვირას ეკონომიკაში 600 მილიარდი დოლარი ჩადო და საერთაშორისო არენაზე თავისი ვალუტის დასუსტება გამოიწვია.** თუმცა ობამა ამტკიცებს, რომ ცოტა ხანში დოლარი კვლავ ძლიერი ვალუტა გახდება.

ბრაზილიას იმედი აქვს, რომ ჩინეთი ამერიკასთან ფინანსური დაპირისპირებისას ვერ მოიცლის განვითარებადი ქვეყნების ლიდერობისთვის და ამიტომ თვითონ აცხადებს პრეტენზიას ასეთ ლიდერობაზე. მან ლათინურ ამერიკაში ლიდერობა უკვე წაართვა ამერიკის პროტეჟეს – მექსიკას და ახლა უფრო მეტზე აქვს პრეტენზია. სამიტზე მის ახალ პრეზიდენტთან ერთად ჩავიდა მისი ყოფილი პრეზიდენტიც, რომელმაც ეს ქვეყანა მსოფლიო ასპარეზზე სერიოზულ მოთამაშედ გაიყვანა.

**რუსეთმა თავისი პოზიცია დააფიქსირა — მან ფინანსებსა და ეკონომიკაში ჩინეთს დაუჭირა მხარი ამერიკის წინააღმდეგ. მედვედევმა ასევე მხარი დაუჭირა კორეას და სთხოვა მას, მეტი ინვესტირება მოახდინოს რუსეთში.**

რაც შეეხება მსოფლიოს მეორე ნომერ ექსპორტიორსა და ევროპის მთავარ ეკონომიკს – გერმანიას, მან დისტანცია დაიჭირა სავალუტო ომებისგან და ანგელა მერკელის მთავარი საზრუნავი მაინც თავისი საბიუჯეტო დეფიციტი დარჩა.

**შეხვედრა მინორულ ტონში დაიხურა — ამერიკამ და ჩინეთმა საერთო ენა ვერ გამონახეს და ამიტომ ვერც საბოლოო დოკუმენტი მიიღეს. ჩინეთმა უარი თქვა იუანის რევალვაციაზე, ვინაიდან ის მას საშუალებას აძლევს, ჰქონდეს მსოფლიოში დოლარების ყველაზე დიდი მარაგი.**

**კორეული გაზეთი ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ ამერიკა და ჩინეთის ფინანსური დაპირისპირება ჰგავს ორ მატარებელს, რომლებიც ერთმანეთისაკენ მიჰქრის და სხვები განზე უნდა გადგნენ, რათა, მათი დაჯახების შემთხვევაში, შუაში არ მოჰყვნენ.**

უფრო მეტიც, „მსოფლიო არის ძალაუფლების ცენტრის ისეთი მასშტაბის გადატანის მომსწრე, როგორიც სამრეწველო რევოლუციის შემდეგ მსოფლიოს არ უნახავს.“ ეს გაზეთიც იმ აზრზეა, რომ **უახლოეს ორ ათეულ წელიწადში მსოფლიოში ეკონომიკურ ბატონობას ჩინეთი და ინდოეთი დაიკავებენ, ხოლო ამერიკა და ევროპა მეორე პლანზე გადავლენ!**

**ყველაფერი ეს ჩვენი ხელისუფლებისთვის მაინც ჩინური ანბანია. ჩვენთვის კი მთავარი ის არის, თუ მსოფლიოს ახალი გადანაწილება როგორ აისახება ჩვენს უახლოეს სამეზობლოში.**

ამ დღეებში ევროკომისამ მიიღო დოკუმენტების პაკეტი ევროკავშირის სამომავლო გაფართოების შესახებ, რომლის მიხედვითაც მონტენეგროსთან და ალბანეთთან იწყება მოლაპარაკებები გაწევრების პროგრამის შესახებ, ხოლო მაკედონიას კვლავ საბერძნეთის ვეტო ადევს მისი სახელწოდების გამო. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ თურქეთი საერთოდ არ არის ნახსენები.

ადგილის ძებნა დაიწყო. მას სიტუაცია განსაკუთრებით გაურთულდა მის სამხრეთით, ერაყში ამერიკელების სამხედრო ინტერვენციის შემდეგ. ცნობილია, რომ **ამერიკელები ერაყის ჩრდილოეთში ენერგომატარებლებით მდიდარ ქურთების ავტონომიას გამოყოფისკენ ახალისებენ.**

ეს კი თურქეთის მრავალმილიონიან ქურთულ მოსახლეობას სეპარატიზმს უვითარებს და გარდაუვალი სამოქალაქო ომისკენ უბიძგებს. ევროკავშირი კი ცეცხლზე ნავთს ასხავს, როდესაც თურქეთს მოუწოდებს, გადაჭრას ქურთების პრობლემა, მაგრამ როგორ, ამაზე დუმს.

პოლიტოლოგიის ცნობილი იაპონელი პროფესორი ტოკიოს ფონდიდან სასაკი ამბობს, რომ **მზად უნდა ვიყოთ, უახლოეს ათწლეულში ევრაზიის ასპარეზზე ვიხილოთ ახალი უმძლავრესი ალიანსის გააქტიურება, რომელიც ორი ყოფილი იმპერიის ბაზაზე შეიქმნება — ეს არის რუსეთ-თურქეთის ალიანსი.**

# თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა ევროკავშირს „ქრისტიანული კლუბი“ უწოდა, ევროკომისიამ კი თურქეთი ისლამიზმისკენ გადახრაში დაადანაშაულა

გავლენიანმა ბრიტანულმა „The Independent“-მა 12 ნოემბრის სტატიაში იწინასწარმეტყველა, რომ ეს სამიტი არის მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური ცენტრის აღმოსავლეთით გადატანის მომასწავებელი! საქმე კი ისაა, რომ „ახლად განვითარებულები“ მსოფლიო ფინანსურ რეცესიას უფრო კარგად გაუმკლავდნენ, ვიდრე ძველი მდიდრები. გაზეთის აზრით, **მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მძიმე რეცესიის შედეგად ევროპა და ჩრდილო ამერიკა სამიტზე ჩავიდნენ ყელამდე ვალებში ჩაფლულები; ხოლო აზია და აფრიკის დიდი ნაწილი კი ისე გამოიყურება, თითქოს არავითარი რეცესია საერთოდ არ ყოფილა.** ზოგმა იმის პროგნოზიც კი გააკეთა, რომ ჩინეთი თავისი ვალუტის კურსის რეალურ მყიდველობით ძალასთან მოყვანით ამერიკის ეკონომიკას ორ წელიწადში დაეწევა, რაც გაზეთს ზედმეტად ოპტიმისტურად ეჩვენება. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ **ვალებაკიდებული დასავლეთი შორეულ აზიაში პრობლემის გადამჭრელად კი აღარ მიაჩნიათ, არამედ — სწორედ მთავარ პრობლემად** და საკმაოდ თავდაჯერებულები უყურებენ მას.

ამასთან დაკავშირებით თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა სასტიკი პროტესტი გამოთქვა და დააფიქსირა, რომ თურქები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, ხოლო ევროკავშირს „ქრისტიანული კლუბი“ უწოდა. მაგრამ, თავის მხრივ, ევროკომისიამ თურქეთი ისლამიზმისკენ გადახრაში დაადანაშაულა. აქ გამოჩნდა ორმაგი სტანდარტი — **თურქეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად დასუსტდა სამხედროების როლი, რაც ევროკავშირისთვის დათმობად გააპიარეს, მაგრამ ოპოზიამ ეს დაინახა როგორც ისლამისტების გამარჯვება, ვინაიდან სწორედ არმია იყო სეკულარიზმისა და დემოკრატიის გარანტი. ეს ბალანსი, რომელიც თავის დროზე ქემალ ათათურქმა შექმნა, დღეს, ქემალისტების აზრით, დარღვეულია, მაგრამ ევროკავშირი მათ არ უსმენს და ევროკავშირისკენ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯად მიიჩნევს.**

საბჭოთა კავშირის დაშლამდე თურქეთი დასავლეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ფორპოსტი იყო სამხრეთში. მაგრამ 90-იან წლებში თურქეთი მიხვდა, რომ ფუნქცია დაკარგა და საერთაშორისო არენაზე ახალი

და თუკი ისინი საერთო ენას გამონახავენ და კოალიციას გააფორმებენ ჩინეთთან, თანამედროვე მსოფლიოს უახლოესი ისტორია სულ სხვა სცენარით განვითარდება. ამასთან, საინტერესოა, რომ თურქეთის სირიასთან და ირანთან შერიგების შუამავალი სწორედ რუსეთი იყო. ამერიკამ კი ეს დაახლოება ძალიან მტკივნეულად აღიქვა.

მაგრამ რამდენად რეალურია ორი მეტოქე იმპერიის ალიანსი, როდესაც მათი კონკურენცია საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა? აქ კი შეიძლება ვიკითხოთ: **რა ბედი ელის ორ გიგანტს შორის მოქცეულ პატარა საქართველოს, რომელიც ხან ერთის, ხან კი მეორის კოლონია იყო, ბოლოს ვის დარჩება იგი? მომავალში რა როლი ექნება რეგიონში ირანს, რომელიც, ასევე, საუკუნეების განმავლობაში პრეტენზიას აცხადებდა საქართველოზე? და, ბოლოს და ბოლოს, ამერიკა რჩება ჩვენს რეგიონში, თუ ტრადიციულ მოქიშპეებს, მაგრამ ახლადდამეგობრებულ ყოფილ იმპერიებს უტოვებს?** მრავალი კითხვის ნიშანია. დღევანდელ ხელისუფლებას კი პასუხის გაცემა არც ერთზე არ შეუძლია.

**რამაზ კლიმიაშვილი**

## მოკლედ

### უფასო რჩევა ოპოზიციას

**სოფელ შამგონაში სტუმრობისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოპოზიციურ პარტიებს წარმატების რეცეპტი გამოუწერა, რაიონებში უფრო ხშირად იარეთო.** „ვიცი, რომ საკუთარ კაბინეტებში უფრო თბილა, ყველა რაიონში გზა არ არის გაკეთებული და სამგზავროდაც შორია, მაგრამ მაინც ვურჩევდი მათ, რაიონებში მოსახლეობის ცხოვრებით უფრო მეტად დაინტერესდნენ და უფრო წარმატებულები იქნებიან“, — ბრძანა პრეზიდენტმა, — ...ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებების დაწყება ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია. როგორც იქნა, ვისწავლეთ ერთმანეთთან საუბარი და ერთ მაგიდასთან დაჯდომა“.

### უმომავლო ქვეყანა

**„თეთრების“ ლიდერის — თემურ შაშიაშვილის აზრით, ქვეყანას, რომელიც განათლებას აკნინებს, მომავალი არ აქვს.**

მისი განცხადებით, მოზარდების პროტესტმა განათლების სისტემაში არსებული ქაოსი და არაეროვნული რეფორმის სრული კრახი თვალნათლივ წარმოაჩინა. „მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც განათლების მინისტრად შეიძლება დაინიშნოს ადამიანი, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. რა გასაკვირია, რომ სკოლაში ციხის ელემენტები შევიდა და სასწავლო პროცესი ძალადობაზეა დამყარებული. მანდატურის ინსტიტუტმა ისედაც დაკნინებულ განათლების სისტემაში შიშის სინდრომი გააჩინა...“, — აცხადებს შაშიაშვილი.

### მასწავლებლებს ემუქრებიან

**თბილისის 148-ე საჯარო სკოლის დირექტორს ვალერიან გიორგაძეს განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექცია სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრა.** „სკოლის დირექტორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თეა თუთბერიძე ირწმუნება, რომ გიორგაძე ინსპექციაში გუშინ დაიბარეს და უთხრეს, რომ, თუ მისი მეუღლე, მაია გიორგაძე, რომელიც 149-ე სკოლის დირექტორია, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებას არ დაწერდა, თანამდებობის დატოვება ორივეს მოუწევდა. თავად მაია გიორგაძის განცხადებით, გენერალურმა ინსპექციამ მას თანამდებობის დატოვება საატესტატო გამოცების წინააღმდეგ მოსწავლეების აქციის შემდეგ მოსთხოვა.



საავტორო სვეტი

# Game Over!

**ღმერთო ჩემო, რა უცნაურად, რა ელეგანტურად იხარჯება გადამხდელების ფული: „შინაგან საქმეთა სამინისტრო კომპიუტერულ თამაშს ქმნის, ამის შესახებ ვანო მერაბიშვილმა ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, თამაშის მთავარი გმირი პოლიციელი იქნება“ („GHN). ისე, თუ აღნიშნულ თამაშს საფუძვლად ბოლო წლებში მომხდარი რეალური ისტორიები დაედება, თამაში, სავარაუდოდ, შემდეგი შინაარსის იქნება:**

**მისია 1** — „პოლიციის სამმართველოსთან“: ამ მისიაში მოთამაშე მოქმედებას და გადაადგილებას ისწავლის. მოძრაობა (ღილაკები W,A,S,D), ხელკეტის ამოღება (ღილაკი X), მისი დემონსტრანტისთვის თავში ჩარტყმა (მაუსის მარცხენა ღილაკი), კომბო-დარტყმა იმავე თავში (მაუსის მარჯვენა ღილაკი), წაქცეულის ფეხებით ცემა (კომბინაცია Ctrl+P), რეზინის ტყვიების ან ქვების არჩევა (ღილაკები R და Q), დემონსტრანტებისთვის მათი სროლა (დამიზნება — მაუსის მარჯვენა ღილაკი, სროლა — მარცხენა), შეძახილი „მიშა! მიშა!“ (ღილაკი M). მისია დასრულებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც მოთამაშე ხუთ დემონსტრანტს დაასისხლიანებს და ხუთჯერ იყვირებს „მიშა, მიშა!“. მოთამაშეს M-ღილაკი V-ში („ვანო, ვანო!“) არ უნდა აერიოს. ეს V-ღილაკი მას სხვა მისიებში დასჭირდება, თანაც, სავარაუდოდ, — მალე.

**მისია 2** — „დაუვიწყარი პანჩური“: ასევე დაეფუძნება რეალურ ისტორიას, სადაც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ფიგურირებდა. ყველაფერი მარტივია: Ctrl+G — გადაკუზვა, Ctrl+P — პანჩური. თანაც მოთამაშე მანქანის ტარებას ისწავლის, ვიდრე მისიის შესრულების ადგილამდე მივა.

**მისია 3** — „მოწმე და თვითმხილველი“: „კვესტის“ ტიპისაა, ანუ მოთამაშემ სწორი პასუხები უნდა გასცეს მოსამართლის კითხვებს და თქვას, რომ ახალგაზრდა, რომელიც სხვა პოლიციელებმა ჩაცხრილეს, უდანაშაულო სულაც არ იყო, ერთ ხელში ავტომატი ეკავა, მეორეში — ტყვიამფრქვევი, ხოლო კბილებში ტომოჰავკი. ამ მისიის გავლისთვის მოთამაშე დამატებით ბონუსებს მიიღებს.

**მისია 4** — „7 ნოემბერი“: აი, აქ კი ნამდვილი „ექშენი“ დაიწყება, თუ მოთამაშე შეზღუდულ დროში რუსთაველის გამზირზე 10 დემონსტრანტის დასისხლიანებას მოასწრებს, გაიხსნება ბონუს-მისია „რიყე“, ხოლო, თუ ვერ მოასწრებს, გაიხსნება ქვემისია „სინდისის ქენჯნა“, თუმცა ის ძალზე ხანმოკლეა და განწყობის გაფუჭებას, სავარაუდოდ, ვერ მოასწრებს.

**მისია 5** — „ჯაშუშის გამოვლენა“: აქ ყველაფერი მარტივია, მაღალსართულიან სახლში მოსაძებნი იქნება ის, ვინც დოსტოევსკის კითხულობს, ჩაიკოვსკის უსმენს, ტარკოვსკის ფილმს უყურებს და ღილაკ M-ზე მიმაგრებულ პერსონაჟს ცინიკური ღიმილით „ჰალსტუხიჭამიას“ უწოდებს. კინაღამ დამავიწყდა, ხელბორკილების დადებისთვის საჭირო იქნება X და B ღილაკების ერთდროული დაჭერა.

**მისია 6** — „ჩვეულებრივი მომიტინგე“: უაღრესად საინტერესო მისიაა, „სტელს“, რომ იტყვიან. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული მოთამაშე ოპოზიციის მიტინგზე მიდის, სადაც აკუსტიკური აპარატურა უნდა გააფუჭოს. აქ საჭიროა ფრთხილი მოქმედება და გარკვეული დროით იმის დავიწყება, რომ კლავიატურაზე არსებობს ღილაკები M და V (იხ. ზემოთ).

**მისია 7** — „სახელმწიფოს მტერი“: ეს რთული მისიაა, რომელიც ოპოზიციონერებთან ურთიერთობებს ეძღვნება. მასში სატელეფონო მოსმენები, თვალთვალი, „დაპადიეზდება“, მუქარა და დაშინება იქნება. ამ მისიის გავლის შემდეგ V-ღილაკზე მიმაგრებული პერსონაჟი მას საპატიო ჯილდოს გადასცემს.

**მისია 8...** თუმცა ნუღარ გავაგრძელებთ, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ სხვა არაფერია, თუ არა — ვარაუდები და მკითხაობა. ყველა, ვინც გარისკავს და თავის კომპიუტერში შსს-ში დამზადებულ თამაშს დააყენებს, თავად ნახავს, თუ რა სიურპრიზი მოუმზადა მას ვანო მერაბიშვილმა. ხოლო, ვინც „Microsoft“-ის თქმის არ იყოს, „აღნიშნული მწარმოებლის მიერ შექმნილ პროგრამულ უზრუნველყოფას არ ენდობა“, ალბათ, ისევ „Republic: The Revolution“-ს ითამაშებს, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე მოძველდა და არცთუ კარგი გრაფიკა აქვს.

**ისე, სააკაშვილის მხარდამჭერები შსს-ს მიერ შექმნილ თამაშს, ალბათ, 24 საათი, თვალების ჩაწითლებამდე, ითამაშებენ, განსაკუთრებით სააკაშვილისა და მერაბიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ. ეს მათთვის, ალბათ, ნოსტალგიურ მოგონებებში ჩაძირვის საუკეთესო საშუალება იქნება. ერთადერთი რამ, რაც მათ, სავარაუდოდ, გააღიზიანებს, იქნება წარწერა, რომელიც ეკრანზე მომაბეზრებელი სიხშირით გაჩნდება: „Mission failed. Game Over!“.**

**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გამოხმაურებული



**მერაბ ჯიბლაძე,**
**ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

ახლა მითხარით, 10 მილიონი ტურისტის ჩამოყვანას რომ აპირებენ, რას ნიშნავს ეს? ეს ჩვენი გადარჩენაა თუ დაღუპვა? ჩვენი გადარჩენა შეუძლია მხოლოდ განათლებას, რომელსაც ებრძვიან 90-იანი წლებიდან მოყოლებული. ფიზიკის სახელმძღვანელოები, რომლებიც მე ვნახე, არის გონებაჩლუნგი ადამიანებისთვის, ისინი დაწერეს გონებაჩლუნგმა მასწავლებლებმა.

*„ასავალ-დასავალი“*



**კახა კაციტაძე,**
**პოლიტოლოგი:**

საქართველოში რუსეთის ჯაშუშების გამოაშკარავებასა და ლათინურამერიკულ ტელესერიალებს ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ — მოსახლეობის ყურადღების მძიმე რეალობიდან მოწყვეტა!

*„ასავალ-დასავალი“*



**გიორგი კობახიძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი:**

მოსახლეობაში შიშის ჩანერგვა სურთ. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ისინი ყველაფერს აკონტროლებენ. მოკლედ, საყოველთაო თვალთვალი დაიწყება. საქართველოში დღეს სატელეფონო საუბრების ტოტალური მოსმენა ხდება. ამ ყველაფერს თუ ერთმანეთთან დავაკავშირებთ, მივხვდებით, რომ ჩვენ ქვეყანაში არ ვცხოვრობთ — ჩვენ ვცხოვრობთ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, რომელსაც საქართველო ჰქვია. ამ კოლონიის დირექტორი არის მიხეილ სააკაშვილი.

*„ახალი თაობა“*



**ნონა გაფრინდაშვილი,**
**„წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი:**

ხელისუფლებამ სხვა გამოსავალი აღარ დაგვიტოვა, ბრძოლა აუცილებელია, რომ ტოტალიტარული რეჟიმი მოვიშოროთ. იმის გამო, რომ საპენსიო ასაკს ორი წელი მოუმატეს, საფრანგეთში მრავალათასიანი აქციები დაიწყო. საბერძნეთში პოლიციას შემთხვევით შემოაკვდა ერთი ახალგაზრდა და სანამ ხელისუფლება არ გადადგა, სახალხო მღელვარება არ ჩაწყნარებულა. ჩვენთან ასე არ ხდება, რადგან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ამაზრზენი სატელევიზიო დაჭერებით, დატერორებით, უდანაშაულო ახალგაზრდების დახოცვით ხალხი დაითრგუნა.

*„კვირის პალიტრა“*



**კახა შარტავა,**
**„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**

თუ საზოგადოება არ იაქტიურებს, მიშას ქვეშ დავრჩებით. ეს არ ნიშნავს მხოლოდ ფიზიკურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ განადგურებას. წარმოვიდგინოთ ე.წ. მასწავლებელთა დესანტი და ამ ტიპის ასწავლებელთა მიერ გაზრდილი თაობა 10-15 წლის მერე და მივხვდებით, რაც გველის. ეს რომ წარმოვიდგინე, გამაჟრჟოლა. თუ ამ სურათის წარმოდგენისას არ შეგვაჟრჟოლებს, ეს სურათი რეალობად იქცევა. ამისთვის ჩამოიყვანეს მასწავლებლები, რომლებზეც ნახევარი მსოფლიო იცინის.

*„კვირის პალიტრა“*



**ზაზა ფირალიშვილი,**
**ფილოსოფოსი, თსუ-ის პროფესორი:**

ხელისუფლება უნდა გრძნობდეს, რომ ჩვენი გაბითურება იმ ხერხებით, რომლებსაც აქამდე მიმართავდა, სულ უფრო შეუძლებელი ხდება და ერთ დღესაც აბსოლუტურ მატყუარად, აბსოლუტურად უარყოფით სიმბოლოდ შეიძლება იქცეს თავის მედიასაშუალებებთან ერთად...

ამ ქვეყანაში არ უნდა ცხოვრობდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც არ ესმის, რომ ყოველი ძალისმიერი ღონისძიება მოზარდებთან ათმაგად მოგიბრუნდება და ამით თვითონ გაალვივებ ამ თაობასთან განხეთქილების თესლს.

*„კვირის პალიტრა“*

# უშიშროების თანამშრომლები მამა ბასილს პატრიარქის კომპრომეტირებას აიძულებდნენ

**ვინ და რატომ უკრძალავს მოსწავლეებსა და პატიმრებს ჯვრების ტარებას, რატომ მოშალეს სამლოცველო კუთხეები სკოლებში და ვინ აიძულებდა მამა ბასილ მკალავიშვილს ციხეში პატრიარქის კომპრომეტირებას, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიო“ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, პროტოპრესვიტერ მამა ბასილს (მკალავიშვილს) ესაუბრა:**



**— მამაო ბასილ, როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს სკოლაში იკრძალება სამლოცველო კუთხის მოწყობა?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი. ვიდრე ჩემს პოზიციას დავაფიქსირებდე, შორეულ საუკუნეებში გადავინაცვლებ. მაშინ, როცა საქართველოს ჰყავდა ღვთისნიერი მეფეები: V საუკუნის II ნახევარში მეფე ვახტანგ გორგასალი, რომელიც დღენიადაგ ისწრაფოდა ქრისტიანობის წესების დამკვიდრებისთვის, საქართველოს ისტორიის ოქროს ხანის მეფე — დავითი, რომელმაც გაწმინდა ეკლესია უღირსი სამღვდელოებისგან რუის-ურბნისის კრების მოწვევით. მეფეთა-მეფე თამარი, რომელიც ყოველი ბრძოლის წინ ფეხშიშველი შედიოდა ეკლესიაში და საათობით ავედრებდა უფალს სამშობლოს, ხალხს. ასევე მრავალნი სხვანი ჭეშმარიტნი ქრისტეს მოყვარენი. სწორედ მათი მოღვაწეობის პერიოდში მტკიცდებოდა და შეურყეველი ხდებოდა მართლმადიდებლობის ფუნდამენტი, ამით მოვაღწიეთ დღემდე და **XX საუკუნის მიწურულს, როცა საქართველომ მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა და მოგვევლინა ჭეშმარიტი მორწმუნე პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას სახით, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დააწესა რელიგიის სწავლება.** იმ პერიოდში გლდანის დასახლების სკოლებში უშუალოდ მე დავადგინე ორ-ორი მასწავლებელი რელიგიის დარგში. იყო გამოყოფილი სამლოცველო კუთხე. დღევანდელი გადასახედიდან, სამწუხაროდ, **მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდგომ, როცა სახელმწიფო მართვის ყველა ბერკეტი „თავისუფლების ინსტიტუტის“ მესვეურთა ხელში აღმოჩნდა, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ქრისტეს დაუძინებელმა მტრებმა რელიგიის საათები გააუქმეს სკოლებში და იქამდეც მივიდნენ, რომ ბავშვებს დაწყებითი ლოცვების წაკითხვა აუკრძალეს.**

**— კი მაგრამ, მამაო, როდის ამბობდნენ ბავშვები დაწყებით ლოცვებს?**

— დილით, სწავლის დაწყების წინ, ბავშვები დაწყებით ლოცვების წარმოთქმით იწყებდნენ გაკვეთილს. ბოლო დროს, სამწუხაროდ, სასწავლო დაწესებულებებში აკრძალეს ყოველივე. მავანთ ავიწყდებათ, უფრო სწორად, არ უწყიან ის, რომ თვით უფალმან იესო ქრისტემ დაუტოვა ლოცვა (მამო ჩვენო) თავის მოწაფეებს, თუ როგორ უნდა ილოცონ. ყოველი მორწმუნე ვალდებულია ყოველგვარი საქმიანობის დაწყების წინ წარმოთქვას „მამაო ჩვენო“.

**მე ყოველივე წინასწარ ვიცოდი და წლების წინ ვქადაგებდი, რაც მოხდებოდა, ამიტომაც მკაცრი ბრძოლა მქონდა გამოცხადებული «თავისუფლების ინსტიტუტის» წარმომადგენლებთან, რომელთაც აფინანსებს და მართავს ანტიქრისტიანული, ბნელი ძალები, რათა დაქირავებულ ქართველ თვითმარქვია მართლმადიდებელთა მეშვეობით ამოძირკვონ ყოველგვარი ღვთიური ჩვენს ცნობიერებაში.**

**— უშუალოდ ვინ უკრძალავს მოსწავლეებს რელიგიურ თემაზე საუბარს?**

— მე ყოველივე წინასწარ ვიცოდი და წლების წინ ვქადაგებდი, რაც მოხდებოდა. ამიტომაც მკაცრი ბრძოლა მქონდა გამოცხადებული „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლებთან, რომელთაც აფინანსებს და მართავს ანტიქრისტიანული, ბნელი ძალები, რათა დაქირავებულ ქართველ თვითმარქვია მართლმადიდებელთა მეშვეობით ამოძირკვონ ყოველგვარი ღვთიური ჩვენს ცნობიერებაში. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ გიგა ბოკერია ხელისუფლებაში გავლენიანი პირის ადგილს დაიკავებდა. მაშინ ჩემი არ სჯეროდათ. სავალალოდ, ყოველივე რეალობად იქცა. **ვაიქართველთა საინფორმაციო წყაროების, ტელეარხების მეშვეობით აშკარა ბრძოლა მიმდინარეობს მართლმადიდებელთა წინააღმდეგ. ტელეგადაცემებში, რომლებიც შოუ-ბიზნესებად აქვთ ქცეული, ყოველნაირად ცდილობენ, წაშალონ ახალგაზრდებში ყოველივე ქართული, სარწმუნოებრივი, ტრადიციული, ზნეობრივი, რომლითაც ჩვენი ერი გამორჩეულია მთელს მსოფლიოში.**

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილნი, რომელთა სისხლით გაპოხიერებულია ღვთივბოძებული მიწა და მათ საძვალეებზე დავაბიჯებთ, მათი სულები ზეციდან დაგვყურებს, ჩვენგან ელის პასუხს: ვის ვაბარებთ მათ ნაამაგარს, ვის? — ვაიქართველებს. საპატრიარქოს არხიდან ხშირად ისმის ფრაზა: „ჩვენ ვიკვებებით წარსულით და ვასაზრდოებთ მომავალს“. ნამდვილად ვიკვებებით წარსულით და ვასაზრდოებთ მომავალს? რაღაც აბსურდად მიმაჩნია. რით ვასაზრდოებთ? იმით, რომ ზღვარგადასულ სიბილწეს შევცქერით ნებისმიერ ადგილას: ქუჩაში, ტრანსპორტში, სასწავლებელში და ყოველგან.

მე, როგორც ღვთისმსახური, მოვუწოდებ მათ, ვინც გარყვნილების მწვერვალს ეპოტინება და ხორციელი განცხრომით შემოიფარგლება: **გეშინოდეთ იმ საშინელი სამსჯავროსი, სადაც ერთბაშად წარვდგებით: მდიდარნი და ღარიბნი, ბრძენნი და სულელნი, მეფე და გლახაკი, და ყოველთა მიეზღოთ საქმეთა მათთაებრ, რამეთუ იქ უფალი უვედრებელ არს, ენანი დადუმდნენ და საქმეთა ჩვენთა იწყონ მეტყველებად.**

დღეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, განათლების მინისტრად მოგვევლინა შაშკინი. როცა ის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე იყო, მისი ბრძანებით, პატიმრებს ჯვრის ტარება აუკრძალეს. მაშინვე შიშმა შემიპყრო, ის განათლების მინისტრად არ გადაეყვანათ, რათა ბავშვებისთვის ჯვრის ტარება არ აეკრძალათ. შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. ყველა ვხედავთ, თუ რას ჩადის მართლმადიდებლობის უბოროტესი მტერი.

**დღეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, განათლების მინისტრად მოგვევლინა შაშკინი. როცა ის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე იყო, მისი ბრძანებით, პატიმრებს ჯვრის ტარება აუკრძალეს. მაშინვე შიშმა შემიპყრო, ის განათლების მინისტრად არ გადაეყვანათ, რათა ბავშვებისთვის ჯვრის ტარება არ აეკრძალათ. შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. ყველა ვხედავთ, თუ რას ჩადის მართლმადიდებლობის უბოროტესი მტერი.**

**— პირველად მესმის თქვენგან, რომ ბავშვებს სკოლაში ჯვრის ტარებას უკრძალავენ.**

— სკოლებში დანიშნეს ე.წ. მანდატურები, რომელთაც მოითხოვეს სამლოცველო კუთხეების გაუქმება, აგრეთვე, კრძალავენ ჯვრის ტარებას. ფაქტობრივი ხელისუფლება მართვადია საზღვარგარეთიდან — რასაც უბრძანებენ, ისინიც უმალ ასრულებენ დაკვეთებს. სულ ახლახან საზღვარგარეთიდან სკოლებში მოავლინეს ინგლისური ენის მასწავლებლები და განაწესეს სხვადასხვა ოჯახებში. ტელეარხებიდან აღფრთოვანებულები გვაუწყებენ, რომ თითქოს ახლა სწავლობენ ჩვენში უცხო ენას. ჩვენ დავეკითხებით მათ და საკმაოდ ერუდირებულ პიროვნებებს, **ნუთუ აქამდე არ სწა-** ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ჩემთან, საკანში მოვიდნენ უშიშროების თანამშრომლები. გვერდით საკანში იჯდა სულხან მოლაშვილი და ის ყოველივე ამის მოწმეა. მათ შემომთავაზეს, გამომექვეყნებინა ილია II-ზე მაკომპრომეტირებელი მასალები. მასალები და ფოტოსურათები მათ შემომთავაზეს, გაზეთიც მიმითითეს — „24 საათი“, სადაც დაიბეჭდებოდა. სანაცვლოდ მე ციხიდან გამომიშვებდნენ. ეს არ გავაკეთე.

**ვლობდნენ საქართველოში უცხო ენას, ნუთუ ვერ ხვდებით, რა იმალება ყოველივე ამის მიღმა, ნუთუ ვერ ხვდებით, ნელ-ნელა ხელიდან გვეცლება ყოველგვარი ქართული, ტრადიციული, რომელიც ჩადუღაბებულია ქართველის სულში?**

თურმე ჩვენ, ქართველებს, ტრადიციები მოგვძველებია. სწორედ მათ, საზღვარგარეთელმა „განმანათლებლებმა“ აკრძალეს სამლოცველო კუთხე, სადაც კი იყო დარჩენილი. თქვენ წარმოიდგინეთ, კომუნისტებს არ გაუკეთებიათ იმდენი ბოროტება, რამდენიც დღევანდელმა ხელისუფლებამ აღასრულა. ესენი კომუნისტებზე მეტად დაუნდობლად ებრძვიან რწმენას. გეკითხებით, რაში გვჭირდება გადამთიელი მასწავლებლები: „დედაენის“, „ვეფხისტყაოსნის“, ილიას, სასიქადულო ჰაგიოგრაფთა ქვეყანას, როცა საქართველოდან უნდა ისწავლოს სრულიად მსოფლიომ განათლება, კულტურა და, რაც მთავარია, ზნეობა.

**— მამაო ბასილ, პატიმრობაში ყოფნისას თქვენზე ახდენდნენ ზეწოლას პატრიარქთან მიმართებაში, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს ზეწოლა?**

— მოგახსენებთ, ჩემთან, საკანში მოვიდნენ უშიშროების თანამშრომლები. გვერდით საკანში იჯდა სულხან მოლაშვილი და ის ყოველივე ამის მოწმეა. მათ შემომთავაზეს, გამომექვეყნებინა ილია II-ზე მაკომპრომეტირებელი მასალები. მასალები და ფოტოსურათები მათ შემომთავაზეს, გაზეთიც მიმითითეს — „24 საათი“, სადაც დაიბეჭდებოდა. სანაცვლოდ მე ციხიდან გამომიშვებდნენ. ეს არ გავაკეთე...

ასევე, მთავაზობდნენ, დამეწერა განცხადება შეწყალებაზე, დაწერილიც კი მომიტანეს. ადამიანი შეწყალებას რომ ითხოვს, ის თავს დამნაშავედ გრძნობს და აღიარებს, მე რატომ დავწერდი შეწყალებაზე, ის დავაშავე, რომ მიყვარს უზადოდ ჩემი ქვეყანა და ვარ მართლმადიდებლობის თავდადებული დამცველი?! რომ ვაშენებ და მთელი ცხოვრება შრომაში და მოღვაწეობაში გავატარე?! 5 ეკლესია მაქვს აშენებული. ბოლოს, გვირგვინი — გლდანის „ა“ მ/რ-ში აგებული გრანდიოზული ტაძარია, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის დროს ჯანმრთელობა თითქმის მთლიანად დავკარგე, მოვიხადე „სასჯელი“ და დღეს ასეთი ავადმყოფი მუხლჩაუხრელად ვშრომობ, რათა ვაკეთო ღვთისნიერი საქმე, რომელიც წაადგება ჩემს ქვეყანასა და ახალგაზრდობას.

**— როგორ აღვუდგეთ ბოროტებას, თქვენი აზრით, როგორ უნდა შევაჩეროთ ბრძოლა მართლმადიდებელთა წინააღმდეგ?**

— გამოსავალი მართლა არსებობს. პირველ რიგში, უკეთურებათა წინააღმდეგ ხმა უნდა აღიმაღლოს საპატრიარქომ, მთელი ერი (ქუდზე კაცი) ფეხზე უნდა დადგეს მათი წინამძღოლობით. მე გამუდმებით ვიმეორებ, ერი ელოდება მათგან გადამჭრელ სიტყვას. დრო არ ითმენს, ყოველი დღე გვაშორებს უფალს. დუმილით ღმერთს ვღალატობთ. მიუხედავად ამისა, ისინი დუმილს ამჯობინებენ. **ხშირად მეუბნებიან, პატრიარს ნუ ებრძვიო. მე არავის ვებრძვი, მაგრამ როგორ გავჩუმდე, როცა ხელიდან გვეცლება მართლმადიდებლობა, გვისპობენ რწმენას?! მთელი ანშლაგით ქადაგებენ ამორალიზმს. იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდობა სულიერებაში უნდა** თია. საბოლოო სიტყვა ღვთისა არს, გეშინოდეთ! მოეგეთ გონს.

ამასწინათ პატრიარქი ტელევიზიით მოუწოდებდა ხალხს: საზღვარგარეთ არ წახვიდეთ, აქ ყველა პირობა გაქვთო. რომელ პირობაზეა საუბარი, როცა თითქმის მთელი საქართველო მათხოვრობს ლუკმა პურის საშოვნელად. ფაქტობრივად, ქვეყანაში საშუალო ფენა არ არსებობს. არიან უკიდურესად მდიდარნი და უკიდურესად შეჭირვებულნი. მდიდრების ეშელონებიდან ნუ გვესაუბრებით. რომელ პირობებზეა საუბარი, როცა სამედიცინო სფეროში, იმის გამო, რომ ხალხს ოპერაციის, წამლის ფული არ გააჩნია, იხოცებიან. ცხოვრებისეული ყველა სფერო მოშლილია, ნუთუ ამას საპატრიარქო ვერ ხედავს? კომენტარი ზედმეტია.

**— მამაო, მარტო პატრიარქს ხომ არ შეუძლია აღნიშნული მტკივნეული საკითხების მოგვარება?!**

— აღვნიშნავ და გავიმეორებ, ჭეშმარიტად, მართლაც ანტიზნეობრივ ფაქტებზე მწვავე პოზიცია უნდა დააფიქსიროს. **ერის სულიერ მამად ითვლება, ეკლესია ყველაზე და ყველაფერზე აღმატებულია. კანონიკურად საერო ხელისუფლებაც კი მას ემორჩილება. დარაზმოს ერი თავისი მრევლით და ებრძოლოს ყოველგვარ ბოროტებასა და აღვირახსნილობას.** პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, ხმა აღიმაღლონ. ძალიან ვწუხვარ, რაც ერის ტკივილია, მასთან დაკავშირებით არაფერს ამბობენ, მხოლოდ პირადი ამბიციებით შემოიფარგლებიან. ხალხი დაიღალა ამდენი უაზრო, უშედეგო ლაპარაკით. ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია სულით, გულით ღმერთს მინდობილი, მხოლოდ მართლმადიდებლობის სახელით ილაპარაკებს იმაზე, რაც ხდება დღეს საქართველოში, ერი მას გაჰყვება.

**— გემახსოვრებათ, ტელეკომპანია „კავკასიაში“ რაც მოხდა, რის გამოც 8 ახალგაზრდა დააპატიმრეს. ვინც ხმას აღიმაღლებს, მათაც ასეთი ბედი არ ელოდებათ?**

— სხვანაირად ნურავინ გამიგებს. მე ვიყავი ერთადერთი სასულიერო პირი, რომელიც ხმას ვიმაღლებდი სარწმუნოების დასაცავად; ერში კი — გურამ შარაძე, რომელიც დღისით, მზისით, ქალაქის შუაგულში სიცოცხლეს გამოასალმეს ამისთვის, თუმცა მეც ბევრჯერ მიპირებდნენ განადგურებას, მაგრამ, ღვთის განგებით, გადავრჩი. რაც შეეხება პატიმრობაში მყოფ 8 ახალგაზრდას, რომლებიც სუფთა პროვოკაციის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ მოვითხოვ, სასწრაფოდ გათავისუფლდნენ. ნუთუ პატრიარქს არ შეუძლია საპყრობილიდან მათი დახსნა, მაგრამ... მე ვერ დავმშვიდდები მანამ, სანამ ჩემს საქართველოს არ ვიხილავ თავისუფალს, დამშვიდებულს, ერთად შეკრულს, სულიერად ამაღლებულს, სადაც ბავშვი, ბავშვს ემსგავსება, ქალი — ქალს და მამაკაცი — მამაკაცს (რაც დღეს სანატრელია), სადაც იზეიმებს ღვთის სიტყვა, სიმართლე, რისთვისაც თითქმის 5 წელი გისოსებს მიღმა მამყოფეს. თავს ვერ ვიმშვიდებ იმით, რომ სიმართლის მთქმელი წმინდა მამები სულ დევნილობაში იყვნენ. მე, რადგანაც ვიტვირთე ეს მძიმე ჯვარი, ვალდებული ვარ, ვაკეთო ყოველივე, რაც წაადგება ჩემს მრავალჭირნახულ ერს, ჩემს მართლმადიდებლებს.

**— მამაო ბასილ, საშველს სად ხედავთ, როგორ შეიძლება მართლმადიდებლობის გადარჩენა?**

— მე უკიდეგანოდ განვიცდი დღევანდელ ყოფიერებას, თითქმის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვდგავართ. ვმშვიდდები იმით, რომ უფალმა უნდა შეგვიჭირვოს, რათა გამოგვცადოს. გამცნებთ წმიდა წერილს, წმიდა მამათა წინასწარმეტყველებას, რომ ანტიქრისტე, წმიდა დედის წილხვდომილ მიწაზე ვერ იბატონებს და ბოლო ჟამს იბერია გაბრწყინდება. **არ მოისრება ის ქვეყანა, სადაც უნდა მობრძანდეს ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი, სადაც უნდა მობრძანდეს თვით უფალი განსჯად კაცობრიობისა, როცა უნდა აღსდგეს ლაზარე და აიხსნას ყველა ის საიდუმლო, რომელიც დამარხულია ქართველი ერის ჭეშმარიტ ისტორიაში.**

უფალმა აღუთქუა: სოდომგომორს არ მოსრავდა, თუ 5 მორწმუნე დარჩებოდა. ვინაიდან მე ვარ უფლის ერთგული ჯარისკაცი, მზად ვარ, 5 მორწმუნის სახით, ჩემი მრევლით ყველაფერი გავაკეთო სარწმუნოების, ერისა და მამულის სასიკეთოდ, რამეთუ **„ლაშქრის სიმრავლე კი არ იმარჯვებს ომში, არამედ შველა ზეციდან მოდის“** (I მაკაბელთა 3.19). ღმერთმა დაგლოცოთ, გფარვიდეთ ყოვლადწმიდა დედის მადლიანი კალთა, ყველა წმიდა სალოცავი.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

## უკეთურებათა წინააღმდეგ ხმა უნდა აღიმაღლოს საპატრიარქომ, მთელი ერი (ქუდზე კაცი) ფეხზე უნდა დადგეს მათი წინამძღოლობით. მე გამუდმებით ვიმეორებ, ერი ელოდება მათგან გადამჭრელ სიტყვას. დრო არ ითმენს, ყოველი დღე გვაშორებს უფალს. დუმილით ღმერთს ვღალატობთ.

**იზრდებოდეს, ყალიბდებოდეს ღმრთის სიყვარულითა და შიშით, პირიქით, გარყვნილებისკენ მიგვითითებენ.**

ამასწინათ, ალბათ, ნახეთ გადაცემა „პროფილი“, სადაც, ძირითადად, სადისკუსიო საკითხი იყო ქართველი გოგონა პატიოსანი უნდა იყოს თუ არა. ჩვენ მოვუწოდებთ მაია ასათიანს: ერის სახელით ნუ სპეკულირებთ, თქვენ არ ხართ საქართველო, თქვენ არ წყვეტთ ერის ბედს. ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ ღია ეთერით დასცინით ქალწულობის ინსტიტუტს. ექიმიც გყავდათ მიწვეული, რომელიც საშინელ ცოდვას ჩადის ღმრთის წინაშე; როგორც სასულიერო პირი, არ დავკონკრეტდები. ჩვენ უფალმა შეგვქმნა და, როგორიც შეგვქმნა, ისეთივე უნდა მივეახლოთ. ალბათ, მიხვდებით. ეს მიუტევებელი ცოდვაა და კანონის ძალით უნდა ისჯებოდეს. გართობა-სიძვადროსტარებით შემოიფარგლებით, ყოველივე დროებითია. საბოლოო სიტყვა ღვთისა არს, გეშინოდეთ! მოეგეთ გონს.

## ჩვენ მოვუწოდებთ მაია ასათიანს: ერის სახელით ნუ სპეკულირებთ, თქვენ არ ხართ საქართველო, თქვენ არ წყვეტთ ერის ბედს. ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ ღია ეთერით დასცინით ქალწულობის ინსტიტუტს. ექიმიც გყავდათ მიწვეული, რომელიც საშინელ ცოდვას ჩადის ღმრთის წინაშე.

## გაფრაზებულნი



**ირაკლი ბათიაშვილი,**
**„სახალხო კრების“ ერთ-ერთი ინიციატორი:**

ხალხი სახლში წასვლას არ აპირებს, რადგან ჩვენ უფლება არ გვაქვს, უარი ვთქვათ საქართველოს გამთლიანებაზე. უფლება არ გვაქვს, ხელი მოვაწეროთ ჩვენი ტერიტორიების გაჩუქებას.

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:**

ჩვენი ბრალია, ჩვენს თავს მოვკითხოთ, რომ ეს სულელი კაცი დღეს ასე დარბის ვენახიდან ტრამალზე, ტრამალიდან — ზღვაში, ზღვიდან — მთაში და მთიდან — ჰაერში!.. ეს, პირველ რიგში, პოლიტიკური ოპოზიციის ბრალია, რომელმაც ყველაფერს არჩია პირადი კომფორტი. რომ არ ყოფილიყო კომპრომისი, რომ არ ყოფილიყო სააკაშვილთან შეხვედრები შინაგან საქმეთა სამინისტროში თუ სხვა შენობებში, რომ არ მიგვეღო მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში, სააკაშვილი დღეს დამთავრებული იქნებოდა!.. საჭირო იყო საკუთარ თავში ეშმაკთან ბრძოლა, რისი უნარიც ოპოზიციის უმრავლესობას არ აღმოაჩნდა.

*„კვირის ქრონიკა“*



**რეზო ამაშუკელი,**
**პოეტი:**

სამწუხაროდ და საუბედუროდ, მე ვერ ვხედავ ჩემს გარშემო თავდადებულ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ, თავი შესწირონ ქვეყანას... მე კი პირდაპირ ვაცხადებ, — იმდენად გალიზიანებული ვარ, იმდენად ნაწყენი ვარ ჩემს ხალხსა და ქვეყანაზე, რომ არავითარი სურვილი არ მაქვს ამათი გულისთვის, ასეთი საზოგადოების გულისთვის თავი გადავდო და გავწირო!.. ამათგან, ამ ხალხისგან და ოპოზიციისაგან არაფერს მე არ ველი!..

*„კვირის ქრონიკა“*



**დავით ბერძენიშვილი,**
**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

დღეს ვითარება ისეთი გვაქვს, რომ არც ხელისუფლებას აქვს რეალურად მყარი მხარდაჭერა და არც ოპოზიციურ პარტიებს, ცალ-ცალკე თუ ჯამურად, ჰყავთ მყარი, გამოკვეთილი ელექტორატი. ამ ვითარებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ საარჩევნო გარემოს, რა პირობებში უნდა ჩატარდეს მომავალი არჩევნები.

*ტელეკომპანია „კავკასია“*



**დავით გამყრელიძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:**

მმართველი პარტია ცდილობს, ერთი პარტიული სისტემა ჰქონდეს. რეალურად, პრობლემა ქვეყანაში პოლიტიკური ალიანსისა და კონკურენციის არარსებობაა. თუ რეალური არჩევანი თანაბარი ძალის მქონე 3-4 პარტიას შორის იქნა, მაშინ ძალაუფლებას მართლაც ხალხი აიღებს ხელში და არჩევნებით გადაწყვეტს, ვის მისცეს უმრავლესობის მანდატი. სანამ ეს არ მოხდება, მანამ იქნება „მხსნელი მოდელების“ ძიება, რადგან ყველაფრის გადაჭრას მოდელების შეცვლით ვცდილობთ. ხელისუფლება კი ყოველთვის მოახდენს ძალაუფლების უზურპაციას, სანამ პოლიტიკური სივრცე ერთი პარტიის მიერაა მონოპოლიზებული.

*„ვერსია“*



**ირაკლი ოქრუაშვილი,**
**„ქართული პარტიის“ დამფუძნებელი:**

სამწუხაროა, რომ ბურჯანაძეს არ აღმოაჩნდა იმის უნარი, ერთ ყველაზე ნაკლებად გავლენიან პოლიტიკურ ჯგუფთან მაინც გამოენახა საერთო ენა, რომ „სახალხო კრება“ მის პარტიულ ღონისძიებად არ გადაქცეულიყო. ამის მერე არათუ ეჭვი მეპარება, რომ ხელისუფლების შეცვლას მიაღწიოს, არამედ დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების შეტორტმანებასაც ვერ შეძლებს. ძალიან ვწუხვარ, რომ 25 ნოემბერს (სახალხო კრების ჩატარების დღე) კიდევ ერთი „საპნის ბუშტი“ გაიბერება და ხალხი კიდევ ერთხელ იმედგაცრუებული წავა სახლში, საერთოდ, თუ გამოვიდა ვინმე.

*„კვირის პალიტრა“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# შს სამინისტრო 2010 წელს გამოშვებულ 100 ათასდოლარიან ავტომანქანებს ითხოვს

**ხელისუფლება უკანასკნელი თვეების განმავლობაში დაუღალავად გვიმტკიცებს, რომ ბიუროკრატიულ ხარჯებს ამცირებს. ამაზე აქცენტი პრეზიდენტმა სააკაშვილმა საპარლამენტო მოხსენებაშიც გააკეთა და განაცხადა, რომ ბიუროკრატიული ხარჯები (ავტომანქანების, მივლინებების, აპარატის შენახვისა და სხვ.) უნდა შემცირდეს, თუმცა მომავალი წლის დამტკიცებული ბიუჯეტი ამ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს. ბიუჯეტში ხარჯები თითქმის ყველა უწყებას ისევ გაზრდილი აქვს. რამდენი მილიონი უჯდება ჩვენს ბიუჯეტს მინისტრების შენახვა?**



სანამ მომავალი წლის ბიუჯეტს გადავხედავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტიც თითქოს ეკონომიურად იყო დაგეგმილი, მაგრამ საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ ბევრ უწყებას და მათ შორის გამორჩეულად **შს სამინისტროს, რომელიც ქვეყანაში ნომერ პირველი უწყებაა, წლის ბოლოსთვის მილიონები აქვს შემორჩენილი და დეკემბრამდე ამ თანხების გაწერას აპირებს, რომ თავისუფალი თანხები გამოუყენებელი არ დარჩეს. ამისთვის უკვე მერამდენედ შს სამინისტროს კუთვნილებაში არსებულ შენობებს არემონტებს.** მაგალითად, გ. გულუას №10-ში მდებარე შენობის სპორტული დარბაზის ვენტილაციის, კონდიცირებისა და გაგრილების სისტემის მოწყობა 185.637 ლარი დაჯდება, სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოები კი — 184.366 ლარი.

ასევე მერამდენედ მიმდინარეობს ვაჟა-ფშაველას №72-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს (ე.წ. მოდულის) შენობის რემონტი. ადმინისტრაციული შენობის სამედიცინო ოთახების სარემონტო სამუშაოები ბიუჯეტს 203.731, ხოლო ამავე შენობის უკანა ფასადის სარემონტო სამუშაოები 375 ათასი ლარი დაუჯდება. **თავდაპირველად გამოცხადებულ ტენდერში უკანა ფასადის სარემონტო სამუშაოების ღირებულება გაცილებით ნაკლები იყო, მაგრამ მოგვიანებით სამინისტრომ ტენდერში ცვლილებები შეიტანა და თანხა საგრძნობლად გაზარდა.** ასევე რემონტდება ანტიტერორისტული ცენტრის ოთახები, ანტიტერორისტული ცენტრისთვის უნდა მოეწყოს ავტოფარეხიც, რაც მთლიანობაში 39.356 ლარი დაჯდება.

როგორც ყოველ წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამჯერადაც ახალ ავტომანქანებს იძენს, ოღონდ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წლეულს უკვე მერამდენედ; თანაც ამ უწყებას მეორად ავტომანქანებს რომ ვერ ვაკადრებთ, ცხადია, მაგრამ თურმე არც ახალი, მაგრამ წინა წლების გამოშვების ავტომანქანები ეკადრება. ამიტომ **შს სამინისტრო მაღალი გამავლობის, 2010 წელს გამოშვებულ ავტომანქანებს იძენს, თანაც აუცილებლად ტყავის სალონით და ამისთვის იგი 6.915.570 ლარს გამოყოფს.**

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, პოლიციის აკადემიის ტერიტორიაზე მდებარე შენობის რემონტს აპირებს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, გამარჯვებულ კომპანიას, რომელმაც სამუშაო 6 თვეში უნდა დაასრულოს 1.806.520 ლარს გადაუხდის. **ტენდერია გამოცხადებული შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოებზეც და სავარაუდო ღირებულება 1.150.000 ლარს შეადგენს.**

**2011 წლის ბიუჯეტში გილაურმა და ბიუჯეტის შემადგენლებმა იეშმაკეს და მშვენიერი მუხლი მოძებნეს იმისთვის, რომ ბიუროკრატიული ხარჯები**

## კობა სუბელიანის უწყებას, ლტოლვილების ხარჯზე, დაფინანსება თითქმის 7 მილიონით შეუმცირეს

**დაემალათ.** ადრინდელ საბიუჯეტო ასიგნებებში „სხვა საქონელისა და მომსახურების ხარჯები" ერთად იყო, ბოლო წლების ბიუჯეტში კი მთავრობამ „სხვა ხარჯები" და „საქონელი და მომსახურება" ცალ-ცალკე დაჰყო, ამით თვალშისაცემად მაღალი ციფრები შენიღბა. არადა, ცალკე გაყოფილი მუხლები, ერთიანობაში იმაზე მეტ ბიუროკრატიულ დაფინანსებას მოიცავს, ვიდრე აქამდე იყო და ბიუროკრატიული აპარატის, მანქანების, სამივლინებო და აპარატის შენახვის ხარჯები ისევ გაზრდილი აქვთ.

**მივყვეთ დეტალურად.**

2010 წელთან შედარებით, პარალმენტის ბიუჯეტი სულ რაღაც 300 ათასი ლარით შემცირდა, თუმცა ეს არ ასახულა „სხვა ხარჯების" მუხლზე. „სხვა ხარჯების" მუხლები გაიზარდა ეკა ტყეშელაშვილის უწყებისთვის, თუმცა უშიშროების საბჭოს დაფინანსება ჯამში არ გაზრდილა. ანალოგიური სიტუაციაა გილაურის უწყებაში. **„სხვა ხარჯების" მუხლი გაზრდილია მთავრობის კანცელარიაშიც და თანაც თითქმის ექვსჯერ. რაში დაიხარჯება ამ გაუშიფრავ მუხლში გაწერილი მილიონები, ძნელი გამოსაცნობია.**

ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შემცირებული აქვს, თუმცა ბაინდურაშვილს გაუზრდია ფინანსური პოლიციის, ანუ საგამოძიებო დეპარ-

## გიგი უგულავას პერსონალურ «აუდის» მარკის ავტომობილს — «ლენდკრუიზერ პრადოს» ჯიპიც დაუმატეს, ალბათ, «მაღალმთიან» თბილისში გადასაადგილებლად

ტამენტის „სხვა ხარჯების" მუხლი 499.800 ლარამდე. ასეთი დატვირთვით ფინანსურ პოლიციას მაშინაც კი არ უმუშავია, როდესაც შეიქმნა და „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ცარიელი ბიუჯეტის შევსებით იყო დაკავებული. **ხელისუფლება ფინანსურის თანამშრომლებს დღედაღამ ამუშავებს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩეთ და ძვირადღირებული ფუფუნებები დაიკმაყოფილონ; წამახალისებელი გარემოებებიც მოუფიქრებიათ — პრემიები თანამშრომლებისთვის, რაც დიდი ხანია ფინანსურის თანამშრომლებს აღარ მიუღიათ.** საერთოდ ეს უწყება, კეზერაშვილის წასვლის შემდეგ თითქმის უფუნქციოდ დარჩა და არც მის თანამშრომლებს ანებივრებდნენ პრემიებით. მეტიც, მათ ინტერნეტიც კი გაუთიშეს, ზედმეტი ხარჯი რომ არ ჰქონოდა ბიუჯეტს. მაგრამ ახლა სიტუაცია შეიც-

## თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ შენობის შუშების წმენდა 83 ათასი ლარი უჯდება

ვალა, **ხელისუფლებას შემოსავლების სამსახური შემოსავლების მისაღებად ძალიან სჭირდება, მერე რა, თუ მათი მუშაობა ქვეყანაში წვრილ თუ მსხვილ ბიზნესს ასამარებს.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც ცაგერის მოსახლეობამ შესაძლოა „კარგად ჩატარებული" რთველი ჩააშხამოს, რადგან ამ რაიონში ჩავარდნილი რთველისთვის ისინი კვეზერელს აქციებითა და გზების გადაკეტვით ემუქრებიან, დაფინანსება 2011 წლის ბიუჯეტში 69 მილიონამდე გაუზარდეს. **კვეზერელმა გაზრდილი თანხები „სხვა ხარჯების" მუხლში გადაამისამართა და იგი 1.952.000-მდე გაიზარდა, პრემიებში გამოსაყენებლად. მთლიანად სოფლის მეურნეობის „სხვა ხარჯების " მუხლი 40 მილიონამდეა გაზრდილი.**

ლადო ვარძელაშვილისთვის საგანგებოდ შექმნილ ახალ — სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაფინანსება 1 მილიონით გაუზარდეს.

**დედაქალაქის მერის, გიგი უგულავას პრივილეგიებზე ხომ საუბარიც ზედმეტია; მას ორი მანქანა ემსახურება: „აუდის" მარკის ავტომობილს „ჯიპიც" დაუმატეს, ალბათ, მაღალმთიან თბილისში გადასაადგილებლად.** როგორც ლეიბორისტები აცხადებენ, უგულავა მაცივრიანი მანქანით დადის. უგულავას შავი ფერის „ლენდკრუიზერ პრადოს" საბაზრო ღირებულება დაახლოებით 50 ათასი დოლარია.

**გენპროკურორსაც შავი „ლენდკრუიზერი" ჰყავს. ადეიშვილის უწყებამ ცოტა ხნის წინათ პროკურატურის მაღალჩინოსნებისთვის „ტოიოტას" ფირმის რამდენიმე მანქანაც შეიძინა. საოლქო პროკურორები კი ახლადშეძენილი „მერსედესებით" დადიან.** ჯიპები შეუძინეს მაღალმთიანი რაიონების პროკურორებს. **ადეიშვილის უწყებას თუ 2010 წელს 45 მილიონი ჰქონდა, 2011 წლის ბიუჯეტში მას 68 მილიონს აძლევენ. „სხვა საქონელსა და მომსახურების" მუხლი კი პროკურორებს თითქმის 2 მილიონით გაეზრდებათ.** რა დაჯდება მომავალ წელს მათი მივლინებები, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მივლინებების ხარჯები მანამდე 57 ათასი ლარი იყო, ადეიშვილის გენპროკურორობისას იგი 200 ათას ლარამდე გაიზარდა.

კალმახელიძის უწყებას, რომელიც ახალი ციხეების მშენებლობით არის დაკავებული და ამ ევროპული ტიპისა და სტანდარტების ციხეებში პატიმრები იხოცებიან, დაფინანსება მთლიანობაში შეუმცირდა, მაგრამ „საქონელი და მომსახურება" და „ხარჯები" მინისტრმა 53 მილიონიდან 58-მდე გაზარდა. იმედია ხათუნა კალმახელიძე მის გარეგნობაზე ზრუნვასაც ბიუჯეტიდან არ დააფინანსებს.

**მიმდინარე წლის ბიუჯეტით შეუძენიათ ჯიპები კანცელარიაშიც, თუმცა, როგორც წესი, კანცელარიიდან დეტალური ინფორმაცია „გრიფით საიდუმლოა".** მთავრობის 57-ე განკარგულების თანახმად, გუბერნატორებს მაღალი გამავლობის ავტომობილების შესაძენად 226 ათასი ლარი გამოუყვეს და რამდენიმე მათგანს: ზაზა გოროზიას, ცეზარ ჩოჩელსა და კიდევ რამდენიმეს ჯიპები უყიდეს.

**მერაბიშვილის უწყებას ქამრების შემოჭერაც თავისებური აქვს. მან ბიუჯეტი 566 მილიონამდე გაიზარდა და „სხვა ხარჯები", რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად, ბიუროკრატიულ აპარატს ხმარდება, 5.571.000-დან 6.432.000-მდე გაიზარდა.** არაფინანსური აქტივების გაზრდის მუხლიდან დღეისთვის გახარჯული თანხების ოდენობა კი ასე გამოიყურება: 2010 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, ვანოს შუშებიანი შენობა 5 მილიონამდე უკვე ზის, თავის ტექნიკითა და აუზების ჩათვლით.

დიმიტრი შაშკინს, რომელიც „ლენდკრუიზერის" ჯიპით დაბრძანდება, თითქმის შსს-ს ტოლი დაფინანსება მისცეს — 554 მილიონი. აქედან, **42 მილიონი „სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლშია გაწერილი, რაც იმას ნიშნავს, რომ კომფორტისა თუ სხვა ფუფუნებისთვის შაშკინს ეკონომიის გაკეთება ნამდვილად არ მოუწევს. შაშკინის უწყებაში ყველამ იცის, როგორ დადის შაშკინი განათლების სამინისტროს ამფსონებიანად საზღვარგარეთულ მივლინებებში, სადაც თურმე დეპარტამენტის უფროსებს საყვარლებიც კი დაჰყავთ.**

კობა სუბელიანის უწყებას, მართალია, დაფინანსება თითქმის 7 მილიონით შეუმცირეს, მაგრამ ეს მხოლოდ ლტოლვილებისთვის დასახარჯ თანხებს თუ შეეხება, რადგან „საქონელი და მომსახურების" მუხლს სუბელიანმა არათუ კაპიკი არ ჩამოაჭრა, პირიქით 2 მილიონით გაზარდა.

**თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ მივლინებები 26.473.400 ლარი, ხელფასი 45.953.300 ლარი, პრემია 1.600.000 ლარი, დანამატი 96.903.370 ლარი აქვს.** თავდაცვის სამინისტროს ბოლო წლის სხვა საქონლის ხარჯვის კლასიფიკაციას თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ოფისის ხარჯების მოცულობამ 5.616.400 ლარი შეადგინა, აქედან საკანცელარიო ხარჯი 690 ათასია, საგამომცემლო ხარჯები კი — 197 ათასი ლარი; მცირეფასიანი ტექნიკა და ინვენტარი – 2.792.800 ლარი; მიმდინარე რემონტები — 210.900 ლარი; ე.წ. საპროტოკოლო ხარჯები (მიღება-წვეულებები, ოფიციალური სადილები) — 1.640.800 ლარი. ასე რომ, **მთლიანობაში თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება შეუმცირეს, მაგრამ ე.წ. სხვა ხარჯები არ შემცირებულა. თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ შენობის შუშების წმენდა 83 ათასი ლარი უჯდება.**

**სოფო გელაშვილი**

# მინისტრ შაშკინის პირველი მსხვერპლი — მოხსნილი დირექტორების «დიდი რვიანი»

**სულ ცოტა ხნის წინათ რვა საჯარო სკოლის დირექტორები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურის უფროსთან დაიბარეს და თანამდებობები დაატოვებინეს. მიზეზი მათი მოსწავლეების საატესტატო გამოცდების მოხსნის მოთხოვნით საპროტესტო აქციაზე გამოსვლა იყო. თანამდებობიდან განთავისუფლებულები არიან: №173 სკოლის დირექტორი მზია გიორგობიანი, №61 სკოლის დირექტორი მიხეილ მინდაძე, №151 სკოლის დირექტორი ეკატერინე ხუციშვილი, №17 სკოლის დირექტორი დალილა ზუხბაია, №58 სკოლის დირექტორი დავით ფაღავა, №63 სკოლის დირექტორი ნანა მონიავა, №2 სკოლის დირექტორი ლია სოღოლაშვილი და №149 სკოლის დირექტორი მაია გიორგაძე.**



## თუ ხელისუფლების ტაშისმკვრელი ხარ და ბრმად გწამს მისი, სასახელო თაობა ხარ, თუ არა და — «ოროსანი რევოლუციონერი»



№149 საჯარო სკოლის დირექტორის, მაია გიორგაძის განცხადებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში იგი მოსწავლეების აქციასთან დაკავშირებით დაიბარეს, მაგრამ, დანარჩენი 8 დირექტორისგან განსხვავებით, თანამდებობის დატოვების განცხადებას ხელი არ მოაწერა, რის შემდეგაც განათლების სამინისტრომ შურისძიება სკოლაში გენინსპექციის შეგზავნით გადაწყვიტა. **შაშკინის განცხადებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლება აქვს, დეტალური და ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს ნებისმიერ საჯარო სკოლაში არსებულ ვითარებაზე. მაგრამ ჩნდება ერთი დიდი კითხვა: რატომ მაინც და მაინც №149 სკოლა და თანაც მაშინ, როდესაც მისმა დირექტორმა ნებით არ დატოვა თანამდებობა?!**

ცნობილი გახდა, ასევე, რომ ვალერიან გიორგაძე, რომელიც №148 სკოლის დირექტორია და ამავე დროს მაია გიორგაძის მეუღლე, სამინისტროში დაიბარეს და მოსთხოვეს, რომ მის მეუღლეს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები მასაც შეექმნებოდა. **აშკარაა, რომ ბატონი შაშკინი პენიტენციალურ სისტემასა და განათლების სისტემას შორის განსხვავებას ვერ ამჩნევს.**

არც ერთ კანონში არ წერია, რომ დირექტორი ვალდებულია, მოსწავლეები ტერორში ჰყავდეს და აზრის გამოხატვის უფლებას უზღუდავდეს. თანაც მაშინ, როცა აზრის გამოხატვა არ ხდება სკოლაში და ხელს არ უშლიან სხვებს, ვისაც არ უნდა ამაში მონაწილეობა.

საპროტესტო აქციის შემდეგ თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეები ხელისუფლებას დაშინების მცდელობაშიც ადანაშაულებენ. როგორც **№19 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი რევაზ რევაზიშვილი აცხადებს, საპროტესტო აქციის შემდეგ, სახლში პოლიციის ფორმაში ჩაცმული პირები დახვდნენ, წაიყვანეს თამარ მეფის გამზირზე მდებარე პოლიციის მეოთხე განყოფილებაში და დაემუქრნენ. პოლიციელებმა გააფრთხილეს, რომ აქციებში მონაწილეობა არ მიეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამტრედიის სკოლა-ინტერნატში გადაიყვანდნენ, სადაც „ოროსნები" სწავლობენ.**

რეზო რევაზიშვილის განცხადებით, მუქარა განხორციელდა ასევე №49 სკოლის მეთორმეტეკლასელ დავით ცომარიშვილზეც. მას სკოლის დირექტორი დაემუქრა. რევაზიშვილის განცხადებით, **არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ მათ მშობლებსაც ემუქრებიან.**

აქციაზე მყოფი ბავშვების სკოლების დირექტორები „საკუთარი განცხადების" საფუძველზე გაათავისუფლეს სამსახურებიდან. სკოლაში კუდი მიდის ამის შემდეგ და XII კლასელებზე ინფორმაციას აგროვებს, იმათ შესახებ, ვინც შატალოზე იყო ამ დროს.

როდემდე უნდა ვითმინოთ რეპრესიები განათლების სამინისტროს მხრიდან?! ასე ვაპირებთ დემოკრატიული საზოგადოების შენებას?! რატომ ართმევენ ახალგაზრდებს პროტესტის გამოხატვის უფლებას, რომელიც კონსტიტუციით ეკუთვნის ყველა მოქალაქეს? სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ჭკვიანად იყვნენ, სწორედ ეს „ოროსანი" მოსწავლეები არ იხილონ კომბლებით ხელში!

**ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა სპეციალურ სიუჟეტში აქციაზე მყოფი ყველა ბავშვი „შტერად" გამოიყვანა, მაგრამ ამისთვის პასუხი არავის მოუთხოვია.**

თუ „რუსთავი 2"-ს აქვს იმის უფლება, რომ „საკუთარი შეხედულებები" მთელ საზოგადოებას აუწყოს, ახალგაზრდებს რატომ არ აქვთ იმის უფლება, საკუთარი აზრი თუნდაც აქციაზე დაფიქსირონ?! მაგრამ „რუსთავი 2"-ს რა უნდა მოსთხოვო, როცა ქვეყნის დიდმა ბელადმა ამ ბავშვებს „ოროსანი რევოლუციონერები" უწოდა! ისე, სააკაშვილმა შეიძლება არც იცის, რომ კარგ მეცხვარეს ცხვარი ყოველთვის მოვლილი ჰყავს!

**დღეს იმ ხალხს არ მოსწონს მეთორმეტეკლასელების ქუჩის პროტესტი, ვინც სულ ცოტა ხნის წინათ პოლიციის განყოფილებისკენ მეხუთემეექვსე კლასელების „ნებაყოფლობით მსვლელობას" ტაშს უკრავდა. მათ არ მოეთხოვებოდათ ფიქრი, განსჯა, კითხვების დასმა! მოეთხოვებოდათ მქუხარე, მხურვალე და ხანგრძლივი ტაში!**

რეაქციაზე დაეტყოთ, რამდენად ვერ აიტანეს იმ ახალგაზრდების ქუჩაში საპროტესტო მსვლელობა. აშინებთ, როდესაც ახალგაზრდობა სკოლიდანვე ეჩვევა უფლებების დაცვას. რატომ არ უნდა გამოთქვას ახალგაზრდამ პროტესტი? რატომ არ უნდა მიეჩვიოს თავისი უფლებების დაცვას? მაგრამ **ამ ახალგაზრდების ყველაზე მეტად ეშინიათ, იმიტომ, რომ ისინი ხელკეტს ზურგს არ მიუშვერენ და ერთის მაგივრად ორ ხელკეტს დაუხვედრებენ. ეშინიათ იმიტომ, რომ იციან, ვერ დაარბევენ და თუ დაარბევენ, ათჯერ მეტი თანატოლი დადგება მათ გვერდით!**

არ შეიძლება სკოლა ციხესავით მართო და მოსწავლეს პატიმარივით ექცეოდეს განათლების სამინისტრო. უნდა აუხსნა, რატომ არის მოსწავლეებისთვის კარგი, რომ გამოცდები ჩააბარონ. თუ არ აუხსნი და ეტყვი, რომ გაიძულებ, გააკეთო და თუ არ გააკეთებ, დაგსჯიო, ამ შემთხვევაში, მხოლოდ უკურეაქციას მიიღებ.

**რატომ არავის მოუვიდა აზრად, შეხვედროდნენ ამ ბავშვებს, მოესმინათ მათი არგუმენტები და, თუ ისინი რამეს არაკანონიერს ითხოვდნენ, აეხსნათ მათთვის. თუ ოროსნები არიან, ისევ ხელისუფლების, კონკრეტულად კი განათლების ვაი-რეფორმის ბრალია. ოროსანსაც აქვს თავისი უფლებები. აუხსნან, რაც ასახსნელია და პოლიციასაც ნუ მიუქსევენ!**

რადგან ადამიანი გამოდის და თავის აზრს აფიქსირებს, ამიტომ უნდა გარიცხო სკოლიდან? მოსწავლეს რაღაც არ მოსწონს და თავის აზრს გამოთქვამს, იჭერენ, ემუქრებიან, აშინებენ. მათაც, მშობლებსაც და დირექტორებსაც. ისინიც დამფრთხალი მონებივით თავს იმართლებენ, არა, ჩემი მოსწავლეები არ ყოფილან აქციაზეო. გააცდინა სკოლა? დაუწერე ჟურნალში „არა" და მორჩა. დირექტორი არაა პასუხისმგებელი მოსწავლის იმ საქციელზე, რომელიც სკოლის გარეთ ხდება! მაგრამ ამ ქვეყნაში ყველას ეშინია. თავს იმართლებენ იმაზე, რაზეც არ უნდა იმართლონ. რეკავენ ყველა მოსწავლის სახლში, ემუდარებიან მშობლებს, რომ არ გაუშვან შვილები აქციაზე. ხალხსაც არ აინტერესებს, ხმას არ იღებს. მეტის ღირსები ვართ!

**განსხვავებული ხედვა აქვს პრეზიდენტ სააკაშვილს. იგი თვლის, რომ, თუ მოსწავლეები ხელისუფლებისგან განსხვავებულ აზრს გამოთქვამენ, მაშინვე უნდა შეამკო ეს ახალგაზრდები დამამცირებელი ეპითეტებით, ანუ კვლავ ორმაგი სტანდარტი — „თუ ჩვენთან ხარ და ბრმად გწამს ჩვენი, სასახელო თაობა ხარ, თუ არა და — „ოროსანი რევოლუციონერი".**

**რაც უფრო გამძაფრდება სიტუაცია და საშიშროება დაემუქრება სააკაშვილის მმართველობას, კიდევ ბევრ „ფრთიან სიტყვას"' გავიგებთ მისგან. საბოლოოდ, დიდი შანსია, პირდაპირ ეთერში გინებაზე გადავიდეს.**

როცა განათლების სისტემას უჭირს, „მაღალი ეშელონების" წარმომადგენლები შვილებს საზღვარგარეთ აგზავნიან სასწავლებლად; სამედიცინო სისტემას უჭირს და საზღვარგარეთ დადიან სამკურნალოდ, სამშობიაროდაც კი. ტაშტის გარახუნებაზე უცხოეთში გარბიან მთელი ამალის თანხლებით და რამდენი ასეთი კიდევ... ეს ყველაფერი მარტო უსამართლობის განცდას კი არ ბადებს, არამედ გარწმუნებს მოსაზრების ჭეშმარიტებაში: „ცხოვრება ხდება ნეტარი, როცა ხარ პარლამენტარი".

რაც პატივცემული შაშკინი გახდა მინისტრი, სკოლებში დირექტორები „ნაციონალების" რეკომენდაციებით დაინიშნენ. **„არ ფიქრობ მიშასავით, დატოვე სამსახური", — ასეთია დღევანდელი საქართველოს მართვის ფორმულა.** შემდეგ ბატონმა მინისტრმა კანონი გამოსცა, რომ, თუ ბავშვი იცელქებდა, მშობლებს ჯერ გააფრთხილებდნენ, მერე დააჯარიმებდნენ, შემდეგ კი სამტრედიის სპეც-სკოლაში გადაიყვანდნენ.

**პროტესტის მიუხედავად, საატესტატო გამოცდები მაისის მეორე ნახევარში მაინც ჩატარდება.**

„საქართველოს მასშტაბით, მეთორმეტე კლასებში 50 ათასამდე მოსწავლე სწავლობს. ის ჩვიდმეტი, ათი ან ასი მოსწავლის არაარგუმენტირებული პროტესტი, საბედნიეროდ, მეთორმეტეკლასელების სრული მაჩვენებელი არ არის", — განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა.

მინისტრის თქმით, დირექტორები თანამდებობებიდან იმის გამო კი არ გათავისუფლდნენ, რომ მათი სკოლების მოსწავლეებმა საპროტესტო აქციებში მიიღეს მონაწილეობა, არამედ იმიტომ, რომ დაკისრებულ მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებდნენ. **„დირექტორებმა თავად დაწერეს გათავისუფლების განცხადება. ეს მოხდა არა იმის გამო, რომ მათმა ორმა თუ სამმა მოსწავლემ პარლამენტთან გამართულ აქციაში მიიღო მონაწილეობა, არამედ იმიტომ, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს აკადემიური პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში",** — განაცხადა მინისტრმა.

იმის ნაცვლად, რომ მინისტრმა გარკვევით აგვიხსნას, რა მოხდა, სისულელეებს ლაპარაკობს და კარს ცხვირწინ უჯახუნებს ჟურნალისტს! იქნებ, მართლაც დარღვევებია იმ სკოლაში? იქნებ, მართლაც რაღაც ვერ არის რიგზე? დირექტორების მოხსნა კი სრული არაპროფესიონალიზმი და „შიშს დიდ თვალები აქვს" პოლიტიკის გამომჟღავნებაა!

**ლილი მიროტაძე**

## ნოდარ ჯავახიშვილი:

# ამერიკის განსაკუთრებული გულუხვობა 2008 წლის შემდეგ იმის დასტურია, რომ, რაც აგვისტოში მოხდა, არ იყო მარტო სააკაშვილის სისულელის შედეგი

**საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის უმი ხაშლამასავით მეორედ ჩამოტარების შემდეგ ანალიტიკოსებმა, იმათ, ვინც მთავრობის წვენში არ იხარშება, დაასკვნეს, რომ შენიშვნები და შესწორებები, რომლებიც ამ ძირითადი ეკონომიკური კანონის მიმართ ჰქონდათ, მათ შორის, განსაკუთრებით, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში, გაუთვალისწინებელი დარჩა. გაუგებარი და დაუზუსტებელია ბიუჯეტის შევსების წყაროებიც. ამიტომ, სანამ პრობლემა არ გაცივებულა და, როგორც საძროხე ქვაბს, ჯერ კიდევ ასდის ოხშივარი (გოგლა), ექსპერტ ნოდარ ჯავახიშვილს ვთხოვოთ, გაგვარკვიოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების საკითხებში.**

## საქართველოში თანამედროვე აპარტეიდი მძვინვარებს



**ნოდარ ჯავახიშვილი:**

— მაშინ, როცა აშკარაა, რომ ეს ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის დასაქცევად და ამ ზეამოცანის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტად ეკონომიკის განადგურება გამოიყენა, მიკვირს, ჩვენს საზოგადოებრიობას და მასმედიას როგორ უჩნდება რაღაც იმედი და მოლოდინი, რომ ბიუჯეტში ან ხელისუფლების რომელიმე გადაწყვეტილებაში, მათ შორის, ეკონომიკის ნაწილში, იქნება რამე სასიკეთო სიახლე. რომ ამ ბიუჯეტში მაინც იქნება დასახული რევოლუციური, ქართველი ხალხისთვის და ქართული სახელმწიფოსთვის სასარგებლოდ გადადგმული რეალური ნაბიჯები.

ვთქვათ, ბიუჯეტს არ კითხულობენ, მაგრამ არც გაზეთებს ათვალიერებს ეს ხალხი? თუნდაც ხანდახან? ამ ქვეყანაში არ ცხოვრობენ? რატომ ჰგონიათ, რომ პავლე იქცევა სავლედ, ანუ ხვალვე სააკაშვილი გახდება საქართველოსა და ქართველი ხალხის მოყვარული, მოიცილებს ფსიქიკურ პრობლემებს და წარმოგვიდგება საუკეთესო მმართველად, როგორადაც თვითონ მიიჩნევს თავს და როგორც მისი უახლოესი გარემოცვა თვლის.

მქონდა ბედნიერება, მენახა ბიუჯეტის პირველი ვარიანტი, რომელიც მთავრობამ პარლამენტში განსახილველად შეიტანა. ეს იყო დაცინვა ქართული საზოგადოებრიობის.

მარტივ რამეს გეტყვით: ბიუჯეტი დააბალანსეს, დეფიციტის წყაროებიც მოძებნეს და **გამორჩათ ეროვნული ბანკის მოგება, რომელიც 67 მილიონ ლარს უდრის.** ნული რომ იყო ჩაწერილი, გავგიჟდი — ხომ არ აუქმებენმეთქი ეროვნულ ბანკს? მოგება სად გაქრა, მოგება, რომელიც, კანონით, ბიუჯეტში უნდა აისახოს? ხომ არ გადაირია სააკაშვილი და ეს ფული შინ მიაქვს?!

## ჩვენ მათხოვრების სახელმწიფო გვაქვს!

**— გამორიცხავთ?**

— არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება იმიტომ, რომ ეს კაცი ზუსტად ისეა თავისუფალი, როგორც ქართული ანდაზა ამბობს... ან — უფრო მეტად.

კოლეგებს ვკითხე, რატომ არ იყო შეტანილი ეროვნული ბანკის მოგება ბიუჯეტში და, იცით, რა მიპასუხეს?

**— არ ვიცი...**

— გამორჩენიათო! მინიმუმ 67 მილიონი დაავიწყდათ. აბა, რა გაახსენდათ?! ბიუჯეტის დეფიციტის შევსების წყაროებს მთელ მსოფლიოში რომ ეძებ, ჯერ საკუთარ ჯიბე არ უნდა მოიჩხრიკო?! ეს საქმისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელია, ნიშნავს, რომ პარლამენტს შეუგდეს რაღაც და ხელები დაიბანეს. გაიზარდაო ბიუჯეტი, ახლა რომ ამბობენ, ალბათ, — იმ „გამორჩენილი" მილიონების ხარჯზეა.

არ არის გამორიცხული, რომ თავიდან შეგნებულად არ ჩაწერეს. ახლა ვითომ მოიძიეს, აამოქმედეს რესურსები, შემოიჭირეს ქამრები და — აგერ, ბატონო, გავზარდეთ ბიუჯეტიო! ასე ვზრუნავთ ხალხზეო.

დებილები ვგონივართ!

ეროვნულ ბანკში ჩემი მისვლის მესამე წელიწადს ბანკის მოგება ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი სერიოზული შემადგენელი ელემენტი გახდა, ცხადია, — კანონიდან გამომდინარე. რომ წამოვედი 41,5 მილიონი ლარის მოგება დავტოვე ბიუჯეტში გადასარიცხი.

**— რომელი წელი იყო?**

— 1998 წელი. მაშინ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საერთაშორისო სავალუტო რეზერვები გვქონდა დაახლოებით 200 მილიონი. დღეს ორი მილიარდია, და ამ პირობებში რატომაა ეროვნული ბანკის მოგება 67 მილიონი, ვერ გავიგე. და ეს 67 მილიონიც დაავიწყდათ? (*ეცინება*).

აი, ასეთ ბიუჯეტზე შეიძლება ილაპარაკოს თავმოყვარე ეკონომისტმა?! მაპატიონ თქვენმა მკითხველებმა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ბიუჯეტისადმი ასეთი დამოკიდებულება არის მაიმუნობა. როგორი მაიმუნობაცაა ამ ხელისუფლების ყოველდღიური დამოკიდებულება ქართველი ხალხისადმი.

ვინმე სერიოზულად ელოდება, რომ ესენი სოციალურ სფეროში მოახდენენ რევოლუციას? ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ **სააკაშვილსა და მის ხროვას ეჯავრება ქართველობა და უნდა, რომ სულიერად და ხორციელად გაწყვიტოს ჩვენი ერი! ჩვენი ამოცანა კი ის არის, რომ არ მივცეთ ამის შესაძლებლობა. მაგრამ შეუძლებელია ამ ამოცანის განხორციელება, სანამ იგი ხელისუფლების სათავეშია თავის ხროვასთან ერთად. ლოგიკურად იკვეთება ერთადერთი მიზანი — ეს ხალხი უნდა გავაგდოთ!**

ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ბიუჯეტში სოფლის მეურნეობისთვის 40 მილიონი დარჩებაო. პროექტში 80 მილიონი იყო და ისიც გაანახევრეს? აქ სხვა რამაა განსაკუთრებით საინტერესო: თუ რაზე დაიხარჯება ეს ფული, ბიუჯეტის პროექტში მითითებული არ არის — ვაზის ამოსაძირკვად თუ ვენახების გასაფართოვებლად აქვთ გათვალისწინებული ეს მილიონები?

დიდი ხანია, ივალდებულა ბატონმა პრეზიდენტმა (საქართველოს პრეზიდენტმა, ჩემდა საუბედუროდ), რომ გადავდივართო პროგრამულ ბიუჯეტზე, რაც ნიშნავს, რომ **აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ციფრები კი არ უნდა დაამტკიცებინოს საკანონმდებლო ხელისუფლებას, არამედ, ამასთან ერთად უნდა დამტკიცდეს ყველა ის პროექტი, რომელთათვისაცაა გათვალისწინებული ეს ფული.** კაპიკამდე უნდა იყოს გაწერილი და პროექტები უნდა ერთვოდეს. უფრო გასაგებად ვიტყვი: პარლამენტმა მარტო ის კი არ უნდა დაამტკიცოს, თუ რისთვისაა გათვალისწინებული ამ თანხის დახარჯვა, მაგალითად, — სახლის ასაშენებლად, არამედ — ამ სახლის პროექტიც.

2011 წლის ბიუჯეტში მსგავსი არაფერია, **ასეთი ბნელი ბიუჯეტი არასოდეს გვქონია.**

აი, ის 40 მილიონი ლარი სოფლის მეურნეობისთვის რომ გაიმეტეს, რას მოხმარდება? შეიძლება ბაყაყების მოსაშენებლად ილვწიან(?!) ან ალიგატორების ფერმას აშენებენ?

არ უნდა იცოდეს, რისთვის რას ამტკიცებს, ამ თავმოყვარეობადაკარგულმა პარლამენტმა?

**— იქნებ, ახალი სასაკლაოს გახსნა აქვთ გადაწყვეტილი?**

— გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის სასაკლაოზე მიმანიშნებთ?

**— თუნდაც.**

— ეგეც ერთ რამედ ღირს. ააშენა ნატახტარში სასაკლაო და მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ყველა კუთხიდან გლეხებს იქ ჩაეყვანათ პირუტყვი დასაკლავად. გლეხს ხარჯი მოემატა, ხორცი გაძვირდა. თავიანთი დადგენილი ეს წესი შემდეგ დაგმეს და „წარმატებით გადაწყვიტეს" — „გააიაფეს" ხორცი. გაძვირება კი ვიღაც შუამავლებსა და გადამყიდველებს დააბრალეს. როგორ ფიქრობთ, გააკეთებდა ამას ხელისუფლება, რომელიც აპირებს ქვეყანაში მეცხ- ▶

## მოკლედ

### არ წახვიდეთ საქართველოში

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მოქალაქეებს ურჩევს, თავი შეიკავონ საქართველოში გამგზავრებისგან.** ამის მიზეზად „საქართველოს მხრიდან იმ უცხოელი ტურისტების წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის გამოცხადება სახელდება, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ოფიციალური თბილისის თანხმობის გარეშე ჩადიან. ეს ყველაფერი კი 2009 წელს მიღებული „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის საფუძველზე ხდება, რომელმაც, სხვათა შორის, დამტკიცების შემდეგ, ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის არაერთი შენიშვნა დაიმსახურა", — განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ნესტერენკომ.

### ქობულეთიც ბათუმია

**საქართველოს პრეზიდენტმა ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონაში 12 ახალი სასტუმროს მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. მისი განცხადებით, უახლოეს მომავალში ამ ტერიტორიაზე 20 ახალი სასტუმრო აშენდება. მთავრობის გადაწყვეტილებით კი, სასტუმროები მთელი რიგი გადასახადებისგან გათავისუფლდება.** ეს ის სასტუმროებია, რომელთა მშენებლობისთვის ინვესტორებს მიწა უსასყიდლოდ გადაეცათ და ამ ხელგაშლილობას სახელად ბიზნესის ხელშეწყობა დაერქვა. პრეზიდენტი სხვა ყველაფერზეც იზრუნებს: „უახლოეს პერიოდში აქ შემოვიყვანთ წყალს და გაზს; ასევე, დავაგებთ თანამედროვე გზას, რაც ტურისტს საშუალებას მისცემს, ბათუმამდე მაქსიმალურად მოკლე დროში, 15 წუთში, ჩავიდეს. ეს ტერიტორია რეალურად ბათუმის ნაწილია", — განაცხადა სააკაშვილმა.

### ნადირაძეს საქართველოსგან ჩეხეთი იცავს

**საქართველოს მოქალაქის, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის — ზურაბ ნადირაძის ჩეხეთიდან საქართველოში ექსტრადიცია არ მოხდება.** ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ქალაქების — ბრნოსა და ოლომოუცის სასამართლოების განაჩენი ზურაბ ნადირაძის სამშობლოში ექსტრადირების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ ფრანტიშეკ დუხონმა კი განაცხადა, რომ არსებობს სერიოზული საფუძველი, ნადირაძეს საქართველოში სასტიკი მოპყრობა და სასჯელი ელოდეს. ზურაბ ნადირაძე ჩეხეთში, ქართული მხარის მოთხოვნით, 1994 წელს დააპატიმრეს. მას ბრალს სდებდნენ მკვლელობასა და ხულიგნობაში. თავად ამბობს, რომ პოლიტიკური მოტივებით იდევნება.

### პრეზიდენტის დასაქმების პროგრამა

**პრეზიდენტის თქმით, ახალი სასტუმროების მშენებლობაზე ათასი ადამიანი დასაქმდება. სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის დასრულებისაა და ამოქმედების შემდეგ კი, მათში სამი ათასამდე ადამიანი იმუშავებს.** „მინდა, ვუთხრა ყველა „ურწმუნო თომას", რომლებიც ამბობენ, რომ ქართველები გარბიან ქვეყნიდან და არ დებენ ქვეყანაში ინვესტიციებს — თითქმის ყველა კომპანია, რომელიც ამ სასტუმროების მშენებლობაში მონაწილეობს, ქართულია; არიან უცხოელი ინვესტორებიც, რომლებიც აქტიურად ასაქმებენ ადგილობრივ მაცხოვრებლებსაც", — განაცხადა სააკაშვილმა. რაც შეეხებათ „ურწმუნო თომებს", მათ, დიდი ხანია, ირწმუნეს, რომ პრეზიდენტი სასტუმროების დამლაგებლობასა და ოფიციანტობაზე უკეთეს სამუშაო ადგილს არ გვაღირსებს.

ოველეობის აღორძინებას? არა, ბატონო! **ჯერ შექმნეს პრობლემა, შემდეგ „გადაწყვიტეს" ხალხზე მზრუნველმა ერის მამებმა. ყველა სფეროში ასეა. პროგრამები და პროექტები იმიტომ არ დევს ბიუჯეტში, რომ, მაპატიოს ჩვენმა მკითხველმა, გააგრძელონ „ბესპრედელი", ისეთი, როგორიც პრეზიდენტის ფონდის ხარჯვის მთავარი მახასიათებელია. რატომაა ეს ფონდი გასაიდუმლოებული, ისევე, როგორც პრემიერის ფონდი, რაც ჯამში 110 მილიონია? იმიტომაა, რომ, რისთვისაც მოუნდებათ და როცა მოუნდებათ, მაშინ დახარჯავენ და არავის წინაშე ანგარიშვალდებულნი არ იქნებიან.**

ამ ფონდებიდან 20 მილიონი, იცით, რაზეა წასული?

**— იმედია, მეტყვით.**

— რომ ბრძანებდა ჩვენი პატიოსანი პრეზიდენტი, უცხოური ორგანიზაციები იკვლევენო საზოგადოებრივ აზრს — საქართველოს ხელისუფლებისა და პირადად სააკაშვილის საერთაშორისო პიარზე! **20 მილიონს თუ გადაიხდი, ნებისმიერ რეიტინგში გამარჯვებული იქნები, პირველი და იმაზე უფრო მეტიც** (*იცინის*).

სხვათა შორის, სწორედ ეს არის კორუფციული ქმედება. მარადიული ჭეშმარიტებაა, ქრთამი რომ ჯოჯოხეთს ანათებს. ქრთამით მსოფლიო ბანკის კეთილგანწყობილებასაც იყიდი, საერთაშორისო სავალუტო ფონდისასაც და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის ჩინოვნიკებისაც.

ყველას ყიდვა შეიძლება. მაგრამ ვერ იყიდი მხოლოდ იმიტომ, რომ ამდენი ფული არ არსებობს.

**— „საქართველო და მსოფლიოსთვის" მიცემულ წინა ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ საქართველოში ეკონომიკა არ არსებობს. მაშ, საიდან მოდის ბიუჯეტის მილიარდები? მოსახლეობის გადასახადებით?**

— რასაკვირველია. დავაზუსტოთ: როცა ვლაპარაკობთ, რომ ეკონომიკა არ არის, აქ უტრირების რაღაც ელემენტია. მანქანაში ბენზინს რომ ვასხამთ, ეკონომიკაა, მაღაზია რომ მუშაობს, ესეც ეკონომიკაა. მე ვამბობ, რომ **ჩვენ გვაქვს მათხოვრების სახელმწიფო, ვერ ვაწარმოებთ იმის ნახევარსაც კი, რასაც მოვიხმართ, აბსოლუტურად დამოკიდებული ვართ უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქტზე, ფინანსურად კი — უცხოეთის დახმარებაზე.**

რატომ მოხდა, რომ შარშან კარგად ცხოვრობდა ჩვენი ხელისუფლება, წლეულს კი ძალიან გაუჭირდა და ჯარიმას ჯარიმაზე აწესებს? გაიხსენეთ, რამდენი სისულელე გააკეთეს ბოლო პერიოდში, თუნდაც მარტო ავტომფლობელებთან დაკავშირებით!

გამოდის ვიღაც მელაძე და ამ ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედების გასამართლებლად გვარწმუნებს, რომ სავალდებულო და დასჯადი უნდა გახდეს ღვედების გაუკეთებლობა იმიტომ, რომ უშველოს 97 პროცენტ ავტომგზავრს, ვინც უღვედობას არჩევს, მხოლოდ 3 პროცენტი შეიძლება ამ მიზეზით დაიღუპოსო. რა გამოდის? 3 პროცენტი იღუპება ავტოავარიებში, მიუხედავად იმისა, რომ ღვედი აქვს გაკეთებული. მაგრამ მე რომელ პროცენტში მოვიაზრები, შენ რომ ჯარიმას მახდევინებ?

**— ან რატომ დამჩხავი, რომ მაინც და მაინც მე მოვხვდები ავარიაში და ღვედმა უნდა დამიცვას ან არ დამიცვას?**

— ჰოდა, დამითვალოს ბატონმა მელაძემ, რომელ პროცენტში გამამწესა — სამში თუ დანარჩენში?

ან ავტომანქანების შუშების დამუქებასთან დაკავშირებით რა ხდება! სამი დღის განმავლობაში აშაყირეს თავიანთი თავი და ქართული საზოგადოება. ჯერ თქვეს, რომ უცხოურ მანქანებზე არ ვრცელდება დამუქების შეზღუდვა თუ აკრძალვა — ქარხნული წესით დაფერილ შუშებზე. როგორ, ბიჭო! იძახი, ხალხი დახოცვას უნდა გადავარჩინოო და ქართულსა და უცხოურს რა მნიშვნელობა აქვს? ეტყობა, მიხვდნენ, რომ სისულელე თქვეს, 8 ნოემბერს ახალი დაუმატეს და 10 ნოემბრიდან დაიწყეს დაჯარიმება. თურმე ეს ყველაფერი ხალხზე ზრუნვის გამო კეთდება!

**— რომელი ბოლო სისულელე იგულისხმეთ 8 ნოემბერს გაცხადებული?**

— თუნდაც უკანა მინის დაბურვის შესახებ, რომელიც დასაშვებად მიიჩნიეს. ავტომობილის მართვის უსაფრთხოებას კი ყველაზე მეტად ხელს უშლის სწორედ უკანა დაფერილი მინა.

ეს ელემენტარულია. მაგრამ ამათ შენი სიცოცხლე არ აინტერესებთ — გაგცხობია სული! ამათ ის უნდათ, რომ კარგად დაინახონ, ღვედი რომ არ გიკეთია და დაგაჯარიმონ, ამიტომ აკრძალეს გვერდითი მინების შებურვა.

თურმე იმიტომ უნდა შეიხედოს პოლიციამ მანქანაში, რომ დაინახოს და თავიდან აიცილოს, ვთქვათ, ტაქსისტის მკვლელობა. გვერდიდან უნდა დაინახოს, უკნიდან — არა. ერთი მითხარით და გამაგებინეთ, რომელი ტაქსისტის პოტენციური მკვლელი შორიდან დანახვით დააპატიმრეს და თავიდან აიცილეს უბედურება? შეიხედავენ მანქანაში და, თუ დაინახავენ, რომ კლავს, დააპატიმრებენ?! აბსურდია!

# ეს ხალხი უნდა გავაგდოთ

პირდაპირ გვეუბნებიან: თქვენი დურაკი დედაც ვატირე, ასე მინდა და ასე ვაკეთებო!

**— თანაც ასეთი აკრძალვა არ ეხება იმ ავტომანქანებს, რომლებითაც უმაღლესი თანამდებობის პირები გადაადგილდებიან მათი ოფლით მორწყულ ამ ცოდვილ მიწაზე.**

— ეს კიდევ ერთი უაზრობაა: მინისტრისთვის ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირისთვის ავტომანქანის მინების დაბურვა არის დაცვა მისი ძვირფასი სიცოცხლის, დანარჩენებისთვის უსაფრთხოება არის განბურვა. ესე იგი, ჩვენ უნდა ვჩანდეთ, რომ გადავრჩეთ, სააკაშვილი უნდა დაიმალოს, რომ გადარჩეს.

სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები ვართ!

აპარტეიდია ის, რაც თავზე მოგვახვიეს. საქართველოში თანამდებობრივი აპარტეიდი მძვინვარებს!

ბიუჯეტის ჭრილით თუ შევხედავთ ამ ყველაფერს, იოლად დავასკვნით: ფული გაუჭირდათ და ახალ-ახალ ხრიკებს მიმართავენ, ბოლო კაპიკები რომ წაგვართვან ქართულ საზოგადოებას.

ერთ კვირაზე მეტია, გააძვირეს სიგარეტი. უნდა ვკითხოთ ბატონ პრეზიდენტს — თამბაქოს ფასმა აიწია მსოფლიოში და ეს აისახა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზეც? თუ ცოტა ჰქონდათ თამბაქოს შემომტანებს მოგების „მარჟა"? უცხოეთში, იცით, რა ღირს სიგარეტი?

**— არ ვიცი.**

— მაქსიმუმ 18 ცენტი ერთი კოლოფი, ე.ი. მოგება კარგად რჩებოდათ. მაშ, **რატომ გააძვირეს? ალბათ, იმიტომ, რომ უფრო მეტი შეაწერეს. გვწეწავსო ხელისუფლება, ჩუმ-ჩუმად აღიარებენ იმპორტიორები. იმათ კი არ წეწავს, ჩვენ თავს აწეწვინებს. ისინი აძვირებენ და არაფერს იკლებენ. ჩვენ ვართ ცუდ დღეში — მოსახლეობა. ხელისუფლებისგან დადებული დამატებითი ხარკი ჩვენ გადმოგვაკისრეს.**

**— უცხოეთიდან შემოსულმა დახმარებებმაც იკლო?**

— რასაკვირველია. მე სულ იმას ვამბობდი, **არ აუღია მსოფლიოს ვალდებულება, რომ მათხოვარი ქართული სახელმწიფო სულ ვინმემ შეინახოს. იყო დრო, როცა გვეხმარებოდნენ და ძალიან ბევრსაც გვეხმარებოდნენ. ახლა რა მოხდა? რაშია საქმე? ამერიკის განსაკუთრებული გულუხვობა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ეტყობა, იმის მაჩვენებელია, რომ ის, რაც მაშინ მოხდა, არ იყო მარტო სააკაშვილის სისულელის შედეგი.**

# 20 მილიონს თუ გადაიხდი, ნებისმიერ რეიტინგში «გაიმარჯვებ»!

გავანებოთ თავი ამ მიზეზების ძიებას. ფაქტია, რომ დახმარება შემცირდა. ჯიბიდან ხომ არ უნდა ამოიღოს სააკაშვილმა? ამოიღოს კი არა, რამდენიც მიჰქონდა, იმდენის წაღება ხომ უნდა გააგრძელოს? მაგრამ როგორ, როცა აღარც შემოდის და აღარც ეკონომიკა არ იძლევა ამის საშუალებას? ამიტომ გვიჭერენ ღვედებს.

**— როდემდე?**

— მათი ტრაგედიაა, რომ პერსპექტივას არ ითვალისწინებენ, კერძოდ იმას, რომ ადრე თუ გვიან კრიტიკულ წერტილს მიაღწევ, რომლის იქით ადმინისტრირების ასეთ უხეშ პოლიტიკას შედეგი აღარ მოაქვს. თუ აღარაფერს შემარჩენ, გინდა დამაპატიმრე, გინდა ციხეში ჩამსვი, რაც არ გამაჩნია, რას გადავიხდი?!

**— ბაყაყებისა და ალიგატორების მოშენებით, „ეკოზოტიკური სიახლეების" დანერგვითა და ტრადიციული ქართული სოფლის მეურნეობის ორიენტაციის შეცვლით ხომ ცდილობენ შემოსავლების გაზრდას? თქვენი აზრით, ეს რატომ ხდება?**

— (*იცინის*) რატომ არ გაგიჩნდათ ეს შეკითხვა მაშინ, როცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნეს ვინმე ბაკურ კვეზერელი? ასაკმა არ დაგაინტერესათ, განათლებამ არ დაგაინტერესეთ, ინტელექტმა, ცოდნამ არ დაგაინტერესათ და ახლა მისი ნამოღვაწარის შედეგები გაინტერესებთ? ასე მოგვივიდა პრეზიდენტის არჩევნების დროსაც. ბაკურ კვეზერელი, აბა, სხვას რას გააკეთებს? თოხი, ბარი ხელში სჭერია? ბაყაყი, ალბათ, უნახავს.

**— ხარი ხომ მამალი ძროხაა?**

— (*იცინის*). სწორედ ასეთი ვითარებაა. კვეზერელი რომ მინისტრად გეყოლება, ასეთი სოფლის მეურნეობა გექნება ქვეყანაში.

კვეზერელი მაინც მეორადია: პრეზიდენტი თვითონ გეუბნება, რომ სინგაპურიზაციაა ჩვენი მიზანი და ამოცანა, სინგაპური, სადაც სოფლის მეურნეობა არ არსებობს. არ აქვს ამის შესაძლებლობა: 70 ათასი ჰექტარია მთელი სინგაპური, 62 კუნძულზე განლაგებული. 5 მილიონი კაცი ცხოვრობს. ჩვენთან სავარგულები ასჯერ მეტია. მაგრამ არ უნდა იარსებოს სოფლის მეურნეობამ საქართველოში, პრეზიდენტს არ უნდა და იმიტომ. როდემდე იქნება ასე? როდემდეც სააკაშვილი გვეყოლება. როცა შირაქის ველი დაუხნავი და დაუთესავი რჩება, ყველა შეკითხვა მოხსნილია.

**— ბოლო შეკითხვა, ბატონო ნოდარ: რა მოხდა ისეთი, რომ ლარის გამყარება დაიწყო?**

— ჩვენთან არაფერი არ ხდება კანონზომიერი ეკონომიკური პროცესების თვალსაზრისით. არ ვიცი, რა ხდება. მე არ ვიცი და გარწმუნებთ, რომ არ იცის არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, არც ქვეყნის პრეზიდენტმა. ხან ასეა, ხან ისეა. რატომ ხდება ასე? დიდი ხნის წინათ დავსვი ეს შეკითხვა. ხელისუფლებაში ამათი მოსვლის დღიდან დაიწყო სამწელიწადნახევრიანი ლარის კურსის გამყარება. სულ იმას ვკითხულობდი, რატომ ამყარებენ ლარს ქვეყანაში, რომელსაც 80 პროცენტი იმპორტი აქვს და 20 პროცენტი ექსპორტი, რადგან ლარის გამყარება არის იმპორტიორების წახალისება, მათთვის დამატებითი ზემოგების მიცემის შესაძლებლობა და, პარალელურად — ექსპორტიორების ზარალი. ეს ნიშნავს, რომ უნდა ვიყოთ მათხოვრების სახელმწიფო და ამიტომ უნდა ვიყოთ მთლიანად თურქულ იმპორტზე, იქაურ პროდუქციაზე სრულად დამოკიდებული. თურქეთს ახლა სხვა ქვეყნებიც მიემატა, მაგრამ პრინციპი არ შეცვლილა.

შემდეგ პერიოდში ლარის კურსი ეცემოდა. ახლა შევაბრუნეთ. რატომ? რომელიმე იმ მიზანს, რომელიც ამ პოლიტიკაში იყო ჩადებული, მივაღწიეთ? არა.

პირველ სამ წელიწადსა და ექვს თვეში თითოეულ იმპორტირებულ დოლარზე მთლიანობაში 80 თეთრი დამატებითი მოგება მიიღეს იმპორტიორებმა. წავიდა ეს მოგება სააკაშვილის ხროვის ჯიბეში.

ახლა პირიქით პროცესი განვითარდა და დააწვა ეს ყველაფერი, როგორც ვთქვით, ხალხს კისერზე.

**— ახლოვდება ის კრიტიკული ზღვარი, რომელსაც შეიძლება ხალხის ამბოხი მოჰყვეს?**

— არ ვიცი, გალატაკებული ხალხი კი არ ბოროტდება, არამედ, რასაც ვხედავ, უფრო ინტენსიურად იწევს ნაგვის ყუთებისკენ.

**— იმ ნაგვის ყუთებშიც რომ აღარაფერია?**

— ეგაა უბედურება... აქამდე ასე მეგონა, რომ უსამართლობა სამართლიანობისთვის ბრძოლას შობს. მაგრამ ვხედავ, რომ უსამართლობა საქართველოს საზოგადოების დიდ ნაწილში სრულ აპათიას იწვევს. მადლობა ღმერთს, არიან ადამიანები, რომლებსაც არ დაუკარგავთ ღირსების გრძნობა და სწორედ მათზე ვაკეთებთ გათვლას, როცა ვამბობთ, რომ ადრე თუ გვიან დავამხობთ ამ ხელისუფლებას.

**— დაამხობთ?!**

— დიახ, დავამხობთ, რადგან სხვა გზა არ არის. ვაიძულებთ, რომ წავიდესო, ამბობენ. ძალიან საეჭვოა! სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ უკან დასახევი ყველა ხიდი დაწვა.

თუ აღმოგვაჩნდა შინაგანი ძალა, წავიდეთ ბრძოლის გზით, თუ არა — წინ, სანაგვე ყუთებისკენ!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## მოკლედ

### ხელისუფლება ბავშვებს დაერია

**ლეიბორისტები ხელისუფლებას ბავშვების უფლებების დარღვევასა და დევნაში ადანაშაულებენ. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ძაგანიამ განაცხადა, მიხეილ სააკაშვილი ბავშვების შანტაჟს პოლიციის ძალით ახორციელებს და მათ თავისუფალი აზრის გამოხატვის შესაძლებლობას არ აძლევს.** როგორც ლეიბორისტები აცხადებენ, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციელები ბავშვებს ქუჩაში აჩერებენ, ჩხრეკენ, უღებენ ფოტოებს, უსვამენ შეკითხვებს და ბოლოს ეუბნებიან, რომ ისინი აღრიცხვაზე არიან აყვანილი. ძაგანიას თქმით, ეს სხვა არაფერია, თუ არა ბავშვების დაშინების მცდელობა და პირდაპირი შანტაჟი, რაზეც ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა აუცილებლად ოფიციალური განმარტებები უნდა გააკეთოს.

### იზრდება თუ მცირდება ბიუჯეტი?

**2011 წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტის შენიშვნებითურთ მთავრობას ორშაბათს, 15 ნოემბერს გადაუგზავნეს.** ამ პროექტის მიხედვით, მომავალ წელს საქართველოს ბიუჯეტი 7 მილიარდ 88 მილიონი ლარით განისაზღვრება. ამრიგად, ხელისუფლების მტკიცებით, მომავალი წლის ბიუჯეტი წლევანდელთან შედარებით 20 მილიონი ლარით იზრდება, მაგრამ საქართველოში ზუსტი მეცნიერებებიც კი სადავოა და სახელისუფლო არითმეტიკას ყველა ვერ ეთანხმება. „თავისუფალი დემოკრატებიც" ამას ამბობენ, მთავრობამ მათემატიკა არ იცისო და, ამ პროექტის მიხედვით, მომავალ წელს დაგეგმილი შემოსავლები წლევანდელზე ნაკლებიაო. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მთავრობა 4,5%-იან ეკონომიკურ ზრდას ელის. პარლამენტი პროექტს დეკემბრის ბოლოს დაამტკიცებს.

### უკრაინამ მეგობრობა გაგვიძვირა

**უკრაინის ახალმა საგადასახადო კოდექსმა ქართული პროდუქციის ექსპორტს პრობლემები შეუქმნა.** ჩაის მწარმოებელი კომპანიის „ქობულეთი აგრო" დირექტორის — თემურ ჯაშის თქმით, მიმდინარე წელს კომპანიამ უკრაინიდან 100 ტონა ჩაის ექსპორტის შეკვეთა მიიღო, თუმცა ექსპორტზე გადასახადის გაზრდის გამო, შესაძლოა, მას პრობლემები შეექმნას. შარშან უკრაინაში 43 ათასი ტონა ციტრუსის ექსპორტი განხორციელდა, მაგრამ მაშინ ექსპორტის გადასახადი 500 აშშ დოლარი იყო, ახლა 650 იქნება. უკრაინაში პრობლემები ქართულ ხურმასაც შეექმნა. მაშინ, როდესაც 1 ტონა ხურმას ქართველი ფერმერები 1000 აშშ დოლარად ყიდიან, უკრაინის საბაჟო სამსახურები მისი ექსპორტირებისთვის 400 აშშ დოლარს ითხოვენ.

### სანაგირის სამონასტრო კომპლექსი ჩამოინგრა

**გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში სანაგირის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი ჩამოინგრა.** სამონასტრო კომპლექსი იმდენადაა დაზიანებული, რომ მასში შემავალი რამდენიმე ნაგებობა რეაბილიტაციას უკვე აღარ ექვემდებარება. სოფელ ვაზისუბნის გამგებლის — მალხაზ სოლომნიშვილის განცხადებით, ტაძართან მისასვლელი გზა დაზიანებულია და, სანამ გზის რეაბილიტაცია არ მოხდება, ეკლესია ვერ შეკეთდება. „რამდენიმე დღის წინათ ძეგლთა დაცვის სააგენტოდან სპეციალისტები ჩამოვიდნენ. ეკლესიასთან მისასვლელი გზა დაათვალიერეს და ივარაუდეს, რომ გზის რეაბილიტაციას 600 ათასი ლარი სჭირდება", — აღნიშნა გამგებელმა. სანაგირის 7 წმინდანის სახელობის სამონასტრო კომპლექსი X-XI საუკუნეებში აიგო.

17 — 23 ნოემბერი, 2010 წელი. №42 (85)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ირმა ინაშვილი: პოლიციელებმა ახალგაზრდა კაცს ხელები დაუჭირეს და იმდენი ურტყეს, რომ ცემით ამოჰხადეს სული

**ორი თვის წინათ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა 21 წლის ბორჯომელი რევაზ არუცევის მკვლელობის შესახებ შემზარავი ინფორმაცია გაავრცელა. მედიაკავშირ „ობიექტივის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ამ დღეებში კიდევ ერთხელ შეახსენა „ფეისბუქელებს“ ბორჯომში მომხდარი მკვლელობის შესახებ და ადამიანის უფლებათა დამცველებს სპეციალური კომისიის შექმნისკენ მოუწოდა, რომელიც ამ და სხვა ფაქტებს გამოამზეურებს. რა მოხდა სინამდვილეში, რა წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ჩვენმა კოლეგამ ეს ინფორმაცია, დაისაჯა თუ არა დამნაშავე... — ამ და სხვა კითხვებით გაზეთმა „საქართველო და მსოფლიო“ „ობიექტივის“ დამფუძნებელს მიმართა.**



**— ირმა, რა მოხდა ბორჯომში და რა კავშირშია ამ მკვლელობასთან ბორჯომის პოლიციის უფროსი?**

— მოგეხსენებათ, ბორჯომთან პირდაპირი კავშირი მაქვს. იქ დავამთავრე სკოლა, ვიცნობ მთელ ქალაქს და, როცა ბორჯომელებს რაიმე უჭირთ, პირველ რიგში, მე მიკავშირდებიან. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. სწორედ ბორჯომელები დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ორიოდ თვის წინათ ბორჯომის პოლიციის უფროსი მამუკა ხვედელიანი „პიკაპის“ ტიპის ავტომანქანით გამოედევნა 21 წლის ბორჯომელ რევაზ არუცევს. იგი სოფელ დვირში, დეიდასთან მიემგზავრებოდა, როცა ხვედელიანი დაეწია და კეფაში 12 ტყვია ესროლა. ბორჯომელების თქმით, რომელთა ვინაობასაც გასაგები მიზეზების გამო ვერ გავამჟღავნებ, **არუცევის ცხედარი პოლიციელებმა რატომღაც გააშიშვლეს და გვამი არა ბორჯომის, არამედ ახალციხის პროზექტურაში გადაასვენეს. იქვე ჩაატარეს ექსპერტიზა, რა თქმა უნდა, მათთვის სასურველი შედეგებით.**

არუცევსა და ხვედელიანს შორის დაპირისპირება, ერთი შეხედვით, ბანალურ ნიადაგზე აღმოცენდა. 21 წლის რეზო ბორჯომის პოლიციამ „ნასედკად“ ვერ აქცია. უფრო მეტიც, არუცევი ხმამაღლა აპროტესტებდა ადგილობრივი პოლიციის ძალადობასა და თარეშს. ამის გამო, ბორჯომელების ცნობით, არუცევმა პირველი გაფრთხილება მიიღო. ის ცოტა ხნით დააპატიმრეს და იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ შეწყვეტდა პოლიციის გინებას. როგორც ჩანს, 21 წლის ახალგაზრდამ ხვედელიანის მუქარა სერიოზულად არ მიიღო და პოლიციის „დისკრედიტაცია“ განაგრძო, რის გამოც პოლიციის უფროსმა 12 ტყვია ესროლა და მოკლა.

**— არის თუ არა ეს ინფორმაცია გადამოწმებული რამდენიმე სხვა წყაროსთან?**

— რა თქმა უნდა. მოწოდებული ინფორმაცია მინიმუმ 7 წყაროსთან გადავამოწმე, მათ შორის, თვითმხილველებთანაც. **ყველა პოლიციის უფროსს ადებს ხელს. როგორც მითხრეს, ამ მკვლელობის შემდეგ, არუცევების ოჯახი მკაცრად გააფრთხილეს, ხმა არ ამოეღოთ, თორემ... ოჯახის დანარჩენ წევრებსაც „მოუვლიდნენ“. მთელი ბორჯომი დადუმდა შიშისა და უმწეობისგან. გასვენებაშიც ძალიან ცოტა ადამიანი მივიდა, მიუხედავად იმისა, რომ არუცევების ოჯახი ერთ-ერთი ცნობილი ოჯახია ბორჯომის რაიონში.**

ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, გადავწყვიტე, სოციალურ ქსელში გამევრცელებინა ეს ამბავი, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა როგორც უფლებათა დამცველების, ისე ჩვენი კოლეგების მხრიდან. მოგვიანებით ჟურნალისტმა დარეჯან მეფარიშვილმა ფაქტი გადაამოწმა და ბორჯომელებმა იგივე დაადასტურეს, პოლიციამ კი კომენტარი არ გააკეთა. თემაზე მუშაობისას ისიც შევიტყვე, რომ ბორჯომის პოლიციის უფროსი ვახტანგ გორგასლის ორდენით ყოფილა დაჯილდოვებული, ალბათ, იმ „დამსახურებისთვის“, რომ ბოლომდე დაამონა ბორჯომის ერთ დროს ამაყი და ღირსეული მოსახლეობა. მაგრამ დღეს ყველას ეშინია და საკუთარ ოჯახებში არიან გამოკეტილნი. ამ შიშს საფუძველიც აქვს. თუ კონკრეტულ ოჯახს გაუჭირდება, მან იცის, რომ ვერავინ დაეხმარება. გმირობასა და თავგანწირვას კი ყველას ვერ მოვთხოვთ.

**— სამცხე-ჯავახეთი შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მშობლიურ რეგიონადაა ცნობილი. ბუნებრივია, ხვედელიანის საქმიანობის შესახებაც ინფორმირებული იქნება, ბოლოსდაბოლოს, მისი დანიშნულია პოლიციის უფროსად...**

— რა თქმა უნდა, ხვედელიანი მერაბიშვილის კადრია, ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირი. მას მერაბიშვილთან დაცვის პოლიციის მაღალჩინოსანი, ასევე, ბორჯომელი კახა ლეგაშვილი ლობირებს. მოკლედ, ხვედელიანს „მწვანე შუქი“ აქვს ანთებული.

მინდა, კიდევ ერთი მკვლელობის შესახებ მოგახსენოთ ინფორმაცია. **რამდენიმე თვის წინათ ბორჯომში კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი შეეწირა პოლიციელთა თვითნებობას. კახა შიუკაშვილი 42 წლის იყო. ის ავტოშეკეთების სადგურში, იგივე „პროფილაქტიკაში“ მუშაობდა. ბორჯომელების ცნობით, პოლიციელებს შიუკაშვილთან სრულიად უმიზეზოდ მოუვიდათ კონფლიქტი. ახალგაზრდა კაცი გააკავეს, ხელები დაუჭირეს და იმდენი ურტყეს, რომ ცემაში ამოჰხადეს სული.** ოჯახი ამ შემთხვევაშიც დააშინეს. ვერც ბორჯომელებმა ამოიღეს ხმა, რადგან დანაშაულის გამომზეურება აქ მხოლოდ სიკვდილზე წასვლას ნიშნავს.

**— ირმა, ამ ფაქტების შესახებ თუ მიმართე სახალხო დამცველს?**

— არა, არ მიმიმართავს, რადგან ვთვლი, რომ სააკაშვილის მიერ დანიშნული სახალხო დამცველი ობიექტური, დამოუკიდებელი და თავისუფალი არ არის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში. ამიტომ **მივმართავ ადამიანის უფლებათა დამცველებს, ადვოკატთა ასოციაციას და ვთხოვ: შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ბორჯომის რაიონული პოლიციის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს შეისწავლის. ბორჯომელებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი მარტონი არ არიან, რომ მათ მხარს უჭერენ ჟურნალისტები, ადამიანის უფლებათა დამცველები.** არ შეიძლება ასე დაამონონ რეგიონები. რეგიონებს მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება.

**— გავიგე, რომ შენი პატარა იუმორისტული წერილის — „კეთილი“ ვანოს ფიქრები — სახლში, შვილებთან ვიქნები“ — გამოქვეყნების შემდეგ, ტელეფონით დაგიკავშირდნენ და გაგაფრთხილეს, წერას თავი დაანებეო. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს ინფორმაცია?**

— ბონდო, შენც კარგად იცი, დღეში რამდენი „კეთილისმსურველი“ გვიკავშირდება... მართალია, დამირეკეს... მაგრამ ჩემს ტელეფონზე, როგორც წესი, დღეში ერთხელ მაინც ირეკება და ასეთ ზარებს შეჩვეული ვარ.

**— ასეთი რამ არ ხდება ხოლმე, მაგრამ მე მინდა, დავარღვიოთ ინტერვიუს ტრადიციული სტილი და მკითხველს შევთავაზოთ ფრაგმენტი შენი ჩანახატიდან...**

## „კეთილი“ ვანოს ფიქრები – „სახლში, შვილებთან ვიქნები...“ იქნები, რო?!

**შინაგან საქმეთა მინისტრი: „იმედია, გუშინ დაგატკბეთ და კარგადაც დაგეძინათ... ამ ბოლო დროს ხომ ყველას უძილობა გჭირთ... ალბათ, მიმიხვდით, რისი თქმაც მსურდა... თუ ვერ მიმიხვდით, ახლავე დაგეხმარებით გონების გავარჯიშებაში: პირველი და მთავარი: მოწოდება „ყველანი ციხეში“ ახალ ფაზაში შედის, უახლოეს ხანში დარჩენილებსაც მოგაკითხავთ...**

**პურის გამყიდველი მაყვალა სამშობლოს გაყიდვაშია შემჩნეული; პარიკმახერი სერჟიკა საეჭვო სიხშირით კრეჭს თმას ეროვნებით რუს ვალოდია ივანოვს; უბნის პედიატრი ეთერი ხელისუფლების ლანძღვა-გინებას თავს არ ანებებს... ტაქსის მძღოლი ედიკა? ის უკვე დავაპატიმრეთ! სხვა ედიკაცაა?!. ჰო, მე-9 კორპუსის მე-2 სადარბაზოს მე-5 სართულზე კვირაში ერთხელ იკრიბებიან... ვინ? სტუდენტები. ნაწილი „პატრიოტთა პროექტის“ ფარგლებში დააფინანსეთ, ნაწილს — ნარკოტიკი მოუმზადეთ ჯიბეში ჩასაცურებლად...**

**ჭორები, ჭორებია საჭირო. ჩვენ აღმოვაცენებთ „ახალ პედერასტებს“, „ახალ ლოთებს“, „ახალ კორუმპირებულებს“... ახალ ბოზებს დავიცავთ, ბოზები ჩვენი ხერხემალია. მე მიშას ხერხემალი ვარ, ბოზები — ჩემი!**

**ახლა მითხარით, არა ვარ კეთილი და საყვარელი?! გუშინ რა გულწრფელი ვიყავი?! ჩემს სიტყვებზე თვითონ მეტირებოდა... აი, ის ფრაგმენტი იყო ყველაზე გულისამაჩუყებელი, შვილებთან დაბრუნებაზე რომ ვოცნებობ. რა გინდათ, რას მერჩით, არ მინდა პოლიტიკაში ჯერ...**

**ახლა ყური დამიგდეთ. მალე „ენვერის“ პარტნიორ „სტალბერზე“ ვაჩვენებინებთ „რუსთავი 2“-ს საგამოძიებო ფილმს. ვისაც არ გინდათ, რომ ამ ფილმში მთავარ გმირებად მოხვდეთ, ითანამშრომლეთ ჩვენთან და დააბეზღეთ (წერილობითი ფორმით) მეზობლები. აი, ის ჟურნალისტი რა გვარია? ჰო, ეგ ნაღდად ყელში ამოვიდა. დააკვირდით და შემოგვიარეთ, როცა მანი-მანი დაგჭირდებათ...**

**„საქართველო ვანოსიაო“... აბა, რა არის ჩემი? რომელი ტელევიზიაა ჩემი? რომელი ინტერნეტპროვაიდერია ჩემი? რომელი მიწის ფართობებია ჩემი აჭარაში და სხვაგან? რას მაბრალებთ, რომ itv.ge-ც დავიპყარი? მხოლოდ კომპანიის საკონტროლო პაკეტი ვიყიდეთ. ისიც ისე, რომ ძველი მესაკუთრისთვის თანხა არ გადაგვიხდია... ხედავთ, რა მოწყალე ვარ? შემიყვარეთ...**

**თქვენი ვანო“.**

**— აი, ასეთი რეჟიმი მოქმედებს დღეს ჩვენს ქვეყანაში და რას ფიქრობ შენ, როგორც ჟურნალისტი, როგორი პოლიტიკური კონფიგურაცია ყალიბდება?**

— იმ 8 თუ 7 პარტიას, რომლებიც არჩევნებზე საუბრობენ და ხელისუფლებასთან დიალოგის მომხრენი არიან, საზოგადოების ნდობა არ აქვს. **საზოგადოებამ დაინახა, რომ არჩევნების გზით, სააკაშვილი არ აპირებს ხელისუფლებიდან წასვლას... მაშ, რა აზრი აქვს საარჩევნო კანონმდებლობის თემით სპეკულაციას?** ან „ქართული აკადემია“ რომ აწყობს შეხვედრას 8 პარტიასთან და გვეუბნება, რომ პოლიტიკური პარტიებისგან პასუხი უნდა მოისმინოს, რა უნდათ... „ქართულმა აკადემიამ“ ადგილობრივ არჩევნებში მხარი ირაკლი ალასანიას დაუჭირა, ხოლო ალასანიას დღეს რა რეიტინგი და სახელი აქვს, ამის განმარტებაზე დროს არ წაგართმევთ. **მართალია, ირაკლი, განსხვავებით გიორგი თარგამაძისგან, ვანო მერაბიშვილის აგენტი არ არის, მაგრამ ისიც ისევე ეძებს მხარდაჭერას ამერიკის კარზე, როგორც თარგამაძე და როგორც ნოღაიდელი — კრემლში. ამ გზაზე ალასანია მზადაა, ხელისუფლებას 2013 წლის ჩათვლით ელაპარაკოს და თან — აკადემიურ სტილში.**

ქართულ საზოგადოებას დღეს აღარ უნდა ამერიკის ან რუსეთის მიერ დასმული პრეზიდენტი ან ხელისუფლება, ამიტომ ალასანიას პოზიცია ხალხისთვის მიუღებელი და გაუგებარია. 8 პარტიას, რომლებიც 6 ნოემბერს სასტუმრო „მეტეხი-პალასში“ შეიკრიბნენ, საზოგადოებამ „ცამეტიანელები“ შეარქვა, ანუ პარტიები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმთან შეგუებას 2013 წლის ჩათვლით აპირებენ და ხელისუფლების ცვლილების გზას მხოლოდ არჩევნებში ხედავენ. თუმცა **საზოგადოებასა და ხალხს აქვს აჯანყების კანონიერი უფლება, თუ რეჟიმი საკუთარი მოქალაქეებისგან სრულ იზოლაციაშია.**

**— გამოდის, რომ შენ აჯანყების მომხრე ხარ?**

— მე ვარ საპროტესტო მოძრაობის განახლებისა და სააკაშვილის შემდეგ ხელისუფლებაში ქართული ძალის მოსვლის მომხრე. ამაში საკუთარ წვლილს აუცილებლად შევიტან.

**— „ქართული პარტიაც“ სწორედ მაგ მიზნით შეიქმნა...**

— ეს არ არის ქართული პარტია. მხოლოდ სახელწოდებაა გამოყენებული, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით. რომელია ქართული საქმის გამკეთებელი, ეროსი კიწმარიშვილი? **მეცნიერმა გელა დოლიძემ რადიო „ობიექტივში“ სტუმრობისას პირდაპირ ეთერში გაიხსენა, „ვარდების რევოლუციის“** ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**◀ შემდეგ, როგორ ემუქრებოდა კიწმარიშვილი ერთ-ერთ დაპატიმრებულ ბიზნესმენს, — თუ საკონტროლო პაკეტს არ გადმოაფორმებ, გაგაუპატიურებთო... პირდაპირ ციხეში შედიოდა და ემუქრებოდა.**

**— სატელეფონო ზარები, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, უკავშირდება თუ არა შენს საქმიანობას, განსაკუთრებით, „ობიექტივის" ვიზიტებს ევროპაში, ევროსტრუქტურებში, სადაც სერიოზულ დისკომფორტს უქმნით საქართველოს ხელისუფლებას?**

— არ გამოვრიცხავ... 14 ოქტომბერს ჩვენ ბრიუსელში ევროპარლამენტარებს შევახვედრეთ ბუტა რობაქიძის დედა, როინ შავაძის, მერაბ რატიშვილისა და ვახტანგ მაისაიას მეუღლეები... საერთაშორისო მედია-ცენტრში ვაჩვენეთ დოკუმენტური ფილმი „ქალაქში მკვლელია". ახლა ვამზადებთ შეხვედრას „ფიჯის" ხელმძღვანელობასთან. ეს ერთ-ერთი გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელმაც საქართველოში 8 პოლიტპატიმრის არსებობა აღიარა და დაადასტურა.

**— დაბოლოს, რას ფიქრობ იმის შესახებ, რომ პერიოდულად იწყება შეტევა მართლმადიდებელ ეკლესიასა და პატრიარქზე, პოლიტიკური სპექტრი კი ნაკლებად ან საერთოდ არ აქცევს ყურადღებას ამ თემას, სამლოცველო კუთხეები კი ყველა სკოლაში გააუქმეს... რაც გვჭირს, ალბათ, ისევ ურწმუნოების გამო გვჭირს, მაგრამ არც მღვდელმთავრები გამოირჩევიან დიდი აქტიურობით. როგორ ფიქრობ, რა უნდა იყოს ყოველივე ამის მიზეზი?**

— ხელისუფლებამ ეკლესიაზე შეტევა ჯერ კიდევ 2004-2005 წლებში დაიწყო, როცა „თავისუფლების ინსტიტუტი" სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე „დიდ შეთქმულებას" გეგმავდა. **ტელევიზიის ჟურნალისტებს სამუშაო ოთახებიდან ხატები ჩამოახსნევინეს... ეს იყო დევნა რელიგიური ნიშნით... მაგრამ, როცა მართლმადიდებელთა უფლებები ილახება, ეს არ არის აქტუალური, აქტუალურია, როცა სექტანტებს კარს ვუხურავთ და ოჯახებში არ ვუშვებთ... თურმე, მათ უფლებებს ვლახავთ.**

სწორედ 2004 წელს „თავისუფლების ინსტიტუტი" გეგმავდა შეტევას პირადად კათოლიკოს-პატრიარქზე. მახსოვს, ე. წ. რელიგიის თათბირებზე, რომელიც პირველ არხზე იმართებოდა, ბასილ კობახიძემ ბრძანა: „ილია მეორე დაბერდა და ველარ მართავს ეკლესიას, საჭიროა მისი შეცვლაო"... მე ვკითხე: „შემცვლელში, იმედია, საკუთარ თავს არ გულისხმობთ-მეთქი".

**პარტიარქის შეცვლა ხელისუფლებისთვის სანდო და მორჩილი მწყემსმთავრით, რა თქმა უნდა, შედიოდა ხელისუფლების ინტერესში, მაგრამ ეს იყო დიდი რისკი. და როცა გავახმაურეთ რელიგიის თათბირების თემა, ეს შეტევა დროებით შეჩერდა. თუმცა შემდეგ წლებში კიდევ არაერთი მაგალითი ვნახეთ, როგორ ებრძოდნენ უწმინდესს...**

სამწუხაროდ, ზოგიერთი საეკლესიო პირი ხელისუფლებამ პირდაპირ ჩართო არჩევნების პროცესში. მიზანი კი ისევ და ისევ ეკლესიის დისკრედიტაცია იყო, მაგრამ უკანასკნელმა გამოკითხვებაც კი ცხადყო, რომ ეკლესიისადმი საზოგადოების ნდობა ყველაზე მაღალია.

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**

---

## დიმიტრი ლორთქიფანიძე:
# ქართულ ციხეებში ტუბერკულოზის ეპიდემიაა

**საპარლამენტო უმცირესობის წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ, რომელიც ბოლო თვეების მანძილზე პარლამენტის თავმჯდომარისგან საპატიმრო ადგილებში შესვლის უფლებას უშედეგოდ ითხოვს, სახალხო დამცველს, გიორგი ტუღუშს მიმართა, სასჯელაღსრულების ორ დაწესებულებაში მონიტორინგი განახორციელოს.**



ნიკოლოზ (კოკა) ფრუიძე

**დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, უმძიმესი მდგომარეობაა ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა დაწესებულებასა და გლდანის №8 საპატიმროს კარანტინის განყოფილებაში. მისი თქმით, არაადამიანურ პირობებში 14 დღის გატარება მოუხდა ჯანდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ახლახან დაკავებულ ნიკოლოზ (კოკა) ფრუიძეს. მას ბრალად ედება 2009 წელს, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში გამოიხატა.**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, პარლამენტარი:**

— მე ცოტა ხნის წინათ პარლამენტის სხდომაზე განვაცხადე გლდანის №8 დაწესებულების ე. წ. კარანტინის განყოფილებასა და ქსნის ტუბდაწესებულებაში არსებულ საშინელ მდგომარეობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი შტოდან ამ საკითხებს დღემდე არავინ გამოხმაურებია. ამიტომ კიდევ ერთხელ თქვენი გაზეთის ფურცლებზე მინდა გამოვხატო მწვავე პროტესტი ამასთან დაკავშირებით.

**გლდანის დაწესებულების ე. წ. კარანტინის განყოფილებაში, სადაც ადმინისტრაციას პატიმრის გაჩერების უფლება მხოლოდ 48 საათის განმავლობაში აქვს, ადამიანებს 14-15 დღით აჩერებენ ისე, რომ 60 ადგილზე, პრაქტიკულად, 200 ადამიანი მოდის.**

ეს წამების ნაცნობი ფორმა იყო ჯერ კიდევ ბოლშევიკური რუსეთის დროს, რაც ასახულია კიდეც ოკუპაციის მუზეუმში, რომელიც თბილისში გაიხსნა. **წამების ერთ-ერთი ასეთი ფორმაა ტრამვაის ვაგონად წოდებული ვითარება, როდესაც ადამიანებს მასობრივად ყრიან კამერაში, ისე, რომ ტევა არ არის და ამით ახდენენ მათზე ფიზიკურ ზეწოლას.** ძალიან ბევრი ადამიანია ასეთი დამოკიდებულებისა და მოქმედების მსხვერპლი. მათ შორის აღმოჩნდა ბატონი კოკა ფრუიძეც, რომელიც 14 დღის განმავლობაში ჰყავდათ ისეთ პირობებში, რომ არ ჰქონდა არც დაბანის, არც დაძინების საშუალება (უბრალოდ, ვერც კი წამოწვებოდა, რადგან ამის ადგილიც არ იყო). ასეთ მდგომარეობაში ადამიანების ყოფნა, რა თქმა უნდა, გაიგივებულია წამებასთან.

არასამთავრობო ორგანიზაციებიც დაეთანხმნენ ჩემს განცხადებას, იმიტომ, რომ მათაც აქვთ იგივე ინფორმაცია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ გვეთანხმება ხელისუფლება და არც პასუხის ღირსად გვთვლის. იგივე მინდა ვთქვა **ტუბერკულოზით დაავადებულთა ქსნის დაწესებულებაზეც, სადაც 477 ადგილზე 800 პატიმარია.**

**— სამწუხაროდ, ციხეებში გავრცელდა ტუბერკულოზი, აქამდე ასეთი მასობრივი ეს დაავადება არ ყოფილა...**

— რა თქმა უნდა, ეს არის პირდაპირი ინდიკატორი იმისა, თუ რა ხდება ციხეებში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **დღეს ქართულ ციხეებში ტუბერკულოზის ეპიდემიაა. ამის მნიშვნელოვნად ხელშემწყობი გარემოებაა გადატვირთულობის პრობლემა, რომელიც მთლიანად სისტემას ახასიათებს.** 30 ათასზე მეტი პატიმარი იმყოფება უკვე საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო უძლურია ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოახდინოს ყველა იმ მსჯავრდებულისთვის, რომლებიც ასეთ სამედიცინო დახმარებას საჭიროებს. ამის ნათელი დადასტურებაა ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების გამოვლინების სიხშირე ე. წ. სკრინინგის ფორმით. ყოველკვირეულად წარმოებს სკრინინგი, რაც გულისხმობს ტუბერკულოზით დაავადებულის ნახველის სინჯის ანალიზით გამოვლინებას და ყოველკვირეულად ეს ციფრი მატულობს.

**— რაც შეეხება ნიკოლოზ ფრუიძეს, ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, რატომ გამოიყენეს მასზე სადამსჯელო ღონისძიება?**

— არ მაქვს ინფორმაცია და ამ საკითხზე მე კომენტარს არ ვაკეთებ, იმიტომ, რომ ეს არ განეკუთვნება ჩემს კომპეტენციას. ვინაიდან თავად ბატონ ფრუიძეს არ გაუკეთებია ამასთან დაკავშირებით განცხადება. მე, უბრალოდ, დავაფიქსირე ის პირობები, რომელშიც 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდა, სანამ საკანში გადაიყვანდნენ.

**— პოლიტიკური შეფასება რომ გავუკეთოთ ფრუიძის დაკავების საკითხს. ვაქცინაციაზე, რომელშიც თითქმის მთელი სახელმწიფო აპარატი იყო ჩართული ღორის გრიპთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობა არ უნდა გაეზიარებინა იგივე მინისტრს, თუნდაც სუსტი კონტროლისთვის?**

— რეალურად, დანაშაულისთვის, რისთვისაც ბატონი კოკა ფრუიძე მიეცა პასუხისგებაში, შეუძლებელია მხოლოდ ერთი პირი ყოფილიყო მხილებული. გეთანხმებით, როდესაც ცხადდება ტენდერი, როდესაც ტენდერის პირობები და მასში მონაწილეები არ არის გამჭირვალედ წარმოდგენილი, აქ ერთი პირის პასუხისმგებლობაზე საუბარი ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ ვიმეორებ, ფრუიძის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც დღესდღეობით ასეთი რეპრესიული პოლიტიკის მსხვერპლიც გახდა ციხეში, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად იმ გარემოებების შეფასება, რომლებიც ჩემთვის ბოლომდე ცნობილი არ არის. შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ ბატონი ფრუიძისადმი მოპყრობის საკითხებით შემოვიფარგლები და მიმაჩნია, რომ **მაშინ, როდესაც ხელისუფლება თავისი გუნდის თუნდაც ყოფილ წევრს ასეთი არაადამიანური მეთოდებით ეპყრობა, ბუნებრივია, სხვა ადამიანები არ იქნებიან დაზღვეული ამისგან და ამის ნათელი დადასტურებაა ის სურათი, რომელიც დღეს გლდანის №8 საპყრობილის კარანტინის განყოფილებაში ხდება. კარანტინის განყოფილება დღეს, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის არაჩვეულებრივი ინსტრუმენტი ხელისუფლების ხელში.**

**— თქვენ არაერთხელ მიმართეთ პარლამენტის თავმჯდომარეს, მოეცა უფლება, შესულიყავით საპატიმრო ადგილებში. მისი უარი იმაზე ხომ მეტყველებს, რომ ხელისუფლებას არ სურს, თქვენ ნახოთ ციხეში არსებული სიტუაციის რეალური სურათი?**

— რა თქმა უნდა, დღევანდელი ტოტალური მოსმენის პირობებში ხელისუფლებისთვის ცნობილია თითოეული ნაბიჯი, თითოეული განზრახვა, როდესაც უფლებადამცველი აპირებს, ციხეში მოინახულოს ესა თუ ის პირი, რომელიც მას ტელეფონით ან წერილის საშუალებით უკავშირდება. დღეს ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება. ბუნებრივია, ხელისუფლებისთვის ძალიან დიდი უხერხულობის შემქმნელი იქნება ის მდგომარეობა, რაც მე აგიწერეთ. ეს ინფორმაცია სანდო წყარომ მომაწოდა და 100 პროცენტით რეალურია. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის ჯგუფი დასკვნას დადებდა, ამასთან დაკავშირებით, გარკვეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა გამოკვეთილიყო. როდესაც ხელისუფლება აქტიურად იყენებს ბერკეტად არაადამიანურ პირობებს, ბუნებრივია, არ არის დაინტერესებული იმით, რომ ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, ვინაიდან ის ვინმე ამ დაკვეთის პირდაპირი აღმსრულებელია.

**— მოტივად რას ასახელებს დავით ბაქრაძე, როდესაც უარს გეუბნებათ?**

— მოტივი არის აბსურდული. პარლამენტის თავმჯდომარეს არგუმენტი არ გააჩნია, ვინაიდან იგი აცხადებს, რომ, თუკი მე ვიყავი თავის დროზე მონიტორინგის ჯგუფის წევრი, უნდა გამოვიჩინო კოლეგიალობა იმ პარლამენტის წევრების მიმართ, რომლებიც დღეს არიან ამ მონიტორინგის ჯგუფში, რაც, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა ლოგიკას მოკლებული, რომ არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ის ორი პარამენტის წევრი, რომლებიც დღეს წარმოადგენენ პენიტენციური სისტემის მონიტორინგის მუდმივმოქმედ საპარლამენტო ჯგუფს, არის მოქმედი საპარლამენტო უმრავლესობიდან. გარდა ამისა, **მაინტერესებს, მონიტორინგის ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ბატონ ჰოვანესიანსა და პატიმრებს შორის რა ენაზე ხდება კომუნიკაცია? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონმა ჰოვანესიანმა ქართული არ იცის. შესაბამისად, მას მსჯავრდებულ პირებთან კონტაქტისა და კომუნიკაციის პრობლემა უნდა ჰქონდეს.**

ასე რომ, ყველა ის არგუმენტი, რომლებიც მე წარმოვადგინე, უნდა გაითვალისწინონ, დროულად აღადგინონ სამართლიანობა და აუცილებლად დამიშვან მუდმივმოქმედ საკომისო ჯგუფში, როგორც ერთადერთი წარმომადგენელი ადამიანის უფლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიაში, უმცირესობის მხრიდან. სხვა უმცირესობის წარმომადგენელი ან სხვა ოპოზიციონერი წევრი ჩემ გარდა ამ კომიტეტში არ არის.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

**წამების ერთ-ერთი ასეთი ფორმაა ტრამვაის ვაგონად წოდებული ვითარება, როდესაც ადამიანებს მასობრივად ყრიან კამერაში, ისე, რომ ტევა არ არის და ამით ახდენენ მათზე ფიზიკურ ზეწოლას.**

**ტუბერკულოზით დაავადებულთა ქსნის დაწესებულებაში 477 ადგილზე 800 პატიმარია.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაბრაზებულნი



**მამუკა კაციტაძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

დღეს სააკაშვილის ხელისუფლება გაკოტრებულია. ამაზე მეტყველებს ავადმყოფურად მასშტაბური პიარ-კამპანია, რასაც სააკაშვილი ყოველდღე ატარებს, იგი ხან ჰაერიდან ჩამოგვძახის სისულელეებს, ხან ზღვიდან ამოგვძახის, ხანაც ვითომ ყანაშია და სოფლის მეურნეობის თემაზე მასტერკლასებს ატარებს.

*„ყველა სიახლე“*



**დავით მაღრაძე,**
**პოეტი:**

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ნაწილი გავიქცეთ ამ ქვეყნიდან, ნაწილი ციხეში გამოგვამწყვდიონ, ნაწილს კი ყოფის ისეთი მძიმე პირობები შეუქმნან, რომ საბოლოოდ დააბეჩაონ, ანუ ყველაფერს აკეთებენ, რომ ამ ქვეყნიდან გაგვაქრონ, ჩვენს ადგილას უცხო ხალხი მოიყვანონ, სინგაპურად გვიქციონ სამშობლო, რომლის განცდაც მაგათთვის უცხოა. ამ ხელისუფლების დიდი ნაწილისთვის საქართველო მხოლოდ ტერიტორიაა, საიდანაც უნდათ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღონ.

*„ყველა სიახლე“*



**კარლო კოპალიანი,**
**ცაგერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი:**

ხალხი აღშფოთებულია და ითხოვს კვეზერელის გადადგომას. მე მხარს ვუჭერ მათ მოთხოვნას. კვეზერელი, შვიდი წელია, სოფლის მეურნეობის სამინისტროშია, ჯერ მინისტრის მოადგილე იყო, ოთხი წელია, მინისტრია და ერთხელაც არ ჩამოსულა ლეჩხუმში. იქ დაბრძანდება, სადაც პრობლემა არ არის, რადგან, სხვაგან რომ ჩავიდეს, შეიძლება თავგატეხილი წამოვიდეს გლეხებთან შეხვედრის შემდეგ.

*„ყველა სიახლე“*



**კობა დავითაშვილი,**
**„სახალხო პარტიის“ ლიდერი:**

ჩვენი მთავარი ამოცანა თუ ის არ არის, ვინ იჯდება სააკაშვილის ადგილზე, გავერთიანდეთ უფრო დიდი მიზნის ირგვლივ. დღეს ისეთი უცნაური ვითარება შეიქმნა, რომ ხელისუფლებას უფრო აწყობს ვადამდელი არჩევნები. ოპოზიცია არ არის ერთიანი, ერთმანეთთან კინკლაობით დაკავებულები არიან, სოციალური საკითხები არ არის წამოწეული, ჯერ არ არის მიღებული ახალი საარჩევნო კანონი. აქედან გამომდინარე, დრო ცოტაა, დროზე უნდა გავერთიანდეთ.

*„ალია“*



**ირაკლი სესიაშვილი,**
**ექსპერტი:**

ადამიანები, რომლებსაც პრეზიდენტი სააკაშვილი წლების განმავლობაში პატრიოტებსა და სუპეროფიცრებს ეძახდა, ერთ დღეში ქუჩაში გაყარეს. ასეთივე მიდგომა იყო ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის დროსაც, მისი წყალობითაც ბევრი ოფიცერი დარჩა ქუჩაში. როდესაც ბაჩო ახალაიას ვკითხე, აპირებდა თუ არა ამ ძველი ოფიცრების მიმართ ყურადღების გამოჩენას, მიპასუხა, წინა მინისტრების გადაწყვეტილების გადასინჯვას არ ვაპირებო.

*„ყველა სიახლე“*

# «ვარდების რევოლუციის» შემდეგ შიდსით დაავადებულთა რაოდენობამ სამჯერ მოიმატა

**საქართველოში შიდსით დაინფიცირების შემთხვევებმა მკვეთრად იმატა. წელს უკვე შიდსით ინფიცირების 366 შემთხვევა დაფიქსირდა. შიდსის გავრცელებას ხელს უწყობს ნარკომანიის ფართოდ გავრცელება. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, არასახარბიელო მდგომარეობაა, რასაც ხელს უწყობს მოსახლეობის მზარდი მიგრაცია და ფართო საერთაშორისო კონტაქტები, ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების, სადეზინფექციო და სასტერილიზაციო საშუალებათა ნაკლებობა, სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი უნარ-ჩვევები ინფექციათა გადაცემის პროფილაქტიკის საკითხებთან დაკავშირებით, პრეზერვატივებზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება, შიდსის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე.**

შიდსი, რომელსაც ხალხმა XX საუკუნის შავი ჭირი უწოდა, დღეს კაცობრიობისთვის ყველაზე დიდ საფრთხედაა მიჩნეული, თერმობირთვული ომის შემდეგ.

მართალია, მსოფლიო სტატისტიკით, საქართველო მიეკუთვნება შიდსის გავრცელების დაბალი რისკის მატარებელ ქვეყნებს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, **არაოფიციალური მონაცემებით, შიდსით ინფიცირებულთა რაოდენობა საქართველოში 2593 (ოფიციალური მონაცემები) კი არა, 4000-ია, ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს ციფრი უკვე საგანგაშოა.**

რამდენიმე წლის წინათ უცხოელი ექსპერტები ქვეყანაში არსებული ფაქტორების გათვალისწინებით გვაფრთხილებდნენ, რომ საქართველოს შიდსის ფართომასშტაბიანი ეპიდემია ემუქრებოდა. უცხოელი ექსპერტების დიაგნოზს ქვეყნის შიგნით მოქმედი მთელი რიგი ფაქტორები იძლეოდა. მივყვეთ თანმიმდევრულად: **საქართველოში ყოველდღიურად მინიმუმ ერთი ადამიანი ინფიცირდება შიდსით. განსაკუთრებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს მზარდი მიგრაცია და ღია, „ფარღალალა“ საზღვრებზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკა. ცნობისთვის, „ვარდების რევილუციის“ შემდეგ შიდსით დაავადების შემთხვევებმა საშუალოდ 3-ჯერ იმატა. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ არავინ აქცევს ყურადღებას „სტუმრების“ ჯანმრთელობას.**

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა, გაიარეს თუ არა საქართველოში ჯანმრთელობის შემოწმება განათლების სამინისტროსა და პრეზიდენტის ინიციატივით დიდი ზარ-ზეიმით ჩამობრძანებულმა ინგლისურის პედაგოგებმა.

**თუ გავიხსენებთ, ზუგდიდის მე-4 სკოლის ინგლისურენოვან მასწავლებელთან დაკავშირებულ სკანდალს და მის საყოველთაოდ ცნობილ ფოტოებს, მოწვეულ პედაგოგთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება აუცილებელიც კია, რადგან მოწვეული პედაგოგი თომას ფლეთჩერი, არაჯანსაღ ორიენტაციაში ამხილეს.** მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით კი, შიდსის გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე დიდ რისკფაქტორად სწორედ არაჯანსაღი სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები ითვლებიან.

**გასაგებია, რომ ამ „მოხალისე“ მასწავლებლებს არ მოსთხოვეს უმაღლესი განათლების დიპლომი, პედაგოგიური გამოცდილება. მაგრამ, როცა სრულიად უცხო ადამიანს, განსხვავებული, ხშირ შემთხვევაში ქართული ხასიათისთვის მიუღებელი აზროვნებითა და მენტალობით, უშვებ ბავშვებთან, ელემენტარული სამედიცინო შემოწმება ხომ მაინც უნდა ჰქონდეს გავლილი?!**

როგორც ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში განგვიცხადეს, ამ პედაგოგებს მათთან შიდსსა და აივ-ინფექციებზე არანაირ შემოწმება არ გაუვლიათ. **განათლების სამინისტროს პრესცენტრის განცხადებით კი,** ამ მასწავლებლებმა **ამერიკაში გაიარეს სამედიცინო შემოწმება...**

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. ჯამრთელობის ცნობა თუ ჰქონდა, **ხულოში რატომ გაუშვეს ასთმით დაავადებული მასწავლებელი?!** იმდენი მაინც არ იცოდნენ, რომ ტენიანი ჰავა აკრძალულია ასთმით დაავადებულთათვის?! ბახმაროში ან ბორჯომში მაინც გაეშვათ. თუ, უბრალოდ, გამორჩათ ეს „უმნიშვნელო“ დეტალი, კინაღამ რომ გადაჰყვა ამ „სახალისო სწავლებას“ მოხალისე კანადელი?! რამდენი ასეთი შემთხვევა იჩენს თავს კიდევ, კაცმა არ იცის.

მაშინ, როცა ინგლისურენოვანი მასწავლებლების საქართველოში მოგზაურობა სახელმწიფოს 10 მილიონი ლარი უჯდება, რატომ არ უნდა იყოს აუცილებელი სამედიცინო შემოწმება მათ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც გაიარონ? საერთოდ, გაიარეს თუ არა მათ რაიმე შემოწმება — ესეც საკითხავია. **სად გაარკვიონ ამ მასწავლებელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა იმ ბავშვების მშობლებმა, რომელთა შვილებთანაც მათ ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ?** განათლების სამინისტრო კი ამბობს, — ჯანმრთელები არიანო, მაგრამ ვენდოთ? ვითომ შაშკინის სატელევიზო გამოსვლა და ბოდიშის მოხდა უშველის ფლეთჩერის მსგავსთა რეპუტაციას და ფსიქიკას? რაღაც არ მგონია!

**თუ ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა არ ანაღვლებთ, მოწვეული მასწავლებლების ჯანმრთელობაზე მაინც იზრუნონ, ის მაინც გაარკვიონ, ვინ სად გაუშვან, კიდევ რომ არ მოხდეს ასთმური შეტევის მსგავსი შემთხვევები.**

**თეო ტაბატაძე**

## საქართველოში შიდსზე შემოწმება არ გაუვლია არც ერთ უცხოელ მასწავლებელს




ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით

## მოკლედ

### ბაინდურაშვილმა ვერაფერი გაიგო

**პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ვეტერანთა დახმარებების მხრივ არსებული არაერთგვაროვანი გარემოება „ქრისტიან-დემოკრატებმა“ კიდევ ერთხელ გააკრიტიკეს და მთავრობას აღნიშნული საკითხის გადახედვა მოსთხოვეს.** „ნუ იტყვით ახლა, რომ ეს ადამიანები ყველანი „გაიშნიკები“ არიან. მათ შორის არიან გარკვეული თანამდებობის პირებიც, ვიცე-პოლკოვნიკებიც და ასე შემდეგ“, — მიმართა გიორგი ახვლედიანმა ფინანსთა მინისტრს. მაგრამ თავად ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი ვეტერანების დახმარებების გათანაბრების საკითხში „აზრს ვერ ხედავს“. მისთვის „ქრისტიან-დემოკრატების“ მოსაზრება მიუღებელია. თანაც მიუღებელია იმის მიუხედავად, რომ ვერაფრით გაიგო, რატომ უნდა იღებდნენ ძალოვანი ვეტერანები თანაბარ დახმარებას.

### გადახარჯვის „გაპრავება“ ბიუჯეტში

**„თავისუფალი დემოკრატების“ შეფასებით, 2010 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებით ხელისუფლება გადახარჯვის „გაპრავებას“ ცდილობს.** როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა დავით ონოფრიშვილმა განაცხადა, „2010 წლის ბიუჯეტის ყველა პარამეტრი დარღვეულია და პარლამენტში, ფაქტობრივად, ახალი ბიუჯეტის დამტკიცება ხდება. მიმდინარე წლის ბიუჯეტის ცვლილებებით განათლების დაფინანსება — 24 მილიონი ლარით, ხოლო მოსახლეობის სოციალური დაცვა 83 მილიონი ლარით არის შემცირებული. ამავე დროს, საქონლისა და მომსახურეობის სფეროში ხარჯები — 28 მილიონი ლარით, დასვენებისა და კულტურული ღონისძიებებისა კი 45 მლნ ლარით არის გაზრდილი“.

### „ქამრების შემოჭერა“ გრძელდება

**პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 2011 წლის საბიუჯეტო პროექტის განხილვისას ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა თანამდებობის პირები „გაახარა“, რომ მომავალ წელს არც ერთ მათგანს ხელფასი არ გაეზრდება.** არადა, „ქრისტიან-დემოკრატების“ განცხადებით, მაშინ, როდესაც ხელისუფლება „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკაზე საუბრობს, საბიუჯეტო პროექტით რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების შრომის ანაზღაურების მუხლში თანხების მოცულობა იზრდება. ბაინდურაშვილმა ეს ყველაფერი ნაფიც მსაჯულებს გადააბრალა და განმარტა, რომ ხელფასები მოემატებათ საერთო სასამართლოების წარმომადგენლებს, რადგან, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების გამო, მათ ახალი ფუნქციები დაემატათ.

### დანაშაულებრივი სტატისტიკა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს ქვეყანაში განზრახ მკვლელობის — 113, მკვლელობის მცდელობის — 171 და ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების 95 ფაქტი დაფიქსირდა.** სტატისტიკის თანახმად, აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებიდან მკვლელობის — 1, მკვლელობის მცდელობის — 5, ხოლო ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების 4 ფაქტი არასრულწლოვნებზე მოდის. რაც შეეხება მიმდინარე წელს დაფიქსირებულ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების სისხლის სამართლის საქმეებს, 95 შემთხვევიდან 55 გაუპატიურებაა. სამართალდამცველებმა 23 შემთხვევაში გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი პირი გამოავლინეს, 32 საქმე კი ამ დრომდე გაუხსნელად ითვლება. სტატისტიკის მიხედვით, მკვლელობების მხოლოდ 60 საქმეა გახსნილი.

# აღმოსავლეთს ჩაჭიდებული წყალწაღებული დასავლეთი და ორიენტაციაარეული საქართველო

**იაპონიაში, იოკოჰამაში, „დიდი ოცეულის“ შეხვედრა გასულ კვირაში ისე დამთავრდა, რომ მონაწილე ქვეყნებს არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. საფიქრალი და საზრუნავი თავზე საყრელი დარჩა.**

**«ნატო არა მხოლოდ ექსპედიციური ალიანსის როლში დამარცხდა, არამედ ვერ დაიცვა ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურაში სუსტი ადგილები». ისტორიას ბარდება.**

ანალიტიკოსები შენიშნავენ, რომ „ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა „ოცეულის“ ფორუმზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველაზე ძლიერი რეცესიის გამო ვალებით დამძიმებული გამოცხადდა. აზია და აფრიკის დიდი ნაწილი ისე გამოიყურებოდა, თითქოს არც არანაირი რეცესია არ ყოფილა“ **(ჰემიშ მაკრეი, Independent).**

ძალთა ბალანსი იცვლება მსოფლიო ეკონომიკაში, ტრადიციების ჩანაცვლება ხდება, ძველისა — ახლით, მოულოდნელი აქცენტები გამოიკვეთა და ტენდენციად ყალიბდება.

შესამჩნევად იკლო აშშ-ისა და ევროპის თავდაჯერებულობამ, მისტერ ტვისტერების გაბღენძილობამ. უწინ, ომის შემდგომი რეცესიების დროს, ყველა პრობლემის გადაწყვეტა ტრადიციულად დასავლეთის სახელმწიფოების საზრუნავი იყო. დღეს, და ეს იოკოჰამას სამიტზე გამოიკვეთა, **„ვალებით დამძიმებული დასავლეთი არა პრობლემების გადაწყვეტის საშუალებად, არამედ თავად იქცა პრობლემად“.**

და კიდევ ერთი, გაბედული დასკვნა, რომელიც ექსპერტებმა „დიდი ოცეულის“ შეხვედრიდან გამოიტანეს: **„რეცესია მსოფლიო კი არ იყო, არამედ — ჩრდილოატლანტიკური“.**

მაგრამ აქცენტების ასეთი გადანაცვლება არ ნიშნავს, ფიქრობენ პოლიტოლოგები, რომ ამპლიტუდის ორივე მხარეს აღმოჩენილი მსოფლიოს ნაწილები ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდეს: **„ჩვენ ყველას გვჭირდება ღია სავაჭრო სისტემა და კაპიტალის თავისუფლად გადაადგილება გონივრული დოზით... ყველამ პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკა უნდა აწარმოოს“ (Independent).**

ძალთა მასშტაბური გადაადგილების გადასახედიდან მსოფლიოს პერსპექტივაც განსხვავებული ჩანს: **„უახლოესი ორი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკური ბატონობა ჩინეთისა და ინდოეთის ხელში აღმოჩნდება, როგორც ეს 200 წლის წინათ იყო“.**

საქართველოს ამ ახალ ორიენტაციაში ადგილი არა მარტო ნაპოვნი აქვს, არამედ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი გზის საკვანძო ქვეყნად ყოფნის პრეტენზიაც გააჩნია: „ისტორიული აბრეშუმის გზა“ მეოცე საუკუნეში სწორედ საქართველოს ინიციატივითა და მცდელობით გაიკვალა. საქმე ის არის, შეძლებს თუ არა ორიენტაციაარეული ჩვენი ხელისუფლება ამ მნიშვნელოვანი კოზირის მომგებიანად გამოყენებას. ორიენტაციის არევა რომ სახეზეა, ამაში ეჭვი არავის ეპარება, გონიერი ხალხი მყავს მხედველობაში და არა „მგალობელთა გუნდი“ „ნაცმოძრაობიდან“.

მაშინ, როცა საქართელოს საგარეო პოლიტიკა გაჯიქებულად რჩება ნატოს ხელების შემყურე, უცხოურ პრესაში სულ უფრო დაბეჯითებით და დასაბუთებულად ლაპარაკობენ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ეპოქის დასასრულის შესახებ. The Economist-ი, მაგალითად, ასეთ კონტრასტულ სურათს წარმოგვიდგენს: **„სცენაზე ღიმილი და კულისებში ოხვრა — ასეთი იქნება 20 ნოემბრის ნატოს ლისაბონის სამიტი. როგორი გაცხარებითაც უნდა უარყონ ეს ევროპელმა და ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, ნატოს ეპოქა სრულდება. ავღანეთის ომი გამოცდა იყო ალიანსისთვის... ავღანეთის მარცხი ერაყისაზე გაცილებით შემაშფოთებელია“.**

ამ დამარცხებულ ომში თავით გადაეშვა საქართველოს მმართველ პოლიტიკოსთა ჯგუფი, უფრო ზუსტად, ქართველი ჯარისკაცები გაწირეს ავღანეთში დასაღუპად (ღმერთმა დაიფაროს გადარჩენილები!).

ამერიკაში აშკარად ხედავენ ავღანეთის კამპანიის უპერსპექტივობას. უახლოეს წლებში აშშ-ის არმია ავღანეთს დატოვებს.

ჩვენ ვაგზავნით და ვაგზავნით ავღანეთის მოთუხთუხე ქვაბში ქართული შეიარაღებული ძალების ნაწილებს, ვზრდით მათ რაოდენობას, „ვეხმარებით“ „უპასუხისმგებლო ჯორჯ ბუშისა და დონალდ რამსფელდის პერიოდის პენტაგონის არაკომპეტენტურ სარდლებს“ წაგებული ომიდან „ღირსეულად“ გამოსვლაში; ისეთი „გამარჯვების“ ორგანიზებაში, რომელიც საქართველოში აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ მოვაწყვეთ.

ევროპის ენთუზიაზმი თანდათან შესუსტდა, ბრძოლას თავი რომ დავანებოთ, ბევრი კონტინენტის ქვეყნების არმიების ნაწილები არაკომპეტენტური აღმოჩნდნენ, ავღანელთა „ძალების მომზადებაში დახმარება რომ გაეწიათ“. ამერიკელების თვალსაზრისით, „საბოლოო ჯამში მათი დახმარება უსარგებლო აღმოჩნდა“.

ჩვენი დახმარება იქნება გადამწყვეტი, მამა გვიცხონდება!

ნატოს ზეიმი დასრულდა, გვიმტკიცებენ ევროპელი ექსპერტები: **„ნატო არა მხოლოდ ექსპედიციური ალიანსის როლში დამარცხდა, არამედ ვერ დაიცვა ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურაში სუსტი ადგილები“. ისტორიას ბარდება. „იგი თვალსა და ხელს შუა ილევა და ქრება ისევე, როგორც გაილია და გაქრა 1990-იანი წლების დასაწყისის საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის გრანდიოზული და მდიდარი სამხედრო ადმინისტრაციები დასავლეთ ბერლინში“.**

ნიშანდობლივია ტრადიციული აქცენტების გადანაცვლება თუ არა, შერბილება აშშ-სა და რუსეთს შორის. მართალია, „მას უწინდებურად აწუხებს რუსეთის დამოკიდებულება მისი ყოფილი იმპერიისადმი, მაგრამ პრობლემათა სპექტრი, რომელიც მათ შორის იყო, მცირდება“. The Economist-ი შენიშნავს, რომ **„ახლა აშშ კი არა, გერმანია ამყარებს წესრიგს დასავლეთ ბალკანეთში, რუსებს ბოსნიელ სერბებზე ზემოქმედებას აიძულებს, შუამავლობს საბერძნეთსა და მის ჩრდილოელ მეზობელს შორის და ცდილობს, გაერკვეს დნესტრისპირულ გაუგებრობაში“.**

საქართველოს ხელისუფლება კი მაინც და მაინც აშშ-ს შესჩერებია თვალებში და დამოუკიდებელი პოლიტიკის განსახორციელებლად მომართული ევროპის ლიდერი სახელმწიფოსკენ — გერმანიისკენ არც იყურება.

აი, სად იყო საჭირო ვექტორის გადაადგილება!

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ აშშ ფეხს ამოიკვეთს ევროპაში. The Economist-ის დასკვნით, „აშშ მომავალშიც ითანამშრომლებს თავის ევროპელ მოკავშირეებთან უკიდურეს ჩრდილოეთსა და არქტიკაში. ნავთობისა და ისრაელის გამო შეერთებული შტატები არ დატოვებს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს და შავი ზღვაც ყურადღების ქვეშ ეყოლება **(თუმცა უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის ზრუნვას შეწყვეტს).**

**არმაზ სანებლიძე**

## მოკლედ

### სააკაშვილი იპარება

**„თბილისიდან ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ვიპარებით, ჯერ პარლამენტი შემოგაპარეთ, ახლა კი – მთავრობა“, — ახარა პრეზიდენტმა ქუთაისელებს მთავრობის სახლის მშენებლობის გახსნაზე.** პარლამენტისა და მთავრობის ქუთაისში „გაპარვით“ სააკაშვილი ამ ქალაქის მეორე დედაქალაქად ქცევის პროექტს ახორციელებს. „პირი მაქვს დაღებული, ისეთი სილამაზეა და რისი თქმა მინდოდა, დამავიწყდა. მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პარლამენტის შენობა გვექნება... იმის გათვალისწინებით, რომ თბილისს განტვირთვა, ამ რეგიონს კი განვითარება სჭირდება, ეს ძალიან სტრატეგიული გადაწყვეტილებაა“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

### ფალსიფიცირებული „დედაენა“

**ახალგაზრდული მოძრაობა „არა“ სკოლებში იაკობ გოგობაშვილის „დედაენის“ სწავლების აღდგენას მოითხოვს.** „ჩვენ შევისწავლეთ პირველ კლასელთათვის განკუთვნილი 7 სახელმძღვანელო, რომელთა მიხედვით სკოლაში თითქოსდა „დედაენას“ ასწავლიან. ამ სახელმძღვანელოების შინაარსს იაკობ გოგებაშვილის „დედაენასთან“ არანაირი მსგავსება არ აქვს. თუ გოგებაშვილის სწავლების ხერხემალია „გიყვარდეს მოყვასი შენი“, ამ წიგნებში საუბარია მხოლოდ მოსწავლის პირად კეთილდღეობაზე. ამასთან, წიგნებს აწერია „იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით“, — განაცხადა „არას“ ერთ-ერთმა ლიდერმა თიკო ნიბლოშვილმა.

### 20 აგლომერაცია 83 რეგიონის ნაცვლად

**რუსეთის ხელისუფლებაში და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რუსეთის ტერიტორიული მოწყობის ახალ პროექტზე მუშაობენ. პროექტის მიხედვით, 83 რეგიონის ნაცვლად 20 აგლომერაციაში იცხოვრებენ.** ისინი იმ მსხვილი ქალაქების გარშემო შეიქმნება, რომლებშიც ძირითადი რესურსებია კონცენტრირებული. რუსეთის ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ ამჟამინდელი ტერიტორული სტრუქტურა არასრულყოფილია. „ფედერალური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები იქ არ იმყოფებიან, სადაც საჭიროა, ხოლო პატარა ქალაქებში ცხოვრების დონე დაბალია“, — ნათქვამია დოკუმენტში.

## გაფრაზებული



**დიმიტრი მედვედევი,
რფ-ის პრეზიდენტი:**

სეულში G20-ის მუშაობა პროდუქტიულია და ვთვლი, რომ სავალუტო ომების საფრთხე მისი დასასრულისას მნიშვნელოვნად შემცირდა. მართალია, არ გვაქვს საფუძველი დარწმუნებით ვიცოდეთ, რომ სავალუტო კურსთან დაკავშირებული პრობლემები ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნა, მაგრამ სამიტმა უჩვენა, რომ მსხვილ ეკონომიკებს ესმით ერთმანეთის და აცნობიერებენ საკუთარი ვალუტებით მანიპულირების დაუშვებლობას.

*interfax.ru*



**ბარაკ ობამა,
აშშ-ის პრეზიდენტი:**

მნიშვნელოვანი იყო, ისევ შევხვედროდი ჩემს მეგობარს, დიმიტრის. ვფიქრობ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით ძალიან კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბება... ვფიქრობ, რომ პრეზიდეტი მედვედევი, რეფორმების ჩატარებისა და რუსეთის წინ წაწევის მხრივ არსებული რიგი ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად უდიდეს სამუშაოს ატარებს. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად, რაც რუსეთის ინტერესში შედის.

*rian.ru*



**ნაოტო კანი,
იაპონიის პრემიერ-მინისტრი:**

მსურს, რუსეთსა და იაპონიას შორის ორმხრივ პარტნიორულ საფუძველზე მეგობრული ურთიერთობები განვითარდეს. მინდა ამის მისაღწევად ძალისხმევა არ დავიშურო. ვიმედოვნებ, რომ დღევანდელი შეხვედრა იქნება საწყისი სრულმასშტაბიანი დიალოგის დაწყებისა თქვენთან, რომლის საფუძველიც ნდობა იქნება...

*rian.ru*



**ალექსანდრე ლუკაშენკო,
ბელარუსის პრეზიდენტი:**

არჩევნების აღიარება-არ აღიარება რუსეთის სუვერენული უფლებაა და ამ საკითხს ჩვენ ყურადღებით მოვეკიდებით. ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, არანაირი აღიარება არ გვჭირდება, გერმანია, ათეულ წელზე მეტია, ბელარუსის არსებობას საერთოდ არ აღიარებს, არჩევნებზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი, მაგრამ მერე რა? ჩვენ ამის გამო არ მოვმკვდარვართ.

*news.rin.ru*



**სერგეი ლავროვი,
რფ-ის საგარეო
საქმეთა მინისტრი:**

ნატო ჩვენთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. საშიშროებას ნატოს შიგნით ამჟამად მიმდინარე პროცესები იწვევს. საფრთხეს ქმნის ცდუნება, რომელიც ახლა ჩანს ნატოს შიგნით — გასცდეს საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებს ან სამხედრო ინფრასტრუქტურა რუსეთის საზღვრებს მიუახლოვოს. ეს იწვევს აუცილებლობას, ჩვენი საზღვრის გასწვრივ შემხვედრი ნაბიჯები გადავდგათ.

*vz.ru*



**გენერალი
სერ დევიდ რიჩარდსი,
ბრიტანეთის ჯარის სარდალი:**

ალ ქაიდა დაუმარცხებელია და უახლოესი 30 წლის განმავლობაში ინგლისელები ტერორისტული თავდასხმებისთვის მზად უნდა იყვნენ... ბრიტანეთისთვის უმთავრესია საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

*novoteka.ru*



**რამზან კადიროვი,
ჩეჩნეთის
რესპუბლიკის მეთაური:**

ბანდიტები ამბობენ, რომ მათთან საქართველოში ყოფნის დროს კონტაქტზე გამოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც თავს გარკვეული სამსახურების თანამშრომლებად აცხადებენ და მათ ეხმარებიან კიდეც... ჩვენ კარგად გვახსოვს ის დროც, როდესაც საქართველო საჯაროდ უარყოფდა თავის ტერიტორიაზე ბოევიკების ბაზების არსებობას.

*newsland.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სანამ მგლები პარლამენტს ყმუილით არ მიადგებიან, ხალხზე არავინ იფიქრებს



## საეჭვოდ მომრავლებული მშიერი მგლებისა და გამაოგნებელი მადის მქონე უკუდო ვირთხების ისტორია

**ბოლო რამდენიმე კვირაა, ყველაზე აქტუალური თემა საქართველოში ბურების ჩამოსახლებაა. პატარა ბავშვსაც რომ ჰკითხო, ბურები ვინ არიანო, გეტყვის, აფრიკაში მცხოვრები წარმოშობით ჰოლანდიელი ხალხი, რომელიც მიშა ძიამ საქართველოში უნდა ჩამოიყვანოს, სოფლის მეურნეობა რომ გადაარჩინოსო! სოფლის მეურნეობა რომ გადასარჩენია, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ვინ და როგორ მიიყვანა აქამდე საქმე და რატომ გახდა „მკურნალი ძალის“, ბურების, ჩამოყვანა „აუცილებელი“, ამის შესახებ ამ წერილიდან შეიტყობთ.**

მესაქონლეობა ძლივსლა თვლემს საქართველოში. არა მარტო იმიტომ, რომ გადასახადია ტყით სარგებლობაზე ან საძოვრებზე, არამედ იმიტომაც, რომ, უკვე დიდი ხანია, ქართულ მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაურ ცხოველებს გემრიელად ახრამუნებენ საეჭვოდ მომრავლებული მგლები. **ყოველ საღამოს თითო ახალ ამბავს ვიგებთ თითო ყელგამოღადრულ ფარაზე. დღე არ გადის მგლების თავდასხმების გარეშე. მაგალითად: სოფელ ალვანში მგელმა წარმატებით შეჭამა ვირი. ასევე პალიასტომის ტბის გარშემო გრანტების დახმარებით მომრავლდნენ მგლები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თავს ესხმიან მოსახლეობას. მშიერი მგლების ხროვა თავს დაესხა ცხვირს ფარას და ა.შ...**

**რა ჯანდაბად გვინდა ამდენი მგელი?**

სხვათა შორის, მგლების მოშენებაზე საქართველოში ისე „ზრუნავენ“, მესაქონლეობაზე რომ ასე ეზრუნათ, ქვეყანა უკვე აყვავებული იქნებოდა. **არასამთავრობო ორგანიზაციები ათასობით ლარს ხარჯავენ მათი ვაქცინაციისთვის. ამ მტაცებლებზე ზრუნვა არც მთავრობას „ავიწყდება“, - მგლისთვის უბატონოდ ხმის გაცემა კანონით ისჯება და 400-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. თუ მგელი მოკალი და მერე სათანადო ორგანოში ვერ დაამტკიცე, რომ მოკლა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს არ იყო გადაცილებული, ჯარიმა გარანტირებული გაქვს.** ეს კანონი პარლამენტმა რამდენიმე წლის წინათ საგანგებოდ მიიღო. მართალია, მას შემდეგ მგლებმა მოსახლეობა არაერთხელ ააწიოკეს, მაგრამ, ეტყობა, სანამ მგლები პარლამენტს ყმუილით არ მიადგებიან, ამ საქმეს არავინ მიხედავს.

მართალია, მოსახლეობა დაჟინებით ამტკიცებს, კოჯორში მოსეირნე მგლები არაერთხელ ვნახეთო, მაგრამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ამ ინფორმაციას მაინც კატეგორიულად უარყოფენ.

**საქართველოს ტერიტორიაზე 1990 წელს სპეციალისტები 2500 მგელს ითვლიდნენ. მაშინ, როცა იმ დროისთვის მთელს დასავლეთ ევროპაში 200-250 მგელი იყო. 2000 წლისთვის კი უკვე 6000 მგელს ვარაუდობდნენ ჩვენთან; დღეისთვის მათმა რაოდენობამ უკვე 10 ათასს მიაღწია.** დათვლილია, რომ ამდენი მგლის გამოსაკვებად 135 200 შველი და ირემია საჭირო. 1990 წლამდე 2400 ირემსა და 10 800 შველს ითვლიდნენ საქართველოში. ახლა გამოდის, რომ ერთ მგელზე ერთი შველიც აღარ მოდის. ქვეყანაში, სადაც 30 ირემია და ათასობით მგელი, ნორმალურია? მგელი საჭიროა, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რაც არის დღეს ჩვენს ქვეყანაში. არ აქვს ჩვენს ისედაც განადგურებულ ტყეებს იმის რესურსი, რომ ამდენი მგელი შეინახოს. არც კურდღელი დარჩა და არც შველი.

**აზიური მგლებიც შემორეკეს საქართველოში და გერმანულიც, თითქოს საკუთარი მშიერი მგლები არ ჰყოფნიდეს საქართველოს და თან კანონებიც მოაყოლეს, მგლები არ მოეკლა, წინააღმდეგ შემთხვევაში აჯარიმებდნენ. ირმები ან სხვა ცხოველები ისე გამრავლდნენ, რომ გვაწუხებენ და მათ მოსაგერიებლად მგლები გვჭირდება? მგლის შესაჭმელი რამე დარჩა კიდევ საქართველოში?**

მგლების ამბავს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ განხორციელდა „მსოფლიო ცხოველთა დაცვის“ პროექტი. ეს ორგანიზაცია გამოყოფდა თანხებს, რათა მგლების ვაქცინაცია მოეხდინათ. რა გააკეთეს ქართველებმა? **იმისათვის, რომ მეტი ფული აეღოთ, ხელოვნურად შემოიყვანეს აზიური მგელი, შემდეგ აღრიცხეს და ამ ორგანიზაციას გაუგზავნეს მონაცემები. შესაბამისად, მეტი ფული მიიღეს. ჰოდა, ეს მგელი საქართველოსთვის ენდემური არ იყო და ისე გამრავლდა, გადაჭამა გარშემო ყველაფერი. მაგრამ გგონიათ, მარტო აზიურ მგლებს დასჯერდნენ? რამდენიმე წლის წინათ კიდევ გაიმეორეს იგივე ოინი და აზიურ მგლებს წითური, გერმანული გამოყვანილი ჯიშის მგლებიც მოაყოლეს.** უკვე 10 წელია, ეს ევროპელი და აზიელი მგლები აქტიურად ჭამენ შინაურ და გარეულ პირუტყვს. ვისაც სოფლად არ უცხოვრია, ვერასდროს მიხვდება, რას ნიშნავს მთელი წლის ნალოლიავებ ძროხას, ღორს ან ცხვარს რომ შეგიჭამს მგელი. მაგრამ ეს ვინმეს ანაღვლებს?

**იმისათვის, რომ მეტი ფული აეღოთ, ხელოვნურად შემოიყვანეს აზიური მგელი, შემდეგ აღრიცხეს, „მსოფლიო ცხოველთა დაცვის“ ორგანიზაციას გაუგზავნეს მონაცემები და, შესაბამისად, მეტი ფული მიიღეს**

**ნიადაგი მზადაა ბურებისთვის, თანაც ყველაფერი ისე „აეწყო“, თითქოს მართლა მათი დახმარება გვჭირდებოდეს მესაქონლეობის ასაყვავებლად. ჩვენი საქონელი მგლებს შეაჭამეს და ახალ აფრიკულ ჯიშებს გაამრავლებენ, მაგრამ ქართველებს რა სარგებელი? რა თქმა უნდა, არაფერი! განა მართლა სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად ჩამოჰყავთ ეს ბურები? ამაშიც დიდი ფულია გადახდილი და ამ თანხით ისე გასქელებულია რამდენიმე კაცის ჯიბე, რომ ქართველების სარგებელი სულაც არ აინტერესებთ.**

ვინმემ რომ ცილი არ დამწამოს და არ თქვას, რას იგონებსო, კიდევ ერთ არგუმენტს მოვიშველიებ, რაც ისევ სოფლის მეურნეობის შეგნებულ „გაკოტრებას“ ეხება, ოღონდ ამჯერად არა მესაქონელობის დარგს, არამედ მარცვლეულ კულტურას.

**ამბობენ, კახეთში ალაზნის ველზე უცნაური თაგვი გაჩნდაო, უკუდო, მელოტი და საოცარი მადის. რაც ამ ზაფხულს გვალვას გადაურჩა, ლამის ერთიანად შესანსლონ „უცხოპლანეტელმა თაგვებმა“. ადგილობრივი ფერმერი ელიზბარ იმერლიშვილი აღნიშნავს, რომ ეს უცნაური მღრღნელი ერთ დღეში ანადგურებს მოსავლის იმ ნაწილს, რასაც ჩვეულებრივი თაგვი — მთელი წლის განმავლობაში.**

ამ ინფორმაციას ადასტურებენ ის კომბაინერები, რომლებიც ალაზნის პირას ყანებს მკიან.

ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვისა და სურსათის უვნებლობის სამსახურის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის — მერაბ ალადაშვილის განცხადებით, ჯერჯერობით უცნობია, რა სახეობისაა ეს თაგვი, რადგან მსგავსი არაფერი ახსოვს თურმე ქართული ვეტერინარიის ისტორიას. მღრღნელის გასანადგურებლად დიდი რაოდენობით წამალია საჭირო. თუმცა ვეტერინარების განცხადებით, **რაც ჩვეულებრივ თაგვს კლავს, ამ უცნაურ არსებას ვერაფერს აკლებს. ამ შხამს ისევე გემრიელად მიირთმევს, როგორც ხორბალსა და სიმინდს. იმუნიტეტი აქვს შხამზე!**

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ხორბლის მოსავალი წლიდან წლამდე იკლებს. უფრო მძიმე ვითარებას პროგნოზირებენ ექსპერტები. **სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრის — თამაზ კუნჭულიას აზრით, საქართველოს ახლო მომავალში საკუთარი წარმოების ხორბალი აღარ ექნება. მისი თქმით, ქვეყნის ხორბლით მომარაგებაში ადგილობრივი პროდუქციის წილი მხოლოდ 8%-ია და იგი წლიდან წლამდე მცირდება. გაისად, ამ თაგვების გადამკიდე, უფრო უარესად გვექნება საქმე.**

მაინც საიდან გაჩნდნენ, ნეტავ, ეს თაგვები საქართველოში, თანაც ყველაზე უხვმოსავლიან ტერიტორიაზე — ალაზნის ველსა და შირაქზე? „ბოროტი ხმები“ ამბობენ, რომ **არსებობენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს ამ ზაფხულს ვერტმფრენიდან ალაზნის ველზე როგორ ყრიდნენ ყუთებით რაღაცას. ორიოდე დღეში კი კახელებმა საკუთარ ყანებში უცნაური არსება – პატარა, უკუდო, მელოტი თაგუნიები აღმოაჩინეს.**

**ილია მარტყოფიშვილი, კახეთის რეგიონალური გაზეთი „ქიზიყის“ რედაქტორი:**

— ჩემი თვალით არ მინახავს ამ უცნაური თაგვების ალაზნისა და შირაქის ველებზე „ჩამოსხმის“ პროცესი, მაგრამ სხვადასხვა მედიასაშუალებებში, სადაც წერდნენ ამ თაგვების სპეციალურად შემოყვანის შესახებ, კი ვადევნებდი თვალს ამ თემას. გლეხებისგანაც ხშირად მომისმენია, რომ ამ რაოდენობის თაგვი, თანაც ასეთი უცნაური, არასდროს უნახავთ. ამ თაგვების შემოყვანას „ნაციონალურ მოძრაობას“ უკავშირებდნენ.

**თეო ტაბატაძე**






საგარეჯოს რაიონში მგელმა ცხვრის ფარა დაგლიჯა

**P.S. კიდევ მეტყვით, რომ ბურებმა დროზე არ მოგვისწრეს?! მესაქონლეობა ჩაგვიკვდა, მარცვლეული მელოტმა, უკუდო თაგვმა შეგვიჭამა. ვართ ასე, გაფხეკილები, უიმედოდ. მაგრამ რწმენა არ უნდა დავკარგოთ. მოვლენ „ჩვენი მხსნელი“ ბურები, ააყვავებენ ჩვენივე სახნავ-სათესებს, მოამრავლებენ შინაურ ცხოველებს; მუშაობაც აღარ მოგვიწევს, რადგან ეს ბურები თურმე ძალიან მშრომელი ხალხი ყოფილან და, სავარაუდოდ, ჩვენს კუთვნილ მიწებსაც იმათ დაუთმობენ. ჰოდა, ამ ჩვენს მიწა-წყალზე მოყვანილ პროდუქტს „მისაღებ ფასებში“ მოგვყიდიან და ვიცხოვრებთ „ბედნიერად“.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# წინ, აფრიკისკენ...

**საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან საქართველოში 40 ათასი ბურის ჩამოსახლების თაობაზე, ყოველგვარ საჯარო განხილვას მოკლებულია. შესაბამისად, ცალმხრივი, მხოლოდ დადებითი მარცვლის, ძიება ამ საქმეში, ერთის მხრივ, არაფრის მთქმელი და მეორეს მხრივ, საგანგაშოა.**

## ჩამოსახლებულ ბურებს საქართველოს მთავრობა საუკეთესო მიწებს ჩალის ფასად მისცემს, ადგილობრივ ქართველ გლეხებს კი მცირემოსავლიანი ფართობები დარჩებათ

აბა, წარმოიდგინეთ, რამდენია 40 ათასი, შემდეგ ეს რიცხვი საქართველოს მასშტაბებს მოარგეთ (დაკარგული ტერიტორიები არ ჩათვალოთ) და დარწმუნდებით, რომ „სანაქებო მთავრობის“ მიერ პრობლემის გადაჭრისთვის შემოთავაზებული ვითომდა მარტივი გზა, პირიქით, უფრო პრობლემური და ანტიეროვნულია.

**რაში მდგომარეობს სახელმწიფოს მიერ ქართველი გლეხისთვის და ზოგადად, სოფლის მეურნეობის დახმარებისთვის შექმნილი გენერალური გეგმა? ამ გეგმის თანახმად, ჩამოსახლებულ ბურებს საქართველოს მთავრობა საუკეთესო მიწებს ჩალის ფასად მისცემს, ადგილობრივ ქართველ გლეხებს კი მცირემოსავლიანი ფართობები დარჩებათ.**

მიწების სანაცვლოდ, საქართველოს ხელისუფლება ბურებისგან სოფლის მეურნეობაში უახლესი მეთოდების, ცოდნისა და გამოცდილების დამკვიდრებას ითხოვს.

ის ფაქტი, რომ დღეს სოფლის მეურნეობა ბედის ანაბარაა მიტოვებული, ყველას კარგად მოეხსენება. რეალურად არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა, რომლითაც გლეხი შეძლებს მიწის მოვლასა და დამუშავებას. აქედან გამომდინარე, შედეგი სახეზეა; **ადგილობრივი აგროპროდუქციის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 8%-ია და ის შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12%-ს აკმაყოფილებს.**

საგანგაშო მონაცემია, თუმცა უფრო შემზარავი არსებული პრობლემის საბჭოთა კავშირისთვის გადაბრალებაა. აი, რა ბრძანა სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში, პაპუნა დავითაიამ ბრიტანულ გამოცემა „The Independent“-თან საუბრისას: **„საქართველო ისტორიულად ყოველთვის მიწათმოქმედი ქვეყანა იყო, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ეს ტრადიციები დავკარგეთ. დღეს კი ყველანაირად ვცდილობთ მძლავრი სოფლის მეურნეობის სექტორის ხელმეორედ აღორძინებას“.**

თუმცა სწორედ საბჭოთა პერიოდში სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკური სიძლიერისა და განვითარების მთავარ საფუძველს შეადგენდა. ბოლოსდაბოლოს, ხილბოსტნეული ექსპორტზე გადიოდა. რა ხდება დღეს? **ქართული აგრობაზრის 80% თურქეთმა ჩაიგდო ხელთ და გენური ინჟინერიით მოყვანილ ბოსტნეულსა თუ ხილს ყოველგვარი შეზღუდვებისა და აკრძალვის გარეშე ასაღებს საქართველოში.** მიზეზი? ქვეყნაში სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი, აღარ არსებობს და მხოლოდ ფორმალური სახე აქვს შენარჩუნებული.

აქედან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში მთლიანად მოშლილია სარწყავი სისტემა, არ არის საკმარისი სასოფლო სავარგულების დასამუშავებელი ტექნიკა და ოც სოფელზე დაახლოებით ერთი ტრაქტორი მოდის (კერძოდ, დაქირავების შემთხვევაში, გლეხს უფრო მეტი უჯდება მიწის დამუშავება), როგორ უნდა მოახერხონ ბურებმა (ჰოლანდიელი კოლონისტების შთამომავალნი სამხრეთ აფრიკაში) სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენება და, როგორც მინისტრმა ბრძანა, ხელმეორედ აღორძინება?



ბური პარტიზანები
ანგლო-ბურების მეორე ომის დროს

თუმცა, სანამ ამ კითხვას ვუპასუხებ, **შევეცდები აფრიკანერების, იგივე ბურების, როგორც გამოცდილი ფერმერების, საქართველოში ჩამოსახლების გადაწყვეტილების სისწორე რამენაირად დავამტკიცო. მაინცდამაინც დღეს რატომ დადგა დღის წესრიგში მათი საქართველოში ჩამოსახლების აუცილებლობა.** შეგახსენებთ, **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიიღეს კანონი „მიწის ფლობასთან“ დაკავშირებით, რომლის ძალითაც ქვეყანაში მცხოვრებ თეთრკანიან ფერმერებს, ბურებს, ან მთლიანად ართმევენ ნაკვეთს, ანდა გამოსაყენებლად მხოლოდ მცირე ტერიტორიას უტოვებენ.**

შესაბამისად, ამან გამოიწვია მათთვის საცხოვრებელი პირობების გაუარესება და ბიძგი მისცა ბურების მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გადანაწილების პროცესს. თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ რაოდენობრივად ყველაზე მეტი ბურის მიღება ითავა, იმ მოტივით, რომ მსოფლიოში ისინი საუკეთესო ფერმერები არიან.

ხელისუფლების წარმომადგენელთა პროგნოზით, ბურების მიერ წარმოებული პროდუქცია ადგილობრივ ბაზარსაც გააჯერებს და ექსპორტზეც გავა. ის აღარავის გაუთვალისწინებია, რომ ბურებისთვის საქართველოსთან შეგუება ადვილი არ იქნება; **საქართველოში სამხრეთ აფრიკისგან რადიკალურად განსხვავებული კლიმატური პირობებია, რაც ფერმერების მხრიდან სრულიად განსხვავებულ მეთოდებს მოითხოვს.**

აღსანიშნავია, რომ ქვეყნების მიერ მსგავსი იმიგრანტი ფერმერების მოძიება მსოფლიოში დანერგილი, აპრობირებული მეთოდია: თვალსაჩინოებისთვის, კანადის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე პროვინციაზე **ახალი შოტლანდია (Nova Scotia)** დაასახლა იმიგრანტი ფერმერები. ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, მათ საუკეთესო მიწები კი არ გადასცეს, არამედ სრულიად აუთვისებელი ტერიტორიების დამუშავება მოსთხოვეს. ამ ყოველივეს წინ სამწლიანი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა. ამდაგვარმა, დროში განსაზღვრულმა, ეფექტურმა, გააზრებულმა სამუშაოებმა შედეგი გამოიღო.

რა ხდება ჩვენთან? **დღეს ჩვენს ხელისუფალს ავიწყდება, რომ მიწა ეროვნული სიმდიდრეა და მას განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება. ქართული მიწის მესაკუთრე და პროდუქციის შემქმნელი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს.**

თუმცა მთავრობა აპირებს, საქართველოს რეგიონებში კომპაქტურად ჩასახლებულ აფრიკანერებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები მინიმალურ ფასად კერძო საკუთრებაში გადასცეს. ეს ყოველივე კი დიდ ეჭვს ბადებს საზოგადოებაში — **ასე სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება რამდენად გამოიღებს სასურველ შედეგს და ვინ იქნება ამ შედეგით მოგებული?**

**ოთარ დალაქიშვილი**

# ოქრუაშვილი ლიფტის შახტაში ჩავარდა

**ბავშვთა მესამე კლინიკურ საავადმყოფოში 37 წლის დავით ოქრუაშვილი ლიფტის შახტაში ჩავარდა. იგი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მრავლობითი მოტეხილობებითა და ხერხემლის დაზიანებებით მერვე კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.**

კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები ინციდენტის გამომწვევ მიზეზად უბედურ შემთხვევას ასახელებენ. მათი თქმით, ოქრუაშვილს ლიფტის პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობის დროს ფეხი დაუცდა. **მესამე კლინიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელობა მომხდარზე პასუხისმგებლობას იხსნის.** როგორც გურამიშვილის სახელობის კლინიკაში ამბობენ, ლიფტი ამორტიზებული იყო და მისი შეკეთება მიმდინარეობდა, რის გამოც ლიფტის კაბინა პირველ სართულზე არ იდგა. მამაკაცს ლიფტთან ფეხი დაუცურდა და შახტაში ჩავარდა.

სიტუაციაში უკეთ გასარკვევად გადავწყვიტეთ, მერვე საავადმყოფოში მივსულიყავით, რათა თვითონ პაციენტისგან მოგვესმინა, თუ რა მოხდა სინამდვილეში. **სატელეფონო საუბარში ნეიროქირურგიულ განყოფილებაში განგვიცხადეს, რომ პაციენტის მდგომარეობა რთული არ იყო და მას საუბარი თავისუფლად შეეძლო.**

საავადმყოფოში მისვლის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ **იგი ხერხემლის მრავლობითი მოტეხილობით რეანიმაციულ განყოფილებაში წევს,** სადაც, როგორც კი ვახსენეთ, რომ ჟურნალისტები ვიყავით, კარი ცხვირწინ მოგვიხურეს, პაციენტთან საუბრის უფლება არავის აქვს, ახლობლებსაც კიო. მისმა მკურნალმა ექიმმაც კი არ ისურვა ჩვენთან საუბარი. სანამ ნეიროქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი არ შევაწუხეთ, კომენტარის გაკეთება არავინ მოინდომა.





**გიორგი მაღალაშვილი, ნეიროქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი:**

— ავადმყოფს მოტეხილი აქვს გულმკერდის მეთორმეტე და მეათე მალა. დაზიანებული აქვს ზურგის ტვინი. არ აქვს მოძრაობის უნარი ქვედა კიდურებში. დაშავების შედეგად პაციენტს აქვს ტრავმული შოკი, რის გამოც იგი იმყოფება რეანიმაციულ განყოფილებაში. ვამზადებთ საოპერაციოდ. **რაღაც სადაზღვევო კომპანიასთან დაკავშირებით აქვთ პრობლემები. გადაწყდება, ალბათ, ეს საკითხი და, სავარაუდოდ, ხვალ გაუკეთდება ოპერაცია. არ ვიცი, ვინ დაფარავს მკურნალობის ხარჯებს, ალბათ, დღეს ან ხვალ გაირკვევა.**

ოპერაცია კეთდება ვერტიკალური მდგომარეობის მიცემაზე, ანუ პაციენტმა ეტლში ჩაჯდომა რომ შეძლოს. დეტალები ზუსტად ოპერაციის შემდეგ გვეცოდინება. ვნახავთ, რამდენადაა დაზიანებული ზურგის ტვინი და მოვახერხებთ თუ არა მის აღდგენას. ამ ეტაპზე ზურგის ტვინი მოჭყლეტილია მოტეხილ მალებს შორის, რამაც ქვედა კიდურების პარალიზება გამოიწვია. შედეგი დროთა განმავლობაში გამოჩნდება.

რადგან უშუალოდ ოქრუაშვილისგან ვერ შევიტყვეთ ამ უბედური შემთხვევის დეტალები, გადავწყვიტეთ, მესამე საავადმყოფოში დაზარალებულის თანამშრომლებს გავსაუბრებოდით.

ადგილზე მისულებს საავადმყოფოს რეგისტრატურაში განგვიცხადეს, რომ მთავარი ექიმი კაბინეტში იყო და მასთან შესვლის უფლება მოგვცეს, მაგრამ მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთან ერთად (საავადმყოფოს შესასვლელში ორი პოლიციელი ქალი მორიგეობს). გაიგო თუ არა ამ ქალბატონმა, რომ ჟურნალისტები ვიყავით, გამოგვიცხადა, რომ მთავარი ექიმი უკვე წავიდა, აქვეა მთავარი ექიმის მოადგილე, ის გაგცემთ პასუხსო. პასუხი არც ისე ვრცელი აღმოჩნდა. **ბატონმა მთავარი ექიმის მოადგილემ გვითხრა, ეს ამბავი დამთავრდა, ყველაფერი ვთქვით, უკვე რისი თქმაც საჭირო იყო და სხვა არანაირი კომენტარის გაკეთებას აღარ ვაპირებთო.** ქალბატონმა, რომელსაც პატრულის ფორმა ეცვა, თითქმის ძალით გამოგვისტუმრა საავადმყოფოდან. მისი ბოლო სიტყვები იყო: აქ არავინ არაფერი იცის, მეც დღეს პირველად გამოვედი ცვლაშიო.

ერთადერთი, რაც მესამე საავადმყოფოში შევიტყვეთ, ისაა, რომ **დაზარალებული დავით ოქრუაშვილი მთავარი ექიმის მძღოლი იყო. ისიც მოხუცმა დარაჯმა გვითხრა საავადმყოფოს ეზოდან გამოსვლისას.** კითხვები, თუ რატომ არ საუბრობს ამ თემაზე არც ერთი მხარე, საერთოდ, რა უნდოდა მთავარი ექიმის მძღოლს სარემონტო ლიფტთან და იყო თუ არა ეს მართლაც უბედური შემთხვევა, პასუხგაუცემელი დაგვრჩა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **დღეს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში, მნიშვნელობა არ აქვს, ეს საავადმყოფო იქნება თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანო, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ჟურნალისტებისთვის დაბლოკილია!**

**თეო ტაბატაძე**
**ლილი მიროტაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## მიხეილ კალაშნიკოვი 91 წლისაა



**ლეგენდარულ რუს კონსტრუქტორს — მიხეილ კალაშნიკოვს 91 წელი შეუსრულდა. დღეს მსოფლიოში დამზადებულია 100 მილონზე მეტი კალაშნიკოვის ავტომატი და ტყვიამფრქვევი, მათ 50-ზე მეტი სახელმწიფოს არმია იყენებს.** მან შექმნა საბჭოთა არმიის შეიარაღებაზე 1949 წელს მიღებული „АК-47“ და „АКС-47“, შემდეგ, 50-იანების დამლევს, „АКМ“, „АКМС“ და ტყვიამფრქვევი „РПК“, 60-იანი წლების დასაწყისში კი — 7,62 მმ. ტყიამფრქვევები „ПК“, „ПКС“, „ПКМ“ და „ПКТ“. 70-იანებში კალაშნიკოვმა შექმნა „АК-74“, „АКС-74“, „АКС-74У“ და ტყვიამფრქვევები „РПК-74“ და „РПКС-74“; XX საუკუნის ბოლოს — კარაბინი „Сайга“, ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში — ახალი 7,62 მმ. ტყვიამფრქვევი.

## ამერიკელ სამხედროებს სეკვესტრი ემუქრება



**აშშ-ის ადმინისტრაციის საგანგებო კომისიამ, რომელიც ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე მუშაობს, წარმოადგინა გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც პენტაგონის ხარჯების 15%-ით შემცირებას ითვალისწინებს.** რეკომენდაციების თანახმად, უნდა გაუქმდეს „F-35B“-ს, „MV-22 Osprey“-ს და უახლესი „Expeditionary Fighting Vehicle“-ს პროგრამები, აგრეთვე, პენტაგონს სთავაზობენ 2015 წლამდე „F-35A“ და „F-35C“ შესყიდვები გაანახევროს და მათ ნაცვლად „F-16“-ით და „F/A-18“-ით დაკმაყოფილდეს.

## რუსეთმა ახალი სუბმარინა ააგო


Юрий Долгорукий

**ნოემბრის ბოლოს სევერომორსკში ახალი სტრატეგიული ატომური წყალქვეშა ნავის — „Александр Невский“-ს აგების დასრულებისადმი მიძღვნილი ცერემონია გაიმართება.** ეს პროექტ 955 „Борей“-ს რიგით მეორე სუბმარინაა, პირველის „Юрий Долгорукий“-ს გამოცდა ამჟამად მიმდინარეობს, ფლოტის შემადგენლობაში შესვლის დროისთვის ის ახალი სარაკეტო კომპლექს „Булава“-თი აღიჭურვება. ამავე კომპლექსით შეიარაღდება „Александр Невский“ და ამავე სერიის შემდეგი სუბმარინა „Владимир Мономах“, რომლის აგება, სავარაუდოდ, გაისად დასრულდება.

## ვირთხები ნაღმებს იოლად პოულობენ



**ბელგიურმა ორგანიზაცია „АРОРО“-მ წარმატებით გაწმინდა ნაღმებისგან 2 მილიონი კვ.მ. ფართობის ტერიტორია მოზამბიკში და მუშაობას ტანზანიაშიც იწყებს.** „АРОРО“-ს განაღმვისთვის სპეციალურად გაწვრთნილ ვირთხებს იყენებს. ჩვეულებრივ ორ მესანგრეს 200 კვ.მ.-ის დამუშავებისთვის 1 დღე სჭირდება; ვირთხების დახმარებით, ისინი ამ სამუშაოს 2 საათში ასრულებენ. ვირთხების წვრთნა 9 თვეს გრძელდება, ამის შემდეგ ისინი ძალიან სწრაფად პოულობენ ნაღმებს, მათ შორის რთულ რელიეფზე და ძნელად მისადგომ ადგილებში.

# იმპერიის უკანასკნელი ჯარისკაცი

**იაპონიისთვის მეორე მსოფლიო ომი 1945 წლის 2 სექტემბერს დასრულდა, როდესაც მისმა წარმომადგენლებმა ხელი კაპიტულაციის აქტს მოაწერეს. თუმცა ჰირო ონოდასათვის ომი კიდევ სამ ათწლეულს გაგრძელდა. ხანდახან არცთუ გონიერი ადამიანები მის ამბავს როგორც ანეგდოტს ყვებიან, თუმცა, როდესაც თვალს მის თავგადასავალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ იაპონიის საიმპერატორო არმიის უმცროსი ოფიცერი ჰირო ონოდა მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს და მისი ისტორია ძალზე ტრაგიკულია.**

1944 წლის ბოლოს ამერიკელები ფილიპინების კუნძულებს, მათ შორის ლუბანგს, უტევდნენ და იაპონელები უკან იხევდნენ. 17 დეკემბერს ბატალიონის მეთაურმა, მაიორმა ტანიგუჩიმ ჰირო ონოდა დაიბარა და პარტიზანული რაზმის შექმნა უბრძანა. **„ჩვენ უკან ვიხევთ, მაგრამ ეს დროებითია,** — თქვა მაიორმა: **თქვენ მთებში წახვალთ და ამერიკულ ქვედანაყოფებსა და საწყობებზე თავდასხმებს განახორციელებთ; თავის მოკვლასა და დანებებას გიკრძალავთ. მე აუცილებლად დავბრუნდები“.** ასე დაიწყო ჰირო ონოდას 30-წლიანი ომი.

ონოდამ თავისი პარტიზანები მცირე რაზმებად დაჰყო, თავად კი ორ რიგითთან და კაპრალთან ერთად ტყის სიღრმეში დაბანაკდა. **ოქტომბერში მათ იპოვეს ამერიკული სააგიტაციო ფურცელი „იაპონიამ 14 აგვისტოს კაპიტულაცია გამოაცხადა. შეწყვიტეთ წინააღმდეგობა“. ონოდამ გადაწყვიტა, რომ ეს ტყუილი და პროპაგანდაა.**

დაახლოებით თვეში ერთხელ ონოდას რაზმი თავს ესხმოდა აშშ-ს, შემდგომ კი — ფილიპინების არმიისა და პოლიციის პატრულებს. **„მამაჩემი იბრძოდა მის წინააღმდეგ, შემდეგ — მე და ამას ბოლო არ უჩანდა,** — იხსენებს ყოფილი ფილიპინელი პოლიციელი ფიდელ ელამოსი, — **ჩვენ უშედეგოდ ვეძებდით მათ ჯუნგლებში, ღამ-ღამობით კი ისინი თავს გვესხმოდნენ. ჩვენ ვუტოვებდით გაზეთებსა და წერილებს, მაგრამ მათ არ სჯეროდათ, რომ ომი დასრულდა“.**

1950 წელს ერთ-ერთ რიგითს ნერვებმა უმტყუნა და პოლიციელებს ჩაბარდა. ოთხი წლის შემდეგ ფილიპინელებთან ბრძოლაში დაიღუპა კაპრალი კოზუკა, თუმცა ონოდა და რიგითი სიმადა ომს აგრძელებდნენ.

**გადიოდა წლები. იაპონიაში ცათამბჯენები შენდებოდა, იაპონური**



**ელექტრონიკა მსოფლიოს იპყრობდა, ბიზნესმენები ტოკიოდან ამერიკულ კონცერნებს ყიდულობდნენ, ჰირო ონოდა კი ომობდა.**

1972 წლის ოქტომბერში იაპონელებმა გზაზე უკანასკნელი ნაღმი დადეს, ის დაჟანგული იყო და არ აფეთქდა; მათ პატრულს ცეცხლი გაუხსნეს. ამ ბრძოლაში დაიღუპა რიგითი სიმადა. ონოდა ჯუნგლებში გაუჩინარდა, მას მანილადან საგანგებოდ გადასროლილი სპეცრაზმი ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და **ონოდას ჯუნგლებში შემთხვევით იაპონელი ტურისტი ნორიო სუძუკი შეხვდა, რომელიც პეპლების იშვიათ ჯიშებს ეძებდა. ონოდამ არც ახლა დაიჯერა, რომ ომი დასრულდა და თქვა, რომ ბრძოლას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყვეტს, თუ ამას მისი მაიორი უბრძანებს. ამ მომენტისთვის მან მოკლა და დაჭრა 130-ზე მეტი ფილიპინელი ძალოვანი.**

იაპონიაში დაბრუნებულმა სუძუკიმ, ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მაიორი ტანიგუჩი იპოვა. ისინი ერთად ჩავიდნენ ლუბანგზე და 1974 წლის 10 მარტს დათქმულ ადგილას ონოდას შეხვდნენ. ძველ სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა მაიორმა ონოდას წინააღმდეგობის შეწყვეტა უბრძანა. ისინი პოლიციის განყოფილებისკენ გაემართნენ, სადაც ონოდამ სამართალდამცავებს ჩააბარა რამდენიმე ხელყუმბარა, შაშხანა და სამურაის ხმალი. შემდეგ **პოლიციელებმა მისი სამალავი ნახეს. ისინი გაკვირვებულნი დარჩნენ სისუფთავით, რომელიც იქ სუფევდა. კედლებზე ეკიდა ლოზუნგები „ომი გამარჯვებამდე“ და ხისგან კუსტარულად დამზადებული იმპერატორის პორტრეტი. ონოდამ თქვა, რომ,** ▶

# ტანკები ქალაქში: დაუსრულებელი კოშმარი

**„სატანკო და მექანიზირებული შენაერთების გამოყენება დასახლებული პუნქტების, მათ შორის ქალაქების, წინააღმდეგ, რომელიც მათ მობილურობას ზღუდავს, არასასურველია, თუმცა ძალზე ხშირად გარდაუვალი ხდება“, — გვარდიის მე-3 სატანკო არმიის სარდლის, მარშალ რიბალკოს 1945 წელს ნათქვამ ამ სიტყვებს, ძნელია, არ დაეთანხმო. მიუხედავად იმისა, რომ გონიერი სარდალი ყოველთვის სიფთხილით ეკიდება ტანკების გამოყენებას ქალაქების შუაგულში, მსგავსი ეპიზოდები მაინც ხდება.**



**ორი წლის წინათ ჩვენ კარგად გავიგეთ, თუ რას ნიშნავს დაუცველი ტანკი ქალაქში: „T-72 №425 ცხინვალში, მე-14 საბავშო ბაღის ტერიტორიაზე ააფეთქეს, ერთიც — გმირთა ქუჩაზე, კიდევ სამი — მოსკოვისა და ვაგზლის ქუჩების გადაკვეთაზე. სავარაუდოდ, მათ შორის იყო №406 და №409. ეს ყველაფერი იმ მომენტს უკავშირდება, როდესაც 8 აგვისტოს 15 საათისთვის ცხინვალის ცენტრიდან ქართული ქვედანაყოფების უკანდახევა დაიწყო მას შემდეგ, რაც 42-ე ბატალიონის პოზიციები დაიბომბა. უკანდახევა ქაოტური იყო და ტანკისტები შუაგულ ქალაქში ქვეითების მხარდაჭერის გარეშე დარჩნენ.**

ქალაქებთან დაკავშირებული პრობლემები ტანკებს ბრძოლის ველზე გამოჩენისთანავე გაუჩნდათ. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ინგლისელები იძულებულნი გახდნენ „Mark I“-ის ლულა დაემოკლებინათ, რადგან ის ევროპული ქალაქების ვიწრო ქუჩებზე ქვის ღობეებს ედებოდა, ხოლო ღრმულში მოხვედრილ ტანკს იქიდან ამოსვლის შესაძლებლობას არ აძლევდა, აგრეთვე, ხელყუმბარების მოსაგერიებლად მასზე რკინის ბადეები დაამაგრეს. ფრანგულ „Saint-Chamond“-ებზე კი სახლების სახურავების მსგავსი კონსტრუქციები დაამონტაჟეს, რათა ახლო მანძილიდან ნასროლი ხელყუმბარები ტანკის კორპუსზე არ აფეთქდეს და მიწაზე დაგორდეს.

მეორე მსოფლიო ომში, ტანკების მასირებული გამოყენების წინარე პერიოდში, ქალაქში ბრძოლის ნეგატიური გამოცდილება დააგროვეს საბჭოთა ტანკისტებმა ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს და გერმანელებმა — პოლონეთში, კერძოდ ვარშავაში. ამ ბრძოლებში **ქვეითებისგან მოწყვეტილი ტანკი გამოიყურებოდა როგორც ბრმა გოლიათი, რომელსაც გადაადგილება უჭირს და ვერანაირად ვერ იცავს თავს ბოთლებისგან** (ეს „მოლოტოვის კოქტეილის“ გამოჩენამდე ხდება, მაშინ, უბრალოდ, ბენზინს იყენებდნენ), **რომელსაც შენობების ზედა სართულებიდან და გვერდებიდან, ღობეებსა და სხვადასხვა ტიპის ბარიკადებს ამოფარებული ქვეითები ესვრიან.** კონსტრუქტორები მაშინ ერთდროულად ორი ამოცანის გადაწყვეტას ცდილობდნენ; მათ უნდოდათ, რომ ტანკების ტყვიამფრქვევებს სივრცე მათ გარშემო 360 გრადუსით გადაეფარათ, და, ამასთანავე, რომ ტანკისტებს შესძლებოდათ, ქვემეხიდან ცეცხლი გაეხსნათ ახლოს მდებარე შენობების ზედა სართულებისთვის. ძალზე ორიგინალურ გადაწყვეტილებას ბრიტანელმა კონსტრუქტორებმა მიაგნეს. ტანკი „Praying Mantis“-ი მოძრავი კოშკურით აღიჭურვა, რომლის შიგნით ორი მეტყვიამფრქვევე იმყოფებოდა. კოშკურის აწევისას მათ შეეძლოთ ბარიკადების უკან მყოფი მოწინააღმდეგისთვის ცეცხლი ზემოდან გაეხსნათ, აგრეთვე, შენობების ზედა სართულებისთვის მიეხედათ. თუმცა სამხედროებმა ეს ტანკი დაიწუნეს, რადგან ეს იყო სპეციალიზებული მანქანა ქუჩის ბრძოლებისთვის და, უნივერსალური ტანკისგან განსხვავებით, ძალიან შეზღუდული ამოცანების გადაწყვეტა შეეძლო.

1957 წელს ამერიკელებმა შექმნეს მსუბუქი ტანკი „T92“, რომლის ორი დამატებითი კოშკურა ტყვიამფრქვევებით ესოდენ ნანატრ 360 გრადუსს სრულიად ფარავდა და მაღალ სართულებზე მდებარე სამიზნეებისთვის სროლის შესაძლებლობასაც იძლეოდა. ეს ჯავშნის ნაკლებობის კომპენსირებას ახდენდა და ტანკს ქალაქში ეფექტურს ხდიდა, თუმ- ▶

◀ როდესაც მისი ჯარისკაცები ცოცხლები იყვნენ, ის მათ ყოველდღე ავარჯიშებდა და პოეზიის კონკურსებს ატარებდა.

**მიუხედავად იმისა, რომ ონოდამ ფილიპინებს დიდი ზარალი მიაყენა, პრეზიდენტმა მარკოსმა მას იაპონიაში დაბრუნების ნება დართო. ყოფილ პირველ ლედის — იმელდა მარკოსს დაამახსოვრდა ონოდას ერთი ფრაზა, რომელიც მასთან შეხვედრისას წარმოთქვა: „რისთვის ვუვლიდი ჩემს შაშხანას, როგორც პატარა ბავშვს ან რისთვის დაიღუპნენ ჩემი ჯარისკაცები?“**



ახალმა, მეგა-ურბანიზებულმა იაპონიამ ჰირო ონოდა შოკში ჩააგდო. ის ვერა და ვერ ეჩვეოდა ტელევიზორებს, სარეცხ მანქანებს და რეაქტიულ თვითმფრინავებს, ბოლოს მან ბრაზილიის ჯუნგლების სიღრმეში რანჩო იყიდა, სადაც დიდ დროს ატარებდა. ომის წლებში მან ჯუნგლებში ცხოვრების უნიკალური გამოცდილება დააგროვა და ამ გამოცდილებას იაპონელ ბავშვებს თავის, 1984-ში გახსნილ, ბანაკში უზიარებს.

ჰირო ონოდა დღესაც ცოცხალია. ის იშვიათად ხვდება კორესპონდენტებს, თუმცა მათთან საუბრისას, თავისი პარტიზანული გამოცდილებაზე საკმაოდ საინტერესოდ ყვება: **„ომი პარტიზანებთან ყოველთვის რთულია, ბევრ ქვეყანაში მათი წინააღმდეგობის ჩახშობას ათწლეულების განმავლობაში ვერ ახერხებენ, განსაკუთრებით, რთული რელიეფის პირობებში. თუ შენ თავს ტყეში გრძნობ, როგორც თევზი წყალში, მოწინააღმდეგე განწირულია. მე ზუსტად ვიცოდი, რომ გადაადგილება ერთი ლანდშაფტის პირობებში სჭირდებოდა გამხმარი ფოთლებისგან, ხოლო მეორეს პირობებში — ახალი ფოთლებისგან დამზადებული კამუფლიაჟი; ფილიპინელმა ჯარისკაცებმა ამდენი არ იცოდნენ“.**

აღსანიშნავია, რომ ჰირო ონოდას შემდეგ, 1980 წლის აპრილში, ფილიპინების ხელისუფლებას, კუნძულ მინდანაოზე ტყვედ ჩაბარდა კაპიტანი ფუმიო ნაკაჰირა, ხოლო 2005 წლის მაისში, სააგენტო „კიოდოს“ ცნობით, იმავე კუნძულზე 87 წლის ლეიტენანტის, ისიო იამაკავეს და 83 წლის ეფრეიტორის სუძუკი ნაკაუტის კვალს მიაგნეს. თუმცა იაპონიის საელჩოს წარმომადგენლებმა, რომლებიც სასწრაფოდ ჯუნგლებისკენ გაემართნენ, მათთან შეხვედრა ვერ მოახერხეს. ასე რომ, გამორიცხული არაა, რომ **ვიღაცისთვის ომი ჯერ კიდევ გრძელდება და ის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას ისევე პირნათლად განაგრძობს, როგორც ამას ჰირო ონოდა აკეთებდა.**



◀ ცა სამხედროებმა ისიც დაიწუნეს.

ქალაქის ბრძოლებში ხშირი მონაწილეობა უხდებოდა ტანკ „Merkava“-ს; ის ძალიან კარგად დაცული ტანკია, თუმცა მის 120 მმ-იან ქვემეხს არ შეუძლია, ერთი გასროლით ნანგრევებად აქციოს შენობების ზედა სართულები და, როდესაც მას ყუმბარმტყოცნით ზემოდან უტევენ, ისეთივე დაუცველი ხდება, როგორც ნებისმიერი თანამედროვე ტანკი. შენობების წინააღმდეგ ეფექტურად მოქმედებს მსხვილკალიბრიანი ქვემეხებით აღჭურვილი ამერიკული საინჟინრო ტანკები, თუმცა ეს მაინც ერთგვარი ჰიბრიდია, რომელსაც ტანკისთვის დამახასიათებელი ფუნქციების სრული სპექტრის შესრულება არ ძალუძს.

**ჩეჩნეთის კამპანიის ანალიზმა აჩვენა, რომ სარდაფებიდან და საკანალიზაციო ლუკებიდან სროლისას ბოევიკები, ძირითადად, ტანკების ბორტებს, უშუალოდ კოშკურის ქვემოთ მდებარე სივრცეს უმიზნებდნენ, ხოლო აივნებიდან და სახურავებიდან სროლისას — კოშკურის უკანა მხარეს.**

დღეს რუსეთის არმია მთავარ აქცენტს არა ტანკების კონსტრუქციის შეცვლაზე, არამედ მათი ქალაქში გამოყენების კონცეფციის შეცვლაზე აკეთებს. ერთ-ერთი მთავარი როლი „T-90-ის შასიზე შექმნილ ტანკების მხარდაჭერის საბრძოლო მანქანას — „БМПТ“-ს ენიჭება, რომლის მთავარი ფუნქცია მოწინააღმდეგის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებისა და ქვეითების ნეიტრალიზაციაა. ის აღჭურვილია ორი ავტომატური ყუმბარმტყორცნით „АГ17Д, 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევით „ПКТМ“ და ორი 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხით „2А42. „БМПТ“-ს შეუძლია ცეცხლი ერთდროულად სამ სამიზნეს გაუხსნას. ამასთანავე, მას გააჩნია 4 მართვადი რაკეტა, „Атака-T“ — იმ შემთხვევისთვის, თუ სადმე მოწინააღმდეგის ტანკს გადაეყრება.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში სამხედროებმა სპეციალური „საქალაქო ტანკის“ შექმნა მოითხოვონ, საუბარი უფრო მათი გამოყენების ტაქტიკის დახვეწას შეეხება. თუმცა, მიუხედავად იმისა, იქნება ეს მეორე მსოფლიო ომის დროინდელი „ნაძვის ხე“ (ტანკები ქუჩის სხვადასხვა მხარეს მოძრაობენ და ერთმანეთს აზღვევენ), ან რაიმე ახალი „პალმა“, ან „ბაობაბი“, სუსტი წერტილი მასში აუცილებლად მოიძებნება. ამიტომ **სამხედროებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ტანკები ქალაქში მხარდაჭერის გარეშე არ უნდა დატოვონ და ძველი შეცდომები არ გაიმეორონ, რომელთაგან ერთ-ერთი ცხინვალში მოგვივიდა.**

მოამზადა
**გიორგი გიგიბერიამ**

# ენვერის კუდს კუდში მიაგნეს

## დავით ბაკურიძე: პეტრე დევრიშაძე არის საქართველოს სპეცსამსახურების აგენტი, მე პირადად გადმოვიბირე იგი 1999 წელს

**საქართველოში „მთავარი სადაზვერვო სამმართველოს“ საქმის მოულოდნელი შებრუნება. „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ მიმომხილველმა შეძლო შეხვედროდა ქართული სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომელს, რომელიც ამტკიცებს, რომ პირადად მან გადმოიბირა აგენტად აჭარელი ბიზნესმენი პეტრე დევრიშაძე, რომლის აღიარებით ჩვენებებს თბილისი რუსეთის „ჯაშუშური ქსელის“ მხილების ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებად წარმოადგენს.**



ჩემი თანამოსაუბრე თავის სახელს არ მალავს, მაგრამ ფოტოს გადაღებას მიკრძალავს. ძალიან ბევრს სურს მასთან ანგარიშის გასწორება. აჭარის ყოფილი მმართველის — ასლან აბაშიძის უახლოეს გარემოცვაში მყოფ ადამიანს — დავით ბაკურიძეს უწინ უდიდესი ძალაუფლება ხელთ ეპყრა. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში იგი უშიშროების საკითხებს განაგებდა — აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა. შსს-ში გადასვლამდე ბაკურიძე 1992 წლიდან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მუშაობდა, სადაც ვიცეპოლკოვნიკობას მიაღწია. იგი ძალიან კარგად იცნობს ახლანდელი ჯაშუშური სკანდალის ფიგურანტ პეტრე დევრიშაძეს.

**„მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პეტრე დევრიშაძე არის საქართველოს სპეცსამსახურების აგენტი,** — ამბობს ბაკურიძე, — **მე პირადად გადმოვიბირე იგი 1999 წელს, როცა ჯერ კიდევ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში ვმუშაობდი. ჩამოვართვი მას ხელწერილი, გავაფორმე როგორც ჩვენი საიდუმლო თანამშრომელი და ვკურირებდი 1999-დან 2004 წლამდე, ვიდრე იძულებული გავხდი, დამეტოვებინა საქართველო. მთელი ამ ხნის მანძილზე დევრიშაძე სახელმწიფო უშიშროების აგენტად მუშაობდა და კეთილსინდისიერად გვაწვდიდა ინფორმაციას. მათ შორის, იმათ შესახებაც, ვინც დღეს მართავს ქვეყანას. ჩვენი დავალებით მან ურთიერთობა დაამყარა სააკაშვილის პარტიასთან — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“, რომელიც მაშინ ოპოზიციაში იყო და გვაწვდიდა ინფორმაციას იმაზე, რაც იქ ხდებოდა. იგი განაგრძობდა ამ საქმიანობას 2004 წლის გაზაფხულზეც, როცა სააკაშვილის მომხრეები აბაშიძის დამხობას ამზადებდნენ. ამისთვის პირადად მე ვუხდიდი მას ფულს. კარგ ფულს იღებდა“.**

შეგახსენებთ, რომ 5 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებით დაპატიმრებული ორი ადამიანის დაკითხვის გადაღებული მასალა. ერთ-ერთი მათგანი, ბიზნესმენი აჭარიდან — პეტრე დევრიშაძე დაწვრილებით ლაპარაკობს, როგორ მიმდინარეობდა მისი გადაბირება. ბიზნესმენის სიტყვით, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლები მას საქართველოში რუსი თანამემამულეების კავშირის — „ოტჩიზნას“ (სამშობლოს) ხელმძღვანელის ვალერი სვარჩუკის მეშვეობით დაუკავშირდნენ. მისი შუამავლობით დევრიშაძე თითქოს შეხვდა მოსკოვში რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცრებს, რომლებმაც შანტაჟით აიძულეს იგი, ეთანამშრომლა მათთან.

**„განა შეიძლება იყოს დევრიშაძე რუსეთის აგენტი, როცა მისი ღვიძლი ძმა, დიდი ხანია, აშშ-ში ცხოვრობს?** — აღშფოთებულია ბაკურიძე, — **მას მართლაც აქვს რუსეთის პასპორტი. არის ინფორმაცია, რომ მან იგი უკანონოდ მიიღო“.**

**საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აგენტის — დევრიშაძის ოპერატიული ფსევდონიმი იყო „რუსო“ — „რუსი“. ასე დაარქვეს იმიტომ, რომ გარეგნულად ქართველს დიდად არ ჰგავს.** მას შემდეგ, რაც საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, კვალდაკვალ კი — გადატრიალება აჭარაში, დევრიშაძე სააკაშვილის ბანაკში გადაბარგდა. მაგრამ ჩემი თანამოსაუბრე დარწმუნებულია, რომ იგი ძველებურად საქართველოს სპეცსამსახურებისთვის მუშაობს. მაგრამ ამჯერად მისი კურატორები მსახურობენ არა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში, რომელიც დაშლილია, არამედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში.

**„როცა მე უკვე მოსკოვში ვცხოვრობდი, დევრიშაძემ არაერთხელ დამირეკა იმის გასაგებად, თუ აჭარაში სად დავმალეთ იარაღი. მთავაზობდა, რომ დამეხმარებოდა გაყიდვაში, სანამ არ დაჟანგებულაო,** — ეცინება ბაკურიძეს, — **მათ იქ ეშინიათ, რომ საქართველოდან გამომგზავრების წინ მოვასწარით რაღაცის გადამალვა, და თუ რამე დაიწყება, ავამოქმედებთ გადანახულს. მაგრამ მე უკვე ვიცოდი, რომ იგი იმათზე მუშაობდა. მისი მითითებით ჩემს სახლში, აჭარაში შვიდჯერ ჩაატარეს ჩხრეკა“.**

მნიშვნელოვანია, რომ დევრიშაძე თემურ პატარიძეს ენათესავება, აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების სამმართველოს უფროსს, რომლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა „რუსეთის აგენტების“ დაკავების ოპერაცია. **„მათ ერთობლივი ბიზნესი აქვთ, ამასწინათ შეიძინეს თევზაჭერი გემი,** — ყვება აჭარის ყოფილი პირველი ვიცეპრემიერი ბადრი მელაძე, — **პატარიძის ძმა რუსეთში ციხეში იჯდა. დევრიშაძე დაეხმარა მას გათავისუფლებულიყო — წერდა საჩივრებს, დადიოდა აქ ინსტანციებში“.**

პატარიძესთან ერთად დევრიშაძემ დაიწყო ქართული არმიისთვის მოშუშული ხორცის გამოშვება. დევრიშაძე საქართველოს სპეცსამსახურების დავალებებს რომ ასრულებს, მტკიცდება ასეთი ფაქტითაც: **აგვისტოს ომის წინ იგი ჩამოვიდა პიტერში და უკავშირდებოდა ადამიანებს, ქართველებს, ეკითხებოდა, სად შეიძლებოდა იარაღის ყიდვა ვითომდაც საქართველოს არმიისთვის. უეჭველად რაღაც პროვოკაცია მზადდებოდა.** შესაძლებელია, რომ რუსეთიდან გაგზავნილ იარაღის ამ პარტიას დააკავებდნენ საქართველოს საზღვარზე, რის შემდეგაც განაცხადებდნენ, რომ იგი გამიზნული იყო, მაგალითად, სამხედრო გადატრიალების ორგანიზებისთვის.

ეტყობა, რომ ერთგული სამსახურისთვის საქართველოს ხელისუფლებამ ნება დართო დევრიშაძეს დაესაკუთრებინა ბინა ბათუმში, რომელიც აჭარის წინა ხელმძღვანელობამ გამოუყო აჭარაში რუსეთის სამხედრო ბაზის მეთაურს გენერალ ბორისოვს.

**„მთელი ეს „ჯაშუშთა“ საქმე დევრიშაძემ და პატარიძემ ააგორეს,** — დარწმუნებულია ბადრი მელაძე, — **პატარიძემ ვარსკვლავი მიიღო, დევრიშაძე დროებით ჩასვეს, მაგრამ მალე გამოუშვებენ. სწორედ მისი „აღიარებითი ჩვენების“ საფუძველზე ჩასვეს დანარჩენები. იგი თანდაყოლილი პროვოკატორია. მთავარი მიზანი, პოლიტიკურის გარდა, რუსლან გალოგრე და მისი ქონებაა, რომლის კონფისკაციასაც ახლა მოახდენენ. რუსლანი განსვენებული დიდი ბიზნესმენის — ომარ გალოგრეს ძმაა, ვისი ქალიშვილიც ამჟამად ინგლისში ცხოვრობს. სასტუმრო „გალოგრე“ ბათუმის ცენტრში რუსლანზეა გაფორმებული, ამბობენ, რომ ეს სასტუმრო ძალიან მოეწონა მიხეილ სააკაშვილს. მეორე ამოცანა კომპანია Saybolt Georgia-ის ხელმძღვანელები არმენ გევორქიანი და რუბენ შოკოიანია. მათი ადგილების სხვებისთვის მიცემას გეგმავენ: კომპანია უდიდეს ფულს ატრიალებს“.**

დევრიშაძის გარდა, 13 დაპატიმრებული „ჯაშუშიდან“ აღიარებითი ჩვენება მხოლოდ ერთმა — გაბრიელ უსტალიშვილმა მისცა. ფაქტობრივად, ამით ამოიწურა „მტკიცებულებათა ბაზა“, რომელიც საქართველოს კონტრდაზვერვამ წარადგინა. აბა, მტკიცებულებად ხომ არ ჩაითვლება დადგმული კადრები ფილმიდან „ენვერი“, სადაც ქართველი მსახიობები რუს სამხედროებს განასახიერებენ?! და აი, ახლა ირკვევა, რომ „გულწრფელი აღიარებით“ გამოვიდა ქართულივე უშიშროების მიერ მიგზავნილი პროვოკატორი.

**„მოსკოვსკი კომსომოლეცი“**
**2010 წლის 15 ნოემბერი**

17 — 23 ნოემბერი, 2010 წელი. №42 (85)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აფეთქების გენია

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი“ — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**


ფილმის ავტორი მარინა ჩუბკინა

**მას რუსული სპეცრაზმის მამას უწოდებენ. იგი დივერსიული მოქმედებების უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. ფრანკომ და ჰიტლერმა პირადად გასცეს მისი განადგურების ბრძანებები, მაგრამ ისინი არ შესრულებულა. მან 100 წლამდე იცოცხლა. მისი სახელი რამდენიმე ნაღმსა და ლომის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს უწოდეს. მის გამოცდილებას იყენებენ სპეცდანიშნულების ჯგუფი „ალფა“, პალესტინელი ბოევიკები და ისრაელის კომანდოსები.
მაშ, ვინ არის იგი — ადამიანი თუ მითი?**

1919 წლის ზაფხული. დენიკინის არმია კურსკისკენ მიიწევს. წითელი არმიის მსროლელთა მე-20 პოლკი უკანასკნელი ძალებით ცდილობს დენიკინელებთან გამკლავებას. თეთრებს უდიდესი დანაკარგები აქვთ, მაგრამ ფანატიკურად უშვერენ მკერდს ტყვიას. მოულოდნელად, წითლების ზურგიდან სროლა ისმის და იძულებულები არიან, იარაღი დადონ. ტყვეებს შორის არის ახლგაზრდა მებრძოლი ილია სტარინოვი. წითელარმიელებს მტვრიანი გზებით მიერეკებიან. სოფლისკენ მიმავალ გზაზე კაზაკები წითლების დახოცვას ითხოვენ, მაგრამ უშედეგოდ — ზოგიერთი მათგანი ხომ შეიძლება ნებაყოფლობით გადავიდეს თეთრების ჯარში.



უკან ჩამორჩენილმა ორმა მებრძოლმა უზრუნველად მდგომ გუშაგებს იარაღი წაართვა და წითლების შტაბში მიიყვანა. კურსკთან ბრძოლა ცვალებადი წარმატებებით გრძელდება. შეტევისას სტარინოვს ტყვია მუხლში მოხვდა. ჰოსპიტალში ყოფნისას კი გაიცნო მენიორი, რომელიც თეთრების ზურგში გალაშქრებებსა და მოწინააღმდეგის მთელი ბატალიონების გამნადგურებელ მათ მანქანებზე ისტორიებს დიდი აღფრთოვანებით უყვება.

**მომავალი ამფეთქებელი უფროსი ამხანაგის მონათხრობს მოჯადოებულივით ისმენს. მან უკვე გააკეთა არჩევანი და საინჟინრო ნაწილში გადასვლაზე ფიქრობს. გამოჯანმრთელების შემდეგ სტარინოვი მესანგრეთა ასეულში მსახურობს. ცხადია, რეალობა მის ფანტაზიებთან შედარებით გაცილებით მოკრძალებულია. წარღვნამდელი ჯოჯოხეთური მანქანებისგან კი ხმაური უფრო მეტია, ვიდრე სარგებელი. მაინც კმაყოფილია, რადგან საქმე ტექნიკასთან აქვს.**

**ნუთუ მასზე ადრე არავის მოუვიდა აზრად, რომ ნაღმი მარტივი და მსუბუქი უნდა იყოს, მის ჩასადებად წამიც უნდა კმაროდეს, მაგრამ მოქმედებაში მოყვანა შორიდან, ყოველგვარი რისკისა და საფრთხის გარეშე უნდა შეიძლებოდეს. „ომის შემდეგ აუცილებლად მივიღებ საჭირო განათლებას და წითელი არმიისთვის ასეთ ნაღმებს დავამზადებ“, — ფიქრობდა სტარინოვი. მის დევიზად „ააფეთქე და დარჩი უხილავი!“ იქცა.**




მაკსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი

სამოქალაქო ომში იყო პერიოდები, როდესაც წითლები უკვე წავიდნენ, თეთრები კი ჯერ არ მოსულან და საჭირო იყო რაიმე მეთოდით თეთრების სწრაფი გადაადგილების ჩაშლა. ამისთვის თავდაცვის ხაზის წინ აგზავნიდნენ წითელი არმიის ქვედანაყოფებს, უპირველესად, სპეციალისტ მესანგრეებს. სწორედ ამ ოპერაციებში მონაწილეობდა სტარინოვიც, ხან რიგით მებრძოლად, ხანაც — ჯგუფის მეთაურად.



**ომის დასრულების შემდეგ სტარინოვი სახელმძღვანელოებს ჩაუჯდა და მეორე ცდის შემდეგ მოეწყო სამხედრო სასწავლებელში. 20-იანი წლების კურსანტები გეგმებისა და ილუზიების ნაკლებობას არ უჩიოდნენ. ისინი კომუნებად ცხოვრობდნენ, სწავლასა და სპორტში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ვოლგისპირეთის დამშეულ მოსახლეობას თავიანთ მწირ ულუფას უნაწილებდნენ.**

ლენინის გარდაცვალებიდან ცოტა ხანში სტარინოვი პარტიაში შევიდა. მას გულწრფელად სჯეროდა კომუნისტური იდეალებისა და მიიჩნევდა, რომ საბჭოთა სისტემის ყველა ხარვეზი პარტიული ჩინოვნიკების მიერ უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების ბრალი იყო.


ალექსანდრე დიუკოვი, ისტორიკოსი, სტარინოვის შვილთაშვილი:

— მას სწამდა კომუნიზმის იდეალებისა და ამასთანავე, ვფიქრობ, რომ მორწმუნეც იყო. თუმცა ხანდახან ამას უარყოფდა. ერთხელ აღიარა, რომ სწავლებებისას, როდესაც დესანტში პირველად გაუშვეს, გაფაციცებული იყურებოდა ირგვლივ და უფლის დანახვას იმედოვნებდა.

20-30-იანი წლების საბჭოთა კავშირის სამხედრო დოქტრინა მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა რკალში თავდაცვის გაურღვეველი ზოლის შექმნას გულისხმობდა. იმხანად წითელი არმია დიდი არ იყო და, ძირითადად, ტერიტორიული ნაწილებისგან შედგებოდა. ითვლებოდა, რომ მტერი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა შემოეშვათ, შემდეგ კი მასზე უამრავი პარტიზანული რაზმის თავდახმა ერთდროულად განეხორციელებინათ. დაახლოებით ისევე, როგორც ეს სამოქალაქო ომის დროს ხდებოდა.



წითელი დივერსანტები მოარღვევდნენ გზებს და ანადგურებდნენ ბაზებს მტრის ზურგში, გამაგრების, საბრძოლო მასალებისა და სურსათის გარეშე ტოვებდნენ მის ჯარს. ამის შემდეგ კი იოლად განდევნიდნენ და სხვათა ტერიტორიებზე მშრომელების გათავისუფლებას განაგრძობდნენ.

ასეთი იყო მიხეილ ფრუნზესა და მისი მიმდევრების თვალთახედვა. მათთვის უხილავი დივერსანტი ნომერ პირველ ფიგურად იქცა.


ალექსი პოპოვი, ისტორიკოსი:

საბჭოთა სახელმწიფო ამ პერიოდში მაინც არ იყო ისეთი ძლევამოსილი, როგორიც მომავალში გახდა. ამიტომ მისი ჭკვიანი ხელმძღვანელი პირები, მათ შორის მიხეილ ფრუნზეც, ისევ და ისევ კლასიკურ ნაშრომებზე დაყრდნობით, გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ომის შემთხვევაში შესაძლებელია, ვიომოთ ჩვენს, ანუ მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ, ტერიტორიაზეც.

ამგვარი საომარი დოქტრინის პირობებში ერთ-ერთ უმთავრეს იარაღად სწორედ ნაღმები იქცა, მაგრამ სამოქალაქო ომის დროს ნაღმი უზარმაზარი ხის ყუთი იყო. ის იმდენად მოუხერხებელ საგანს წარმოადგენდა, რომ მთელი ომის მანძილზე ცხენების საშუალებით გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე.

**კურსანტი სტარინოვი მიიჩნევდა, რომ ნაღმში მთავარი უტყუარი ასაფეთქებელი ნაწილი იყო. ამასთანავე, წითელ პარტიზანებს შენელებული მოქმედების ნაღმები უნდა ჰქონოდათ და ისინი ზუსტად დაგეგმილ დროს უნდა აფეთქებულიყო. ამ შემთხვევაში დივერსანტები დიდი ხნით ადრე დაიმალებოდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგე დანაღმულ ტერიტორიაზე გაივლიდა და დანაკარგებიც მინიმალური იქნებოდა.**

1930 წელს სამხედრო ხელმძღვანელობამ საზღვრისპირა რაიონებში დივერსანტებისა და იატაკქვეშელების მასობრივი მომზადება დაიწყო. ყველაზე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ათასობით უჩინარ ადამიანს აგრესორთა ზურგი ჯოჯოხეთად უნდა ექცია, მათი მარაგები და აღჭურვილობები გაენადგურებინა და უკან დახევა აეძულებინა. **სტარინოვი**



**მშვიდობიან მოსახლეობას ტყვიამფრქვევებთან და მინებთან მოპყრობას, მათ გამოყენებას, პარაშუტით ხტომასა და იარაღის უკლებლივ ყველა სახეობის მოხმარებას ასწავლიდა. პარალელურად უღრან ტყეებში აშენებდა უზარმაზარ ბაზებს, სადაც საბრძოლო მასალების, იარაღისა და სურსათის დიდი მარაგი ინახებოდა.**

წითელი არმიის ასეთი მოხალისე დამხმარეები საგულდაგულოდ კონსპირირებულნი იყვნენ და ვერავინ იეჭვებდა, რომ საბჭოთა მთავრობის მიმართ რაიმე სიმპათია გააჩნდათ. ხანდახან მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თითქოსდა მზად იყვნენ, მომავალ ოკუპანტებს გამოსდგომოდნენ. ომის შემთხვევაში დივერსანტების ქსელი საზღვარგარეთ უნდა გადაეტანათ, კომინტერნის ლიდერები კი, რომლებსაც სტარინოვი უწევდა კონსულტაციებს, შეთავსებით დივერსიული ჯგუფების ხელმძღვანელები გახდებოდნენ.



**სტარინოვი ნაღმების საქმეს პალმირო ტოლიატის, ვილჰელმ პიკს, პოლონელ კომუნისტს — ალექსანდე ზავადსკისა და ჩინელ რევოლუციონერებს ასწავლიდა.**

როგორც კი ინტერვენტები საბჭოთა მიწაზე შემოდგამდნენ ფეხს, ხიდები, სარკინიგზო და სამანქანო გზები მათ ფეხქვეშ უნდა აფეთქებულიყო. საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებზე დანაღმვის სამუშაოები დუღდა. სტარინოვი პოლონეთსა და რუმინეთთან საზღვრის მთელ სიგრძეზე აფეთქებების მოსამზადებელ სამუშაოებს დღე და ღამ უძღვებოდა. ამონტაჟებდა ძლიერ ასაფეთქებელ მოწყობილობებს, რომელთაც შეეძლოთ გვირაბი ან ხიდი რამდენიმე წამში ნამსხვრევების გროვად ექციათ.

პარალელურად, იგი მუდმივად ატარებდა ექსპერიმენტებს და ახალ-ახალ გამოგონებებსაც ბოლო არ უჩანდა. ასე იქმნებოდა მანქანებისა და მატარებლების ასაფეთქებელი ნაღმები, ნახშირის ნაღმები, რგოლის ჩამკეტიანი ნაღმები, რომელთაც მოგვიანებით ესპანელებმა სწრაფი ნაღმები უწოდეს. შენელებული მოქმედების ნაღმების დასამზადებლად ისეთ „ნაწილებსაც“ კი იყენებდნენ, როგორიც კარტოფილი ან ფორთოხალი იყო.



**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**

ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში სტარინოვს ეკუთვნის ეგრეთ წოდებული ეშმაკი ნახშირის ნაღმების გამოგონების პატივი. გარეგნულად ნაღმი გამოიყურება როგორც ჩვეულებრივი ნახშირის ნაჭერი, მაგრამ მასში ასაფეთქებელი ნივთიერებაა ჩამალული.

თავიდანვე სტარინოვს მონაცვლეობით უხდებოდა ხან თავისი პარტიზანების სწავლება, ხან მოწინააღმდეგის პარტიზანებთან ბრძოლა. სარკინიგზო გზებზე დივერსიისთვის იგი იყენებდა ნაღმებს, რომლებიც მოწინააღმდეგეს აყრუებდა, მაგრამ არ კლავდა. გამოგონებამ უკრაინის სამხედრო ოლქის სარდლის მოწონება და მადლობა დაიმსახურა. **მაგრამ 30-იანი წლების მეორე ნახევარში, სტარინოვისა და პარტიზანული რაზმების ძირითადი ჯარების ბოლო, ჩამკეტი ხაზის შექმნის სამუშაოები რატომღაც შეჩერდა, ახალი ნაღმების გამოშვება კი მკვეთრად შემცირდა. სტარინოვის ცხოვრებაში მძიმე პერიოდი დადგა. მორიგი წმენდისას ხელმძღვანელობას უცებ თეთრგვარდიული ტყვეობა გაახსენდა და დაიწყო იმის გარკვევა, ნამდვილად ის იყო თუ არა სტარინოვი, რადაც თავის წარმოჩენას ცდილობდა.**

დაგვიმტკიცეთ, რომ სტარინოვი ხართ და არა თეთრგვარდიელი სტარიკოვი, — შესთავაზა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამომძიებელმა. საყვარელი საქმე ცნობებისა და დოკუმენტების შეგროვების პროცესმა და სასტიკმა წყენამ ჩაანაცვლა. სტარინოვს არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა, არ დაეჯერებინათ მისი და ეჭვი გასჩენოდათ, მაგრამ მან დიდი ძალისხმევის გარეშე შეძლო საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სამი ალ-არიანი — ჯიჰადის პროფესორი

**„ქვეყანაში, სადაც დემოკრატია ზეიმობს“, მუსლიმან პროფესორს ცხოვრების ხანგრძლივი და მტანჯველი პერიოდი მას შემდეგ დაუდგა, რაც „პოსტ 9/11“-ის ეპოქის ამერიკაში მუსლიმანების მიმართ შიშისა და ნეგატიური წინასწარი განწყობის სახელმწიფოს მიერ ნასაზრდოები კლიმატი შეიქმნა. ამბობენ, რომ სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, მეცნიერი, აკადემიკოსი, მუსლიმანური მოძრაობის აქტივისტი და უფლებათა დამცველი ამერიკის ხელისუფლების პოლიტპატიმარია. იგი 2003 წელს დააპატიმრეს და, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ შეთხზული და წაყენებული 17 ბრალდებიდან რვა პუნქტის მიხედვით სასამართლომ გაამართლა, დანარჩენი ცხრა პუნქტის შემთხვევაში კი ნაფიცი მსაჯულები „ჩიხში შევიდნენ“ (ათი ორის წინააღმდეგ გამართლების სასარგებლოდ), ციხეში გამოკეტეს.**



სამი ალ-არიანი





სამი ალ-არიანის ოჯახი



სამი ალ-არიანი ამერიკელ პოლიტოლოგთან ნორმან ფილკენშტეინთან ერთად

ალ-არიანი კუვეიტელია. მისი მშობლები კუვეიტში პალესტინიდან მაშინ გაიქცნენ, როდესაც იქ ალ-ნაკბა (კატასტროფა) — 1948-1949 წლებში პალესტინელების მასობრივი გენოციდი დაიწყო. **ისრაელში ამას „დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა“ ერქვა და შედეგად 800 ათასი არაბი განადგურდა. მათი მიწები მიითვისეს, სიწმინდეები შებღალეს. პალესტინიდან არაბი მოსახლეობის განდევნის ე. წ. გეგმა „დალეტის“ რეალიზების შედეგად დაუცველი ადამიანების უმოწყალო ხოცვა, მათი სახლებისა და ქონების განადგურება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.**

ალ არიანის დედ-მამა სასწაულებრივად გადაურჩნენ სიონისტების მიერ მოწყობილ ამ სასაკლაოს.

1975 წელს ალ-არიანი აშშ-ში ჩავიდა, მაგრამ დემოკრატიის სამშობლოში მოქალაქეობა 1986 წლამდე ვერ მიიღო. დაკავებამდე პროფესორი სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტში ინფორმატიკას ასწავლიდა.

**პროფესორი ცნობილი იყო, როგორც თავისი მრავალტანჯული ხალხის უფლებათა და თავისუფლებათა თავგანწირული დამცველი, მისი მონაწილეობით 1981 წელს შეიქმნა ჩრდილოამერიკული ისლამური საზოგადოება (ISNA) — ამერიკის ტრადიციულ მუსლიმანთა ყველაზე დიდი გაერთიანება, რომლის მიზანიც იყო „მუსლიმანთა და, საერთოდ, საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესება; ადამიანებისთვის ისლამის გაცნობა; საგანმანათლებლო, სოციალური და საქველმოქმედო პროგრამების შემუშავება; სხვა რელიგიურ თემებთან, ასევე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება“.**

ალ-არიანი მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციების „Tampa Bay Coalition for Justice and Peace“-ისა და „National Coalition to Protect Political Freedom“-ის შექმნაშიც. მისმა მოღვაწეობამ საზოგადოების მხრიდან ფართო რეზონანსი გამოიწვია. **მას პირადად შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ორი პრეზიდენტი — ბილ კლინტონი და ჯორჯ ბუში.**

**მეცნიერის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია ამერიკული სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში მოექცა და ალ-არიანზე თვალთვალი ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო.** 1996 წელს სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის რექტორმა ჯუდი გენშაფტმა განაცხადა, რომ პროფესორის საზოგადოებრივი მოღვაწეობა უნივერსიტეტის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და აიძულა იგი, მთელი წლით შვებულებაში წასულიყო. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ კი გენშაფტმა ალ-არიანი საერთოდ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და გააკეთა მთელი რიგი განცხადებები, რომლებშიც მას ტერორისტებთან კავშირის გამო ადანაშაულებდა.

**ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე სამი ალ-არიანი წერდა: „დღეს ჯვარს მაცვამენ იმის გამო, ვინც ვარ — სამშობლოწართმეული პალესტინელი, არაბი, მუსლიმანი, პალესტინისა და მისი ხალხის უფლებათა დამცველი, რომელიც ღიად აფიქსირებს საკუთარ პოზიციებს; მაგრამ მეტწილად იმის გამო, რომ მე დაუღალავად ვიბრძვი სამოქალაქო და კონსტიტუციური უფლებებისთვის აქ, ამერიკაში“.**

2003 წლის 20 თებერვალს, დილის ხუთ საათზე, ალ-არიანის სახლში გამოძიების ფედერალური ბიუროს შეიარაღებული აგენტები შეცვივდნენ. პროფესორი და ფლორიდის მუსლიმანური თემის კიდევ სამი აქტივისტი — სამიხ ხამუდე, ხატიმა ნაჯი ფარიზი და გასან ზაიედ ბალატა სხვადასხვა ბრალდებით დააკავეს. **მათ შორის იყო ტერორიზმის ხელშეწყობა, დანაშაულებრივი შეთქმულება მკვლელობის მიზნით, ბანდიტიზმი, გამოძალვა და ასე შემდეგ. სულელური ბრალდებების წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად სამი ალ-არიანმა შიმშილობა გამოაცხადა, რომელიც 140 დღეს გაგრძელდა და რომელიც დიაბეტის გამო მისი სიცოცხლისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა.**

ალ-არიანს ბრალად წაუყენეს ტერორისტული დაჯგუფების „Palestinian Islamic Jihad“ მხარდაჭერა, რასაც იგი ვითომდა სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტში თავისივე შექმნილი ორგანიზაციების — „Islamic Committee for Palestine“-ის, „Palestinian charity“-ისა და „World Islamic Studies Enterprise“-ის საშუალებით ახორციელებდა. **ამ ბრალდებამდე ორი წლით ადრე ფედერალურმა საიმიგრაციო მოსამართლემ კევინ რ. მაკხუგმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ სამივე ზემოხსენებული ორგანიზაცია ცალსახად კვლევით, საგანმანათლებლო და უფლებათა დამცველ ხასიათს ატარებდა, ფუნქციონირებდა კანონთა მკაცრი დაცვით და ტერორიზმთან რაიმე შეხება არ ჰქონია.**

ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. 20 მარტს, დაკავებულთა გიraos სანაცვლოდ გათავისუფლებასთან დაკავშირებით, სასამართლო გაიმართა და, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარეს ერთი მტკიცებულება ან მოწმეც არ წარმოუდგენია, პროფესორს გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე უარი უთხრეს.

**27 მარტს ტუსაღი ფლორიდის ფედერალურ ციხეში კოულმანში, გადაიყვანეს, და, როგორც განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, ცალკე საკანში გამოკეტეს. უმძიმეს პირობებში მყოფ დამნაშავეს მის მიერ წაყენებული ბრალდებების მასალებთან გაცნობის საშუალებაც კი არ ჰქონია. ალ-არიანს უარი უთხრეს ახლობლებთან შეხვედრაზე, დიდი ხნის მანძილზე არ მიეცა საშუალება, გამოეყენებინა საკუთარი სახსრები და დაექირავებინა ადვოკატი.** სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ადვოკატებზე პროფესორმა უარი განაცხადა — მათგან სარგებელი არ ჩანდა. სამაგიეროდ, ალ-არიანს უფლება მისცეს, თავად გამოსულიყო საკუთარი თავის დამცველად. მოგვიანებით მისი ადვოკატები უილიამ მოფიტი და ლინდა მორენო გახდნენ.

**ეს იყო გახმაურებული საქმე, რომელიც აღშფოთებას იწვევდა როგორც ამერიკის აკადემიურ წრეებში, ასევე ადამიანის უფლებათა დამცველებს შორისაც, მაგრამ საყოველთაო ანტიტერორისტული ისტერიის ფონზე მათი ხმა არავის ესმოდა, ალ-არიანის ციხის ოდისეა კი გრძელდებოდა.**

სასამართლო 2005 წელს დაიწყო. მტკიცებულებების სახით წარდგენილი იყო სატელეფონო საუბრების ჩანაწერები (ასეთი ჩანაწერი ნახევარ მილიონზე მეტი აღმოჩნდა), დაიკითხა 70 მოწმე, რომელთაგან 21 ისრაელელი იყო, საქმეს დაერთო ალ-არიანის ყველა საჯარო გამოსვლა, მისი ლექციები, მისი მონაწილეობით ჩატარებული ღონისძიებების სტენოგრამები და ასე შემდეგ. **მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად „დემოკრატიის ზეობის ქვეყანაში“ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, ილაპარაკოს და იკითხოს ყველაფერი, რაც სურს, მაგრამ მუსლიმანებსა და „საზოგადოების მტრებზე“ დემოკრატიის ეს მიღწევები, თავისთავად ცხადია, არ გავრცელებულა.**

**6 დეკემბერს ალ-არიანი 17 წაყენებული ბრალდებიდან რვა პუნქტის მიხედვით უდანაშაულოდ სცნეს. დარჩენილი 9 პუნქტის გამო ნაფიცი მსაჯულები „ჩიხში“ აღმოჩნდნენ,** მაგრამ აშშ-ის საიმიგრაციო კანონების დარღვევის გამო პროფესორი მაინც გისოსებს მიღმა დატოვეს. **ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარე სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი მაინც ვერ გამოიტანა.**

ალ-არიანი მიხვდა, რომ, მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა, ხელისუფლება მის განთავისუფლებას არ აპირებდა და იძულებული გახდა, დანაშაული ეღიარებინა, ოღონდ სამი პირობის გათვალისწინებით: ბრალდებას უნდა ეღიარებინა, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ ძალადობრივ აქტში და, როგორც აშშ-ის, ასევე, ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე განხორციელებული რაიმე მსგავსი დანაშაულის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონია; აღიარების შემდეგ არავინ მოსთხოვდა შემდგომ „თანამშრომლობას“ ან რაიმე ინფორმაციის მიწოდებას; წინასწარი პატიმრობის პერიოდს დანაშაულის სასჯელად ჩაუთვლიდნენ, სასამართლოს შემდეგ გაათავისუფლებდნენ და ნებაყოფლობით დატოვებდა ქვეყნის ტერიტორიას.

**ალ-არიანმა თავი დამნაშავედ სცნო იმის გამო, რომ ერთხელ დაეხმარა დაჯგუფება „PALESTINIAN ISLAMIC JIHAD“-თან კავშირის მქონე ადამიანს. დანარჩენი ბრალდებები მოუხსნეს.**

ზემოხსენებულ შეთანხმებაში ფაქტები შემდეგნაირადაა ასახული: ალ-არიანმა ადვოკატი დაიქირავა გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ 1997 წლის 19 მაისს დაკავებული თავისი ნათესავის მაზენ ალ-ნაჯარისთვის, რომელიც მოსმენების საფუძველზე დააკავეს. 3,5 წელი ალ-ნაჯარმა სასამართლოს განაჩენის გარეშე გაატარა ციხეში, ამის შემდეგ კი გაათავისუფლეს, მაგრამ 2001 წლის 24 ნოემბერს კვლავ დააკავეს და 2002 წლის 2 აგვისტოს ქვეყნიდან გააძევეს. გარდა ამისა, პროფესორი საიმიგრაციო საბუთების გაფორმებაში დაეხმარა ვიღაც პალესტინელ სტუდენტს ბრიტანეთიდან და ადგილობრივ ჟურნალისტს უარი უთხრა აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მიწოდებაზე.

**2006 წლის 17 აპრილს ეს შეთანხმება საოლქო მოსამართლეს — ჯეიმს მუდის წარუდგინეს. განაჩენის გამოცხადება 1 მაისისთვის იგეგმებოდა. მოუხსნეს რა ალ-არიანს სხვა ყველა ბრალდება, სასამართლომ, თავის მხრივ, მოითხოვა, რომ განსასჯელისთვის არ დაეკისრებინათ არანაირი ჯარიმა, ადვოკატებს კი ურჩიეს, გამოტანილი განაჩენი მიეღოთ, როგორც ყველაზე მსუბუქი სასჯელი არსებულ პირობებში.**

იმისთვის, რომ როგორმე ბოლო მოეღო საკუთარი ტანჯვისთვის და ოჯახს დაბრუნებოდა, ალ-არიანი დეპორტაციას დასთანხმდა. მოსამართლე მუდიმ მას, შეთანხმებით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი, 57 თვით პატიმრობა მიუსაჯა. **წინაწარი პატიმრობის გათვალისწინებით, პროფესორი 2007 წლის აპრილში უნდა გათავისუფლებულიყო ციხიდან და დეპორტაციაც ამ დროისთვის განხორციელდებოდა, მაგრამ მოსამართლემ თავად დაარღვია საკუთარი გადაწყვეტილება — პატიმრობის ვადა გაუხანგრძლივა და გათავისუფლება 2008 წლის ოქტომბრისთვის გადადო.** ამასობაში კი პროფესორისთვის ახალი ბრალდებები მომზადდა. ოქტომბერში ალ-არიანი კვლავ დაიბარეს სასამართლოში საქმის დამატებითი განხილვისთვის, მაგრამ ადვოკატებმა ურჩიეს, ამ კომედიაში მონაწილეობა აღარ მიეღო. შედეგად, 2006 წლის 16 ნოემბერს ალ-არიანი კვლავ გაასამართლეს, ამჯერად სასამართლო დადგენილებების შეუსრულებლობის ბრალდებით. ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის დაუმორჩილებლობის გამო იხდიდა სასჯელს, წინასწარ დანიშნული ვადა არ ეთვლებოდა. შემდეგ 18 თვე დაუმატეს. ამასობაში კი ისედაც ავადმყოფმა პროფესორმა საპროტესტო შიმშილობების გამო საკუთარი წონის მეოთხედი დაკარგა და ციხის საავადმყოფოში გაამწესეს. სასამართლო ბაქანალია კი გრძელდება.

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იცოცხლე, ჩემო ქვეყანავ!

## თრიალეთი

**ჩვენი თრიალეთში მოგზაურობა დასასრულს უახლოვდება და ვცდილობთ, მივლინების ბოლო დღე განსაკუთრებით ნაყოფიერი გავხადოთ. წალკის რაიონის ძეგლთა დაცვის მენეჯერი მაიზერ გვიჩიანი, ვიდეოოპერატორი სოზარ გულბანი და თქვენი მონა-მორჩილი წალკის მონასტრიდან ისე გავდივართ, რომ გათენებას არ ვაცლით. ავლადისა და ბურნაშეთის ხევების შემდეგ გეზი კოხოჯის ხევისკენ გვიჭირავს. ეს ხევი ერან-თურანს დასავლეთიდან ესაზღვრება, ქციას ჩრდილოეთიდან უერთდება და მისი ყველაზე დიდი შენაკადია თრიალეთში, უფრო სწორედ, შენაკადებს შორის მას ყველაზე ვრცელი სანახები აქვს, რადგან, თავის მხრივ, ცრიცის ხევსაც იერთებს.**


ჯინისის „წმ. გიორგი"


გუმბათის გადაკეთებული ეკლესია და მისი ძველი ლავგარდანის ფრაგმენტი



სოფელ დარქოის შემდეგ ჯინისში შევდივართ, რომელსაც ადრე **არწივანი** ერქვა. ძველი საბუთების თანახმად, 1457 წელს, ერთიანი საქართველოს ერთ-ერთ უკანასკნელ მეფეს, გიორგი VIII-ს არწივანის ნაწილი სამთავისის მონასტრისათვის შეუწირავს. ლეკთა თარეშით შეღონებულ ამ სახასო სოფელში, 1721 წლის აღწერით, თურმე, 5 გამომღები ყმა-კომლიღა ცხოვრობდა და გიორგი მდივანი მოურავობდა. მიუხედავად ამისა, ეს პატარა სოფელიც კი ყეენის საფეშქაშო 4 მარჩილით (12 აბაზი) იბეგრებოდა. ბუნებრივია, რომ ასეთი მძიმე ბედი ქართველ გლეხკაცს მამულიდან აყრიდა და ქართლის სხვა მხარეში მოაძებნინებდა თავშესაფარს.

აღორძინებული ჯინისი ამჟამად კარგახელა სოფელია.

აქ აჭარიდან მოსული 120 ქართული და ურუმების 38 ოჯახი ცხოვრობს. დასახლების ცენტრში გადაუკეთებლად და თითქმის დაუზიანებლად შემონახულ წმ. გიორგის ტაძარს დემოკრიტ სეფილოვის ოჯახი უვლის. იგი სოფლის ცენტრშია და პატარა ბაღში დგას. ეზო საგულდაგულოდაა დაცული და სანამ ტაძრამდე მივიდოდეს კაცი, მანამდე რამდენიმე საფეხურიანი ქვის კიბე უნდა აიაროს ხეივანში. თლილი ქვით ნაგები ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის მარცხენა მხარეს არის საკმაოდ საინტერესო 6-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: **„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისა და წმიდისა იოანე ნათლისმცემლისათა მომმადლა ღმერთმან მე ხოშაქსა, ერისთავთ-ერისთავისა — მსახურთუხუცესისა აფრიდონის ცოლსა, ოსიყმის ასულსა, აღგებაი წმიდისა ამის ეკლესიისა ვარძიის ღმრთისმშობლის სამსახურად. ი (10) წლისა მკუდარი გამაცოცხლა, ძლიერი დიდებაი მიბოძა. ესე მცირედი მსახურებაი მიძღვნია".**

წარწერიდან გამომდინარე, ეს ეკლესია აგებულია 1179-1185 წლებში, როცა უგვარო წარმომავლობის აფრიდონს ესოდენ დიდი თანამდებობა ეკავა და თრიალეთის სამეფო დომენს მართავდა.

ძველი არწივანის ამავე უბანში, სადაც დაბზარული სახლია და მცირე სალოცავიც დგას, 150-მეტრიანი მიწისქვეშა გვირაბი ყოფილა გაყვანილი. მისი ერთი ბოლო ეკლესიასთან მდებარე იმ სახლის სარდაფშია, რომლის პატრონი საბერძნეთშია წასული. გვირაბის საიდუმლო შესასვლელი რკინის სქელი გისოსებით არის დაცული და შიგ ვერავინ შედის.

მეორე ბოლო ზუსტად სად არის, ძნელი დასადგენია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მიტოვებული, დაბზარული სახლის სიახლოვეს ამოდის და დაგმანულია. შესაძლოა, რომ სწორედ მის თავზეა აგებული გვირან მცირე სალოცავი. სოფელში ადრე, თურმე შერვაშიძეებიც ცხოვრობდნენ.

ამ ამბავს გვიამბობს ჯინისში მცხოვრები შოთა დეკანაძე — წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. იგი ჯინისში 2003 წლამდე, ე.ი. იმ დრომდე ჩამოსულა საცხოვრებლად, ვიდრე დანარჩენი აჭარელი მოახალშენენი გამოჩნდებოდნენ. თავად ბატონ შოთასთვის ეს საიდუმლო ერთ მოხუც ურუმს უამბნია აქედან გადასახლების წინ. როცა შოთა დეკანაძის ნაამბობი საკუთარ ინტუიციად და ინფორმაციად გავანდე დემოკრიტ სეფილოვს, მან ეს ამბავი არ უარყო, მაგრამ არც ზედმეტი დეტალებით გაამდიდრა. როგორც ჩანს, გვირაბის ამბავს აქაური ურუმები დღემდე წმინდა საიდუმლოდ მიიჩნევენ და მის თაობაზე საუბრისაგან თავი შორს უჭირავთ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იგი ურუმების აქ გამოჩენამდეა გაყვანილი და მომხვდურისაგან ღონემიხდილი ქართველების თავშესაფარს წარმოადგენდა. ასეთი გვირაბდარანებით ხომ სავსეა სამცხე-ჯავახეთი...

ჯინისს ზევით სოფელი გუმბათი, ანუ ძველი **კოხაჯია.**

აქ, სოფლის გაუკაცრიელებამდე, 1721 წელს, ერთი მებატონე — სვიმონ ბატონიშვილი, 10 გამომღები და 2 ბოგანო ყმა-კომლი ცხოვრობდა. სოფელში ადრე გუმბათიანი ტაძარი მდგარა და თურქმანულენოვან ურუმებსაც კიუმბატი ამიტომ შეურქმევიათ დასახლებისთვის. ტაძარს გუმბათი ჯერ კიდევ 1846 წლამდე ჩამონგრევია, მაგრამ ურუმებს მისი აღდგენა ვერ მოუხერხებიათ, თუმცა სანაცვლოდ, აღმოსავლეთიდან, თავიანთ სტილზე, ნახევარწრიული აფსიდი მიუდგამთ. ტაძარს უნაკლოდ შემოუნახავს ძველი, მოლურჯო-მონაცრისფრო, აქა-იქ რძისფერი თლილი ქვით ნაკერი პერანგი, XI საუკუნის ჩუქურთმიანი ლავგარდანი და უფრო ადრინდელი სარკმლის დამდნარი თავსართი, ბიბლიური სიუჟეტი „დანიელი ლომების ხაროში" (დასავლეთის ფრონტონი) და სხვ. დასავლეთის ფასადზე არსებულ რამდენიმე ასომთავრული წარწერიდან ყველაზე საინტერესოა ეს ტექსტი: **„ამის წმიდისა ეკლესიისა შენებასა მოკუდა ქვაბულ წლისა 30-სა, ქრისტეშობისთვეს სამსა გაუჩინეთ აღაპი"...**

ქციის აყოლებაზე კოხაჯის ხევს საპონაურის ხევი მოსდევს. ამ ორ ხევს შორის მდებარეობს ძველი **თეზი**, რომელსაც ახლა ავრანლო ჰქვია. XVIII საუკუნეში აღწერილ თრიალეთის სოფლებს შორის ის ერთ-ერთი ყველაზე ღონიერი ჩანს, რადგან 16 მარჩილი ყეენის საფეშქაშო აქვს შეწერილი. ეს სოფელი ადრე ფარემუზა ჯავახიშვილს კუთვნებია, 1721 წლიდან კი მეფე-ბატონის ერთ-ერთი რძლის საყმო გამხდარა.

ავრანლო ურუმთა მოზრდილი დასახლებაა. სოფელში 4 ეკლესიაა, მაგრამ ქართული იერი აღარცერთს შემოუნახავს. ამავე ადგილებშია აბიბოს ნამონასტრალის გამოქვაბულები და ძველი ციხის ნაშალი.

უფრო ზევით, საპონაურის ხევში არის თრიალეთის ყველაზე მაღალი და ის ერთადერთი სოფელი, სადაც ქართული სიტყვა არასდროს დაშრეტილა. იგი ზღვის დონიდან 1740 მ-ის სიმაღლეზეა.

ეს **რეხაა...**

1721 წლის აღწერით აქ 19 გამომღები და 4 ბოგანო ყმაკომლი, 3 მამასახლისი და 3 მებატონე (ციციშვილები) ყოფილან.

როგორც ჩანს, ეს სოფელი თავიდანვე თრიალეთზე არ იყო იმდენად ორიენტირებული, რამდენადაც თორზე და გუჯარეთის ხეობაზე, ანუ დღევანდელ ბორჯომის რაიონზე. აქედან გუჯარეთში დღესაც გადადის უმოკლესი, ოღონდ არასამანქანო გზა. ექვთიმე თაყაიშვილი წერს, რომ მის დროს რეხაში ურუმი მოსახლეობა ჭარბობდა და წუხდა, ქართველები ნელ-ნელა ივიწყებენ მშობლიურ ენასო. სიმართლე ითქვას, აქაურ ქართველებს ინტონაციაში რაღაც უცხო და ნასესხები ახლაც გამოერევათ ხოლმე, მაგრამ ეს რა მოსატანია.

აღსანიშნავია, რომ კარგა ხნის წინათ, სწორედ რეხიდან წასულმა მოსახლეობამ შევსო ახალქალაქის რაიონის სოფელი ხოსპიო (ჯავახეთში). ამ ორი სოფლის მკვიდრთა მეტყველება დღემდე იდენტურია.

რეხაში დღეს 100 კომლი ქართველი მოსახლეა მხოლოდ: ბერძენიშვილები, საბაძეები, მიქაძეები, მინაძეები, ურუმაშვილები, ხუციშვილები, მამულაძეები, ვახტანგიშვილები, ნიკოლაძეები, ყავრელიშვილები და ბაქრაძეები. სოფელში დღემდეა საშუალო, საჯარო სკოლა, მაგრამ, სამწუხაროდ მხოლოდ 50 მოსწავლე ყავთ.

რეხაში 2 ძველი ეკლესიაა და ორივე IX-X საუკუნეების ნაგებობა უნდა იყოს. ერთი დასახლებიდან სამხრეთით, 700-800 მეტრში, მინდორში დგას, მეორე — ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 2 კმ-ში. საინტერესოა, რომ მეორე, ზედა ეკლესიის კარის ბალავარზე ვიღაცას, მოგვიანებით ასომთავრული ქართულით ამოუკვეთია, მერე კი თეთრი საღებავით ამოუვსია ტაძრის სახელწოდება „ფერისცვალება".

„ფერისცვალების" ზევით რომ გზა მიემართება გუჯარეთის ხეობაში, წითელი სოფლისა და მისი ობლად დარჩენილი ნაეკლესიარის მიდამოებში გადადის. 8 წლის წინათ გვაქვს ნანახი და გადაღებული ის ეკლესია. მაშინ, იქ მყოფნი სამხრეთით ვიყურებოდით და ფიქრით თრიალეთს დავტრიალებდით, ახლა, 8 წლის შემდეგ, როცა თრიალეთში მოგზაურობა მოვამთავრეთ, თითქოს, გული ისევ იქითა მხარეს — თორში გვეწევა.

იცოცხლე, ჩემო ქვეყანავ!..

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**



რეხის „ღვთისმშობელი" — მინდვრის ეკლესია


რეხის „ფერისცვალება" და მისი უძველესი ქვა-ჯვრები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დამხმარე თურქული კორპუსის განადგურება

დასასრული. დასაწყისი იხ. №41

**შუადღე გადავიდა. ორივე მხარე დაიღალა რვასაათიანი განუწყვეტელი ბრძოლისგან. რუსები ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულან წინ, თურქები ძველებურად ინარჩუნებდნენ პოზიციებს. რუსებმა 500-მდე ჯარისკაცი დაკარგეს. მდგომარეობა სერიოზული ხდებოდა. პუშჩინის ნაამბობით, პასკევიჩი ცუდ ხასიათზე იყო და მიახლოებას ვერავინ ბედავდა. ამასობაში რუსთა უმოქმედობით იმედმიცემული თურქები მეოთხედ გადავიდნენ შეტევაზე.**



ამ დროს პუშჩინს, როგორც თავად გვიამბობს, სურდა რა როგორმე დახმარებოდა ჯარს, შემოახტა ცხენს და მიდამოს დასათვალიერებლად წავიდა. ამ შემოვლისას მას ერთი კარგი აზრი გაუჩნდა. იგი სასწრაფოდ გამობრუნდა და იგი პასკევიჩს გაუზიარა. **„ხრამის აღება და შენარჩუნება შეუძლებელია,** — თქვან მან, — **საქმე ლუნეტშია (სანგარი), რომელსაც ჩვენ ღამით ჩავუარეთ და რომელიც ხრამის ნაპირას დგას. აიღეთ ის და მაშინ ხრამიც და ბანაკიც — ყველაფერი თქვენი იქნება“.**

პასკევიჩმა ამ წინადადებაში ჭეშმარიტება დაინახა და მცირე ფიქრის შემდეგ ჰკითხა: „ვინ უნდა გავგზავნო მის ასაღებად“? პუშჩინმა შირვანის პოლკზე მიუთითა. ეს პოლკი ჯერ მართლაც არ იყო ჩართული საქმეში და პასკევიჩმა თავისთან იხმო მისი მეთაური — პოლკოვნიკი ბოროდინი. ბოროდინი, პასკევიჩის ყოფილი ადიუტანტი, კარგად იცნობდა მისი მეთაურის ხასიათს, ჰკითხა: „რომელი გამაგრება, თქვენო ბრწყინვალებავ?“ როცა პასკევიჩმა მას ლუნეტზე მიანიშნა, ბოროდინმა უცებ უპასუხა, რომ მისი აღება გავლით შეიძლებოდა. „ღმერთი გფარავდეთ!“ — უთხრა გახარებულმა პასკევიჩმა.

ბოროდინი თავის პოლკში დაბრუნდა. **მხოლოდ შირვანელებით ლუნეტის აღება სარისკო იყო და ამიტომ გადაწყდა, ამ ბრძოლაში მთელი 42-ე ეგერთა პოლკი ჩართულიყო. ამასთან, მურავიოვს პუშჩინისა და ორი კაზაკის ხელით გაუგზავნეს ბრძანება, რომ ერთი ან ორი ბატალიონით ლუნეტზე მეორე მხრიდან შეეტია.**

მურავიოვი ერევნელთა პოლკის პირველი ბატალიონით დაიძრა ლუნეტისაკენ. მას მიჰყვა ეგერთა ორი ასეული და ორიც — პიონერების, რომელთა საერთო ხელმძღვანელი იყო პრეობრაჟენსკის პოლკის პოლკოვნიკი ბენტკოვსკი.

მანამდე, **ლუნეტიდან თურქთა ყურადღება სხვაგან რომ გადაეტანა, პასკევიჩმა მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოაწყო.** ხერსონის პოლკის ბატალიონი, რაევსკის კავალერისტთა ბრიგადა, კარპოვის დონელთა პოლკი და თათართა მხედრიონი ოთხი ქვემეხით გადავიდნენ ხრამზე და საბრძოლო მდგომარეობაში განლაგდნენ თურქთა მთავარი ბანაკის პირისპირ, რომელიც მდინარე ახალციხე-ჩაის ნაპირზე სუ-კილისსთან მდებარეობდა. **ამ ადგილს რუსთა მოულოდნელმა გამოჩენამ შეაფიქრიანა თურქი ფაშები. მთელი თურქული მხედრიონი სწრაფად გაეშურა თავისი მარცხენა ფრთისკენ. მაგრამ დონელებთან და თათრებთან ერთად წინ წასული კარპოვი ისე კარგად მანევრირებდა, რომ ბრძოლაში ჩაითრია ცხენოსნები. როცა თურქები გაცხარდნენ და კაზაკებს მისცვივდნენ, ეს უკანასკნელნი გაიფანტნენ და მათ უკან მდგომ რუსთა საბრძოლო ბატარეას დაუთმეს ბრძოლის ველი. ზალპების შემდეგ თურქებმა მოკურცხლეს.**

მხედრიონის დამარცხებამ აიძულა კიოს ფაშა, სერიოზულად შეეხედა მოახლოებული საშიშროებისთვის, რომელიც, ფაქტობრივად, ჯარის გარეშე დარჩენილ მთავარ თურქულ ბანაკს შეექმნა.

პასკევიჩიც ამას ელოდა დემონსტრაციისგან. მან გენერალ-მაიორ გილენშმიტს რვა ბატარეისა და ექვსი კაზაკთა მსუბუქი ქვემეხის ლუნეტისკენ წაწევა უბრძანა. თურქები ვერ ხვდებოდნენ რუსების ჩანაფიქრს. ლუნეტს უკვე უახლოვდებოდა 42-ე ეგერთა პოლკი, მაგრამ თურქებს ერთი გასროლითაც არ უპასუხიათ რუსული არტილერიის ცეცხლისთვის. ეს კი აფიქრებინებდა რუსებს, რომ სიმაგრე მიტოვებული ან ძალიან სუსტად იყო დაცული. მოწინააღმდეგემ ადროვა 42-ე პოლკს, ას ნაბიჯზე მიახლოებოდა ლუნეტს და უცებ სასიკვდილო ზალპით შეხვდა.

**მოულოდნელობისგან შემკრთალი ეგერები გაჩერდნენ. გენერალი კოროლკოვი, სურდა რა გაემხნევებინა ჯარისკაცები, წინ გავარდა და ჯარსაც მოუწოდა, გაჰყოლოდა. მაგრამ იმწამსვე ტყვიით განგმირული დაეცა.**

ამან საბოლოოდ შეაკრთო ეგერები და ქაოსური ბათქაბუთქი ატეხეს ლუნეტის მიმართულებით. მაშინ თურქები ამოძვრნენ საფარიდან და ხიშტებითა და ხანჯლებით დაერივნენ მათ.

ცუდად წაუვიდოდათ საქმე ეგერებს, იმწამსვე რომ არ წამოშველებოდნენ შირვანელები.

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ შირვანის პოლკს ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდა და ბასტიონის აღება ნაკლები დანაკარგის ხარჯზე მოუხდა, მაშინ, როცა ერევნელებმა ხელჩართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაკარგეს დაბალი ჩინის ოცდათხუთმეტი ჯარისკაცი და თითქმის ყველა ოფიცერი. მხოლოდ პოლკოვნიკმა ბენტკოვსკიმ მოახერხა, იქიდან საღ-სალამათი გამოსულიყო; ბატალიონის პოდპოლკოვნიკი კომუტინი დაიჭრა; ასეულის მეთაური, პორუჩიკი ონიკოვი ხელჩართულ ბრძოლაში ხანჯლით დაჭრეს; მეორე ასეულის მეთაურს, პორუჩიკ მიშჩენოს გულში ტყვია მოხვდა; მესამე ასეულის მეთაური, პორუჩიკი ელისუისკი მოკლეს. ტყუილად არ წერდა პასკევიჩი თავის ანგარიშში ხელმწიფეს რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების განსაკუთრებულ სიმამაცეზე.

**ლუნეტის დაცემასთან ერთად დაეცა ჩრდილოეთ სიმაღლეზე გაშლილი თურქული ბანაკიც. ნახევარი ათასი თურქიდან მესამედი ბრძოლის ველზე დაეცა, დანარჩენები გაიქცნენ.** კიოს ფაშა დაჭრილი იყო და ახალციხეში წაიყვანეს. მასთან ერთად ახალციხეში წავიდა მთელი მისი ქვეითთა რაზმი (სულ 5 ათასი კაცი).

როგორც კი პოშჩინმა პასკევიჩს ლუნეტის აღების ამბავი მოუტანა, ამ უკანასკნელმა წინ დაძრა მთელი კავალერია, კვალდაკვალ — ხერსონელები და ეგერები.

**მოწინააღმდეგის ბრბო ამდენი დამარცხების შემდეგ პანიკამ მოიცვა. ისინი მოუწესრიგებლად, ქაოსურად ტოვებდნენ ბრძოლის ველს. თვითმხილველი იხსენებს:**

**„საოცარი იყო, რომ სულ რაღაც ოთხ თუ ხუთ ბატალიონს წინააღმდეგობის გარეშე გაურბოდა ეს ამოდენა ბრბო“.**

მოწინააღმდეგე ეცადა, სოფელ სუ-კილისთან გაემაგრებინა თავისი პოზიციები, მაგრამ თურქთა ბანაკი უკვე მორალურად ისე იყო გატეხილი, რომ ნიჟეგოროდის პოლკის შორიდან დანახვაზეც კი გაქცევა გადაწყვიტა. დრაგუნები, ულანები, კაზაკები დაედევნენ გაქცეულებს, წაართვეს იარაღი და 500-მდე კაცი ტყვედ აიყვანეს.

**თურქთა დამხმარე კორპუსი მთლიანად გაიფანტა და სათითაოდ გარბოდნენ ტყის ბილიკებით არდაღანში.**

რუსთა ნადავლს შეადგენდა: ათი ქვემეხი, ათი დროშა (ბაირაღი), ოთხი ბანაკი მთელი თავისი ქონებით, ყველა ურემი, მოძრავი მაღაზიები, ტრანსპორტი... ამბობენ, რომ იარაღისა და დროშების რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ მხედრიონს გაქცეულთა დევნა გაეგრძელებინა, მაგრამ **პასკევიჩმა ისინი თვითონ შეაჩერა და ირგვლივ მყოფთ უთხრა: „გაიხსენეთ, ბატონებო, რომის ერთი მხედართმთავრის სიტყვები, რომ გაქცეულ მოწინააღმდეგეს, სჯობს, ოქროს ხიდები აუგოო“.**

არც რუსებისთვის იყო „იაფი“ ეს გამარჯვება: ერთი ქვემეხი მწყობრიდან გამოსული იყო, ერთი ყუთი საბრძოლო მასალა აუფეთქეს. მოქმედმა კორპუსმა დაკარგა (ოფიციალური მონაცემებით) ერთი გენერალი, ოცდაათზე მეტი ოფიცერი და ხუთასამდე დაბალი ჩინოსანი. მაგრამ თანამედროვეთა გადმოცემით, დანაკარგი უფრო დიდი იყო. **მიუხედავად ამისა, რუსულ არმიაში ბრძოლის სულისკვეთება არ დაცემულა. ბოროდინს პასკევიჩისთვის ისიც კი უთქვამს, ახლავე გადავიდეთ ახალციხის შეტევაზეო.**

ეს აზრი (თუნდაც იმიტომ, რომ ღამდებოდა) არ იყო მისაღები. ბრძოლისგან დაღლილმა ჯარმა ახალციხიდან 20 ვერსის მოშორებით გაათია ღამე. მეორე დღეს კი ბანაკში დაბრუნდა, რომ სიცოცხლის ფასად დაეცვა საუკუნოვანი დამოუკიდებლობა.

**ვასილი პოტო**

**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**





გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთერთმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გუენოლას ლომი



**ხუთი ათასი წლის წინათ მესოპოტამიაში დამზადებული „გუენოლას ლომის“ სტატუეტი ნიუ იორკის „სოტბის“ აუქციონზე 57 მილიონ ორასი ათას დოლარად გაიყიდა. მყიდველმა, ცხადია, ვინაობის გამჟღავნება არ ინდომა.**

სკულპტურა სიმაღლეში მხოლოდ 13 სანტიმეტრია, ლომი — ადამიანის პოზაშია გამოსახული, თათები მკერდზე უწყვია, თავი კი მარცხენა მხარზე უდევს. მესოპოტამიური ლომი მფლობელისგან ბოროტი ძალების განსადევნად შეიქმნა, მფლობელი კი, ცხადია, იმდროინდელი ადგილობრივი მმართველი გახლდათ. ამგვარი გამოსახულებების გამოყენება იმხანად მხოლოდ ძლევამოსილ ადამიანებს შეეძლოთ.

თილისმა აუცილებლად გულზე უნდა დაეკიდა მფლობელს, რაზედაც თავად სკულპტურის გულზე დაკრეფილი ხელებიც მიუთითებს.

**ლომი 1930-იანი წლების დასაწყისში თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე, ბაღდადთან ახლოს იპოვეს. სახელწოდება სტატუეტმა იმ კოლექციის პატივსაცემად მიიღო, რომელსაც ფოლადის მაგნატი ალისტერ მარტინი და მისი მეუღლე 20 წლის განმავლობაში აგროვებდნენ. მარტინმა გუენოლას ლომი 1948 წელს შეიძინა და აუქციონზე გაყიდვამდე გამომგონებლური ხელოვნების ბრუკლინის მუზეუმში იყო გამოფენილი.**

მეცნიერების მტკიცებით, გუენოლას ლომი არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით საკულტო სკულპტურების ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია. ზემოხსენებული აუქციონის დირექტორმა ჰუგ ჰილდესლიმ განაცხადა, რომ ეს იყო ყველაზე უნიკალური ნივთი მათ შორის, რაც მას ანტიკვარულ ბიზნესში მუშაობის 45 წლის მანძილზე უნახავს.





# თმით ხატვა

**66 წლის ზანგი დეკსუანი დედამიწის ზურგზე ერთადერთი ადამიანია, რომელსაც შეუძლია, თმის ღერებისგან ნახატები შექმნას. ჩინელი მთელი ამ ჯადოქრობისთვის სულ ხუთ უმარტივეს ინსტრუმენტსა და გამადიდებელ შუშას იყენებს. მასალა ადამიანის თმაა.**



ზანგი, უკვე 54 წელია, ამ საქმით არის დაკავებული. მის მიერ „დახატულ“ პორტრეტებს შორის შეხვდებით ჯეკი ჩანს, ბარაკ ობამას, მონა ლიზასა და სხვა ცნობილ ადამიანებს თუ პერსონაჟებს.

ზანგი მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია, ვინც ჩინელთა უძველესი ხელოვნების — ადამიანის თმით მინიატურული ნახატების ქსოვის საიდუმლოება იცის.

ადამიანის თმის ღერის დიამეტრი საშუალოდ 0,7 მილიმეტრია, მაგრამ ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იკლებს და მოხუცებულობისას 0,5 მილიმეტრამდე ჩამოდის. ოსტატი ორივე სახეობის თმას იყენებს. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რამდენად დახვეწილი ხელია საჭირო ამ მასალისგან ნახატის შესაქმნელად — ზანგს არა მხოლოდ ხელის მოძრაობის, საკუთარი სუნთქვის კონტროლიც კი სჭირდება.







დაახლოებით 10 კვადრატული სანტიმეტრის ფართობის ნახატის შესაქმნელად ჯერ ორიგინალზე 100-ჯერ დიდი ზომის პროექტი იხატება ჩვეულებრივ ფურცელზე, ამის შემდეგ კი რამდენიმე თვეა საჭირო, რომ ერთმანეთზე გადახლართული თმის ღერებისგან ნახატი გამოიკვეთოს. დროის უდიდესი ნაწილი ხარისხიანი მასალის შერჩევას ხმარდება. ერთი ნახატის შესაქმნელად ოსტატი დაახლოებით 10 ათას თმას ამოწმებს.

ამ საოცარი ხელოვნების გადასარჩენად ოსტატმა ბოლო პერიოდში 20 მოსწავლე აიყვანა.

# ეროვნული წყალქვეშა პარკი

**ვინმე ჯეისონ დე კეირეს ტეილორმა მექსიკის ქალაქ კანკუნში მდებარე ეროვნული საზღვაო პარკის ფსკერზე 400-ზე მეტი სკულპტურა ჩაძირა. ამ პარკის დათვალიერების მსურველს, ცხადია, აკვალანგის გარეშე არაფერი გამოუვა.**











კარიბის ზღვაში წყალქვეშა მუზეუმის შექმნაზე პოპულარული საკურორტო ქალაქის მმართველობა მხოლოდ ტურისტების მიზიდვის მიზნით არ დათანხმებულა. საქმე ისაა, რომ კინტანა-როოს დასავლეთ სანაპიროზე გაშლილ ეროვნულ პარკში ყოველწლიურად 300 ათასზე მეტ ტურისტს მასპინძლობენ, რაც, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ, მეორეს მხრივ, ტურისტები სერიოზულად აზიანებენ ადგილობრივ ეკოსისტემას, კერძოდ — მარჯნის რიფებს. ტურისტები, როგორც წესი, გამოუცდელი მყვინთავები არიან, ამიტომ ჩაყვინთვისას ან უნებლიეთ წამოედებიან ხოლმე მარჯნის რიფებს, ან შეგნებულად ამტვრევენ მათ, რომ სუვენირად გაიყოლონ თან. იმისთვის, რომ ტურისტების ყურადღება როგორმე სხვა რამეზე გადაეტანათ, კანკუნის ხელისუფლებამ წყალქვეშა მუზეუმის შექმნა გადაწყვიტა.

ფსკერზე უკვე ჩაიძირა 400 სკულპტურა, რომლებიც PH-ნეიტრალური ბეტონის მასალისგან დამზადდა. მათზე წყალმცენარეები და მოლუსკები უპრობლემოდ დასახლდებიან და გამრავლების შემდეგ მარჯნის რიფების ეკოსისტემას შეინარჩუნებენ. პროექტის ხელმძღვანელის ჯეისონ კეირს ტეილორისთვის კი ეს უკვე მეორე წყალქვეშა მუზეუმია — პირველი მსგავსი პროექტი მან წარმატებით განახორციელა გრენადაში.

# შოკოლადის ნარკომანია

**კორეაში ცხოვრობს გოგონა, რომელიც წარმოუდგენელი რაოდენობით ტკბილეულს შთანთქავს, ოღონდ ყველანაირს — არა; 21 წლის კიმ დო-ის მხოლოდ შოკოლადი უყვარს.**







გოგონა მთელმა კორეამ მას შემდეგ გაიცნო, რაც სატელევიზიო შოუში მონაწილეობისას განაცხადა, რომ შოკოლადის ნარკომანია. არადა, მისი დახვეწილი გარეგნობის მიხედვით, ვერავინ იტყვის, რომ კიმმა 6 წლის მანძილზე 1,2 ტონა შოკოლადი შთანთქა. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ გოგონა შოკოლადს მხოლოდ სტანდარტულ-ტრადიციული ფორმით არ მიირთმევს, შოკოლადის სოუსი ახლავს ხორცის, მაკარონის ან ბრინჯის კერძებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ნამცხვრებსა და კოქტეილებზე.

# პლასტიკური ბარათების სასტუმრო

**უჩვეულო იდეით შეპყრობილმა დიზაინერმა 200 ათასი ცალი გამოყენებული პლასტიკური ბარათი მოაგროვა და მათგან სასტუმრო ააშენა.** შენობაში ერთი სასტუმრო ოთახი, აბაზანა და ფოიე მთლიანად პლასტიკური ბარათებითაა აგებული. სრულმასშტაბიანი სახლის ნატურალური ზომის ყველა საჭირო ავეჯიც იმავე მასალისგანაა დამზადებული.







# უნიკალური ხე-სახლი





**ამ პროექტის ავტორი გორაცი ბერჯესია. მისი ათსართულიანი ხე-სახლი ტენესის შტატის ქალაქ კროსვილში მდებარეობს. სახლის საერთო ფართი 10 ათასი კვადრატული მეტრია. ბერჯესმა ის მთლიანად ხის მასალისგან ააგო.** მასალა მოხალისეებმა უფასოდ მისცეს, ნაწილი კი სარდაფებიდან და ავტოფარეხებიდან „გამოიხსნა“. პროექტის განხორციელება ავტორს 12 ათასი ამერიკული დოლარი დაუჯდა. ეს თანხა, ძირითადად, 258 ათასი ლურსმნის შეძენას მოხმარდა.

# ბუდას ტაძარი მინის ბოთლებისგან



ბუდას თითქმის მილიონამდე ლუდის ბოთლისგან ტაძარი ბერებმა აუშენეს. მწვანე ბოთლები „Heineken“-ის ლუდისაა, ყავისფერები კი — „Chang“-ის. ტაძარს არა მხოლოდ მასალის მეორადი გამოყენების საუკეთესო ნიმუშად, არამედ საკმაოდ შთამბეჭდავ არქიტექტურულ პროექტადაც მიიჩნევენ.







# საკუთარი ზღვა

**მხატვარმა ბრიუს მუნრომ მილიონამდე მოძველებული კომპაქტ-დისკი მოაგროვა და ინგლისში, უოლტშირის საგრაფოს ლონგ-ჰოლის მინდორზე საკუთარი მოლივლივე ზღვა ააშენა.** გარდა ადგილობრივი კოლექციებისა, ზღვას მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან გამოგზავნილი მოხმარებული დისკიც შეუერთდა. მინდვრის 10 აკრი ამ დისკებითაა მოფენილი და მათი მბრწყინავი ზედაპირი მუდმივად ირეკლავს მზისა და მთვარის შუქს.





# ბრიტანეთის უცნაური კანონი

ინგლისის პარლამენტში სიკვდილი სპეციალური აქტითაა აკრძალული. საქმე ისაა, რომ პარლამენტს ბრიტანეთში სამეფო სასახლის სტატუსი აქვს და იქ გარდაცვლილი ადამიანი სახელმწიფოს საპატიო მოღვაწეთა შორის უნდა დაიკრძალოს.



ბრიტანეთში კონვერტზე მონარქის გამოსახულებიანი მარკის თავდაყირა დაკრობა სახელმწიფო ღალატად ითვლება, ხოლო ამ დრომდე გაუუქმებელი 1644 წლის კანონის მიხედვით, შობას ტკბილი ღვეზელების ჭამა იკრძალება.

ბრიტანეთის მოქალაქეებს სასტიკად ეკრძალებათ, საგადასახადო ინსპექტორს დაუმალონ ის, რისი დამალვაც მისგან სურთ; სამაგიეროდ, ბრიტანელებს სრული უფლება აქვთ, არ უთხრან საგადასახადო ინსპექტორს ის, რასაც დასამალად არ მიიჩნევენ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## 1200 დოლარი სადილად



**დასავლეთ სიეტლის საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტის ბილ ფრაის ძაღლმა 1200 დოლარი შეჭამა.**

როგორც თავად ბილი ამბობს, სახლში დაბრუნებისას მაგიდაზე 50-დოლარიანი კუპიურა აღმოაჩინა. გახარებულმა ბილმა იფიქრა, რომ გაუმართლა და დავიწყებული თანხა იპოვა, მაგრამ ცოტა ხანში აღმოაჩინა, რომ კლუბის წევრი ბავშვების მშობელთა შემოწირულობების კონვერტი სადღაც გაქრა. არადა, ამ კონვერტში სულ 1500 დოლარი იდო, აქედან — 600 დოლარი ნაღდი ფულის სახით და 900 დოლარის ჩეკები.

გამწარებულმა ბილმა მოგვიანებით საკუთარ ეზოში ჩამარხული 300-მდე დოლარიც იპოვა. როგორც ჩანს, მაგიდაზე აღმოჩენილი 50-დოლარიანიც სწორედ ამ კონვერტიდან გადმოვარდა.

მოკლედ, როგორც გაირკვა, დანარჩენი თანხა და ჩეკები ფრაიას ძაღლმა კოსმომ სადილად მიირთვა. ლაბრადორისა და მეცხვარის ნაჯვარი კოსმო უკვე ხუთი წლისაა, მაგრამ გემოვნება კვლავაც უცნაური აქვს. საბრალო ბილმა შეჭმული 600 დოლარი თავად დააბრუნა.

## გაიხადე და დაალაგე!



**Crazy cleaner-ის სააგენტოს გოგონები დარეცხვა-დასუფთავებისთვის, ანუ როგორც ამას ახლა ინგლისურენოვანი ტერმინით უწოდებენ, ქლინინგური მომსახურებისთვის საათში 150 ევროს იღებენ.**

სამუშაოს სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ დამლაგებელი მხოლოდ კლიენტის საძინებელსა თუ სამზარეულოში კი არ უნდა ფუსფუსებდეს, არამედ მის თვალსაც ახარებდეს. და არა მხოლოდ irგვლივ დამყარებული წესრიგითა და სისუფთავით! კლიენტის სურვილისამებრ, ქალიშვილები ნახევრად ან სრულიად შიშვლები არიან. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ სააგენტოს ყველა გემოვნების შესაბამისი დამლაგებლები „დაუგროვდა“. იქ უკვე მხოლოდ ტანწერწეტა ქალიშვილები არ მუშაობენ, არიან სხვა კატეგორიის ადამიანებიც, რომლებმაც ფინანსური კრიზისის გამო სამსახურები დაკარგეს.

## ღია ბარათი მარიხუანის სურნელით ხელისუფლებისგან



**ჰოლანდიის მთავრობამ როტერდამისა და ჰააგის მოსახლეობას 30 ათასამდე ღია ბარათი გაუგზავნა. კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ უფრო აქტიური ბრძოლის მიზნით ბარათები მარიხუანას სურნელით გაჟღინთეს.**

უკლებლივ ყველა ღია ბარათი მწვანე ფერისაა და ყველას აქვს ორი ვიწრო ზოლი, რომელიც სპეციალური ფენითაა დაფარული. ამ ზოლზე ხელის გასმით მარიხუანას დამახასიათებელი სუნი იგრძნობა. ამ ზოლების გვერდით დაბეჭდილია პოლიციის ტელეფონის ნომრები და მოწოდება: „დაგვეხმარეთ კანაფის პლანტაციების წინააღმდეგ ბრძოლაში“. აქციის მიზანია, მოსახლეობამ უკანონო პლანტაციების შესახებ ინფორმაცია მიიღოს, მისი ამოცნობის ინსტრუმენტი ჰქონდეს და, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართოს სამართალდამცავებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში მარიხუანას მოხმარება და პირადი გამოყენებისთვის გახარებაც ნებადართულია, ორივე შემთხვევისთვის დაწესებული ნორმების დარღვევა დანაშაულად ითვლება.

# ნატოს ეპოქის დასასრული

**ღიმილი სცენაზე და ოხვრა სცენის მიღმა — ასეთი იქნება 20 ნოემბერს ნატოს ლისაბონის სამიტი. როგორი თავგამოდებითაც არ უნდა უარყონ ევროპელმა და ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, ნატოს ეპოქა მთავრდება. ავღანეთის ომი ალიანსისთვის გამოცდად იქცა. თუ მას არ შეუძლია შორ ქვეყნებში იომოს, მაშინ არ ღირს იმ ფულად, რომელსაც მასზე ხარჯავენ.**



ავღანეთში წარუმატებლობა ბევრად უფრო საშიში იყო, ვიდრე ერაყში. მეორე შემთხვევაში თავისუფლად შეიძლებოდა ყველაფერი ჯორჯ ბუშის და დონალდ რამსფელდის დროინდელი პენტაგონის უპასუხისმგებლობას დაბრალებოდა. მაგრამ ევროპამ გამოცდა ვერ ჩააბარა. **ზოგიერთი ღირსეული გამონაკლისის გარდა, ევროპელები ძალზე სუსტები აღმოჩნდნენ ომისთვის და ძალზე ცუდად იცნობდნენ ავღანეთს. ამერიკელი სამხედროების თვალსაზრისით, მათი დახმარება მთლიანობაში უსარგებლო იყო.**

ნატომ არა მხოლოდ წარუმატებლობა განიცადა საექსპედიციო ალიანსის როლში, ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურაში სუსტი ადგილების დასაცავად მისი გაბერილი სამოქალაქო და სამხედრო ბიუროკრატიული აპარატები საჭირო აღარაა. ნატოს ევროპული სარდლობისა და შტაბების თანამშრომლებმა, შესაძლოა, ჯერ ვერ გააცნობიერეს, მაგრამ დღესასწაული უკვე დასრულდა. ცივი ომის შემდგომი პერიოდიდან ამ დრომდე მოყოლებული კომფორტული ცხოვრების წესი ისტორიას ბარდება. **როდესაც ამერიკას დახმარება დასჭირდება, ევროპის იმ ქვეყნებს მიმართავს, რომლებსაც ნამდვილი ჯარისკაცები ჰყავთ, ჯარისკაცები, რომლებიც მზად არიან, უცხო ქვეყნის ომში სხვაც დახოცონ და თავადაც მოკვდნენ. ამისთვის ამერიკას ნატო არ სჭირდება.**

ცხადია, აშშ მომავალშიც იზრუნებს ევროპულ უსაფრთხოებაზე — ნაწილობრივ სენტიმენტალობის, ნაწილობრივ სიფრთხილის, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მას ძველებურად ადარდებს რუსეთის დამოკიდებულება ყოფილ იმპერიასთან. **მაგრამ იმ პრობლემების სპექტრი, რომლებიც აშშ-ს ევროპასთან აკავშირებს, დღითიდღე მცირდება. ახლა დასავლეთ ბალკანეთში წესრიგს აშშ კი არა, გერმანია ამყარებს.**

აშშ განაგრძობს თანამშრომლობას თავის ევროპელ მოკავშირეებთან უკიდურეს ჩრდილოეთსა და არქტიკაში. ნავთობისა და ისრაელის გამო აშშ არ წავა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან და თვალს არ მოაშორებს შავ ზღვას **(თუმცა, უკრაინა და საქართველო ნატოში გაწევრებას ვერ ეღირსებიან — რუსეთთან ურთიერთობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია).** ესტონეთი, ლატვია, ლიტვა და პოლონეთი — სულ ესაა იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა რუსეთისგან დაცვაც ამერიკას თეორიულად ესაჭიროება.

**შესაბამისად, აშშ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ჩრდილოეთსა და ბალტიის აუზში უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას. აშშ-ისთვის, რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების თვალსაზრისით, გაცილებით მნიშვნელოვანია შვედეთი და ფინეთი, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან, ვიდრე ნომინალურად ალიანსის წევრებად მიჩნეული ქვეყნების უმეტესობა.**

ევროპა კი დარჩება ადგილად, სადაც აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა განთავსდება. ის უზრუნველყოფს ლოგისტიკური მხარდაჭერით ამერიკის უცხოურ მისიებს, შეინარჩუნებს მჭიდრო ტრანსატლანტიკურ დიპლომატიურ კავშირს აშშ-თან და მხარს დაუჭერს ამჟამად არაპოპულარულ იდეებს — პოლიტიკურ თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას.

*„European Voice“*

# ცენტრალური აზია: ნარკოტრაფიკის გეოპოლიტიკა

**უკანასკნელი თვეების მთავარი მოვლენები ცენტრალურ აზიაში ავღანეთის ჩრდილოეთით თალიბების გააქტიურების, ტაჯიკეთის აღმოსავლეთ რაიონებში არასტაბილურობის, ახალი კერების გაღვივებისა და მორიგი ყირგიზული რევოლუციის ჩათვლით მნიშვნელოვან კავშირშია ნარკობიზნესსა და ამ ტერიტორიაზე გამავალ ნარკომარშრუტებთან; უფრო ზუსტად იმ ჯგუფების ინტერესებთან, რომლებიც ავღანეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ნარკოტიკების ტრანზიტის მარშრუტს იცავენ.**



ტაჯიკეთის ნარკოტიკების კონტროლის სააგენტოს დირექტორის, გენერალ-ლეიტენანტ რუსტამ ნაზაროვის მონაცემებით, **ავღანური ნარკოტიკის 59%-ზე მეტი „ბალკანური არხით“, ანუ ჩრდილოეთ ირანისა და თურქეთის გავლით ევროპაში მიედინება, „ახალი გზით“ კი, ანუ კავკასიის გავლით, — უკრაინასა და რუსეთში.** მეორე გზა, რომელზეც მთელი ნარკოტიკების 35% გადის, პაკისტანის გავლით ავსტრალიამდე მიდის. ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის გავლით რუსეთში ნარკოტიკების მთლიანი მოცულობის მხოლოდ 15% მიდის.

**ბოლო დროს ავღანეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის უკანასკნელი მოვლენების ურთიერთკავშირზე, ნარკოტრანზიტთან კავშირზე სულ უფრო ხშირად ამახვილებენ ყურადღებას.** „Deutsche Welle“-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუში რამდენიმე დღის წინათ საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის ევროპის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტმა ალენ დელეტრომ განაცხადა, რომ **რეგიონისთვის ყველაზე სახიფათო ფაქტორი „ავღანეთში წარმოებული ნარკოტიკების ტრანსპორტირება და გაყიდვაა“.** ახლა მათი გავრცელებისთვის ახალი გზების ძებნა მიმდინარეობს და ეს გზები „ტაჯიკეთისკენ, ყაზახეთისკენ, შემდეგ კი რუსეთისა და ევროკავშირისკენ მიდის“. მისი თქმით, ყირგიზეთის ცოტა ხნის წინანდელმა მოვლენებმა წარმოაჩინა, რომ იქ მომხდარისთვის „საწვავად“ ნარკოტრაფიკის ფული იქცა. **ნარკოტრაფიკის გაძლიერების შედეგებს იწვნევენ არა მხოლოდ ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, არამედ „ისეთი მსხვილი სახელმწიფოებიც, როგორიც ყაზახეთია“, შესაძლოა, „ისინიც გაებან მახეში და საკუთარ ტერიტორიებზე კონტროლი დაკარგონ“.**

დელეტრო ყველაზე სახიფათო ტენდენციად ცენტრალურ აზიასა და ლათინურ ამერიკაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიტუაციის გამეორებას მიიჩნევს. მას შემდეგ, რაც კოლუმბია ნარკოტიკების წარმოების ცენტრად იქცა, ცენტრალური ამერიკის მომცრო სახელმწიფოებმა სრულად გამოსცადეს მათი ტრანზიტის შედეგები. ამ გამოცდილებას ვერ გაექცა ისეთი დიდი ქვეყანაც კი, როგორიც მექსიკაა. ცენტრალურ აზიაში ანალოგიური პერსპექტივა უკვე თვალნათელია.

**ავღანეთის ჩრდილოეთში თალიბების გააქტიურება, ტაჯიკეთში ბოევიკებთან ბრძოლა და „ყირგიზეთის მეორე რევოლუცია“ იმ ჯაჭვის რგოლებია, რომლებიც ავღანური ნარკოტიკების ტრანზიტისთვის ოპტიმალური პირობების შექმნას ემსახურება.** ავღანეთშიც და ტაჯიკეთშიც მოქმედებს უზბეკეთის ისლამური მოძრაობა, რომელიც, დიდი ხანია, ნარკოტრაფიკების ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი. რაც შეეხება ყირგიზეთს, იქ მარშრუტი ამ ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 1999-2000 წლების „ბატკენსკის ომისას“ დაამკვიდრა. ბაკიევის ჩამოგდების შემდეგ კი ყირგიზეთში ნარკოტიკების წარმოებისა და ტრანზიტის მოცულობები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**ნარკოტრაფიკის გეოპოლიტიკაში საკვანძო მნიშვნელობას ტაჯიკეთი იძენს. მას ავღანეთთან 1400-კილომეტრიანი და სუსტად დაცული საზღვარი აქვს?, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება ბარიერად, რომელიც ცენტრალურ აზიასა და რუსეთზე ნარკობარონების შემოსევას აკავებს. ამიტომ მოსკოვი სულ უფრო მეტად ღელავს ტაჯიკეთში შექმნილი მდგომარეობის გამო და, სავარაუდოდ, რუსეთი ტაჯიკეთში თავის მესაზღვრეების დაბრუნებაზე იზრუნებს.**

*fondsk.ru*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჰააგის ტრიბუნალის სისხლიანი თამაშები

**ყოფილი იუგოსლავიის საკითხზე საერთაშორისო ტრიბუნალის ბრიფინგზე ჟურნალისტთაგან ერთ-ერთმა იკითხა: ცოცხალია თუ არა რადოვან კარაჯიჩი? როგორც გაირკვა, რამდენიმე საათის განმავლობაში მის უეცარ გარდაცვალებაზე საუბრობდნენ. მანამდე ტრიბუნალის სხდომა ორჯერ შეწყდა კარაჯიჩის შეუძლოდ გახდომის გამო. ტრიბუნალის პრესმდივანმა განაცხადა, რომ ამაყობს ყველა ბრალდებულისთვის ხელმისაწვდომი უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურებით. მაინც რით ამაყობს ტრიბუნალი?**


საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს შენობა ჰააგაში


სლობოდან მილოშევიჩი

საერთაშორისო ტრიბუნალის უკანასკნელი მთავარი გადაწყვეტილება ვოისლავ შეშელისთვის ახალი სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება იყო. სექტემბერში სასამართლო პალატამ მიიღო სამი გასაიდუმლოებული სამედიცინო დასკვნა შეშელის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაგრამ ამის შემდეგ ახალი კვლევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. ექიმების შერჩევა ტრიბუნალის სამდივნოს დაევალა, მათ დასანიშნად კი მთელი სამი თვე გამოიყო.

25 ოქტომბერს, ჯერ კიდევ გამოკვლევამდე, იძულებულნი გახდნენ, შეშელისთვის გულის ოპერაცია გაეკეთებინათ. ოპერაციამ მნიშვნელოვანი უცნაურობებით ჩაიარა. კარდიოგრამა იმდენად უცნაური იყო, რომ ექიმებმა გამოაცხადეს, აპარატი გაფუჭდაო. ვერავინ შეძლო აეხსნა, რატომ არ მოიძებნა ნიდერლანდების მთავარ საავადმყოფოში მეორე აპარატი. ციხეში გადაყვანის შემდეგ რამდენიმე დღის მანძილზე კარდიოგრამის პასუხები კვლავაც არ ჩანდა — ამჯერად ციხის აპარატი გაფუჭდა. **თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრიბუნალის ციხის ექიმად კვლავ ის ფალკე რჩება, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო სლობოდან მილოშევიჩის მკვლელობაში, ცხადი გახდება, რომ კვლავ გვატყუებენ.**

შეშელის გამოკვლევამდე მსგავსი სამედიცინო გამოკვლევა პრეზიდენტ მილოშევიჩს უტარდებოდა. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, სიტუაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

2005 წლის შემოდგომაზე ციხის უფროსი ირწმუნებოდა, რომ მილოშევიჩი დანიშნულ პრეპარატებს არ იღებდა. ამის შესამოწმებლად სისხლის ანალიზი აუღეს. ციხის უფროსის ინტერპრეტაციით, ანალიზმა აჩვენა, რომ **„მილოშევიჩი არ სვამდა მისთვის დანიშნულ წამლებს და სვამდა სხვა წამლებს“.** სინამდვილეში ანალიზის პასუხი შემდეგნაირი იყო: **„სისხლში აღმოჩენილია დანიშნული წამლების დაბალი დონე და დაუნიშნავი წამლების დაბალი დონე“.** ციხის უფროსმა ეს დასკვნა მილოშევიჩის შეგნებულ ქმედებად გამოაცხადა და ექიმი ფალკეც დაეთანხმა. ერთადერთმა ექიმმა ტოიმ ჩამოთვალა დასკვნაში ხუთი შესაძლო მიზეზი, თუ რის გამოც შეიძლებოდა სისხლში პრეპარატების დაბალი დონე ყოფილიყო.

2006 წლის 12 იანვარს მილოშევიჩმა სისხლის ახალი ანალიზის ჩატარება მოითხოვა. ანალიზი ჩატარდა მას შემდეგ, რაც ფალკეს მიერ გამოწერილი წამლების მიღებას მუდმივად აკვირდებოდნენ, მაგრამ სისხლში პრეპარატების ზუსტად იგივე დონე დაფიქსირდა. ციხის უფროსისა და, რაც მთავარია, ფალკეს მეთაურობით, ექიმთა მთელი არმიის მტკიცებულებები დაიმსხვრა. გარდა ამისა, გაირკვა, რომ „გამოუწერელი“ წამლებიდან ერთ-ერთი — დიაზეპამი, სწორედ ფალკეს მიერ იყო დანიშნული 2005 წელს, მეორე პრეპარატი კი დიაზეპამისგან წარმოიქმნებოდა ორგანიზმში.

ექიმ უგესის დასკვნის შესაბამისად, ორივე ამ პრეპარატის დონე სისხლში „ნებისმიერი ფარმაკოლოგიური ეფექტისთვის ძალიან დაბალი“ იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე პრეპარატი სისხლში რამდენიმე თვის მანძილზე რჩება და მათ არ შეუძლიათ რაიმე ნეგატიური გავლენა მოახდინონ მაღალ წნევაზე, ცხადი ხდება, რომ მილოშევიჩის წინააღმდეგ პროვოკაცია მოეწყო. ამ პროვოკაციის ნაწილი იმდენად გამოაშკარავდა, რომ პროკურატურამაც კი აღიარა, დიაზეპამს მილოშევიჩი ექიმის დანიშნულებით სვამდა.

მიუხედავად თვალხილული კრახისა, სამდივნო და ექიმი ფალკე თავის გამართლებას ცდილობდნენ. თავისმართლება კიდევ უფრო დაუდევარი იყო: ფალკემ განაცხადა, რომ მილოშევიჩმა დიაზეპამი ბოლოს, ოქტომბრის შუა რიცხვებში კი არა, 2005 წლის 7 ნოემბერს მიიღო. ტრიბუნალის მდივანმაც დაასკვნა, რომ სისხლში პრეპარატის დაბალი დონე ექიმ ფალკეს მიერ 15-17 ოქტომბერს გამოწერილ რეცეპტთან კავშირში არ იყო. სულ ეს იყო პასუხი ადვოკატების მტკიცებაზე, რომ სამდივნომ და ექიმებმა დიაზეპამის დანიშვნა დამალეს.

**როდესაც მილოშევიჩმა თავისი ჯანმრთელობის სრული ისტორია მოითხოვა, საბუთები გადასცეს. მასში დიაზეპამთან დაკავშირებით ეწერა: „გაგრძელდეს მიღება“,** მაგრამ იმავე დოკუმენტის მეორე ასლში, რომელიც სამდივნომ და ფალკემ სასამართლოს წარუდგინეს, იმავე პუნქტში ეწერა: **„მოთხოვნილების მიხედვით“.** უფრო მეტიც, სხვა ექიმებმა არ იცოდნენ, რომ ფალკე მილოშევიჩს დიაზეპამს ასმევდა, შესაბამისად, ამ პრეპარატის ზემოქმედება არ გაუთვალისწინებიათ.

2006 წლის 7 მარტს, მილოშევიჩის გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, მოსამართლეებს მოულოდნელად აცნობეს, რომ 12 იანვარს (ანუ ამის შესახებ მხოლოდ ორი თვის შემდეგ ალაპარაკდნენ) აღებულ სისხლში აღმოაჩინეს არადანიშნული პრეპარატი რიფამპიცინი, რომელსაც შეეძლო წნევის დასარეგულირებლად დანიშნული პრეპარატების მოქმედების განეიტრალება.

მთელი ეს აბდაუბდა და მანიპულაციები ცხადად ადასტურებს, რომ **ტრიბუნალმა არა მარტო არ აღმოუჩინა პატიმარს სამედიცინო დახმარება, არამედ სისხლის ანალიზის შედეგების დაფარვა და მასთან დაკავშირებული მანიპულაციები მილოშევიჩის წინააღმდეგ განხორციელებულ წინასწარ განზრახულ დანაშაულზე მეტყველებს.** მას ასმევდნენ წამალს, რომელიც, სულ მცირე, ანეიტრალებდა ჰიპერტენზიის სამკურნალო პრეპარატების მოქმედებას. **ამიტომაც უთხრეს მას უარი სამკურნალოდ რუსეთში გამგზავრებაზე — მოსკოვში ჩატარებული სისხლის პირველივე ანალიზი გამოავლენდა ყველა იმ ნივთიერებას, რომლითაც მილოშევიჩს წამლავდნენ. სასამართლო პალატა იძულებული გახდა, უბრალოდ, არ შეემჩნია ის გარანტიები, რომელთაც მაშინ რუსეთი იძლეოდა. რუსეთის ფედერაცია ჰააგის ტრიბუნალს გარანტიას აძლევდა, რომ უპირობოდ შეასრულებდა ყველა მოთხოვნას მილოშევიჩთან დაკავშირებით და ნებისმიერ დროს დააბრუნებდა მას ტრიბუნალზე.**

ტრიბუნალმა არა მარტო არ აღმოუჩინა პატიმარს სამედიცინო დახმარება, არამედ სისხლის ანალიზის შედეგების დაფარვა და მასთან დაკავშირებული მანიპულაციები მილოშევიჩის წინააღმდეგ განხორციელებულ წინასწარ განზრახულ დანაშაულზე მეტყველებს

 აი მიზეზი, რის გამოც პროფესორ შეშელისთვის სამედიცინო კომისიის დანიშვნისას აუცილებელია სამედიცინო კონსილიუმის ჩატარება არა იმ ექიმების შემადგენლობით, რომლებსაც თავად ტრიბუნალი დანიშნავს, არამედ მხოლოდ იმ ექიმების, რომელთაც თავად აირჩევს პაციენტი. ამაზე გამოჩენილი სერბი პოლიტიკოსის სიცოცხლეა დამოკიდებული.

*fondsk.ru*

## უარი ორ მილიონზე



**აიოვას შტატის მკვიდრმა 85 წლის მამაკაცმა, რომლის სახელიც არ ხმაურდება, ორი მილიონი დოლარის მიღებაზე უარი განაცხადა.**

შტატს ამ ადამიანის 1,6 მილიონზე მეტი დოლარი მართებს ნაღდი ფული, 447 ათასამდე დოლარი კი — ფასიანი ქაღალდების სახით. ეს თანხა წლების განმავლობაში დაგროვდა, თუმცა ცნობილია, რომ 910 ათასი დოლარი ტეხასის სარკინიგზო კომპანიისგან მიღებული ერთჯერადი გადასახადია. შტატის ხაზინის წარმომადგენლობა ირწმუნება, რომ მამაკაცს აცნობეს იმ თანხის შესახებ, რომელიც მთავრობისგან ეკუთვნის, მაგრამ მან კონტაქტზე გამოსვლა არ ისურვა.

## ბანკირებს ბერები უხმობენ



**შვეიცარიაში კაპუცინი ბერების სარეკლამო განცხადება ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნდა და მისი მიზანია ორდენში 22-დან 35 წლამდე მარტოხელა ბანკირები და ადვოკატები მიიზიდონ.**

ორდენი იმედოვნებს, რომ რეკლამას 10-დან 20-მდე ადამიანი მაინც გამოეხმაურება. საქმე ისაა, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შვეიცარიაში კაპუცინი ბერების რაოდენობა განახევრდა. ამ დროისთვის ორდენის 200 წარმომადგენელი 70 წელზე მეტი ასაკისაა.

ბანკირებისა და ადვოკატების გარდა ბერებმა მასწავლებლებსა და ჟურნალისტებსაც მიმართეს. განცხადებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ანაზღაურებაზე საუბარი არ იქნება; ორდენის წევრები „სულიერებასა და ლოცვებს“ ეზიარებიან და მატერიალური ფასეულობებისა და ქორწინების გარეშე განაგრძობენ ცხოვრებას.

კაპუცინების საძმო 1525 წელს იტალიის ქალაქ ურბინოში დაარსდა და 1529 წლიდან დამტკიცებული მისი განაწესი ორდენებს შორის ერთ-ერთი უმკაცრესია.

## უძილობის მსოფლიო რეკორდი



**ამერიკელი ფოტოგრაფი ტაილერ შილდსი ირწმუნება, რომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 40 დღეზე მეტხანს არ ეძინა.**

28 წლის ლოსანჯელესელი ფოტოგრაფის თქმით, მსოფლიო რეკორდის მოსახსნელად, 968 საათის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს. არადა, სულ ამაოდ — გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები მის მიღწევას არ აღიარებენ და ამბობენ, რომ ეს ძალზე რთული დასამტკიცებელია და ცდის გამეორებაც ერთობ სახიფათოა. არადა, საბრალო ფოტოგრაფმა უძილობის წინა რეკორდის ორჯერ გასაუმჯობესებლად თავისა და თვალების ტკივილი, მაღალი ტემპერატურა, ციებ-ცხელება და ქვედა კიდურებში შეგრძნების დაკარგვა დაძლია. ბედის ირონიით, რეკორდსმენისთვის, მისივე თქმით, ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ყველაზე ძნელი დაძინება აღმოჩნდა. ერთი ხანობა იგი თავს ცუდად გრძნობდა, შემდეგ კი ნელ-ნელა დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

www.fact.ge
FACT
ACM Group

მოკლედ

# ნატოს „უმნიშვნელოვანესი“ სამიტი




**როგორც ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, 19-20 ნოემბრისთვის ლისაბონში დაგეგმილი ნატოს სამიტი მის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება.** მისი თქმით, ლისაბონში გაჩნდება ახალი ორგანიზაცია, რეფორმირდება სამხედრო კომიტეტის სტრუქტურა, შემცირდება პერსონალი, შტაბ-ბინებისა და სააგენტოების რაოდენობა. დღის წესრიგშია, ასევე, ახალი საფრთხეების გაჩენასთან დაკავშირებული სტრატეგიული კონცეფციების გადახედვაც. სამიტის უმთავრეს სიახლედ იქცევა განცხადება იმ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ, რომელთან მიმართებაში თვით ალიანსის წევრებსაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. „მე არ ველი ერთმნიშვნელოვან პასუხს რუსეთისგან, მინდა, ერთად გავაანალიზოთ თანამშრომლობის პრაქტიკული შესაძლებლობები“, — განაცხადა რასმუსენმა.

# ევროზონის დაშლის პირობები



**როგორც ევროკავშირის პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ განაცხადა, ევროზონა ვერ გადარჩება, თუ ვერ დაძლევს სავალო კრიზისს, რომელიც გასულ წელს მთელ რიგ ქვეყნებს – სავალუტო კავშირის წევრებს შეეხო.** „ყველამ უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ევროზონა გადარჩეს, იმიტომ, რომ, თუ ევროზონა დაიშლება, დაიშლება მთელი ევროკავშირიც. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამას გავუძლებთ“, — იმედი გამოთქვა პრეზიდენტმა. არადა, ორიოდე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ ირლანდია ევროკავშირსა და მსოფლიო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებებს აწარმოებს დახმარების მისაღებად. ნოემბერშივე გაირკვა, რომ საბერძნეთის მთავრობამ ევროკავშირი ბიუჯეტის დეფიციტის რეალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით შეცდომაში შეიყვანა.


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru




ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net